საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

გ. ტყეშელაშვილი

მ. სვანიძე

საქართველოს სამხედრო ეკონომიკის თანამედროვე მდგომარეობა და განვითარების ძირითადი მიმართულებები

თბილისი

2011

წინამდებარე მონოგრაფია ეხება საქართველოს ეკონომიკის და თავდაცვის ერთ–ერთ ყველაზე აქტუალურ–სამხედრო ეკონომიკის ფორმირების საკითხებს. ისინი ჯერ კიდევ არ განხილულა ქართველი მეცნიერ-ეკონომისტების მიერ და ამდენად იგი ნოვაციაა. არადა სამხედრო ეკონომიკის ფორმირების და მისი შექმნისათვის მეცნიერულად დასაბუთებული თეორიული საფუძვლების გარეშე ქვეყანას ვერ ექნება სრულყოფილი თავდაცვის სისტემა, რისი დეფიციტიც უკანასკნელი პერიოდის პრაქტიკამაც დაადასტურა.

ნაშრომში თანმიმდევრობითაა განხილული ეროვნული ეკონომიკის სამობილიზაციო მომზადებისა და მზადყოფნის სისტემის თეორიულ-ორგანიზაციული საფუძვლები, ფორმირების თანამედროვე მდგომარეობა, მომზადებისა და მზადყოფნის დონის ამაღლების წინაპირობები და ძირითადი მიმართულებები.

ვფიქრობთ გამოკვლევა საინტერესო იქნება საქართველოს მთავრობისათვის, კერძოდ ეკონომიკის და თავდაცვის უწყებებისათვის, აგრეთვე მკითხველთა ფართო წრისათვის, ვისთვისაც სულერთი არ არის ქვეყნის თავდაცვისუნარიანობა, მისი სიძლიერე და მომავალი.

რეცენზენტები:

ნ. სამსონია
გ. ამყოლაძე
ვ. ზეიკიძე

© საგამომცემლო სახლი „ტექნიკური უნივერსიტეტი“, 2011
ISBN 978-9941-0-3492-3

ყველა უფლება დაცულია. ამ წიგნის არც ერთი ნაწილი (იქნება ეს ტექსტი, ფოტო, ილუსტრაცია თუ სხვა) არანაირი ფორმით და საშუალებით (იქნება ეს ელექტრონული თუ მექანიკური) არ შეიძლება გამოყენებულ იქნას გამომცემლის წერილობითი ნებართვის გარეშე.
საავტორო უფლებების დარღვევა ისჯება კანონით.

შინაარსი

შესავალი---------- 5

თავი I. ეროვნული ეკონომიკის სამობილიზაციო მომზადებისა და მზადყოფნის სისტემის თეორიულ-ორგანიზაციული საფუძვლები--------- 7

1.1. ეკონომიკის სამობილიზაციო მომზადებისა და მზადყოფნის არსი და დანიშნულება---------- 7

1.2. ეკონომიკის სამობილიზაციო მომზადების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის ფორმირებისა და განვითარების აუცილებლობა---------- 14

1.3. საქართველოს საშხედრო ეკონომიკური მშენებლობის გამოცდილება და ზოგიერთი თავისებურება---------- 39

თავი II. ქვეყნის ეკონომიკის სამობილიზაციო მომზადებისა და მზადყოფნის სისტემის ფორმირების თანამედროვე მდგომარეობა-------- 46

2.1. სამობილიზაციო მომზადებისა და მზადყოფნის ღონისძიებები და მათი განხორციელების წინაპირობები---------- 46

2.2. სამობილიზაციო მომზადებისა და მზადყოფნის მატერიალური მარაგების ფორმირების პრობლემები---------- 56

2.3. სამობილიზაციო მომზადების სახელმწიფო რეგულირების მექანიზმი---------- 69

2.4. სამობილიზაციო მომზადებისა და მზადყოფნის რაოდენობრივი გაანგარიშების ზოგიერთი მეთოდოლოგიური საკითხი და მაჩვენებლები- 82

თავი III. საქართველოს ეკონომიკის სამობილიზაციო მომზადებისა და მზადყოფნის დონის ამაღლების

წინაპირობები და ძირითადი მიმართულებები----- 109
3.1 სამობილიზაციო მომზადებისა და მზადყოფნის ორგანიზაციული სისტემა და ძირითადი პრინციპები---------- 109
3.2. სამხედრო წარმოების ძირითადი პარამეტრების განსაზღვრის ამოსავალი ბაზა და ინსტრუმენტარი---------- 118
3.3. მრეწველობის სამობილიზაციო მომზადების ორგანიზაციული საკითხები---------- 138
3.4. საქართველოს თავდაცვითი დანიშნულების პროდუქციის და მომსახურების წარმოება------- 145

ბოლოთქმა---------- 169

გამოყენებული ლიტერატურა 175
დანართები---------- 179

შესავალი

ეროვნული სამხედრო ეკონომიკის არსებობა და მდგომარეობა წარმოადგენს ქვეყნის საერთო მზადყოფნის უმნიშვნელოვანეს შემადგენელ ნაწილს, ქვეყნის თავდაცვისუნარიანობისა და უშიშროების განმტკიცების ერთ-ერთ ძირითად ფაქტორს, აქედან გამომდინარე, ქვეყნის განვითარებისა და ხალხის კეთილდღეობის დიდმნიშვნელოვან პირობას.

სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ საქართველო სამობილიზაციო მომზადების, სამხედრო მშენებლობისა და სამხედრო ეკონომიკის შექმნის ურთულესი ამოცანის წინაშე დადგა, რაც პოლიტიკური, ეკონომიკური, მეცნიერულ-ტექნიკური, სამართლებრივი, სოციალური და სხვა საკითხების გადაწყვეტას მოითხოვს. თანამედროვე, თუნდაც მცირე მასშტაბიანი, სამხედრო თავდაცვითი ოპერაციების განხორციელება შეუძლებელია წინასწარ ორგანიზებული და კარგად გააზრებული ეკონომიკური უზრუნველყოფის გარეშე, რომელსაც ეროვნული მეურნეობის სამობილიზაციო მომზადება ემსახურება. ამდენად, სამხედრო მშენებლობის ერთ-ერთი ძირითადი, უახლესი ამოცანაა მოქნილი, ოპერატიული სამობილიზაციო მომზადებისა და მზადყოფნის სისტემის (სმდმს) ჩამოყალიბება და მისთვის აუცილებელი მატერიალური მარაგების ფორმირება.

სმდმს-ის დანიშნულება, მიმართულება და ხასიათი განისაზღვრება სახელმწიფოს პოლიტიკით, მისი საზოგადოებრივ-ეკონომიკური წყობით, სახელმწიფო სამხედრო დოქტრინით.

საქართველოს სახელმწიფო სამხედრო დოქტრინის პრიორიტეტი, რაც მსოფლიო თანამეგობრობის ორიენტაციას შეესაბამება, ომისა და საომარი მოქმედებების თავიდან აცილება, მშვიდობის შენარჩუნებაა. მაგრამ ქვეყანას დროებით დაკარგული აქვს ტერიტორიები, რომელთა დაბრუნება ეროვნული უსაფრთხოების ძირითადი და სასწრაფოდ გადასაწყვეტი პრობლემაა. აგრეთვე, გამორიცხული არაა საქართველოს წინააღმდეგ აგრესიული მოქმედებები. გარდა ამისა, დღეისათვის ინდუსტრიულად განვითარებული სახელმწიფოებისაგან

განსხვავებით, საქართველოსათვის დამახასიათებელია ეკონომიკური და ტექნიკურ-ინფორმაციული ჩამორჩენა, წარმოების დაქვეითება, საწარმოო პოტენიალის შემცირება და მასთან თავდაცვითი მრეწველობის შესუსტება, გადაუჭრელია რეგიონალური კონფლიქტები ქვეყნის შიგნით და მოსაზღვრე ქვეყნებში. არსებობს გეოპოლიტიკური და სამხედრო პოლიტიკური პრობლემები, ქვეყნის სახელმწიფო საზღვრების დაცვის სირთულეები და სხვ.

აქედან ცხადია, რომ ქვეყნის თავდაცვითი უნარიანობის განმტკიცებისათვის აუცილებელია მისი ეკონომიკის სამობილიზაციო მომზადების საკითხების მეცნიერულ საფუძველზე დამუშავება.

სამხედრო ეკონომიკა საერთოდ და, კერძოდ, ქვეყნის სმდმს-ის ფორმირების აუცილებლობა, ფაქტორები, მექანიზმები, რეგულირება, მაჩვენებლები და მიმართულებები საქართველოში, ჯერ კიდევ სათანადოდ და სრულყოფილად არ არის შესწავლილი.

ჩატარებული გამოკვლევების შედეგები, თეორიული და პრაქტიკული რეკომენდაციები შეიძლება გამოყენებულ იქნეს ქვეყნის ეროვნული ეკონომიკის სამობილიზაციო მომზადების განვითარების, საგანგებო ვითარებაში სამობილიზაციო მზადყოფნის მატერიალური მარაგების ფორმირებისა და გამოყენების, სამხედრო უსაფრთხოებისა და ეროვნული მეურნეობის სტაბილურად (უსაფრთხო) ფუნქციონირების ღონისძიებების, აგრეთვე ეკონომიკისა და სოციალური განვითარების გეგმებისა და სხვადასხვა სამთავრობო გადაწყვეტილებების შემუშავებისას.

თავი I. ეროვნული ეკონომიკის სამობილიზაციო მომზადებისა და მზადყოფნის სისტემის თეორიულ-ორგანიზაციული საფუძვლები

1.1. ეკონომიკის სამობილიზაციო მომზადებისა და მზადყოფნის სისტემის არსი და დანიშნულება

მობილიზაციისათვის მზადყოფნა გულისხმობს მშვიდობიანობის პერიოდში მიმდინარე ღონისძიებათა კომპლექსს, რომელიც ითვალისწინებს ქვეყნის ეკონომიკის, აღმასრულებელი ხელისუფლების, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების, სახელმწიფო და კერძო საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების მიერ სამობილიზაციო რესურსებისა და რეზერვების შექმნას საომარი ან საგანგებო მდგომარეობის დროს სამხედრო ძალების მზადყოფნის და სახელმწიფოსა და მოსახლეობის გადაუდებელი მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებისათვის. გარდა ამისა, სამობილიზაციო მომზადების ღონისძიებათა კომპლექსი ითვალისწინებს შექმნილი სამობილიზაციო რესურსების და რეზერვების საომარი, ან საგანგებო მდგომარეობის საჭიროებისათვის გამოყენებას საერთო, ან ნაწილობრივი მობილიზაციისათვის.

საერთო სამობილიზაციო ღონისძიებათა კომპლექსი ხორციელდება საომარი მდგომარეობის დროს და ახდენს ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე სამობილიზაციო რესურსებისა და რეზერვების სრულ გამოყენებას. ხოლო ნაწილობრივი სამობილიზაციო ღონისძიებათა კომპლექსი ხორციელდება საგანგებო მდგომარეობის დროს და ითვალისწინებს საგანგებო მდგომარეობის საჭიროებისათვის განსაზღვრულ ოპერატიულ მიმართულებებს, ან შესაბამის რეგიონებში სამობილიზაციო რესურსებისა და რეზერვების ნაწილობრივ გამოყენებას.

სამობილიზაციო მომზადებისა და მზადყოფნის სისტემა (სმდმს) მოიცავს: მის სამეცნიერო და მატერიალურ-ტექნიკურ უზრუნველყოფას; აღმასრულებელი ხელისუფლების, ადგილობრივი

თვითმმართველობის ორგანოების, სახელმწიფო საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების მუშაობის რეჟიმის განსაზღვრას და მათ მომზადებას მობილიზაციის დროს სამუშაოდ, აგრეთვე მობილიზაციის რეჟიმზე გადაყვანის ღონისძიებების განხორციელებას ქვეყნის კანონმდებლობით დადგენილი წესით; სამხედრო ძალების სამობილიზაციო გეგმის შემუშავებას; სამობილიზაციო მზადყოფნის მდგომარეობის შეფასებას; სამობილიზაციო რეზერვების შექმნას, შენარჩუნებას და განვითარებას მობილიზაციის დროს სახელმწიფოს, სამხედრო ძალებისა და მოსახლეობის მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად; მობილიზაციის დროს სამხედრო ძალებისათვის მისაწოდებელი ტექნიკის მომზადებას; სამობილიზაციო რეზერვში მატერიალური ფასეულობების, სასურსათო და არასასურსათო საქონლის, ნავთობპროდუქტების ხელშეუხებელი მარაგის დაგროვებას, შენახვასა და დროულად განახლებას; სურსათის და არასასურსათო საქონლით მომარაგებისათვის მზადებას და ორგანიზაციას, სამედიცინო დახმარების, ტრანსპორტით და კავშირგაბმულობის საშუალებებით უზრუნველყოფას; აღმასრულებელი ხელისუფლების, მართვის პუნქტის შექმნას; მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა მომზადებას; აღმასრულებელი ხელისუფლების, ადგილობრივი თვითმართველობისა და ორგანიზაციებში რეზერვისტთა დაჯავშნას მობილიზაციის დროს მოქმედი ეკონომიკის შესაბამისი დარგის ობიექტებზე სამუშაოდ; სწავლებას და ვარჯიშის სამობილიზაციო გაშლისა და სამობილიზაციო გეგმების შესასრულებლად.

საქართველოს, როგორც ყოფილი საბჭოთა კავშირის შემადგენელ ნაწილს, არ გააჩნდა და არც შეიძლებოდა ჰქონოდა ეროვნული მეურნეობის სამობილიზაციო მზადყოფნის დამოუკიდებელი სისტემა. ომის განხორციელების და სამობილიზაციო გაშლის გეგმები მუშავდებოდა იმ დიდი ერთიანი სამობილიზაციო სისტემის ფარგლებში, რომელიც მოიცავდა ყოფილ საბჭოთა კავშირის მთელ ეკონომიკურ-სამხედრო პოტენციალს, ემსახურებოდა საბჭოთა ქვეყნის პოლიტიკურ, ეკონომიკურ და სამხედრო ინტერესებსა და მიზნებს.

დამოუკიდებლობის შემდგომ პერიოდში სხვადასხვა ობიექტური და სუბიექტური მიზეზების გამო სამობილიზაციო საკითხს, ისევე როგორც სამხედრო მშენებლობის სხვა საკითხებს, არ მიექცა სათანადო ყურადღება. მართალია, 1992 წელს ეკონომიკის სამინისტროს მიერ შემუშავებული იქნა ქვეყნის ეროვნული მეურნეობის სამობილიზაციო მომზადების ღონისძიებათა დებულება და ამ საკითხთან დაკავშირებული სხვა დებულებები, მაგრამ მათი პრაქტიკული რეალიზაცია ვერ მოხერხდა, რამაც ქვეყნის შიგნით სხვადასხვა კონფლიქტების დროს თავისი უარყოფითი როლი შეასრულა.

თანამედროვე, თუნდაც მცირე მასშტაბიანი ომის განხორციელება შეუძლებელია წინასწარ ორგანიზებული და კარგად გააზრებული უზრუნველყოფის გარეშე, რომელსაც უნდა ემსახურებოდეს ეროვნული ეკონომიკის სამობილიზაციო მომზადების სისტემა. ამდენად სამხედრო მშენებლობის უახლოესი პერიოდის ერთ-ერთ ძირითად ამოცანას წარმოადგენს მოქნილი, ოპერატიული სამობილიზაციო სისტემის შექმნა. არანაკლები მნიშვნელობის პრობლემაა სამობილიზაციო სისტემით გათვალისწინებული ღონისძიებათა პრაქტიკული რეალიზაციის მექანიზმის შემუშავება. აქედან გამომდინარე, სამობილიზაციო სისტემა მოიცავს: ქვეყნის მრეწველობის პოტენციურ შესაძლებლობებს შეიარაღებული ძალებისათვის საჭირო სამხედრო ტექნიკისა და აღჭურვილობის დასამზადებლად; შეიარაღებული ძალებისა და მოსახლეობის სასურსათო და გადაუდებელი საჭიროების საქონლით მომარაგების კომპლექსს შესაძლო ომისათვის, აგრეთვე სტიქიური უბედურობების პირობებში და კონფლიქტების დროს; მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის საწარმოებში სამობილიზაციო სიმძლავრეთა ფორმირების მექანიზმს მშვიდობიანობის დროს; მატერიალურ ფასეულობათა სახელმწიფო და სამობილიზაციო რეზერვების სტრუქტურას და მათ გამოყენებას მშვიდობიანობისა და ომის პირობებში; სატრანსპორტო, კავშირგაბმულობისა და ჯანმრთელობის დაცვის საშუალებების სამობილიზაციო სიმძლავრეთა შექმნას.

ქვეყნის სამობილიზაციო მზადყოფნის სისტემის დანიშნულება, მიმართულება და ხასიათი ეფუძნება ოფიციალურად

შემუშავებულ და მიღებულ სამხედრო დოქტრინას, რომელიც განისაზღვრება სახელმწიფო პოლიტიკით, მისი საზოგადოებრივ-ეკონომიკური წყობით. სამხედრო დოქტრინა მოცემულ სახელმწიფოში სამხედრო საკითხებზე მიღებულ შეხედულებათა სისტემაა, რომელიც განსაზღვრავს ქვეყნის შეიარაღებული ძალების მშენებლობის ხასიათს, ჯარის საბრძოლო მომზადების მეთოდებს. სამხედრო დოქტრინა აყალიბებს შესაძლო ომის მომზადებისა და ხასიათის, ომისათვის ქვეყნისა და შეიარაღების მომზადებისა და ომის წარმართვის ხერხებს.

საქართველოს სახელმწიფო სამხედრო დოქტრინა, უწინარეს ყოვლისა, უნდა ითვალისწინებდეს ქვეყნის ისეთ თავისებურებებს, როგორიცაა: ტერიტორიის სიმცირე, რაც ზღუდავს მანევრირების საშუალებებს, ასევე ოკუპაციის საშიშროების ქვეშ აყენებს მნიშვნელოვან სამრეწველო ცენტრებს, ზრდის სასიცოცხლო მნიშვნელობის კომუნიკაციების შეწყვეტის ალბათობებს და ა. შ. აქედან გამომდინარე, ეროვნული ეკონომიკის სამობილიზაციო მზადყოფნის სისტემამ უნდა უზრუნველყოს ქვეყნის მეურნეობის მთლიანად და მისი ცალკეული რეგიონების ავტონომიური ფუნქციონირება და განსაზღვრული დროის განმავლობაში საომარი მოქმედებების დამოუკიდებლად წარმართვა.

ეკონომიკის სამობილიზაციო მზადყოფნის ძირითად რგოლს წარმოადგენს სამხედრო დანიშნულების პროდუქციის წარმოების სფერო, პირველ რიგში თავდაცვითი მრეწველობა. თავდაცვით მრეწველობაში შედის იარაღისა და სამხედრო ტექნიკის წარმოება, აგრეთვე სამხედრო დანიშნულების ფართო ასორტიმენტის სხვა პროდუქცია. საქართველოს მთავრობის №514-33 დადგენილებაში აღნიშნული, იყო „ნომენკლატურის განსაზღვრისას მხედველობაში იქნეს მიღებული წარმოების არსებული პროფილი და მისი განვითარების პერსპექტივა, ხოლო მატერიალური ფასეულობათა სამობილიზაციო რეზერვის მოცულობები (ნედლეული, მასალები, მოწყობილობები და სხვა) უნდა შეესაბამებოდეს წარმოების სრული სიმძლავრით მუშაობის გათვალისწინებით წლიურ საჭიროების არანაკლებ 1/12 ნაწილს, რათა შესაძლო ომისა და განსაკუთრებული პერიოდის პირობებში უზრუნველყოფილ იქნეს წარმოების შეუფერხებელი მუშაობა

დაახლოებით 1 თვის განმავლობაში[1]."

თავდაცვითი პროდუქციის წარმოებაში მრეწველობის გარდა აქტიურად მონაწილეობენ მატერიალური წარმოების სხვა დარგები. კერძოდ მშენებლობა. სამხედრო ობიექტების მშენებლობის მოცულობა და ხასიათი განისაზღვრება უმთავრესად სახელმწიფოს სამხედრო სტრატეგიით და სამხედრო ტექნიკის განვითარების დონით. რთული სამხედრო ობიექტების მშენებლობა მოითხოვს რესურსების უზარმაზარ სარჯებს. ამიტომაც სამშენებლო სამუშაოებს უკავიათ მნიშნელოვანი ადგილი განვითარებული ქვეყნების სამხედრო ეკონომიკაში.

თანამედროვე თავდაცვით წარმოებაში დიდი როლი ეკუთვნის ინფრასტრუქტურას. განსაკუთრებით ისეთ დარგებს როგორიცაა: ტრანსპორტი, კავშირგაბმულობა და ჯანმრთელობის დაცვის საშუალებები.

ქვეყნის ეკონომიკის სამობილიზაციო მზადყოფნის სისტემა ხორციელდება მშვიდობიან პერიოდში საკმაოდ რთული და ფართო ღონისძიებათა კომპლექსის გატარების გზით და იყოფა სამ ძირითად მიმართულებად: შეიარაღებული ძალების სამობილიზაციო გაშლა, სამოქალაქო ობიექტებში სამობილიზაციო მომზადება და ეროვნული მეურნეობის სამობილიზაციო მომზადება.

ქვეყნის სამობილიზაციო მომზადების აღნიშნული მიმართულებები ხორციელდება მკაცრად შეთანხმებულ ვადებში და მჭიდრო ურთიერთკავშირში. საქართველოს მთავრობის №992-24 დადგენილებაში (1997.10.09) აღნიშნულია: „ეროვნული მეურნეობის სამობილიზაციო მომზადება არის რესპუბლიკის მთავრობისა და სამეურნეო ორგანოების მნიშვნელოვანი სახელმწიფო ამოცანა ეროვნული უშიშროების განმტკიცებისათვის და ხორციელდება მშვიდობიან დროს ეროვნული მეურნეობის წინასწარი მომზადებით შეიარაღებული ძალების, სამოქალაქო თავდაცვისა და მოსახლეობის გადაუდებელ მოთხოვნილებათა უზრუნველსაყოფად განსაკუთრებულ პირობებში[2]".

ეროვნული მეურნეობის მუშაობის პერიოდი ომის

---

[1] გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა" 1999. 13 ივლისი № 185.

[2] გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა". 1999. 13 ივლისი № 185.

პირობებში განსაკუთრებულია, მაგრამ იგი შეიძლება მოიცავდეს არა მარტო ომის დროს, არამედ ომის წინა პერიოდის გარკვეულ ნაწილსაც.

ეროვნული მეურნეობის სამობილიზაციო მზადყოფნა მიმდინარეობს მთავრობის ხელმძღვანელობით, ეროვნული მეურნეობის წინასწარი მომზადების მიზნით შეიარაღებული ძალების, სამოქალაქო თავდაცვის და მოსახლეობის გადაუდებელ მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად საგანგებო პერიოდში.

საქართველოს სამობილიზაციო მზადყოფნის სისტემა უნდა განხორციელდეს მოქმედების რამდენიმე ვარიანტის მიხედვით: ჯერ ერთი, ლოკალური კონფლიქტების პირობებში სამობილიზაციო მზადყოფნა შეიძლება იყოს მცირე მასშტაბიანი (საომარი მოქმედებათა შეზღუდული ეკონომიკური საშუალებებით უზრუნველყოფა); მეორე, ქვეყნისათვის გლობალური კონფლიქტის პირობებში, როცა საჭიროა მეურნეობის ყველა შესაძლებლობების გამოყენება, დიდმასშტაბიან საომარ მოქმედებათა განსახორციელებლად. აღნიშნული ვარიანტების შესაბამისად უნდა შემუშავდეს მზადყოფნის გეგმებიც.

სამობილიზაციო მზადყოფნის სისტემის ძირითადი ამოცანაა განსაკუთრებულ პირობებში მოსახლეობისა და ეროვნული არმიის უზრუნველყოფა საჭირო პროდუქციით და მომსახურებით. აქედან გამომდინარე, წარმოიშვება განსაკუთრებული პირობებისათვის მოთხოვნილებათა და შესაძლებლობათა პროგნოზირების აუცილებლობა, რაც წარმოადგენს ერთ-ერთ მნიშვნელოვან პრობლემას მთელი მეურნეობის მზადყოფნის შეფასებისათვის.

ისტორიულად სამხედრო-ეკონომიკური საქმიანობის მასშტაბები შეიარაღებული ძალების ფარგლებში განუხრელად ფართოვდებოდა. ეს კი განპირობებული იყო ძირითადად არმიის რიცხოვნების ზრდით, მათი ტექნიკური აღჭურვილობის დონის ამაღლებით და ომის განხორციელების საშუალებათა სირთულით. თანამედროვე რთული შეიარაღების ამოქმედებისათვის საჭიროა კარგად განსწავლული და გაწვრთნილი პერსონალი, წინასწარ მომზადებული ბაზები, სასტარტო პოზიციები, სხვადასხვა დამხმარე მოწყობილობები, შეიარაღებული ძალების მატერიალურ-

ტექნიკური უზრუნველყოფის განვითარებული სისტემა. ამასთან, ჯარში ეკონომიკური საქმიანობა დაკავშირებულია არა მარტო მზა სამხედრო პროდუქციის მოხმარებასთან, არამედ, რიგ შემთხვევაში, საბოლოო სამხედრო პროდუქციის წარმოების პროცესის გაგრძელებასთან.

მთელი ქვეყნის სმდმს, ისევე როგორც სამხედრო ეკონომიკა, არ წარმოადგენს მუდმივ სიდიდეს (რაოდენობრივად და ხარისხობრივად). იგი იცვლება საწარმოო ტექნიკური პროგრესის, ამ ფაქტორის შემადგენელ ელემენტებში მიმდინარე ცვლილებების გავლენით.

ქვეყნის სამობილიზაციო მომზადებისა და მზადყოფნის მახასიათებელ ყველა ეკონომიკური მონაცემებიდან, რაოდენობრივი და ხარისხობრივი შეფასებისათვის, აგრეთვე ურთიერთ-შედარებისათვის მიღებულია მზადყოფნის მაჩვენებელთა სისტემა, რომელიც ფაქტობრივად ეყრდნობა შიდა ეროვნული პროდუქტის, წარმოებული ეროვნული შემოსავლისა და ეროვნული სიმდიდრის მაჩვენებლებს. სამობილიზაციო მზადყოფნის შეფასებისას მნიშვნელოვანია აგრეთვე სამხედრო პროდუქციის მაქსიმიზაცია ეკონომიკის სამობილიზაციო გაშლის მსვლელობაში, ქვეყანაში არსებული საწარმოო ძალების ყველაზე კომპლექსური, ინტენსიური და ზღვრული გამოყენების პირობებში.

საგანგებო პირობებში სამობილიზაციო მზადყოფნის თვალსაზრისით უაღრესად მნიშვნელოვანია სამხედრო-ეკონომიკური აქტიური პოტენციალის რაოდენობრივი სიდიდე.

საქართველოს კანონმდებლობა მობილიზაციის შესახებ ეყრდნობა საქართველოს კონსტიტუციას, საერთაშორისო ხელშეკრულებებსა და შეთანხმებებს, საქართველოს მობილიზაციის შესახებ კანონსა და სხვა ნორმატიულ აქტებს.

1.2. ქვეყნის ეკონომიკის სამობილიზაციო მომზადების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის ფორმირებისა და განვითარების აუცილებლობა

სამხედრო ეკონომიკამ მშვიდობიანი განვითარების პირობებში განიცადა კარდინალური ცვლილებები, რაც განპირობებული იყო: სამხედრო ტექნიკური პოლიტიკით, ეკონომიკური და სამხედრო ტექნიკური მიზეზებით და სტრუქტურული ცვლილებებით. მსოფლიოს ზოგიერთ ქვეყანაში წარმოიქმნა სამხედრო ეკონომიკის მსხვილი სექტორი; არსებითად შეიცვალა სამხედრო წარმოების როლი; გაფართოვდა სამხედრო პროდუქციის მწარმოებელი ქვეყნების წრე; თანდათანობით ჩამოყალიბდა სამხედრო-ეკონომიკური საქმიანობის პრინციპულად ახალი ორგანიზაციისა და მართვის სისტემა; გაფართოვდა სახელმწიფოთაშორისი სამხედრო ეკონომიკური კავშირები; მოხდა სამხედრო პროდუქციის წარმოებისა და გაცვლის სფეროების გლობალიზაცია; ჩამოყალიბდა ბირთვული იარაღის განვითარების კონცეფციისაგან განსხვავებული ახალი, თითქმის უფრო შერბილებული კონცეფციები, რომლებიც უნდა ვივარაუდოთ, რომ არ იძლევა ქვეყნების სამხედრო უსაფრთხოების მტკიცე გარანტიას.

რამდენადმე გაუგებარი რჩება ისეთი მნიშვნელოვანი საკითხი, როგორიცაა: მსოფლიო გლობალიზაციის პროცესებში ქვეყნის სამხედრო-ეკონომიკური განვითარების მიმართულებები. როგორც თანამედროვე მოვლენებიდან ჩანს სამხედრო-ეკონომიკური სიძლიერე არის უსაფრთხოების გადამწყვეტი პირობა. სამხედრო-ეკონომიკური პროცესები თანამედროვე საზოგადოებაში რეალურად ფორმირდება იქითკენ, რომ იგი იზიდავს მსოფლიოს ბევრ ქვეყნებს. სანამ სამხედრო ძალა იქნება პოლიტიკის ინსტრუმენტი, მანამ ამ ძალის მატერიალური საფძველი იქნება სამხედრო ეკონომიკა მსოფლიო ხალხების წინაშე დგას ძალზედ დიდი დილემა: ან უნდა ამოირჩიონ განვითარების ისეთი კურსი, რომელიც საიმედოდ უზრუნველყოფს მის სამხედრო და სამხედრო-ეკონომიკურ უსაფრთხოებას, ან

განადგურდებიან ძლიერისაგან.

ეკონომიკაში სამხედრო პროდუქციის წარმოების უპირატესობაზე ცნობილმა ინგლისელმა ეკონომისტმა ჯ.მ. კეინსმა თავისი აზრი ასე გამოხატა: „ომი არის ერთადერთი ფორმა დიდი ხარჯებისა... ხარჯებმა, რომლებიც იფარება სახსრებით, შეიძლება არანაკლებად გაამდიდროს საზოგადოება. პირამიდების აგება, მიწისძვრები, თვით ომიც ემსახურება სიმდიდრის გაზრდას".[1]

ზოგიერთი დასავლეთის მეცნიერები უმუშევრობისა და ღარიბების მიმართ ამტკიცებენ, რომ ეკონომიკის მილიტარიზაცია ზოგ შემთხვევაში ზრდის დასაქმებას. აღნიშნული აზრისა იყო პ. სამუელსონი: "ომის ქარბორბალა კურთხევაა, რადგან აძლევს სამუშაოსა და საზრდოს დამშეულებსა და უმუშევრებს"[2], ხოლო აშშ-ს პრეზიდენტთან არსებული ეკონომიკური საბჭოს ყოფილი მეთაური მ. ვაიდენბაუმი ცდილობს შესთავაზოს მილიტარიზაციით კრიზისის დაძლევა, რამდენადაც სამხედრო შესყიდვებს აქვს „მულტიპლიკაციის" ეფექტი. აგრეთვე შეიარაღების ყოფილი მინისტრი კ. უინბერგი აცხადებდა, შეიარაღების ხარჯები ზრდის შემოსავლებს და ქმნის სამუშაო ადგილების სიმრავლეს[3].

ხაზი უნდა გაესვას ერთ მეტად მნიშვნელოვან გარემოებასაც, რომ სამხედრო ეკონომიკის ზრდა ორმაგ ზეგავლენას ახდენს გასაღების ბაზარზე. მაგრამ იმავე დროს მოითხოვს სამხედრო წარმოებისათვის საშუალებებს. ეს საშუალებები გაიღება სახელმწიფო ბიუჯეტიდან, რომელიც ფორმირდება მოსახლეობის გადასახადებიდან. კოლუმბიის უნივერსიტეტის პროფესორი ე. ბენუა ამტკიცებს, რომ რესურსების აქტიური მობილიზაცია ხდება მხოლოდ ომისათვის და თითქოს მის გარეშე ეკონომიკის ზრდის ტემპი არ დაჩქარდება, ხოლო ზოგიერთი გამოგონება შენელდება; ან

---

[1] Кеинс Д. М. Общая теория заниатости, процента и денег. М., 1948. стр. 123-124.

[2] პოლ ა სამუელსონი, ვილიამ დ.ნორდჰაუსი. ქართულად.ტომი 2. გამოც."სამშობლო"თბ/2000,გვ.441

[3] Ю.Е.Власевич и др. Основы военно-экономических знаний. М.1989.стр.249.

საერთოდ არ მოხდებოდა.

სამხედრო ეკონომიკური პოტენციელის შესახებ სამხედრო თეორეტიკოსი ვ. ვროდი თავის წიგნში „სტრატეგია სარაკეტო იარაღის საუკუნეში" აღნიშნავს: „ორი ქვეყნის სამხედრო-ეკონომიკურ პოტენციალს შეიძლება არა აქვს პრაქტიკული მნიშვნელობა ომში, რამე თუ იგი დასრულდება მანამ, სანამ ეს პოტენციალი იქნება გამოყენებული შეიარაღებული ბრძოლისათვის"[1]. მსგავსი სახის მტკიცებაში არსებობს მცირე ჭეშმარიტება იმასთან დაკავშირებით, რომ ნებისმიერი მოვლენები ვითარდება დროის მცირე მონაკვეთში (წამებში, წუთებში და სხვა) და არსებული პოტენციალის გამოყენება ვერ ხერხდება დროის სიმცირის გამო. მაგრამ, მეორე მხრივ, პოტენციალი საჭიროა შემდგომი პერიოდისათვის (ვგულისხმობთ აღდგენით სამუშაოებს).

„მოქნილი რეაგირების" სტრატეგიის ეკონომიკურმა კონცეფციამ გარკვეული ასახვა ჰპოვა სამხედრო-ეკონომიკურ აზროვნებაში. გენერალი მ. ტეილორი თავის წიგნში „არასაიმედო სტრატეგია" — აღნიშნავს: „წინასწარი განჭვრეტა იმისა, თუ რამდენ ხანს გაგრძელდება ომი შეუძლებელია და მობილიზაციით მისი შემდგომი მოთხოვნების უზრუნველყოფა იმას ნიშნავს, რომ დაემსგავსო მოკრივეს, რომელმაც არ იცის მოუხდება თუ არა შემდგომ გადამწყვეტი ბრძოლა, ვარჯიშობს, მხოლოდ ერთი რაუნდისათვის".

სხვადასხვა სახის სამხედრო კომფლიქტების შესაძლებლობისა და შესაბამისად მათი ეკონომიკური უზრუნველყოფის განსხვავებული ფორმების აღიარებით გამოდიოდნენ სამხედრო ეკონომისტები, რომელთა აზრითაც აუცილებელია არა მარტო შეიარაღებული ძალების მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფა და სამობილიზაციო მარაგების შექმნა, არამედ საჭიროა ისეთი პირობები, რომლებიც საშუალებას იძლევა საგანგებო ვითარებაშიც კი მიმდინარეობდეს წარმოება, შეიარაღებისა და მოსახლეობის უზრუნველყოფა საჭირო მარაგით. ამასთან, მიუთითებენ ნედლეულის, მასალების, საწარმოო

[1] В. Вроди. Стратегия в век ракетного оружия, М., 1961, стр 420.

სიმძლავრეების მარაგების აუცილებლობაზე, რომლებიც უზრუნველყოფენ ეკონომიკის სიცოცხლისუნარიანობას.

„მოქნილი რეაგირების“ დოქტრინას სარჩულად ედო სამხედრო ტექნიკის თაობათა ხშირი ცვლა და ჯარის, ავიაციის და ფლოტის ყოველმხრივი მატერიალურ-ტექნიკური საშუალებებით აღჭურვის მოთხოვნა, რაც, თავის მხრივ, იწვევდა სამხედრო დაკვეთების გადიდებას. მასთან იზრდებოდა სამხედრო ტექნიკის მწარმოებელი ფირმების რაოდენობა, რასაც მოჰყვა ის, რომ სამხედრო ბიზნესი იქცა სარფიან საქმედ, რაც ამჟამადაც, როგორც ჩვენთან, ისე უცხოეთში სავსებით ნათლად ჩანს.

ბოლოს და ბოლოს აღნიშნული სტრატეგიაც შეიცვალა, მაგრამ რითი? „რეალური დაშინების“ სტრატეგიით. გაიხსნა გზა მთელი რიგი ახალი სახის იარაღის წარმოებისათვის. მათ შორისაა ახალი სტრატეგიული MX რაკეტა, ფრთოსანი რაკეტა, ახალი ტიპის ბირთვული იარაღი, ნეიტრონული ბომბი, ახალი ტიპის საბრძოლო თვითმფრინავი, წყალქვეშა „ტრაიდენტ“–კომპლექსი, ახალი ტიპის ტანკსაწინააღმდეგო საშუალებები, ლაზერული იარაღის ტექნიკა და სხვა.

ქვეყნის ეკონომიკური მომზადებისათვის ასეთ დოქტრინაში დიდ როლი მიენიჭა სამხედრო პერსონალს. სამხედრო-ეკონომიკურმა სტრატეგიამ მოითხოვა აგრეთვე მრეწველობის სამხედრო დარგების საწარმოო სიმძლავრეების გაფართოვება, მარაგების, სტრატეგიული ნედლეულის სათბობისა და სხვადასხვა მასალების გადიდება. სამხედრო ეკონომიკურ სფეროში მოექცა უზარმაზარი კაპიტალი, რომელმაც გააძლიერა სახელმწიფოთა სამხედრო არსენალი.

ჯ. კეინსს ომის უმთავრეს მიზეზად მიაჩნდა მისი ეკონომიკური საფუძველი – მოსახლეობის ზრდა და ბაზრისათვის ბრძოლა. იგი ბაზრისათვის ბრძოლას თელიდა XIX საუკუნისა და შემდგომი პერიოდის ომების უმთავრეს ფაქტორად. ომის მიზეზი, მისი აზრით, წარმოების მიზანსა და მისი მიღწევის საშუალებათა ერთობლიობაში უნდა მოიძებნოს.[1]

---

[1] ჯ.მ.კეინზი. ვერსალის საზავო ხელშეკრულების ეკონომიკური შედეგები. თბ. 1919. გვ.71.

პრუსიელი გენერალი კ. კლაუზევიცი აღნიშნავდა, რომ ომი არის პოლიტიკის გაგრძელება სხვა საშუალებებით[1]. თუ ვიგულისხმებთ, რომ პოლიტიკა კლასობრივი ბრძოლის ფენომენია, მაშინ ომიც ანალოგიური გამოვლენაა და ამ გაგებით იგი არის საშინაო პოლიტიკის საგარეო გაგრძელება ძალის საშუალებით.

ომი წარმოების ძირითადი ეკონომიკური მიზნის მიღწევის საგარეო საშულების არასამოქალაქო, ძალადური სახეა. ომი წმინდა ანტაგონისტური მოვლენაა. იგი არის ორგანული სამყაროს ბუნებრივი შერჩევის და გამრავლების კანონის (ბრძოლა არსებობისათვის) საზოგადოებაში გადატანა და მისი საზოგადოებრივი გამოხატულება.

საწარმოო ძალების განვითარებასთან ერთად იზრდება და ვითარდება სამხედრო იარაღის წარმოება-სრულყოფა და ომის წარმართვის საშუალებათა ტექნოლოგია. გამოჰყოფდა რა კაცობრიობის განვითარებაში სამ ტიპს (ნადირობა, ომები და შრომა), ავსტრიელი კ. კალერგი წერდა: ომმა აირჩია ისეთი საშუალებები, როცა კაცობრიობა აღმოჩნდა დილემის წინაშე: ან მკვლელობა ან ურთიერთგაგება[2].

თანამედროვე პირობებში კი, როცა განვითარებული ქვეყნების მნიშვნელოვანი ნაწილი აღმოჩნდა პოსტინდუსტრიული განვითარების ფაზაში, ომის მიზანი და ომის წარმოების საშუალებები აღწევს იმ ზღვარს, სადაც მთელი სიმწვავით დგება ამ საკითხის კაცობრიობის მიერ გათვითცნობიერება. თერმობირთული ომი გამორიცხავს არა მარტო კაპიტალის მოქმედების სფეროს, არამედ იგი განადგურებით ემუქრება მთელ დედამიწას. ე. კანტი თავისი წინასწარხედვით განსაკუთრებულ სიზუსტით ეხმიანება თანამედროვეობას. იგი აღნიშნავდა: „გამანადგურებელი ომი, რომელშიც ორივე მხარე მოისპობა, მიგვიყვანდა მუდმივ მშვიდობამდე, ოღონდ კაცობრიობის გიგანტურ სასაფლაოზე, მაშასადამე, ამგვარი ომი და ამდენად, ის

---

[1] კ. კლაუზევიცი. სამხედრო სწავლების მიმოხილვა, (ომის უმნიშვნელოვანესი პრინციპები), თბ., 1920, გვ.93

[2] Калерг К. Человек как философская проблема. М., 1991 стр. 213

საშუალებებიც, რომელთაც მასთან მივყავართ, აუცილებლად, უსიტყვოდ უნდა აიკრძალოს"[1].

თანამედროვე მსოფლიო ომში რთული საშუალებების გამოყენების ტენდენცია თითქმის შეზღუდულია, მაგრამ არადამაკმაყოფილებელია.

საზოგადოება მიადგა ისეთ ზღვარს, როცა იარაღით ვაჭრობაც ზოგადსაკაცობრიო დანაშაულად უნდა ჩაითვალოს. საჭიროა საერთაშორისო ნორმებით აიკრძალოს ყოველგვარი უსარგებლო და, უწინარეს ყოვლისა, საომარი პროდუქციით ვაჭრობა. მიუხედავად იმისა, რომ მიმდინარეობს მსჯელობა იარაღის წარმოების შეწყვეტისა და შენელების თაობაზე, ფაქტები სხვას მოწმობენ. მსოფლიოს ზოგიერთი სახელმწიფოს სამხედრო წარმოება მესამე ათასწლეულშიც იზრდება და იზრდება შეიარაღებული ძალების რიცხობრიობაც (იხ. დანართი 1, 2 და 3).

1981 წლის ივნისში აშშ-ს შეიარაღების მინისტრმა კ. უინდბერგმა განაცხადა: „პირდაპირი ბრძოლის სტრატეგია", რომელიც ითვალისწინებდა სხვადასხვა მასშტაბებისა და ინტენსივობის მოურიდებელ ომს. წარსულს ჩაბარდა ამ პოლიტიკის სიმკაცრე. პირველ რიგში, იგი მიმართული იყო სსრკ-ს წინააღმდეგ, რომელიც აისახა ბირთვული დარტყმის „განიარაღებაში". აღნიშნულ დოქტრინაზე დაყრდნობით დაშუშავდა პირველი ხუთწლიანი პროგრამა, სადაც განიხილებოდა სტრატეგიული ბირთვული ძალების ყველა კომპონენტის მოდერნიზაცია, ძალებისა, რომელთა დანიშნულება იყო მთელი კოსმოსური სივრცის მილიტარიზაცია. 1983 წ. უკვე ე.წ. „ნაციონალურ" შეიარაღებაზე გაითვალისწინეს 200 მილიარდი დოლარი, ხოლო შემდგომ წლებში ითვალისწინებდნენ ყოველწლიურ მატებას და მან 1988 წ. 300 მილიარდი დოლარი შეადგინა[2].

მსოფლიო სტრატეგიული კონცეფციის ევოლუცია

---

[1] **Кант И.**соч. в 6-ти томах.Т.6.стр.264

[2] **Власевич и др.** О сновы военно-экономических знаний.М.,1989.стр.262-265

მიმდინარეობს გაძლიერებული მილიტარიზაციით, პრაქტიკულად იზრდება ყველა სამხედრო ხარჯები და უფრო და უფრო ფართოვდება ქვეყნების სამობილიზაციო მომზადება. პრისტონის უნივერსიტეტის პროფესორ კაუფმანის აზრით, სახელმწიფომ მრეწველობის განვითარებასთან ერთად შეიძლება დახარჯოს სამხედრო საჭიროებაზე არა ნაკლები თავისი ნაციონალური შემოსავალის 50%. აგრეთვე ავითარებდნენ მოთხოვნას, რათა სამხედრო ხარჯები ყოველწლიურად 10 მილიარდი დოლარით გაზრდილიყო[1].

დასავლეთის სახელმწიფოები ამჟამადაც ისწრაფიან ქვეყნის გასაძლიერებლად სამხედრო ასიგნებების უფრო რაციონალურად გამოყენებისაკენ, ანუ მცირე დანახარჯებით დიდი შედეგების მიღებისაკენ. ამასთან დაკავშირებით, გასული საუკუნის 60-იან წლებში გამოიყენეს სამობილიზაციო მართვის სისტემაში ეკონომიკური ანალიზის მეთოდი, რომლის შესაბამისადაც დაიწყო სამობილიზაციო მომზადების დაგეგმვა საფრანგეთმა, მოგვიანებით კანადამ, ინგლისმა, ნიდერლანდებმა და სხვა.

ჰუძონის ინსტიტუტის დირექტორი გ. კანი თვლის, რომ ტექნიკური პროგრესი აიაფებს სამხედრო მომზადებას იმ მატერიალური საშუალებების მასით, რომელიც საჭიროა მისი წარმოებისათვის. — „ამჟამად შეიძლება განადგურდეს კაცობრიობა მხოლოდ იმიტომ, რომ, თუ ჯიბეში მოეპოვება 20-30 მილიარდი დოლარი. მაგრამ მომავალში, ამტკიცებს იგი, მდგომარეობა შეიცვლება, მასიური განადგურების იარაღი უფრო გაიაფდება.“ როგორც ჩანს, მართლაც მოხდა თანამედროვე იარაღის გაიაფება, მაგ., ნაგასაკში ჩამოგდებული ერთი ბომბის ღირებულება შეადგენდა 25 მილიარდ დოლარს, ხოლო თანამედროვე, უფრო ძლიერი 10 მეგავატიანი წყალბადის ბომბის ღირებულება შეადგენს 600 ათას დოლარს. უკანასკნელი 30 წლის მანძილზე ერთი ტონა ტროტილის ექვივალენტი 1250 დოლარიდან შემცირდა 6 ცენტამდე. მაგრამ ეს არ იძლევა იმის თქმის უფლებას, რომ იარაღის ფასების დინამიკა საერთოდ მცირდება.

---

[1] **Власевьич и др.** Основи военно-экономических знаний. М., 1989. стр. 265.

პირიქით, ბომბდამშენი B-52 60-იან წლებში ღირდა 8 მილიონი დოლარი, ხოლო თანამედროვე B-1B ღირს 280 მილიონი დოლარი. 70-იან წლებში პენტაგონის კონტინენტთაშორისო რაკეტა „მინიმენტ-3“ ღირდა 9 მილიონი, ხოლო ახალი თითქმის ანალოგიური MX რაკეტა 70 მილიონი დოლარი. წყალქვეშა ატომური რაკეტა „ტრაიდეტი“ შეფასებულია 53,5 მლრდ., ხოლო საშუალო რადიუსიანი „პერშინგ-2“ 2,7 მილიარდად, ფრთოსანი რაკეტა - 8 მილიარდ დოლარად.

რაოდენობრივი მაჩვენებლის მიუხედავად, სამხედრო-სამრეწველო კომპლექსს დიდი მნიშვნელობა აქვს მსოფლიო მეურნეობის დარგობრივ სტრუქტურაში. თანამედროვე პირობებში სამხედრო სამრეწველო კომპლექსზე მოქმედებს ძირითადი ორი ფაქტორი: 1. მსოფლიოში სამხედრო-პოლიტიკური ვითარების ცვლილებები და 2. შეიარაღებული ბრძოლის საშუალებათა (ბირთვული იარაღის, სარაკეტო ტექნიკის, მაღალი სიზუსტის იარაღის) სრულყოფა, ცვლილებები თანამედროვე ომებისა და კონფლიქტების ხასიათში.

არსებული შეიარაღების შედეგები, როგორც წესი, უარყოფითად მოქმედებს ქვეყნის ეკონომიკაზე, სამხედრო ეკონომიკა არაა სამეურნეო განვითარების აუცილებელი საფუძველი. იგი ხელს უშლის საზოგადოების განვითარების ნორმალურ პროცესს, ამცირებს სოციალური საჭიროების პროგრამებს. ამიტომ პროგრესული საზოგადოება გამოდის გამალებული შეიარაღების წინააღმდეგ და მხარს უჭერს დემილიტარიზაციას, სამხედრო წარმოების კონვერსიას.

ომის სოციალურ-ეკონომიკურ არსს განსაზღვრავს იმ პოლიტიკის ხასიათი, რომლისთვისაც იგი ხდება. პოლიტიკა განმსაზღვრელი ფაქტორია სახელმწიფოს სამხედრო დოქტრინის შემუშავებისა და პოლიტიკური მიზნების განსაზღვრისას. ომის ხასიათი პოლიტიკის შინაარსთან პირდაპირ კავშირშია. მებრძოლი მხარეებისა და სახელმწიფოების პოლიტიკური მიზნები, სახელმწიფოში არსებული სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური წყობილება, სახელმწიფოს მატერიალური და საომარი შესაძლებლობანი, მეცნიერული და ტექნიკური განვითარების დონე, იდეოლოგია და ხალხების მორალური

სულისკვეთება, ომში ეკონომიკური ფაქტორისა და მასების როლის განუხრელ ზრდაზე მეტყველებს. XIX ს-მდე ომის ეკონომიკური ბაზა შედარებით ვიწრო იყო და მასში მცირერიცხოვანი პროფესიული არმიები მონაწილეობდნენ. XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან, განსაკუთრებით XX საუკუნის დასაწყისიდან ომი ითხოვს ეკონომიკის უდიდეს დაძაბვასა და ხანგრძლივ ჭიდილში ადამიანთა მრავალმილიონიანი მასების ჩაბმას.

ომის იდეოლოგები ცდილობენ ომი წარმოადგინონ, როგორც საერთო ეროვნული მოვლენა, მალავენ მის სოციალურ-პოლიტიკურ არსსა და მიზეზებს, ამტკიცებენ ომის მარადიულ ხასიათსა და გარდაუვალობას. მაგ.: გერმანელი ვ. ჰიბტი ამტკიცებს, რომ ომი საზოგადოებრივი პროგრესის მთავარი ფაქტორია და ყოველი უმაღლესი კულტურა ომის შედეგად წარმოიქმნა. აშშ-ში გავრცელებულია „აბსოლიტური ბირთვული შეკავების“ თეორია, რომლის არსი ისაა, რომ აშშ-მა უნდა დაამყაროს მსოფლიო ბატონობა ბირთვული იარაღის გამოყენების ან გამოყენების მუქარის გზით. გავრცელებულ „გაძლება-გადარჩენის“ თეორიის შემქმნელები (ნ. სპიკმანი და სხვ.) აცხადებენ, რომ „გაძლება“ არის სახელმწიფოს საშინაო და საგარეო პოლიტიკის უპირველესი მიზანი. „გაძლების“ პირობას შეადგენს სამხედრო სიძლიერის გადიდება, რაც შესაძლებელს გახდის, საკუთარი ნება-სურვილი მოახვიოს იმას, ვისაც ეს ძალა არ გააჩნია. აღსანიშნავია, რომ გეოპოლიტიკის თეორია (ინგლისში მაკ-ვინდერი, გერმანიაში ჰაუსჰოფერი, აშშ-ში ჯ. კიფერი და სხვ.) ომის მიზეზებს ხსნის ქვეყნის სხვადასხვაგვარი გეოგრაფიული მდგომარეობით, როცა შევიწროებული ერები სასიცოცხლო, ან დაკარგული სივრცისათვის იბრძვიან.

ფსიქოლოგიური თეორიის (ამერიკელი ლ. ბერნარდი და სხვა) თანახმად, ომის მიზეზია თვით ადამიანის ფსიქიკა, მისი ინტელექტის აგრესიულობა და მასობრივი ფსიქოზები, რომლებიც თითქოს წარმოიშობა საზოგადოების მიერ ადამიანური ინსტიქტების ჩახშობის შედეგად. კოსმოპოლიტიკური თეორიები (ინგლისში – ნ. ეინჯელი და ს. სტრეიჩი, აშშ-ში – ჯ. დიუი და სხვ.) საომარი შეტაკების მთავარ მიზეზად თვლიან ეროვნული და

ზოგადსაკაცობრიო ინტერესებს შორის არსებულ ანტაგონიზმს. ისინი, აუცილებლად მიიჩნევენ ერების დამოუკიდებლობისა და ხალხთა სუვერენიტეტის მოსპობას.

სახელმწიფო, რომელიც თანამედროვე პირობებში კვლავ აგრძელებს მილიტარიზაციას, არა მარტო არ ითვალისწინებს დროის იმპერატივებს, არამედ თავისივე ხელით ქმნის თავისივე მომაკვდინებელ იარაღს. ობიექტურ აუცილებლობას განსაზღვრავს საზოგადოებრივ პოლიტიკური ცვლილებების იმპერატივები. ზოგ შემთხვევაში ძლიერ სახელმწიფოთა ხელმძღვანელები არ ითვალისწინებენ ობიექტურ რეალობას. იმას, რომ „ძალადობამ დაკარგა თავისი აზრი საერთაშორისო ურთიერთობებში (ბირთვული იარაღის არსებობის წყალობით)“[1].

ამჟამად, მსოფლიო ომი, როგორც პოლიტიკური და ეკონომიკური, ისე მორალური და ზნეობრივი თვალსაზრისით შეუძლებელია: ჯერ ერთი, იმის გამო, რომ თერმობირთვული იარაღის გამოყენება მსოფლიო მასშტაბით კატასტროფაა; მეორე, დღეს გადამწყვეტია დრო–ფაქტორი, თუ ვინ მოასწრებს ღილაკზე თითის დაჭერას; მესამე, სამხედრო მანქანის კომპიუტერიზაცია და საერთოდ კომპიუტერული სისტემა, რომელიც წამებში იძლევა ინფორმაციას და სხვ. ყოველივე ეს ტრივიალურად საგულისხმო პრობლემაა. ამის შემდეგ, იბადება უამრავი კითხვა: აქვს თუ არა დღეს აზრი ეროვნული არმიის ხარისხობრივი და რაოდენობრივი პარამეტრების გაფართოებას? არსებობს თუ არა დროის იმპერატივები, რომ ყველა ქვეყანა და ყველა ხალხი უნდა განიარაღდეს? და სხვა მრავალი.

მსოფლიო მასშტაბებით თანამედროვე რეალობა მოითხოვს სრულად განსხვავებულ მსოფლმხედველობას, ახალ პოლიტიკურ აზროვნებას და ახალ მსოფლიო აღქმას. პრაქტიკულად დადგა დრო, რომ ეს ერი და სახელმწიფო უნდა ითვლებოდეს მაღალ განვითარებულად, რომელთათვისაც ნათელია დროის იმპერატივები

---

[1] **Пачкория Дж.С.** К вопросу о самоотрицании войны. Философские статьи. Изд. „Петрополис'' Санк- Петербург 2001. стр. 225.

და რომლებიც უპირატესობას ანიჭებენ კაცობრიობის გადარჩენის მიზნებს. ყოველი ადამიანის ფიზიკური და სულიერი გადარჩენისათვის ზრუნვა მხოლოდ დღესაა შესაძლებელი. აქ ერთმანეთს ერწყმის ორი დიდი დილემა: მსოფლიოს სოციალური გარდაქმნისა და საყოველთაო მშვიდობისა, რომლებიც თავის მხრივ, იდენტური ხასიათისაა, რასაც ხსნის ის გარემოება, რომ საერთო-საკაცობრიო მომენტების წამოწევა არ უტოლდება კოსმოპოლიტიზმს, პირიქით, ეროვნული გათვითცნობიერების წყარო ექცევა მსოფლიოს ერთიან კოსმოსურ სივრცეში.

ომების ისტორია ადასტურებს, რომ სამხედრო ხარჯების აბსოლუტური და შეფარდებითი სიდიდის ზრდა ქვეყნის ეკონომიკის სიძლიერის ზრდის პირდაპირპროპორციულია. სამხედრო ხარჯების მოცულობამ განსაკუთრებულ სიდიდეს მიაღწია გასული საუკუნის 70-იანი წლების შემდეგ და ზრდის ტენდენცია ამჟამადაც შეინიშნება.

სამხედრო-ეკონომიკური ზრდა აძლიერებს კაპიტალის წარმოების პროცესის დეფორმაციას და ამწვავებს მის წინააღმდეგობებს. უპირველეს ყოვლისა, იგი იწვევს ცვლილებებს წარმოების სტრუქტურაში, უფრო სწრაფი ტემპით იზრდება სამხედრო მრეწველობის დარგები, რის გამოც მნიშვნელოვნად მაღლდება სამხედრო პროდუქციის წილი მრეწველობის პროდუქციის მოცულობაში. სამხედრო ეკონომიკის ზრდა ხელს უწყობს ახალი დარგების განვითარებას, მაგრამ უარყოფითად მოქმედებს ტრადიციული დარგების განვითარების ტემპზე.

სამხედრო ეკონომიკური თეორიის განვითარებაში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს: ა. ჟომინმა, კ. კლაუზევიცმა (კლაუზევიცმა შეისწავლა 136-ზე მეტი ომების ისტორია 1566 წლიდან – 1815 წლამდე და მათი შედეგები).

ომის არა მარტო პოლიტიკური, არამედ ეკონომიკური არსის ჭეშმარიტ ახსნას იძლევა პროფ. ჯ. პაჭკორია. მისი აზრით, „წარმოების ძირითადი ეკონომიკური მიზნის მიღწევის მთავარ საშუალებებსა და ომის მიზანს შორის მჭიდრო ურთიერთკავშირია“, რასაც ნათლად უჩვენებს კაცობრიობის ცივილიზაციის პროცესი (იხ. სქემა 1.3.1.).

ცხადია, აღნიშნული სქემა ასახავს კაცობრიობის

ცივილიზაციის ისტორიულ პროცესს, – წარმოების ძირითადი ეკონომიკური მიზნის, მისი მიღწევების ძირითადი საშუალებებისა და ომის მიზნის კავშირს. აღნიშნული დიალექტიკური თანაფარდობა კვლავ ვერ ხსნის ომის აცილებას, რომ ომი საბოლოოდ უარყოფილი უნდა იქნეს, რასაც ხელი შეუწყო თანამედროვე შრომის საერთაშორისო დანაწილებამაც. ამდენად ომის მიზანს და წარმოების საშუალებებს შორის ისტორიულ-ლოგიკური განვითარება შესაძლებელია შემდეგი სქემით მოხდეს (იხ. სქემა 1.3.2.).

საზოგადოებრივი განვითარების ცივილიზაციის საფეხურების შესაბამისად ამჟამად მსოფლიოში საბრძოლო იარაღის როგორც უნარიანობამ, ისე წარმოების რაოდენობამ კულმინაციის წერტილს უკვე მიაღწია და მსოფლიო საზოგადოების მოთხოვნაა ომის თვითუარყოფის აუცილებლობა, რაც იმას გულისხმობს, რომ იარაღის წარმოება. იარაღით ვაჭრობა და ყოველი ამგვარი ქმედებები სამხედრო წარმოების კონვერსიისა და რესტრუქტურიზაციის პირობებში, შეიარაღების იარაღის წარმოების პროცესი უნდა იქნეს შეჩერებული. იარაღის წარმოების პროცესი გრაფიკულად პარაბოლური ფორმისაა (იხ. ნახ. 1). გრაფიკის წყვეტილი ინტერვალი აქსიომატური დაშვებაა იმისა, რომ მსოფლიოში მაინც აღმოჩნდებიან არაცივილიზებული საზოგადოების წარმომადგენლები, რომლებიც არ უარყოფენ ომის დაუშვებლობას და XXI საუკუნეშიც საომარი იარაღის წარმოების დიდი ოდენობით კვლავ გაგრძელებას ცდილობენ.

მსოფლიო სამხედრო ხარჯების დაახლოებით ერთი მესამედი მოდის აშშ-ზე, თუმცა უკანასკნელ წლებში მათი მცირე შენელების ტენდენცია შეიმჩნეოდა აგრეთვე დასავლეთ, ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში.

მთლიანობაში ევროკავშირის ქვეყნები თავდაცვაზე ხარჯავენ 165 მილიარდ დოლარს, ანუ მთლიანი შიდა პროდუქტის 2,1%-ს. აშშ-ში სამხედრო ბიუჯეტი თითქმის ერთსა და იმავე დონეზეა და შეადგენს 600 მილიარდ დოლარს წელიწადში (2008), ანუ მ.შ.პ.-ის 3,2%. მთლიანობაში 1998 წ-ს 1988 წელთან შედარებით მსოფლიო სამხედრო ხარჯები შემცირდა 1350-დან 700 მილიარდ დოლარამდე. მაგრამ სულ სხვა სურათია დასავლეთ, სამხრეთ-

აღმოსავლეთ და აღმოსავლეთ აზიაში, სადაც სამხედრო ბიუჯეტი საკმაოდ მაღალი დონით იზრდება[1].

1998 წელს წინა წელთან შედარებით, შეიარაღების გლობალური ხარჯები შემცირდა 3,5%-ით, რის ძირითადი მიზეზი იყო ექსპორტიორ ქვეყნებში თავდაცვითი მრეწველობის რეკონსტრუქცია. შემცირების მნიშვნელოვანი წილი მოდის რუსეთზე, რაც ეკონომიკურმა მიზეზებმა განაპირობა. რუსეთში სამხედრო ხარჯები ერთ სამხედრო მოსამსახურეზე გაანგარიშებით 10-14 ჯერ ნაკლებია, ვიდრე ნატოს წევრ ქვეყნებში[2].

შეიარაღების და სამხედრო ტექნიკის წარმოების ძირითადი ცენტრებია: აშშ, კანადა, გერმანია, საფრანგეთი, დიდი ბრიტანეთი, რუსეთი, უკრაინა, ბელორუსია, ყაზახეთი, უზბეკეთი. ინტენსიურად ვითარდებიან: შვეიცარია, ესპანეთი, ჩეხეთი, სლოვაკეთი, ბულგარეთი, კორეა, იაპონია, პაკისტანი, ინდოეთი, ისრაელი, თურქეთი, ბრაზილია, არგენტინა, ირანი და სხვ.

იარაღის მთავარი ექსპორტიორია აშშ, ხოლო იმპორტიორი ტაივანი. 1998 წლებიდან ექსპორტი გაზარდა საფრანგეთმა და იაპონიამ. აშშ-ს ექსპორტი შემცირდა 1%-ით, რუსეთის 2,3-ჯერ, დიდი ბრიტანეთისა 4,8-ჯერ, ტაივანის იმპორტი – 14%-ით, საუდის არაბეთის –69%-ით, ინდოეთის –2,7-ჯერ[3].

სტოკჰოლმის მსოფლიოს შესწავლის ინსტიტუტის მონაცემებით სამხედრო ბიუჯეტი აშშ-ში შეადგენს 600, ჩინეთში–81.4, ინგლისში–42.8, საფრანგეთში–45, იაპონიაში–44.3, გერმანიაში–35, რუსეთსა და ინდოეთში–21 მლრდ. აშშ დოლარს. რაც საკმაოდ შთამბეჭდავი თანხაა.[4]

---

[1] **Грешнев М.** стат `Реструктуризация стран НАТО на пороге XXI в. МЭМО №6 июнь 1999. стр. 17-24.

[2] **Грешнев М.** стат `Реструктуризация стран НАТО на пороге XXI в. МЭМО №6 июнь 1999. стр. 17-24

[3] **Р.А.Фармазян,** Военно-экономические аспекты национальной безопасности,М,МЭиМО-ВИЦГУЛ.,1996, стр.164

[4] http://www.samoupravlenie.ru/24-06.php

ცივილიზაციის საფეხურები	წარმოების ძირითადი ეკონომიკური მიზანი	წარმოების ძირითადი ეკონომიკური მიზნის მიღწევის მთავარი საშუალებები	ომის მიზანი აგრესორის თვალთახედვით[1]
1	2	3	4
პირველყოფილი საზოგადოება	არსებობის საშუალებების მიღწევა	ტერიტორია	უცხო ტომების მიერ ტერიტორიების დაპყრობა
მონათმფლობელური საზოგადოება	ზედმეტი პროდუქციის წარმოება	მონები	დატყვევება და მათი მონებად გადაქცევა
ფეოდალური საზოგადოება	მიწის რენტა	ტერიტორია, გლეხობა	სხვადასხვა სახელმწიფოს მიერ ტერიტორიის დაპყრობა და ამ სახელმწიფოს

[1] სამართლიანი ომის მიზანს აქვს შეიარაღებითი ხასიათი და ითვალისწინებს წარმოების ძირითადი ეკონომიკური მიზნის მთავარი საშუალებებით მიღწევას.

აღმავალი კაპიტალიზმი	მოგება	კაპიტალი	კაპიტალის მოქმედე არეალის გაფართოე
თანამედროვე პროგრესული საზოგადოება	მატერიალური სიკეთის წარმოება	წარმოების ძირითადი საშუალებები	წარმოების ძირითად საშუალებების დაცე მსოფლიო ხალხებს შორის მშვიდობა
მომავალი საზოგადოება	ყოველმხრივი განვითარებული ადამიანის წარმოება და კვლავწარმოება[2]	მშრომელი ადამიანი (წარმოების ძირითადი საშუალებები)	კოსმოსური და გლობალური მოვლენებისაგან ად დაცვა[3]

[1] ზოგიერთი ქვეყნის ხელმძღვანელობისათვის ჩვეულებრივია ფარისეველობა და ცინიზმი, რასაც თითქოს კეთი ზრახვებით მსოფლიოში ახალი წესრიგის დასამყარებლად, შენიღბულად ახორციელებენ


[2] ცივილიზაციის განვითარების ამ უკანასკნელ ეტაპზე პირველად მიიღწევა რეალურად წარმოების (ეკონომიკური), გაშუალებული (სულიერი) და ნამდვილი ადამიანური მიზნების სინთეზი

[3] Пачкория Дж. С. К вопросу о самоотрицании войны. Филасофские статый. изд. "Петрополис" Санк-Петер стр. 225.

სქემა 1.3.2

ომის მიზნებისა და წარმართვისათვის საშუალებების ისტორიულ-ლოგიკური განვითარება

ლიზაციის საფეხურები	ომის ძირითადი სოციალურ-ეკონომიკური მიზანი	ომის წარმართვის საშუალებების ისტორიული ხასიათი
1	2	3
პირველყოფილი საზოგადოება	ტერიტორიის ფლობა	შრომის და ბრძოლის იარაღები გაიგივებულია
ონათმფლობელური საზოგადოება	ტყვეების ჩაგდება და მონებად გადაქცევა	საომარი იარაღი თანდათანობით განსხვავდება შრომის იარაღებისაგან
ფეოდალიზმი	სხვა სახელმწიფოს ტერიტორიის დაპყრობა და მოსახლეობის დაკაბალება	საომარი იარაღები თადდათან გადადის შრომის იარაღებთან წინააღმდეგობაში
კაპიტალიზმი	კაპიტალის მოქმედების სფეროს გაფართოება	საომარი იარაღები და შრომის იარაღების ურთიერთწინააღმდეგობა ანტაგონისტურ ფორმას იღებს
თანამედროვე საზოგადოება	ომი თანდათანობით იღებს მსოფლიო მასშტაბებს	საომარი იარაღი აღწევს იმ საზღვარს, რომ იგი მთლიანად გამორიცხავს შრომის იარაღს
მომავალი საზოგადოება	ომის თვითუარყოფა და იწყება ბრძოლა ადამიანის თვიდამკვიდრებისათვის	ხორციელდება სრული კონვერსია და ყოველგვარი უმაღლესი დონის იარაღი ომენს ადამიანის დამკვიდრების იარაღის, ეი შრომის იარაღის სახეს



ნახ. Ł ალალის წარმოების მოცულობა.

აშშ-ს სამხედრო შესყიდვების მოცულობა 1995 წელთან შედარებით გაიზარდა 6,5%-ით, ხოლო ნატოს წევრ ევროპის ქვეყნებში ეს მაჩვენებელი 2,2%-ით შემცირდა. 5%-ით შემცირდა აგრეთვე სამხედრო ხარჯების მთლიანი მოცულობა და მან შეადგინა 147 მლრდ დოლარი. ნატოს ევროპულ ქვეყნების წილად მოდის ამ ორგანიზაციის მთლიანი ხარჯების 40%, მაგრამ სამხედრო მრეწველობის სფეროს სამეცნიერო-კვლევით და საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაოების მოცულობამ შეადგინა აშშ-ში განხორციელებული ანალოგური ასიგნების მხოლოდ 25%[1]. დასავლეთ ევროპაში ძლიერდება სამხედრო–სამრეწველო ინტეგრაციის პროცესები, ზოგიერთ შემთხვევაში ინტეგრაცია ევროპის საზღვრებს სცილდება.

იარაღის მსოფლიო ბაზარი საერთაშორისო სამხედრო ეკონომიკური კავშირების სპეციფიკური და საკმაოდ რთული სისტემაა, რადგან იარაღის ექსპორტიორები იღებენ არა მარტო მოგებას, არამედ აგრეთვე ზემოქმედებენ სამხედრო-პოლიტიკურ სიტუაციაზე მსოფლიოს სხვადასხვა რეგიონში, განსაზღვრავენ იმპორტიორი ქვეყნების პოლიტიკურ კურსს, უზრუნველყოფენ სამხედრო მრეწველობის განვითარებას.

იარაღის მსოფლიო ბაზრისათვის დამახასიათებელია ორი სახის მოთხოვნა: რეგულარული და ოკაზიონალური (შემთხვევითი), რომელთა შესაბამისად სამხედრო პროდუქციას წაეყენება სრულიად სხვადასხვა მოთხოვნები.

იარაღითა და სამხედრო ტექნიკით ვაჭრობა ხორციელდება საბელმწიფოთაშორისი შეთანხმების საფუძველზე. ამასთან ლეგალურ ბაზართან ერთად არსებობს „რუხი“ და „შავი ბაზარი“. „რუხ“ ბაზარზე იარაღის მიწოდება წარმოებს სამთავრობო ორგანიზაციების არაოფიციალური თანხმობითა და ფართო საჯაროობის გარეშე. ამ ბაზარზე იარაღის რეალიზაციის

---

[1] **Р.А.Фармазян,** Военно-экономические аспекты национальной безопасности,М,МЭиМО-ВИЦГУЛ.,1996, стр.166.

მოცულობა დაახლოებით 2 მილიარდი დოლარია. „შავ“ ბაზარზე ხდება იარაღის ყიდვა-გაყიდვის არსებული ნორმებისა და საერთაშორისო შეთანხმებების გვერდის ავლით, მისი არსებობა განპირობებულია ღია ბაზარზე შეზღუდვებით და რეგლამენტირებით.

სრულიად განსხვავებულია იმპორტიორის მიერ მიწოდებისადმი წაყენებული მოთხოვნებიც, როდესაც იგი იმყოფება შეიარაღებული კონფლიქტის მდგომარეობაში, ან მას ემუქრება სამხედრო აგრესია. ასეთ სიტუაციაში წარმოიქმნება ოკაზიონალური ბაზარი, სადაც მნიშვნელობა ენიჭება მიწოდების ვადებს. ამ ბაზრებზე ძირითადად შეიარაღების მარტივი და იაფი სისტემებია. ტექნიკის რესურსებსა და საექსპლოატაციო დანახარჯების ღირებულებას არ ანიჭებენ ისეთ მნიშვნელობას, როგორც წაყენება რეგულარულ ბაზარზე, რადგანაც საბრძოლო პროცესში იარაღს მოკლე სასიცოცხლო ციკლი აქვს და მოსპობა ემუქრება. კაზიონალურ ბაზარზე მთავარია იარაღის საბრძოლო პოტენციალის და იმპორტიორი ქვეყნის ჯარის მიერ ამ ტექნიკის სწრაფი და ეფექტიანი ათვისება.

თანამედროვე იარაღის რეგულარულ ბაზარზე მთავარ როლს იკავებს აშშ, დიდი ბრიტანეთი და საფრანგეთი. რუსეთი მეოთხე ადგილზეა და ეკონომიკური სიტუაციის გამო, კონკურენციას ვერ უწევს დასავლეთის ქვეყნებს, სამაგიეროდ ოკაზიონალურ ბაზარზე მას გააჩნია არსებითი კონკურენტული უპირატესობა. ეს დაადასტურა კონფლიქტებში ჩართული ქვეყნების დაინტერესებამ რუსეთის, ან რუსული წარმოშობის ტექნიკაზე. რუსეთის ტექნიკის უპირატესობა განაპირობა ორმა ფაქტორმა: 1. ტექნიკის ძალიან დაბალი ფასი და 2. მიწოდების უმოკლესი ვადები. მიუხედავად ამ ფაქტორებისა, საგარეო პოლიტიკური ფაქტორების გამო რუსეთის საექსპორტო პოტენციალი რამდენადმე შეზღუდულია. რუსეთმა ვერ მიიღო დაპირებული მრავალმილიარდიანი კონტრაქტები საუდის არაბეთის, ქუვეითისა და არაბეთის გაერთიანებული ემირატების მხრიდან. ისინი გადავიდნენ აშშ-ში, დიდ ბრიტანეთსა და საფრანგეთში. ეს

ქვეყნები უზრუნველყოფენ ადგილობრივი რეჟიმების უსაფრთხოებას, იმასთან დაკავშირებით, რომ ეს სახელმწიფოები აწვდიან მიმზიდველ ოფსეტურ პროგრამებს.

რუსული იარაღის ექსპორტი ძირითადად აზია-წყნარი ოკეანის რეგიონშია. ინდოეთი და ჩინეთი რუსული იარაღის ორი უმსხვილესი იმპორტიორია. უკანასკნელი პერიოდების მანძილზე რუსეთი, ჩინეთი და ინდოეთი აღიჭურვება რუსული წარმოშობის იარაღით.

ეკონომიკის მილიტარიზაცია და სამხედრო მოქმედებები ძვირად უჯდება მსოფლიოს, (იხილეთ ცხრილი 1) გარდა ამისა, ომს ეწირება მილიონობით ადამიანის სიცოცხლე. ამიტომაა, რომ მთავარი უნდა იყოს მშვიდობის შენარჩუნება, გამალებული შეიარაღების შედეგების გონივრული შეფასება და ამ შეფასებაზე გაწეული დანახარჯების შემცირება.

ცხრილი 1

XX ს-ის ომების საერთო ღირებულება[1]
(მილიარდი დოლარი 1995 წ.წ.)

		ღირებულება
1.	პირველი მსოფლიო ომი	2850
2	მეორე მსოფლიო ომი	4000
3	კორეის ომი	340
4	სუეცის არხისათვის ომი	13
5	ვიეტნამის ომი	120
6	ისრაელ არაბეთის ომი	24
7	ავღანეთის ომი	116
8	ირან-ერაყის ომი	150
9	ფოლკლენდის ომი (დიდი ბრიტანეთი არგენტინის წინააღმდეგ)	5
10	სპარსეთის ყურეში ომი	102

2000 წლის აშშ-ს სამხედრო ბიუჯეტი 335 მლრდ

[1] წყარო: Financial Tunes

დოლარის არმიის ციფრულ-ინფორმაციული აპარატით აღჭურვას, აგრეთვე ავტომატიზებული სისტემებსა და ფუნდამენტალურ-გამოყენებით კვლევებს ითვალისწინებდა. ხოლო 2001 წლის შეიარაღებული ძალების მოდერნიზაციისათვის უნდა გამოყოფილიყო 60 მილიარდ დოლარზე მეტი, რაც 1998 წელთან შედარებით 1,5-ჯერ მეტი იყო[1].

იარაღის შესყიდვების ხარჯები 2007 წელს 30%-ით გაიზარდა და შეადგინა 1,339 ტრილიონი დოლარი მათ შორის პირველ ადგილზეა ნატოს ბლოკის ქვეყნები და ჩინეთი.

აშშ-ში არმიის გადამზადებაზე დანახარჯებმა აბსოლიტურ ციფრებში შეადგინა 547 მილიარდი დოლარი, დიდ ბრიტანეთში 59,7 მილიარდი, საფრანგეშთი 58,3 მილიარდი, გერმანიაში 36,9 მილიარდი, რუსეთმა ანალოგიური მიზნისათვის დახარჯა 35,4 მილიარდი დოლარი, 10%-ით ნაკლები იტალიამ რუსეთთან შედარებით, იაპონიამ 43,6 მილიარდი, ხოლო ჩინეთმა 53,6 მილიარდი დოლარი.

SIPRI-ის ანალიტიკოსების გათვლით 2009 წლისათვის 1,5 ტრილიარდ დოლარს გადააჭარბებს, ანალოგიურად იზრდება სამხედრო ძალების რიცხოვნება.

1998-2007 წლებში მთელ მსოფლიოში სამხედრო ხარჯების ზრდა თითქმის ერთნაირია. მაგალითად, ამერიკის კონტინენტის ქვეყნებში 2007 წელს შეიარაღებაზე ხარჯებმა 640 მილიარდი დოლარი შეადგინა (63%-ით გაიზარდა 1995 წ-თან შედარებით), ხოლო ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებმა 91,5 მილიარდი დოლარი (62%-ით გაიზარდა) აზიის 219 მილიარდი (52%-ით გაიზარდა) აფრიკის 18,5 მილიარდი (1,5-ჯერ მეტად გაიზარდა ვიდრე წინა 10 წლის მანძილზე), აგრეთვე ცალკე ევროპაში სამხედრო ხარჯებმა 370 მილიარდი დოლარი და ზრდამ 16% შეადგინა.

სტოქჰოლმის საერთაშორისო ინსტიტუტის (SIPRI)

---

[1] Грешнев М. Реконструкция стран НАТО на пороге XXI века. МЭиМО, №6, 1999, стр. 17-24

მონაცემებით მსოფლიო თანამედროვე პრობლემაა ის, რომ საშუალოდ საერთო სამხედრო ხარჯები 45%-ით გაიზარდა და 2007 წელს მან მიაღწია უპრეცედენტო ციფრს 1339 მილიარდ დოლარს მოსახლეობის ერთ სულზე გაანგარიშებით 202 აშშ დოლარი შეადგინა, რაც მთლიანი შიდა პროდუქტის 2,5%.

2008 წლის 22 მაისს აშშ-ს კონგრესმა დაამტკიცა 2009 წლის სამხედრო ბიუჯეტი 602 მილიარდი დოლარის ოდენობით. ხოლო ჩინეთის სამხედრო ბიუჯეტმა 417,769 მილიარდი იუნი (58,76 მილიარდი დოლარი) შეადგინა, რაც 18%-ით მეტია წინა წელთან შედარებით.

აშშ-ს დაზვერვის ცენტრალური სამმართველოს ინფორმაციით, დიდ ბრიტანეთს მსხვილი სამხედრო ბიუჯეტი გააჩნია 42,8 მილიარდი, საფრანგეთს 45 მილიარდი, იაპონიას 44,3 მილიარდი, გერმანიას 35 მილიარდი, იტალიას 28,1 მილიარდი, სამხრეთ კორეას 28,1 მილიარდი, ინდოეთს 21 მილიარდი, ამდენივე რუსეთს.

თანამედროვე მსოფლიოს სამხედრო საქმეში კოლოსალური განვითარებისა და ზრდის იმპულსს, აშკარად რუსეთი და აშშ იძლევა. ეს იქედან ჩანს, რომ XX ს-ის 90-იან წლებიდან აშშ-ში დაიწყო მეცნიერული-ტექნიკური პოლიტიკის უწყვეტი ასიგნებით ზრდა, რაზედაც მონაწილეობა მიიღო სამხედრო მრეწველობის ფირმების 80%-მა, მათ შორის, ისეთმა გიგანტმა ფირმებმა როგორებიცაა: „ჯენერალ ელექტრონიკი“, „ბოინგი“, „როკუელ ინტერნეიშნელი“, „ტექსტრონი“ და სხვა; მეორე, ასიგნებათა 80% ორიენტირებულია სამხედრო ელექტროტექნიკურ პროდუქციის წარმოებისათვის; მესამე, დიეერსიფიკაციის პროგრესმა მიიღო მრავალმიზნობრივი ხასიათი. კერძოდ, შეიარაღებული ძალების მაქსიმალური აღჭურვა ელექტრონული კომპიუტერებით (ინფორმაციული უზრუნველყოფისათვის); მეოთხე, 1992-1995 წლებში წარმოებული სამხედრო პროდუქციის დიდი რაოდენობით რეალიზაცია მოახდინა საზღვარგარეთის ქვეყნებში.

მსოფლიოში მეორე დიდ სამხედრო ბლოკს წარმოადგენს დასავლეთ ევროპის კავშირი. მის შეიარაღებულ ძალებში 2,4

მილიონი კაცია და წლიური სამხედრო ბიუჯეტი ითვალისწინებს 185 მილიარდ დოლარს. ბლოკში მონაწილეობს დიდი ბრიტანეთის და საფრანგეთის მუდმივ მოქმედი უსაფრთხოების გაეროს საბჭო, რომელიც დიდ ყურადღებას აქცევს მსოფლიოში უსაფრთხოების პრობლემებს, შეიარაღების საკითხებსა და მასთან დაკავშირებულ სამხედრო მრეწველობას. დასავლეთ ევროპის ბლოკი აერთიანებს: 10 ძირითად ფირმას, რომლებიც აწარმოებენ ვერტმფრენებს და საბრძოლო თვითმფრინავებს; 10 სარაკეტო ფირმას; 4 სატანკოს; 7 გემთმშენებელ ფირმას და 10 სხვადასხვა ჯავშანმწარმოებელ ფირმას, რომელთა რაოდენობაც 2-ჯერ აღემატება აშშ-ი მსგავსი ტიპის კომპანიების (ფირმების) რაოდენობას. ბლოკში ჯერჯერობით არაა გადაწყვეტილი რესტრუქტურიზაციის საკითხები. მისთვის დამახასიათებელია გარე ქვეყნებში მსხვილი ნაციონალური „შვილობილი კომპანიების" შექმნა. ინგლისის ერთ-ერთი მსხვილი კომპანიის — „ჟენერალ-ელექტრონიკ"-ის მმართველი ჟეინსტოკი თვლის, რომ „ნაციონალურმა ბიზნესმა უნდა უზრუნველყოს ნაციონალური სახელმწიფო". ხოლო ფრანგი ა. კონზი აცხადებს, რომ ევროპის შეიარაღების მრეწველობის განვითარებისათვის საუკეთესო გზაა სხვადასხვა ქვეყნებში ერთობლივი საწარმოების შექმნა.[1] ევროპელი სპეციალისტების აზრით, არსებული რენტაბელური, ნაციონალური კომპანიები, ჯერ კიდევ, ცოტაა და არასაკმარისია დივერსიფიკაციისათვის. ამავე დროს ითვალისწინებენ ჰორიზონტალურ ინტეგრაციას, ანუ საერთო ევროპულ კავშირს ერთიანი სამხედრო პროდუქციის გამოსაშვებად. მაგრამ შეიარაღების ერთიანი ევროპული ბაზრის შექმნა უფრო რთულადაა მიჩნეული, ვიდრე ერთიანი სავალუტო კავშირი.

1995 წელს საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის სტრუქტურაში თავდაცვითი ხარჯების ხვედრითი წილი შეადგენდა

---

[1] Грешнев М. Реконструкция стран НАТО на пороге XXI века. МЭиМО,. Июль. № 6. 1999. стр. 17-24..

8.3, ხოლო 2000 წლისათვის 2,56. რაც შეეხება თავდაცვით ხარჯებს მთლიანი შიდა პროდუქციასთან მიმართებაში, საგრძნობლად მცირდება: 1995 წელს 1,01; 1999წ. 0,64 და 2000 წელს 0,5. ფაქტობრივი თავდაცვითი ხარჯები მოცემულია შემდეგ ცხრილში (იხ. ცხრ. 2). აღსანიშნავია, ისიც, რომ ქვეყნის ბიუჯეტის ხარჯებში თავდაცვით ხარჯებთან ერთად არაა გამოყოფილი ქვეყნების სამობილიზაციო მომზადების ხარჯები (რუსეთის საბიუჯეტო ხარჯებში გამოყოფილია ცალკე მუხლად იხ. დან. 6).

ცხრილი 2

საქართველოს ფაქტიური თავდაცვითი ხარჯები[1]

წლები	დაზუსტებული გეგმით	ფაქტიური დანახარჯები	გეგმის შესრულება	თავდაცვითი ხარჯები მშპ -თან
1995	45222.6	37271.0	82.4	1.01
1998	62827.5	57167.0	91.0	1.19
1999	54200	36469.0	67,3	0.65
2000	43700	29654.0	67,9	0.50
2001	40719	37973.0	91.0	0.61
2002	38500	33302.0	86,5	0.50
2007	1284836	1284836	100	8.56
2008	1336526	1336526	100	8.35
2009	719069	719069	100	4.79

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, საკითხის ქვეყნის სამობილიზაციო მომზადების აუცილებლობას განაპირობებს თანამედროვე მსოფლიო სიტუაცია, რის შედეგადაც დასკვნა მეტად მარტივია: ჯერ ერთი, შენელებულია იარაღის წარმოება და

[1] საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მონაცემები.

მიმდინარეობს არსებული, სამყაროს გამანადგურებელი იარაღის მოსპობა და იკრძალება მათი შემდგომი წარმოება მსოფლიო უსაფრთხოების კონვერსიის თანახმად. მაგრამ, მეორე მხრივ, პოლიტიკა რომელსაც ზოგიერთი სახელმწიფოს ხელძღვანელები ატარებენ ეწინააღმდეგება რეალობას, რასაც ნათლად უჩვენებს მოტანილი სამხედრო ხარჯებისა და არმიების ზრდის ტენდენცია და, მესამე, არსებული (ბირთული და სხვა სახის) იარაღის „გაუვნებელყოფა" ქმნის, თუ არა ბუნებრივი სამყაროსათვის ეკოლოგიურ საფრთხეს? ბუნებაში უკვალოდ ხომ არაფერი ქრება? პასუხი ცალსახად უარყოფითია, რადგან გარკვეულ წილად ადგილი აქვს გამოსხივებას (რადიაციას) და ეკოლოგიურ კატასტროფებს, მიწისძვრებს და სხვა საგანგებო პროცესებს, რომელთა დამადასტურებელი შემთხვევები მეცნიერებასა და პრაქტიკას საკმაო რაოდენობით მოეპოვება. გარდა ამისა, „ომი და საბაზრო ეკონომიკა არათავსებადია", აგრეთვე „ომი და მაღალგანვითარებული ცივილიზაცია არათავსებადია"[1]. ბოლოს და ბოლოს ომი, ხომ „საბოლოოდ უნდა აიკრძალოს"[2] იარაღი უნდა შეიქმნას მხოლოდ კაცობრიობის გადასარჩენად შესაძლო კოსმოსური საშიშროებისათვის.

[1] **Л. Ф. Мизес.** Человеческая деятельность. М. 2000. стр. 777

[2] **Пачкория Дж. С.** К вопросу о самоотрицании войны. Филасофские статый. изд. "Петрополис" Санк-Петербург 2001. стр. 225.

1.3. საქართველოს სამხედრო ეკონომიკური მშენებლობის გამოცდილება და თანამედროვე გარემოს ზოგიერთი თავისებურება

ეროვნული არმიის (პირადი გვარდიის, „სამეფოსა სპის“) შექმნის, საკუთარი ქვეყნის მატერიალური საშუალებებით (ცხენი, ციცი იარაღი, აღკაზმულობა, საალყო ტექნიკა) და ხელმძღვანელი კადრებით დაკომპლექტების კლასიკური ნიმუში დავით IV აღმაშენებელმა მოგვცა. მასვე ეკუთვნის მეზობელი ხალხების მეომრული ძალ-ღონის თავისი ქვეყნის ინტერესებისათვის გამოყენების პრაქტიკა (ყიჩაღთა 45 ათასიანი კორპუსის მომზადება). ამ ძალებზე დაყრდნობით დავითმა აღადგინა საქართველოს ფეოდალური სახელმწიფო, რომელიც თითქმის მთელ კავკასიას მოიცავდა.

ყოველმხრივი დაქვეითება საქართველოს მონღოლებმა მოუტანეს. ამ ველურ დამპყრობთა (ჩინგის ყაენი, თემურ ლენგი და ა.შ.) წინააღმდეგ ბრძოლა საუკუნე მიმდინარეობდა. მონღოლთა გადაშენების შემდეგ მათი ადგილი ირანელმა და თურქმა აგრესორებმა დაიკავეს, რომლებსაც განსაკუთრებით მძიმე კონტრდარტყმები აგემეს თეიმურაზ I-მა, გიორგი სააკაძემ, სიმონ I-მა და ერეკლე II-მ. ამ უკანასკნელის ცდები და პრაქტიკული ნაბიჯები მუდმივი არმიის შესაქმნელად მატერიალურ საფუძველს მოკლებული იყო, მაგრამ მან მაინც განახორციელა ბრწყინვალე ოპერაციები ერევნის დაცვისას, კრწანისში და მჭადიჯვართან. მიუხედავად ყველაფრისა, ქართული სამეფოები (ქართლ-კახეთისა და იმერეთის) ფიზიკური განადგურების საფრთხის წინაშე იდგნენ. გამოსავალს საქართველოს მაშინდელი მესვეურები რუსეთთან დამეგობრებაში, მისი მფარველობის მიღებაში ხედავდნენ.

1917 წლიდან 1921 წლის 25 თებერვლამდე ქართველებმა დამოუკიდებელი დემოკრატიული რესპუბლიკის დასაცავად შექმნეს თავისი საკმაოდ მრავალრიცხოვანი არმია (50-60 ათასი კაცი), რომელიც შეიარაღების დონის, პირადი შემადგენლობის სულისკვეთების მხრივ თავისი დროის არმიების მოთხოვნებს

პასუხობდა, მაგრამ საქართველოს მაშინდელ მთავრობას მოშლილი საშინაო და სრულიად მოუწესრიგებელი - საერთაშორისო მდგომარეობა ჰქონდა. სწორედ ამიტომ, იგი იძულებული იყო ეზრუნა მთელი თავისი ორიათასკილომეტრიანი საზღვრის დაცვაზე. ნორმალურ ვითარებაში იგი მხოლოდ თურქეთთან არსებული საზღვრის განმტკიცებაზე ფიქრობდა, რადგან კერძოდ საბჭოთა რუსეთთან სრული გარკვეულობა თითქოს მიღწეული იყო. საქართველოს რესპუბლიკის მთავრობა ასეც ფიქრობდა, ყოველ შემთხვევაში იგი არ ელოდა მაშინ რუსეთთან უთიერთობის რადიკალურად შეტრიალებას.

დიდი სამამულო ომის დასაწყისისთანავე (1941-1942 წლებში) სსრკ ზემდგომი ორგანოების მითითებით საქართველოში ჩამოყალიბდა ათი არსებითად ქართული მსროლელი დივიზია (224-ე, 242-ე, 270-ე, 296-ე, 349-ე, 392-ე, 386-ე, 394-ე, 406-ე, 414ე). გარდა ამ შენაერთებისა, კიდევ 5 მსროლელი დივიზიის პირად შემადგენლობაში ითვლებოდა 5000-7000 საქართველოდან წარგზავნილი მეომარი და მეთაური.

ოფიციალურ წყაროებში ამ ეროვნული შენაერთების შექმნის მიზეზების ახსნისას დავიწყებულია ასეთი შენაერთების ადრე არსებული მთელი ჯგუფის დაშლის ოფიციალური მიზეზები: ისინი დაშალეს საბჭოთა ხალხების შემდგომი დაახლოების განმტკიცების მიზნით. აღდგენილ იქნენ ისევ დაძმობილებული საბჭოთა ხალხების ძალთა გაერთიანების მიზნით. სინამდვილეში ოფიციალურად უარყოფილი ეროვნული ფორმირებები კვლავ აღდგენილ იქნენ, რა თქმა უნდა, იმიტომ, რომ გერმანელ-ფაშისტთა უეცარმა თავდასხმამ და სტალინგრადამდე შეჭრამ ჩაშალა საბჭოთა სამობილიზაციო გეგმა, ერთმანეთს მოსწყდა გერმანელ-ფაშისტთა „სოლის" ჩრდილოეთით და სამხრეთით მდებარე ადამიანთა რესურსების უმდიდრესი რეგიონები, შეუძლებელი გახდა ამ რესურსების გამოყენების სხვა რამ ხერხი, თუ არა მათი ადგილობრივი ეროვნული საჯარისო ფორმირებების შექმნა.

მე-2 მსოფლიო ომის დამთავრების შემდეგ წინათ

შექმნილი ეროვნული ნაწილები კვლავ სულ ერთიანად იქნა დაშლილი.

ჩვენმა სამყარომ საუკუნეების მანძილზე, განიცადა უდიდესი ევოლუცია განვითარდა კულტურა, ამაღლდა ხალხის მატერიალური კეთილდღეობის პირობები, შემუშავდა საერთო-საკაცობრიო საერთაშორისო ურთიერთობების ნორმები, რომლის გარანტად გვევლინება გაერთიანებული ერების ორგანიზაცია და მთელი პროგრესული კაცობრიობა. ამავე დროს, ეს სამყარო ძალზე არაერთგვაროვანია თავისი კულტურული და ზნეობრივი განვითარების, მატერიალური კეთილდღეობის დონით, მილიონობით ხალხი მისდევს სხვადასხვა სარწმუნოებას, გამწვავდა ძველი ტერიტორიული და ეთნიკური საკითხები. ყველაფერი ეს ქმნის დაძაბულობას მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში. თანამედროვე პირობებშიც კი არაერთხელ იფეთქა კონფლიქტებმა მსოფლიოში (ლიბანი, ახლო აღმოსავლეთი, იუგოსლავია, კამბოჯა, ავღანეთი, ინდოეთ-პაკისტანი, ერაყი, ავღანეთი და სხვა). ზოგიერთი კონფლიქტი უშუალოდ საქართველოს საზღვრებთან მის ახლოს ბობოქრობს (აზერბაიჯან-სომხეთის, ოსეთ-ინგუშეთის, ჩეჩნეთის, ისრაელ-პალესტინის, საერთაშორისო ტერორიზმი) და ქვეყნის შიგნით (აფხაზეთის, და ცხინვალის რეგიონის სეპერატისტული ხელმძღვანელების მიერ, საქართველო აგრესიულად განწყობილი რუსეთის მთავრობის ხელშეწყობით და მათი შეიარაღებული ძალების მიერ ქვეყნის ტერიტორიიდ მნიშვნელოვანი ნაწილის პირდაპირი ოკუპაცია).

საქართველოს ისტორიულად რთული გეოპოლიტიკური მდგომარეობა უკავია და თავისი განვითარების მანძილზე ხშირად უხდებოდა თავდაცვითი და განმათავისუფლებელი ომების განხორციელება. თანამედროვე მდგომარეობა ხასიათდება არანაკლები დაძაბულობით; დამოუკიდებლობის პირობებში თავს იჩენს ძველი და წარმოიშობა ახალი პრობლემები, რომელთაც გარდა რუსეთის დამპყრობითი ინტერესისა საფუძვლად უდევს:

1. მუსულმანური გარემოცვა. მეზობელ მუსულმანურ ქვეყნებში კვლავ არსებობს ისლამური სახელმწიფოების გაერთიანება — შექმნის ტენდენციები;

2. მეზობელ სახელმწიფოებში (სსრკ ყოფილი მოკავშირე რესპუბლიკების ჩათვლით) ქართველი მოსახლეობის უფლებათა დაცვის აუცილებლობა;

3. საქართველოს დაკარგული ტერიტორიების დაბრუნების პრობლემა;

4. ქვეყნის შიგნით სეპარატისტული მოძრაობა (აფხაზეთში, „ცხინვალის რეგიონი“ და სხვ., რომელიც მწვავდება გარეძალების მხარდაჭერის შედეგად).

ზემოთ აღნიშნული ფაქტორებიდან გამომდინარე, იქმნება საქართველოს სახელმწიფო საზღვრების დაცვის აუცილებლობა, მისი მთელი პერიმეტრის მანძილზე.

ყველა ზემოთ ჩამოთვლილი პრობლემის და საკითხების გადაწყვეტა, ბუნებრივია, უნდა მოხდეს მშვიდობიანი მოლაპარაკების გზით, მაგრამ, ამავე დროს, ქვეყანას უნდა გააჩნდეს თავისი ტერიტორიული მთლიანობის და მოქალაქეების დაცვის სხვა საშუალებებიც. ერთ-ერთ ასეთ საშუალებად გვეელინება მობილური, კარგად მომზადებული და აღჭურვილი შეიარაღებული ძალები.

ივარაუდება, რომ ქვეყნის სტრატეგიულ გეგმებში ერთადერთ პრინციპად შიჩნეულია აბსოლუტური ნეიტრალიტეტისა და ყველა მეზობელთან ღია, მეგობრული ურთიერთობის დამყარება. ასეთივე იდეებისადმი მეზობელი ქვეყნების ურყევი და უეჭველი მხარდაჭერის ვითარებაში საქართველოს შეეძლო თითქმის მთელი თავისი მეომრულ-თავდაცვითი ენერგია და შესაძლებლობანი შინაური საქმეების სამსახურში ჩაეყენებინა. ყოველ შემთხვევაში, იგი ასეთი საგარეო და საერთო-სახელმწიფოებრივი პოლიტიკური კურსის მომხრე ყოველთვის იქნება. მიუხედავად ამისა, ყოველგვარი მოულოდნელობის აცილების ინტერესები საქართველოს მთავრობას ვალდებულს ხდის გაითვალისწინოს ისეთი ვითარებაც, როდესაც მას იარაღით

ხელში თავისი საზღვრების დაცვა მოუხდება მთელ პერიმეტრზე. მისი ტერიტორია 69 ათას 500 კვადრატულ კილომეტრია, ხოლო სახელმწიფო საზღვრის საერთო სიგრძე 1969 კმ. (აქედან სახმელეთოა 1659 კმ., საზღვაო 310კმ.).

მხედველობაში თუ გვექნება შეერთებული შტატების ტიპის ქვეითი დივიზიის სტრუქტურა, რაც მიღებული აქვთ აგრეთვე გერმანიას, თურქეთს, საბერძნეთს, მაშინ საქართველოს თავდაცვის სამინისტროს განკარგულებაში აგრესიის უკუგდებისათვის საჭირო აღმოჩნდება ოთხი ქვეითი დივიზიის შემდეგი რაოდენობის ძალები: პირადი შემადგენლობა დაახლოებით 66 ათასი კაცი; 216 საშუალო და 36 მსუბუქი ტანკი; 304 (106, 155 და 203 მმ) ჰაუბიცი; 496 ნაღმსატყორცნი; 36 დანადგარი (45 ლულიანი) რეაქტიული ჭურვების გასაშვებად; 620 შვეულმფრენი; 532 ჯავშანტრანსპორტიორი; საარმიო ავიაციის 4 ესკადრილია; 4 საზენიტო არტილერიის დივიზიონი; 10 ათასი ავტომანქანა და სხვა. გასაგებია, რომ აგრესიის საფრთხის წარმოშობისას ამგვარად აღჭურვილი ოთხი ქვეითი დივიზიისაგან შექმნილი ქართული არმია ზემოაღნიშნულ მეზღვრე და საინჟინრო ფორმირებებთან ერთად სახელმწიფო საზღვრის „თავისი წილის“ დაცვისათვის დამატებით ძალებს აღარ მოითხოვს.

1921 წლის დასაწყისში საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის 2,4 მილიონიანმა მოსახლეობამ 50-60 ათასიანი არმია გამოყო, დღევანდელი საქართველოს დაახლოებით 5 მილიონიან მოსახლეობას შეუძლია დარაზმოს თავისი შემადგენლობის 3-5% ანუ 150-250 ათასიანი არმია. უფრო დაძაბულ ვითარებაში, როცა სახელმწიფოს შეუძლია მოსახლეობის 10%-ის დარაზმვა, მაშინ ქართული არმიის რიგებში 500 ათასი კაცი აღმოჩნდება. ეს რიცხვი, სხვათა შორის ძალიან ახლოს დგას შვეიცარიაში მაქსიმალური მობილიზაციის გამოყვანისათვის ნავარაუდევ 625.000-ს (ამ ქვეყნის მოსახლეობა 6,3 მილიონია), ფინეთის სამობილიზაციო სრულ შესაძლებლობას 700 ათას კაცს (ამ ქვეყნის მოსახლეობა 4,7 მილიონს უდრის). მაგრამ ეს მხოლოდ დასაწყისი იქნება. უდიდესი ამოცანაა ამ

არმიის აღჭურვა და აღკაზმვაა.

რაც შეეხება შეიარაღებული ძალების შესაძლებელ შემადგენლობას მშვიდობიან პერიოდში, ჩვენი აზრით, უნდა ვიხელმძღვანელოთ შემდეგით: რსფსრ, აზერბაიჯანთან, სომხეთთან არსებული საზღვრების დაცვის სისტემა, ჩვენს შორის ურთიერთშეთანხმებულ სასაზღვრო პუნქტებში შექმნილი საკონტროლო-გამშვები საგუშაგოების შექმნით უნდა ამოიწუროს. ამ საგუშაგოებზე სამსახურს გასწევენ აგრეთვე ურთიერთშეთანხმებული შემადგენლობისა და აღჭურვილობის მესაზღვრეთა ჯგუფები. სულ სასაზღვრო სამსახურის უზრუნველყოფისათვის ასეთ შემთხვევაში საკმაო იქნება თავდაცვის სამინისტროს განკარგულებაში ერთი ქართული მესაზღვრეთა 5-6 რაზმიანი ბრიგადის შენახვა.

საქართველოს თავდაცვის სამინისტროს განკარგულებაში უნდა იყოს არანაკლებ ათი საინჟინრო (ტანკსაწინააღმდეგო და ქვეითსაწინააღმდეგო საქმის მცოდნე და სათანადო საშუალებებით სრულიად მომარაგებული) ასეული, რომლებსაც, ჩვეულებრივი საინჟინრო დაბრკოლებების გარდა, ბირთვული ნაღმებისა და ფუგასების მოწყობაც შეეძლებათ და საჭიროებისას საინჟინრო ათასეულებად გაიშლებიან.

საჰაერო დესანტის გადმოსხმის აღკვეთის მიზნით, გადამწყვეტი მნიშვნელობა უნდა მიეცეს ჰაერსაწინააღმდეგო თავდაცვის მოწყობას (საზენიტო არტილერია, საზენიტო-მართული რაკეტების დანადგარები, გამანადგურებელი და შეერულმფრენი ავიაცია, სამხედრო მშენებლობა წარმოადგენს ერთ-ერთ ყველაზე მეცნიერებატევად და საკმაოდ ძვირადღირებულ დარგს. ეს სფერო კვლევის ფართო დიაპაზონით ხასიათდება, უპირველეს ყოვლისა, იგულისხმება ახალი ტექნიკის, სხვადასხვა სახის თანამედროვე სამხედრო აღჭურვილობის დამუშავება, უახლესი ტექნიკის შესაძლებლობებიდან გამომდინარე ახალი საომარი სტრატეგიისა და ტაქტიკის ფორმირება და სხვა. მაღალგანვითარებულ ქვეყნებში კვლევა მიმდინარეობს თითქმის ყველა აღნიშნული მიმართულებით (ამის საშუალებას მათ აძლევს განვითარებული ეკონომიკა და

სათანადო ფინანსური სახსრები).

საქართველოს დღეისათვის არ გააჩნია არც ერთი და არც მეორე, ამიტომ სამხედრო მშენებლობის პირველ ეტაპზე სამხედრო ტექნიკისა და აღჭურვილობის დამუშავების და შექმნის ფართომასშტაბიანი სამუშაოების ჩატარება შეუძლებელი იქნება. მიუხედავად ამისა, საჭიროა ეროვნული სამხედრო ძალებისათვის იარაღის, ტექნიკის და აღჭურვილობის შეძენა, რაც დაკავშირებულია შესაბამისი საქონლის ბაზრების შესწავლასთან, აგრეთვე საჭიროა საომარი მოქმედებების სტრატეგიულ და ტექნიკურ მომზადებათა შესწავლა-განზოგადებასთან და ა.შ.

უნდა აღინიშნოს, რომ მეზობელ ქვეყნებთან ომის წარმოება, მათთან (თანამედროვე პირობებში) სამხედრო კონფლიქტის მოგება საქართველოსათვის ძნელია. იგი უნდა ახორციელებდეს ამ ქვეყნებთან სამხედრო კონფლიქტის არ დაშვების პოლიტიკას და ემყარებოდეს თანამედროვე მსოფლიოში წონასწორობის და საერთო მშვიდობის პრინციპს, ასევე საქართველოს საომარი მოქმედებების წარმოება დიდ ქვეყნებთან, თუ ეს გარდაუვალი იქნება, შეუძლია მხოლოდ სათანადო მოკავშირის არსებობის შემთხვევაში.

თავი II. ქვეყნის ეკონომიკის სამობილიზაციო მომზადების და მზადყოფნის სისტემის ფორმირების თანამედროვე მდგომარეობა

2.1. სამობილიზაციო მომზადებისა და მზადყოფნის ღონისძიებები და მათი განხორციელების წინაპირობები

სამხედრო ეკონომიკის მიზანია აწარმოოს ისეთი პროდუქცია, რომელიც საჭიროა სამხედრო შეიარაღებისა და არმიის წარმატებით ფუნქციონირებისათვის. სამობილიზაციო მომზადების ფუნქციაც ომისა და მისი წარმატებით წარმართვისათვის, აგრეთვე საგანგებო პირობებისათვის მზადყოფნაა. აღსანიშნავია ისიც, რომ ქვეყნის სამობილიზაციო მომზადებისა და მზადყოფნის სისტემა მოიცავს ქვეყნის თითქმის მთელ ეკონომიკას.

სამხედრო ეკონომიკისათვის მნიშვნელოვან თავისებურებას წარმოადგენს ის, რომ მისი პროდუქციის მომხმარებელი და მყიდველი სახელმწიფოა, რომელიც ზეგავლენას ახდენს მის აუცილებელ განვითარებაზე. სახელმწიფო განსაზღვრავს სამობილიზაციო მზადების დინამიკას, მასშტაბებსა და სტრუქტურას.

ეკონომიკა წარმოადგენს სახელმწიფოს სამხედრო სიძლიერის საფუძველს. საწარმოო ძალების განვითარება აფართოებს სახელმწიფოს სამხედრო პოტენციალს. საომარი მოქმედების ხასიათსა და მასშტაბებში მომხდარი ცვლილებები ეკონომიკას ახალ მოთხოვნებს უყენებს, რის გამოც ომს, საგანგებო პირობებსა და ეკონომიკას შორის კონკრეტული ურთიერთდამოკიდებულება სისტემატურად იცვლება, ძლიერდება, იძენს ახალ დანიშნულებას.

ქვეყნის სამობილიზაციო მომზადებისა და მზადყოფნის სისტემა უშუალოდ უკავშირდება სამხედრო ეკონომიკას. სამხედრო

ეკონომიკა კი არის ეკონომიკის არა უბრალო, არამედ სპეციალური ნაწილი.

საქართველოს პირობებში სპეციფიკურია ეროვნული სახელმწიფოს ინტერესები, რადგან ჯერჯერობით ქვეყანაში არაა გადაწყვეტილი თავდაცვითი პრობლემები. ქვეყანაში არ არსებობს მძლავრი თავდაცვის სახელმწიფო პროგრამები. განსაკუთრებით აღსანიშნავია ის, რომ სამხედრო ეკონომიკა გარკვეულად მემკვიდრეობითი, გენეტიკურ-ინერციული ბუნებისაა და შესაბამისად ძველიდან ახალ სისტემაზე გადასვლა ეტაპობრივ, ევოლუციურ მიდგომებს მოითხოვს.

თანამედროვე პირობებში საქართველოს სამობილიზაციო მომზადების დონე, მისი თავისებურებანი უწინარესად მთელი რიგი სპეციფიკური ფაქტორებიდან გამომდინარეობს. კერძოდ, წარმოებისა და დარგობრივი სტრუქტურის ეკონომიკური და ორგანიზაციული საფუძვლებიდან და დარგების განვითარების დონიდან. პერსპექტივის თვალსაზრისით ის დარგები უნდა განვითარდეს, რომლებიც იძლევიან ისეთ პროდუქციას, რაც სამობილიზაციო მომზადებისათვისაა საჭირო. ალბათ ეს აქსიომაა. მაგრამ უნდა გაირკვეს, ერთი მხრივ, საბაზრო კონიუნქტურიდან და ფასებიდან, ხოლო, მეორე მხრივ, წარმოების შესაძლებლობიდან გამომდინარე, რომელი პროდუქციის (და რა მასშტაბით) წარმოებაა ხელსაყრელი დღეს და მომავალში. მესამე, ნებისმიერი ქვეყნის ბაზრის გაჯერება ხდება საკუთარი წარმოებისა და იმპორტის გონივრული შეთანაწყობით, ამ ორი აუცილებელი პირობის რაციონალური ინტეგრაციით. მაშასადამე, საბოლოოდ სამობილიზაციო მომზადებაზე გავლენას ახდენს არა მარტო წარმოების ტექნოლოგია, წარმოების განვითარების დონე, არამედ რამდენადმე პროდუქციის ექსპორტ-იმპორტიც.

ეს უნდა იყოს ძირითადი მეთოდოლოგიური მიდგომა, რომელიც უახლოეს პერიოდში საფუძვლად დაედება სამობილიზაციო მომზადების სტრუქტურულ ფორმირებას. სამობილიზაციო მომზადების არსებული მდგომარეობა რადიკალურ შეცვლას მოითხოვს. ეს თვითმიზანი კი არ არის, არამედ ჩვენი

დროის რეალური მოთხოვნილებაა. ამასთან დაკავშირებით სამობილიზაციო მომზადების განვითარების ღრმად გაანალიზებისას შემდეგ ძირითად ტენდენციებსაც ვხედავთ: ჯერ ერთი, სამობილიზაციო მომზადების პროდუქციაზე მოთხოვნილების დაკმაყოფილება არის მიზანი, მაგრამ მისი მიღწევის მეთოდები წარმოებასა და მრეწველობაში არ შეესაბამება რეალობას; მეორე, საწარმო ძალებისა და საწარმო ურთიერთობათა განვითარების დიალექტიკა ერთმანეთთან ანტაგონისტურ წინააღმდეგობაშია. მესამე, საქართველოს სამხედრო, ასევე მის ეკონომიკურ სფეროში დღეს მიმდინარე პროცესებისათვის მთავარია არა მხოლოდ დიდი რეფორმა, (ამერიკის თუ სხვათა დახმარება), არამედ საკუთარი წარმოება, საკუთარი ძალებით და ინტელექტით, აქედან გამომდინარე ყველა შესაძლო შედეგით.

სამობილიზაციო მომზადების ფორმირების რთული პროცესის ანალიზი რამდენიმე დასკვნის საფუძველს გვაძლევს: ჯერ ერთი, ქვეყნის სამობილიზაციო მომზადების სტრუქტურის ფორმირება-განვითარება მოხდა არა საქართველოს ტერიტორიაზე შემორჩენილი რესურსებით უზრუნველყოფის პირობებში, არამედ ყოფილი საერთო-საკავშირო რესურსების ფორმირებაში მისი პოტენციალის მაქსიმალურად გამოყენების მიზნით. ეს სახელმწიფო პოლიტიკა იყო, რამდენადაც მოკავშირე რესპუბლიკა, ფაქტობრივად სსრ კავშირის პოლიტიკური და ეკონომიკური ერთეული, ერთიანი სამეურნეო კომპლექსის ორგანული ნაწილი იყო. მას თავისი ადგილი ჰქონდა, როგორც მთელის ნაწილს, და არა, როგორც დამოუკიდებლად თვითრეგულირებად მთელს.

დღეს ვითარება რადიკალურადაა შეცვლილი, ამასთან ქვეყნის პოლიტიკური დამოუკიდებლობა ეკონომიკურ დამოუკიდებლობას დაუყოვნებლივ ვერ აღადგენს. დღეს მთავარია სწორად განისაზღვროს ქვეყნის სამობილიზაციო მომზადების ეკონომიკური პოლიტიკა.

მეორე, სამობილიზაციო მომზადების პროდუქციის (მარაგების) ფორმირება მისი რეალიზაციისათვის ხელსაყრელი პირობების შექმნა, კონკურენციის მეტად რთულ პირობებში,

ურთულესი ამოცანაა. მას დიდი დრო, კაპიტალური დაბანდებები, ახალი ტექნოლოგიები, შრომისა და წარმოების ორგანიზაციის მაღალი დონე სჭირდება და მაინც, ხელსაყრელი საგარეო-ეკონომიკური და საშინაო პირობების შემთხვევაში, ამ რეზერვისა და პოტენციალის სწრაფი ამოქმედება რეალური საქმეა. ეს პოტენციური დარგობრივი სტრუქტურების გავლენით, შესაბამისი ორგანიზაციულ-ეკონომიკური მმართველობითი ფაქტორების ეფექტური გამოყენებით უნდა ჩამოყალიბდეს. ეს ფაქტორები, თვით მრეწველობისა და მასთან დაკავშირებული დარგების კავშირურთიერთობის, აგრეთვე შიდა და გარე უკუკავშირების ერთ სივრცეშია მოქცეული და არსებითად დამოკიდებულია ინტეგრაციის გაღრმავებაზე, ეკონომიკის მობილური რეგულირების, სამობილიზაციო მომზადების სახელმწიფო მექანიზმის მოქმედებაზე.

საქართველოში ნაწილობრივ ექსტენსიური განვითარების გზით დარგების მთავარი მიზანია სამობილიზაციო მომზადების მოთხოვნილებების მაქსიმალური დაკმაყოფილება. შეიძლება ითქვას, რომ სრულყოფილი საბაზრო ეკონომიკის პირობებში ქვეყანამ მაქსიმალური უკუგებაც უნდა მიიღოს იმ დარგებიდან, რომელთა პოტენციალის რაციონალურად ამოქმედების ხელსაყრელი ფაქტორები აქვს.

დღეს საქართველოში იმპორტის სრულყოფილი სახელმწიფო მექანიზმიც კი არ არსებობს. ამიტომ უწინარესად უნდა განისაზღვროს რა სახეობისა და რა რაოდენობის პროდუქცია სჭირდება ქვეყანას, როგორი „სისტემა-მექანიზმით“ უნდა მოხდეს მისი შემოტანა. როგორც ეს ცივილიზებულ ქვეყნებშია მიღებული (ბალტიისპირა ქვეყნების გამოცდილება და სხვ.), სახელმწიფო უნდა იყოს პასუხისმგებელი სწორი პოლიტიკის გატარებისათვის (რა სახეობის პროდუქცია ააწარმოოს და რა რაოდენობით, რის გატანა მოხდეს და რის შემოტანა), და ყოველივე ეს უნდა ექვემდებარებოდეს მნიშვნელოვან მიზანს სამობილიზაციო მომზადების უზრუნველყოფას. ამ სფეროში უნდა შეიქმნას სახელმწიფო

რეგულირების მწყობრი სისტემა, ასევე ქვეყნის საერთო ძირითადი მიზნებიდან გამომდინარე.

სამობილიზაციო მომზადებისა და მზადყოფნის ძირითად მიმართულებებს წარმოადგენენ:

1. მსხვილ სამრეწველო სარეზერვო სიმძლავრეების შექმნა. მთელი დასავლეთის ქვეყნები მუდმივად ახორციელებენ და მოდერნიზაციას უკეთებენ როგორც მოქმედ, ისე სამხედრო მრეწველობის სარეზერვო წარმოების სიმძლავრეებს. საწარმოებში პერიოდულად ცვლიან საწარმოო ხაზებს, ამონტაჟებენ უფრო მწარმოებლურ დაზგებს და მოწყობილობებს, რომლებიც აღჭურვილნი არიან ახალი ავტომატური ტექნიკით, რითაც ზრდიან სამხედრო პროდუქციის გამოშვებას. მაღალი სამობილიზაციო მზადყოფნის მიზნით სარეზერვო საწარმოო სიმძლავრეებს პერიოდულად გადართავენ საბრძოლო ტექნიკისა და იარაღის წარმოების ტექნოლოგიაზე. მსგავსი პროცესი ჩვენს ქვეყანაშიც უნდა მიმდინარეობდეს, სამრეწველო შეიარაღების საწარმოო სიმძლავრეები მშვიდობიანობის პერიოდში უნდა გამოიყენებოდეს როგორც სამხედრო, ისე სამოქალაქო პროდუქციის საწარმოებლად.

2. სამოქალაქო პროდუქციის მწარმოებელი დარგების მომზადება სამხედრო პროდუქციის გამოსაშვებად. სამხედრო-სამობილიზაციო პროგრამაში ნატოს ბლოკის ქვეყნები განიხილავენ ისეთ დარგებს, რომლებიც გამოიყენებიან სამხედრო პროდუქციის დასამზადებლად. კერძოდ, მანქანათმშენებლობის, ნავთობ-ქიმიურ და ქიმიურ ქარხნებს.

ჯერ კიდევ 1981 წელს აშშ-მ გადაწყვეტილება მიიღო უფრო საფუძვლიანად გადაესინჯათ სამობილიზაციო ეკონომიკის სფეროში პოლიტიკა, რის შედეგადაც დაისახა ამოცანა „საგანგებო შემთხვევათა გარემოებისათვის“ უმოკლეს ვადებში სამობილიზაციო შესაძლებლობების გაფართოვება იმდენად, რომ მას უნარი ჰქონოდა მოეხდინა შეიარაღების მთელი მასიური უზრუნველყოფა. ამ მიზნით გამოიყო მთელი ქვეყნის ნაციონალური შემოსავლის ნახევარი. აშშ-ს მრეწველობის სამობილიზაციო მომზადების

პროგრამაში ძირითადი ყურადღება გადაჰქონდა მსხვილ კორპორაციებზე. ამასთან ერთად დიდი მნიშვნელობა ეთმობოდა საშუალო და მცირე ზომი საწარმოებს (ფირმებს), რომლებიც დაკავებულნი იყვნენ ძირითადად სამხედრო წარმოებაზე, რაც აისახებოდა მთავრობის პოლიტიკის მიზანმიმართულობაში. კერძოდ, სამხედრო წარმოების მთელი ქვეყნის ტერიტორიაზე გაბნევით, განცალკევებით, სამხედრო ბიზნესის სფეროში დამატებითი საწარმოების ჩართვით და სხვა. ამჟამად ასეთი ფირმების რაოდენობა აღასობითაა და ოფიციალური სტანდარტებით არ შედის სამხედრო მრეწველობის კლასიფიკაციაში. ასეთი ფირმები უშუალოდ თანამშრომლობენ პენტაგონთან და სარფიან შემოსავლებსაც ღებულობენ. ასრულებენ რა პენტაგონის შეკვეთებს, აღნიშნული საწარმოები, სამობილიზაციო დავალებებსაც ასრულებენ მშვიდობიან პერიოდში, გარკვეული შეღავათებით, ნედლეულით და მასალებით უზრუნველყოფილნი არიან.

იტალიაში სამრეწველო წარმოების თითქმის 99% მცირე და საშუალო ფირმებია. ინგლისში ფირმების 96% ეკუთვნის მცირე ბიზნესის კატეგორიას. იაპონიაში მთავრობის დაკვეთების 45%-ს ასრულებს მცირე საწარმოები. სამხრეთ კორეაში მცირე საწარმოები აღიარებულნი არიან ეკონომიკური ზრდის მამოძრავებელ ძალად.

ცალკეული ქვეყნების გამოცდილება გვიჩვენებს, რომ მცირე საწარმოთა მიმართულებები განსაკუთრებით სამხედრო ფუნქციების შესრულების მიზნით ყალიბდება, რითაც ხორციელდება კატეგორირებული ქალაქების განტვირთვა. მათი განლაგება ქვეყნის ტერიტორიის სხვადასხვა ადგილებში იძლევა აგრეთვე საწარმოების გადარჩენის დიდ ალბათობას (ნებისმიერ შემთხვევაში).

აღსანიშნავია შემდეგიც: „საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დღევანდელი შედეგების, თავისებურებების და ტენდენციების ანალიზი გვიჩვენებს, რომ გარდამავალ პერიოდში მცირე ბიზნესი მნიშვნელოვან როლს

ასრულებს ეროვნული მეურნეობის ფორმირებისა და ეფექტიანი ფუნქციონირების სოციალური და ორგანიზაციული პირობების მომზადებაში“[1].

3. მრეწველობის სამობილიზაციო მომზადების ერთ-ერთ მნიშვნელოვან მიმართულებად ითვლება სახელმწიფო რეზერვებისა და მატერიალური მარაგების შექმნა. საერთოდ მარაგებიდან ყველაზე დიდი მნიშვნელობა ენიჭება საწარმოო მოწყობილობებისა და ტექნიკის რეზერვებს.

უკვე 70-იან წლებში აშშ-ს ასეთ რეზერვში ათასზე მეტი დაზგა და ტექნიკა ჰქონდა ჩადებული, რომელთა დანიშნულება იყო მხოლოდ სპეციალური შეკვეთების დროს გამოყენება. გარდა ამისა, გამოყოფილი იყო 24 ათასზე მეტი სხვადასხვა სახის მოწყობილობა, იმათ გარდა, რაც შედიოდა უშუალოდ სამობილიზაციო რეზერვებში. ფედერალური ბიუჯეტიდან ყოველწლიურად გამოიყოფა დიდი მოცულობით ასიგნებები ე.წ. „სამრეწველო ფონდებისათვის“.

დასავლეთის ქვეყნებში მსხვილ სტრატეგიულ ნედლეულისა და დეფიციტური მასალების მარაგებს ქმნიან სამობილიზაციო გაშლისათვის. ამ სახის მარაგებს ქმნიდნენ ჯერ 5 წლისათვის, ხოლო შემდგომ იზრდებოდა, როგორც რაოდენობრივად, ისე ნომენკლატურის მიხედვით. დიდი მნიშვნელობა მიანიჭეს ფერადი ლითონის მარაგს. აშშ-მა მოახდინა დიდი რაოდენობით ალუმინის, პლატინის, მარგანეცის, ტანტალის, კვარცისა და სხვა სახის ფერადი ლითონების შეზიდვა, რათა შეევსო გათვალისწინებული 62 ნომენკლატურის სტანდარტული მასალები, რისთვისაც გამოიყო 21,9 მილარდი დოლარი (1981-1995წ)[2].

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ექსპერტების გაანგარიშებით მთელი მსოფლიოს შეიარაღებული ძალები

---

[1] ნ.ჭითანავა. გარდამავალი პერიოდის სოციალურ-ეკონომიკური პრობლემები. II ნაწილი. თბ. 1999. გვ. 116.

[2] Ю. Е. Власьевич и др. Основы военно-экономических знаний. М.Воен-изд. 1989. стр. 111.

ყოველწლიურად მოიხმარს 700-750 მილიონ ბარელ თხევად სათბობს, რაც ორჯერ აჭარბებს მთელი აფრიკის მოხმარების საშუალო წლიურ მოცულობას. ყველა ქვეყანა ქმნის ნავთობისა და სხვა სახის სათბობის მნიშნელოვან მარაგს.

აშშ-ში ენერგო-რესურსების განსაკუთრებით დიდ მარაგებს ქმნიან. ამ სახისაა ე. წ. „პირველადი" და „მეორადი" მარაგები. „პირველად" მარაგში ითვალისწინებენ ნავთის და გაზის მარაგს საცავებში. ხოლო „მეორედ" მარაგებად განხილება გაუხსნელი ბუნებრივი მარაგები. 1990 წ აშშ-ს ნავთის მარაგმა შეადგინა 1 მილიარდი ბარელი. ამჟამად ნატოს ქვეყნების მარაგი იქმნება 90 დღიანი მოხმარებისათვის.

დასავლეთის ქვეყნები ქმნიან სურსათისა და სოფლის მეურნეობის დიდ მარაგებს, ასეთი მარაგების საწყობები განლაგებული აქვთ ძირითადად მოხმარებისა და გადამუშავების რაიონებში, რათა მაქსიმალურად იქნეს შემცირებული გადაზიდვის ხარჯები და საგანგებო პირობებში გამოყენების მართვა გაადვილდეს. სურსათისა და სოფლის მეურნეობის მარაგების 25% განთავსებულია წარმოების ადგილებში, ხოლო 75% საწყობებში, რომლებიც მოთავსებულია კატეგორირებული ქალაქებიდან 50 კმ-ზე დაშორებით.

4. ეკონომიკის სამობილიზაციო მიმართულებად სატრანსპორტო და კავშირგაბმულობის სისტემა ითვლება, რომელიც ითვალისწინებს მოსახლეობის გადარჩენის დიდ ალბათობებს (ევაკუაცია და სხვა).

დასავლეთის ქვეყნებიდან მაგალითად, ნატოს ქვეყნები დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ რკინიგზასა და საავტომობილო ტრანსპორტის მობილიზაციას, ხოლო აშშ — საზღვაო და საჰაერო ტრანსპორტსაც.

5. ეკონომიკის სამობილიზაიცო მომზადებისათვის არსებითი და უაღრესად დიდ მნიშვნელობა აქვს სოფლის მეურნეობის მომზადებას. მშვიდობიანობის დროს სოფლის მეურნეობის მომზადება ნიშნავს: ჯერ ერთი, რომ მას შეეძლოს შექმნას სურსათისა და ნედლეულის მნიშვნელოვანი რეზერვები;

მეორე, საგანგებო სიტუაციაში (სამუშაო ძალის დაკარგვის მიუხედავად) უნდა აწარმოოს იმდენი პროდუქცია, რომ სურსათით უზრუნველყოს მთელი მოსახლეობა და შეიარაღებული ძალები.

ქვეყნის ეკონომიკის სამობილიზაციო მომზადება ქმნის საფუძვლებს ეკონომიკის მდგრადი ფუნქციონირებისათვის. თანამედროვე პირობებში გამოჰყოფენ ეკონომიკის მდგრადი ფუნქიცონირებისათვის ძირითად მიმართულებებს, რომელიც დაკავშირებულია ეკონომიკის სამობილზაციო მომზადების მიმართულებებთან და ისინი ურთიერთს განაპირობებენ.

ეკონომიკის მდგრადი ფუნქციონირების ამაღლების ძირითად მიმართულებად მიჩნეულია საწარმოთა განცალკევება. სამრეწველო საწარმოთა განცალკევებაში განიხილება სამი ძირითადი მიმართულება: 1. ახალი საწარმოების მშენებლობის შეზღუდვა კატეგორირებულ ქალაქებში. მაგალითად, ინგლისში და იაპონიაში კანონით აკრძალულია ასეთ ქალაქებში დიდი სამრეწველო საწარმოების განლაგება; 2. კატეგორირებული ქალაქებიდან საწარმოების გადატანა პატარა ქალაქებში, ე.წ. მსხვილი სამრეწველო ცენტრების დეცენტრალიზაცია. 60–იან წლებში ქ. პარიზიდან გატანილი იქნა 899 საწარმო, ხოლო 2000 წლისათვის გეგმა ითვალისწინებდა ქალაქ პარიზის მოსახლეობის 24%-ით შემცირებას, რის შედეგადაც იგი უკვე 70-იან წლებშიევე 29%-ით შემცირდა[1]; 3. სუსტად განვითარებული და აუთვისებელ ადგილებში საწარმოთა განლაგება. აღნიშნული კუთხით მუშაობის ადგილებად აშშ მიიჩნევდა ქვეყნის სამხრეთ-აღმოსავლეთის აუზს, მთიან მხარეებს, სამხრეთ და ჩრდილო-დასავლეთის ტერიტორიებს. ანალოგიური მიდგომები განახორციელა საფრანგეთმა და ინგლისმა. საფრანგეთის მთავრობამ გაითვალისწინა ტერიტორიის ჩრდილო-დასავლეთი,

[1] Государственное воздействие на размещение производственных сил в капиталистических странах, М., 1970. стр. 104-105.

სამხრეთ-დასავლეთი და ცენტრალური საფრანგეთის ზოგიერთი ადგილები; ინგლისმა ტერიტორიის აღმოსავლეთი ნაწილი.

საშუალო და მცირე ქალაქებში საწარმოთა განლაგების, მცირე ზომის საწარმოების მშენებლობისათვის 1996 წელს რუსეთმა სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოჰყო 500 მილიარდი რუბლი, რასაც მცირე ბიზნესის განვითარებისათვის ხელი უნდა შეეწყო.

თანამედროვე პირობებში ეკონომიკის მდგრადობის უზრუნველყოფის ერთ-ერთი პრობლემატური საკითხია სახელმწიფო მატერიალური მარაგების და მასთან ერთად სამობილიზაციო მატერიალური მარაგების ტერიტორიული განლაგება, როგორც დაცვის თვალსაზრისით, ისე საგანგებო პირობებში რაციონალური მოხმარებისათვის. ცხადია, სამობილიზაციო მომზადების მიმართულებები რთული და მრავალწახნაგოვანია, რაც მოითხოვს მათ გადაწყვეტას არა ცალსახა-ცალკეული ღონისძიებების მიხედვით, არამედ კომპლექსურად, სათანადო პროგრამების დამუშავების საფუძველზე. უწინარეს ყოვლისა, საჭიროა ქვეყნის არსებული პოტენციალის შესწავლა და სამობილიზაციო მომზადების მარაგების ნომენკლატურის შესაბამისი მოთხოვნილების შევსება (შესყიდვების გათვალისწინებით). საკითხის ასეთი დაყენება საშუალებას იძლევა განისაზღვროს: რა და როგორი რაოდენობით, სად განლაგდეს შესაბამისი ტექნოლოგიის და ტექნოლოგიური ნორმების დაცვით, პასუხისმგებელი სპეციალისტების გამოყენებით, საგეგმო და საბიუჯეტო ღონისძიებებთან შესაბამისად და სხვა.

2.2. სამობილიზაციო მომზადებისა და მზადყოფნის მატერიალური მარაგების ფორმირების პრობლემები

სამობილიზაციო მომზადების სამეურნეო საქმიანობის დონის შეფასება დარგებისა და ტერიტორიულ რგოლებში ემყარება ნორმატივების სისტემას.

ეკონომიკის განვითარების თანამედროვე ეტაპზე, ე. ი. საბაზრო ურთიერთობათა პირობებში, განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს ნორმირებისა და ნორმატივების მაჩვენებელთა სისტემის განსაზღვრისა და ბიუჯეტების შედგენის ადრინდელი პრაქტიკის გარდაქმნა-სრულყოფა, თეორიული პრინციპებისა და მეთოდოლოგიის საკითხების მეცნიერული კვლევის სამუშაოთა შემდგომი გაძლიერება–გაღრმავება, სხვა ქვეყნების გამოცდილებათა გათვალისწინება. ამის აუცილებლობა კიდევ უფრო იზრდება აღრიცხვის ახალი მეთოდის - ეროვნულ ანგარიშთა სისტემის დანერგვის პირობებში, რომელიც მოითხოვს სტატისტიკური დაკვირვების, გამოკვლევის ხერხების ახლებურად გამოყენებას, ეროვნულ მეურნეობის დარგობრივი სტრუქტურისა და სოციალურ-ეკონომიკური მოვლენების ამსახველი მაჩვენებლების მნიშვნელოვან შეცვლას და სრულყოფას.

– სამობილიზაციო მომზადების დაგეგმვისა და პროგნოზირების დროს, განსაკუთრებით ხანგრძლივი პერიოდისათვის, ფართოდ გამოიყენება ნორმებისა და ნორმატივების კომპლექსურ მაჩვენებელთა სისტემა, რომელიც მეცნიერულად დასაბუთებულია, ასახავს საზოგადოებრივ მოთხოვნილებებს და გამოიყენება პერსპექტივაში გადასაწყვეტი კონკრეტული მიზნებისა და ამოცანების განსაზღვრისათვის. სამობილზაციო მომზადების ნორმატივების ჩამოყალიბების დროს დიდი მნიშვნელობა ენიჭება იმ პრინციპებსა და მეთოდებს, რომლებიც გამოიყენება ეკონომიკური ნორმატივების დამუშავების დროს. სამობილზაციო მომზადების ნორმები ხასიათდება ორმაგი ბუნებით: ჯერ ერთი, იგი ექცევა დარგობრივი და ტერიტორიული რგოლების მუშაობის (ფუნქციონირების) გავლენის ქვეშ და

ახასიათებს ეკონომიკური და სოციალური განვითარების გეგმებში. მეორე, სცილდება ეკონომიკური ურთიერთობის ჩარჩოებს ომის, ან საგანგებო პირობებში. ნორმატივის ეს ორმაგი ბუნება ვარაუდობს მის გათვალისწინებას მშვიდობიანი და ექსტრემალური პერიოდისათვის, რის შედეგადაც ნორმატივი უნდა განისაზღვროს როგორც სამხედრო-ეკონომიკური კატეგორია.

ქვეყნის ეკონომიკის სამობილიზაციო მომზადების ნორმატიული ბაზის ჩამოყალიბების დროს გაითვალისწინება, როგორც ეკონომიკური და ტექნიკურ-ეკონომიკური ნორმები, ასევე საკანონმდებლო ასპექტები. სამობილიზაციო მომზადების ნორმატივებზე სამხედრო-ეკონომიკური მოთხოვნის პრინციპებია: მეცნიერული დასაბუთება, პროგრესულობა, გრძელვადიანი სტაბილურობა და დიფერენცირებადობა, რეალურობა და პერსპექტივაში განახლება.

სამობილიზაციო მომზადების ნორმატივები თავისი სამხედრო-ეკონომიკური არსით ასრულებენ: მიზანმიმართულების, გეგმიურობის, ანალიტიკურობის, კოორდინაციული სარეზერვო და მასტიმულირებელ ფუნქციებს.

მიზანმიმართულების ფუნქცია გულისხმობს ეკონომიკის სამობილიზაციო მომზადების მიზნებისა და ამოცანების სტრუქტურის აგებას საგეგმო ნორმატივების სტრუქტურის მიხედვით; გეგმიურობა გამომდინარეობს თვით ნორმატივების ბუნებიდან, რადგან ისინი მიიღება საგეგმო დავალებათა დადგენისათვის ორიენტირად; ანალიზურობა გამომდინარეობს მდგრადობის მოთხოვნებიდან მომზადების შედარებითი ანალიზისათვის; ნორმატივების სარეზერვო ფუნქცია უზრუნველყოფს შეიარაღების ამოცანების პრიორიტეტულობას, რაც განპირობებულია მშვიდობიანობის დროს სპეციალური მუშაობის ჩატარებით; მაკოორდინებელი ფუნქცია იძლევა, საშუალებას მომზადების ამაღლების მიზნით გადაწყდეს ღონისძიებები ყველა დონის შეთანაწყობისათვის; სტიმულირების ფუნქცია დაკავშირებულია ყველა სახის საქმიანობის შეფასებისა და სტიმულირების სრულყოფასთან.

სამხედრო-ეკონომიკურ ნორმატივებს ღებულობს სპეციალური სამთავრობო ორგანოები, სახელმწიფო სტანდარტების შესაბამისად. მიზანშეწონილია არსებობდეს ტიპიური სამობილიზაციო მომზადების ნორმატივების სახელმძღვანელო კატალოგები, როგორც სანორმატივო დოკუმენტი, რომლისთვისაც დამახასიათებელი იქნება ქვეყნის თავისებურებანი. როგორც ცნობილია, სამობილიზაციო მომზადებაზე მთელი მუშაობა მიმდინარეობს მისი ეფექტიანობის თვალთახედვით პროგრესულობისა და პერსპექტიულობიდან გამომდინარე, სადაც ნორმატივები ასრულებენ მიზანმიმართულ და მაკოორდინებელ როლს.

სამხედრო-ეკონომიკური ნორმატიული მეთოდი ემყარება ნორმებისა და ნორმატივების სისტემას, რომლებიც კომპლექსურად განიხილებიან მდგრადობის ამაღლების ხუთი ძირითადი მიმართულების შესაბამისად. მათ გააჩნიათ თავიანთი მოქმედების – დარგობრივი და რეგიონალური სფერო და გამოყენების დონე. აღნიშნული მიმართულებები დაიყოფა შემდეგი ნიშნების მიხედვით: 1. სამეურნეო და სოციალური საქმიანობის ეფექტიანობა მუშაობის მდგრადობის კრიტერიუმის მიხედვით; 2. დარგობრივ-ტერიტორიული დაყოფა; 3. ექსტრემალური ვითარება, მათ შორის ომისათვის მზადყოფნის დროს.

მდგრადი ფუნქციონირების ხუთ ძირითად მიმართულებად მიღებულია:

I. მოსახლეობის დაცვის უზრუნველყოფა, სადაც გაითვალისწინება:

1. დამცავი მოწყობილობებით უზრუნველყოფა (%-ობით); 2. ინდივიდუალური დაცვის საშუალებებით უზრუნველყოფა (%-ობით);

II. საწარმოო ძალების რაციონალური განლაგება, მ. შ.: 1. მთლიანი შინა პროდუქტის მოცულობა სახეების მიხედვით (%-ობით); 2. მატერიალური საშუალებების მარაგი (%-ობით);

III. მოსამზადებელი სამუშაოები: 1. სათბობის, წყლის, ელექტრომომარაგება (ავტონომიური); 2. პროდუქციის წარმოება

საგანგებო პირობებში;

IV. აღდგენითი მეურნეობის მომზადება (მარაგების შექმნა აღდგენითი სამუშაოების ჩასატარებლად);

V. მმართველობითი სისტემის ორგანიზაცია: 1. სათადარიგო პუნქტებით უზრუნველყოფა (%-ობით); 2. სათადარიგო პუნქტების დაკომპლექტება დადგენილი ნორმებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად.

აღნიშნული მიმართულებებიდან გამომდინარე, სათბობ-ენერგეტიკული რესურსების მართვის, ასევე მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების და სხვა სფეროში შესაძლებელია გამოყენებული იქნეს სხვადასხვა ნორმატივები, ხოლო შენობა-ნაგებობების, საწარმოო მოწყობილობების ფიზიკური ბაძძლეობის ნორმატივები აიღება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

წარმოების მდგრადი ფუნქციონირების მიმართულებით პროგნოზი დიდადაა დამოკიდებული საინვესტიციო სტრუქტურაზე და თვით სამეურნეო საქმიანობის კონკრეტულ თავისებურებებზე. არსებული მსხვილი ობიექტებისათვის (სამრეწველო ცენტრებისათვის), ანუ როგორც მათ ეწოდებათ კატეგორირებული ქალაქებისათვის ნორმატიული მომზადების სამეურნეო მექანიზმის ჩამოყალიბება რთულია. ჯერ ერთი, ამ მიმართულებით არ არსებობს გამოკვლევები; მეორე, ზოგიერთი მეცნიერის თვალსაზრისით პრაქტიკულად აზრი არა აქვს მექანიზმის შერჩევას, ზოგსაც ეს საკითხი უინტერესოდ მიაჩნია. ჩვენი თვალთახედვით ეს ასე არ უნდა იყოს, რადგან კატეგორირებული ცენტრი-ქალაქი ყოველთვის მიზნობრივი ობიექტია მოწინააღმდეგისათვის თავისი სამრეწველო, კონცენტრირებული მოსახლეობით და სხვა ინტერესებით. კატეგორირებული ქალაქის მომზადება, ანუ რაც იგივეა მომზადების მექანიზმების ფორმირება ნორმატივების საფუძველზე ძირითადად უნდა დაეყრდნოს პირველ რიგში მოსახლეობის გადარჩენის საკითხებს. შემდეგ უნდა მომზადდეს წანამძღვრები საწარმოო ძალების რაციონალური განლაგებისა და აღდგენითი სამუშაოებისათვის.

ქვეყნის სამობილიზაციო მომზადების პრიორიტეტულ

პრობლემას წარმოადგენს ავტონომიურობა (ქვეყნის, ქალაქის, საწარმოს და სხვა ავტონომიური მზადყოფნა). ავტონომიურობის საკითხი მჭიდრო კავშირშია ეკონომიკის შეუფერხებელი მყარი ფუნქციონირების სისტემასთან – მზადყოფნის კონცეფციასთან, რომელიც განიხილება, როგორც გარედან დროებითი ფაქტორების ზემოქმედებისათვის წინააღმდეგობის გაწევა შედარებით (არააბსოლუტურად) დამოუკიდებელი, შეზღუდული მატერიალური მარაგების, შრომითი რესურსების და სხვათა არსებობის პირობებში.

აღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებით ღონისძიებები, თავის მხრივ, ითვალისწინებს უარყოფითი შედეგების შემცირებას. მაგრამ ამასთან საჭიროა საკმაოდ დიდი რაოდენობის დანახარჯები. სხვანაირად რომ ვთქვათ, საჭიროება მოითხოვს შემუშავდეს ავტონომიურობის კონცეფცია მთელი ეროვნული მეურნეობის მასშტაბით. ცნობილია, რომ ამჟამად ავტონომიური ფუნქციონირების საკითხები არ მუშავდება ქვეყნის არცერთ დონეზე. დღემდის არაა განსაზღვრული თვით ავტონომიურობის კონცეფციის ცნებაც. ფაქტია, იგი სამხედრო-ეკონომიკური კატეგორიაა და გულისხმობს მეურნეობის სხვადასხვა რგოლების შეუფერხებელი მუშაობისათვის მომზადებას დროის გარკვეულ მონაკვეთში.

ისეთი რთული სისტემის, როგორც სოციალურ-ეკონომიკური სისტემაა თავისი მთლიანობით, ასევე დარგებისა და საწარმოების ავტონომიურობაც საკმაოდ რთულია, როგორც შიგა ფაქტორების გავლენის, ისე გარე ფაქტორების (ომის) ზემოქმედების შემთხვევაში. სრული და აბსოლუტური დამოუკიდებლობა (ავტონომიურობა) არ შეიძლება რომელიმე რგოლისათვის, არამედ მხედველობაშია მეურნეობისა და შეიარაღების უზრუნველყოფა.

სოციალურ-ეკონომიური სისტემის ავტონომიურობა (დამოუკიდებელი ფუნქციონირება) მიზანშეწონილია განიხილებოდეს, როგორც შესაძლებლობების მაქსიმალური გამოყენება (სტრუქტურული ტრანსფორმაცია, დარღვეული

კავშირების პირობებში შესაძლო ფუნქციონირება). იმისათვის, რომ სისტემამ თითქმის 100%-იან ავტონომიურობას მიაღწიოს, საჭიროა სამობილიზაციო მომზადების მატერიალური მარაგები გაანგარიშებული იქნეს საკმაო სიზუსტით ნორმების და ნორმატივების მეცნიერული შეფასების საფუძველზე.

ეკონომიკის მდგრადი ფუნქციონირებისათვის, საგანგებო პირობებში გადამწყვეტი მნიშვნელობა სამობილიზაციო მომზადების მატერიალური მარაგებიდან ენიჭება დეფიციტურ ნედლეულს და მასალების რეზერვებს.


სამხედრო უსაფრთხოების პოზიციიდან ერთ-ერთი ძირითადია სამობილიზაციო მომზადებისა და მზადყოფნის მატერიალურ ფასეულობათა მარაგებისათვის ინვესტიციური რესურსების საკითხი. რა თქმა უნდა, მხოლოდ სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯზე, უცხოური ინვესტიციების გარეშე, ვერ მოხერხდება იმ რაოდენობით მატერიალურ ფასეულობათა მარაგების დაგროვება, როგორც ამას უნდა ითვალისწინებს სახელმწიფო დოქტრინა. მკვეთრად უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ამ მხრივ, უცხოური ინვესტიციების გამოყენება მეტად სათუთი საქმეა. გარდა ამისა, უცხოური ინვესტიცია მხოლოდ მაშინ იქნება გამართლებული და ეფექტიანი, როცა იგი არაა ერთადერთი და მთავარი ფინანსური წყარო, არამედ როცა მას ექნება მხოლოდ ნაწილობრივი შემავსებელი ფუნქცია (დეფიციტური ნედლეულისა და მასალების შემოზიდვისათვის). პატერა სახელმწიფოსათვის არაა გამართლებული უცხო ქვეყნების ინვესტიციების ფართოდ გამოყენება, რასაც დასავლეთის ქვეყნების გამოცდილებაც ადასტურებს.

უკანასკნელ პერიოდში მოხდა საქართველოს სამობილიზაციო მზადყოფნის მატერიალური მარაგების გაერთიანება საქართველოს სახელმწიფო რეზერვების სისტემაში, რაც იერარქიულობის თვალსაზრისით მათი გამოყენების მართვასა და ორგანიზაციაში სირთულეებს წარმოშობს. ამასთან სახელმწიფო რეზერვების სისტემა არ მოიცავს საწარმოებს, ორგანიზაციებს, რომლებიც საქართველოს სახელმწიფო

მატერიალური რეზერვების სახელმწიფო სააგენტოსთან დადებული ხელშეკრულების საფუძველზე ახორციელებენ მატერიალურ ფასეულობათა საპასუხისმგებლო შენახვასა და დაგროვებას, რაც აგრეთვე ეწინააღმდეგება სამობილიზაციო მომზადების მატერიალური მარაგების სისტემურობისა და იერარქიულობის პრინციპებს. სამობილიზაციო მომზადების მატერიალური მარაგების შექმნის მეცნიერული დასაბუთებულობის პრინციპი იყო გათვალისწინებული ეკონომიკის სტაბილურად ფუნქციონირებისა და განლაგების თვალთახედვითაც.

თანამედროვე ეკონომიკის პირობებში ღონისძიებათა ყველა მნიშვნელოვანი სტრუქტურის თავისებურებანი, რომელიც უნდა იყოს მიმართული სამობილიზაციო მზადყოფნის სისტემის სტაბილურად ფუნქციონირების ამაღლებისაკენ, მოითხოვს ამოცანათა კომპლექსურ გადაწყვეტას, მშვიდობიანობის დროს ღონისძიებების გატარებას. მშვიდობიანობის დროს გატარებული ღონისძიებათა კომპლექსს სქემატურად შემდეგი სახე აქვს (იხ. ნახ. 2):

ქვეყნის სამობილიზაციო მომზადებისა და მზადყოფნის სისტემიდან გამომდინარე, მისი შესაძლო ფუნქციონირების ამაღლების ღონისძიებების დაგეგმვის საბოლოო ეტაპს წარმოადგენს მომზადების კრიტერიუმის შერჩევა. სამობილიზაციო მომზადების კრიტერიუმად შეიძლება მივიჩნიოთ ფარდობითი დამოკიდებულება. თუ ფარდობა ერთზე ბევრად ნაკლები იქნება, მაშინ საჭიროა სამობილიზაციო მომზადებისათვის დამატებითი დაფინანსება და შესაბამისი ღონისძიებების გატარება. ეს კრიტერიუმი იანგარიშება, როგორც ღირებულებით, ისე ნატურალურ გამოსახულებაში ძირითადი სამრეწველო პროდუქციის სახეების მიხედვით. მინიმალურად დასაშვები მნიშვნელობა ითვალისწინებს სამრეწველო პროდუქციის მოხმარებას ნორმების მიხედვით შესაბამის პირობებში (ომის დროს).



ნახ. 2. მშვიდობიანობის დროს გატარებული ღონისძიებების კომპლექსურიბლოკ-სქემა. სტაბილურად ფუნქციონირებისათვის

საქართველოს სამობილიზაციო მომზადების არსებული მარაგები საკმაო რაოდენობით შეიცავს ე.წ. ფიქტიურ მარაგებს, რაც მეტად აქტუალურ პრობლემად გვესახება. სამობილიზაციო მომზადების ფიქტიური მარაგი ის ნაწილია, რომელმაც განიცადა ფიზიკური და მორალური ცვეთა, აღარ შეიძლება გამოყენებულ იქნას სამხედრო მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად და რაოდენობრივადაც მიზანშეწონილი არაა, რაციონალურ მოთხოვნილებებზე მეტია. ასეთი მარაგები შეიძლება განვიხილოთ ნატურალურ-ნივთობრივ და ღირებულებით ასპექტში. ნატურალურ-ნივთობრივი ფორმით ფიქტიურია ის მარაგი, რომელსაც დაკარგული აქვს თავისი სახმარი ღირებულება, რის გამოც ვერ პასუხობს სამხედრო მოთხოვნილებებს. ღირებულებითი ფორმით ფიქტიური მარაგი შეიძლება სამ ნაწილად დაიყოს: ფუნქცია-დაკარგული, გამოუყენებელი მარაგი; ქონებაში განივთებული აქციზური გადასახადი და მარაგების ცვეთის ღირებულება.

აღნიშნული სახის მარაგის გათვალისწინება: ქმნის სამობილიზაციო მომზადების ეკონომიკური პოტენციალის ილუზიურ სურათს; არასწორ ინფორმაციას აძლევს სამხედრო-სამეურნეო მართვის ორგანოებს; იწვევს არასწორი, მცდარი სამეურნეო პოლიტიკის გატარებას და სხვ. ფიქტიური მარაგი ქმნის არამარტო კარგადყოფნისა და შესაძლებლობების ილუზიურ სურათს, არამედ შეიცავს საწარმოო, ტექნოლოგიური, თუ სხვა სახის საგანგებო შემთხვევების მომატებულ რისკს. ამორტიზებული მარაგები, მოწყობილობები, სატრანსპორტო საშუალებანი წარმოქმნიან ავარიის, ტრაგედიის საფრთხეს და ა. შ. ასეთი საგნების ექსპლუატაციის გახანგრძლივება გეომეტრიული პროგრესიით ზრდის არასახარბიელო შედეგების ალბათობებს. განსაკუთრებით საყურადღებოა გამოუყენებელი მარაგებიდან ნედლეულის რეზერვები, მასალების, სათბობის, წვრილი სამეურნეო ინვენტარისა და ხელსაწყოების სახით.

მაშასადამე, ფიქტიური სამობილიზაციო მარაგი სოციალურად, ეკონომიკურად და თვით პოლიტიკურადაც

უაღრესად ნეგატიურ მომენტებს შეიცავს. მათი აღრიცხვა და შესწავლა ხელს შეუწყობს სამობილიზაციო მომზადების ფაქტიური მარაგებისა და ფუნქციის ეფექტიანობის ამაღლებას.

სამობილიზაციო მომზადების პრიორიტეტულ საკითხს თანამედროვე პირობებში წარმოადგენს, აგრეთვე, სასურსათო უსაფრთხოება. იმის გამო, რომ საჭიროა, ჯერ ერთი, ადამიანთა ფიზიოლოგიური საფრთხისაგან დაცვა, ამ საფრთხეთა შემცირება და ნეიტრალიზება; მეორეც, სურსათის ხელმისაწვდომობის პირობების შექმნა. სწორედ ეს ორი მთავარი პირობა – საკმარისობა და ხელმისაწვდომობა დაფიქსირებულია საერთაშორისო სასურსათო უსაფრთხოებაში. სასურსათო უსაფრთხოება ხასიათდება, როგორც ეკონომიკის ისეთი მდგომარეობა, რომლის დროსაც ქვეყნის ყველა მოქალაქეს გარანტირებულად ხელეწიფება მიიღოს სურსათი იმ რაოდენობით, რომელიც აუცილებელია აქტიური და ჯანსაღი ცხოვრებისათვის.

სახელმწიფოს სასურსათო უსაფრთხოება ფართოდაა დაკავშირებული სურსათის საკმარისობასა და ხელმისაწვდომობასთან, როგორც მშვიდობიან, ისე საგანგებო პირობებში. სურსათის საკმარისობა და ხელმისაწვდომობა ბევრად განსაზღვრავს საზოგადოების სოციალურ და პოლიტიკურ სტაბილურობას.

სასურსათო პრობლემის საერთაშორისო ხასიათის გამო სურსათის საკმარისობა და ხელმისაწვდომობა არის ისეთი საერთაშორისო სასურსათო ფაქტორების გავლენის ქვეშ, როგორიცაა: მსოფლიო სასურსათო ბაზარზე ფასები, სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოებაში რყევები, ლოკალური კონფლიქტები და ა.შ. სრულიად რეალურია ისეთი სიტუაციაც, როცა აღნიშნულმა ფაქტორებმა შეიძლება ნეგატიური გავლენა იქონიონ სურსათის საკმარისობასა და ხელმისაწვდომობაზე და გამოიწვიოს საზოგადოების დესტაბილიზაცია.

თანამედროვე მსოფლიოში ძირითადად სასურსათო პრობლემა მეტ-ნაკლებად კონცენტრირდება მარცვლეულზე, რომლის საკმარისობა, სპეციალისტების აზრით, უზრუნველყოფს

სასურსათო მდგრადობას და ქმნის გარანტიებს საგანგებო პირობებისათვის. ამასთან, უსაფრთხოდ ითვლება გარდამავალი მარაგების ის რაოდენობა, რომელიც შეესაბამება მსოფლიოს მარცვლეულის მოხმარების 60 დღეს, ანუ მთელი მოხმარების 17%-ს (ფაო-ს ექსპერტების შეფასებით).

მსოფლიოს ქვეყნების სასურსათო უსაფრთხოების პრობლემა ხასიათდება სიმწვავის სხვადასხვა ხარისხით, რაც განპირობებულია ძირითადად საწარმოო ძალების განვითარების სხვადასხვა დონით, წარმოებითი ურთიერთობებით, კლიმატურ-ნიადაგური პირობებით და ა. შ., ე. ი. მსოფლიოს წინაშე სურსათის უკმარისობის საფრთხის ნეიტრალიზაციის ამოცანას წარმოადგენს სურსათის საჭირო რაოდენობით სტაბილური უზრუნველყოფა, ნებისმიერ პირობებში (მათ შორის საგანგებო პირობებშიც).

აქედან გამომდინარე, სამობილიზაციო მომზადების მარაგებში, უწინარეს ყოვლისა, უნდა შევიდეს ძირითადად სასოფლო-სამეურნეო მარცვლეულის (ხორბლის) მარაგები. თვითუზრუნველყოფის მიღწევის აუცილებლობის შესახებ თეზისი მთელი რიგი ავტორების მიერაა დეკლარირებული. მაგ., რუსი მეცნიერები ს. ტარასოვი და ს. ფილიევი თვლიან, რომ ქვეყანა უნდა უზრუნველყოფდეს კვების პროდუქტებით მიმდინარე და საგანგებო პირობებში მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას საკუთარი რესურსების ხარჯზე. სლოვაკელი სპეციალისტები მიიჩნევენ, რომ სასურსათო უსაფრთხოების ზღვარია სურსათის წარმოების ისეთი დონე, რომელიც უზრუნველყოფს საკუთარი რესურსებით რეალური მოთხოვნილებების მინიმუმ 90%-ის დაკმაყოფილებას. აღსანიშნავია ისიც, რომ დასავლეთის განვითარებული ქვეყნებისათვის არ არსებობს თვითუზრუნველყოფის დონის ერთიანი კრიტერიუმები[1]. ჩვენის აზრით, უნდა მოხდეს მოცემული ქვეყნის ეკონომიკური

[1] ზ. გარაყანიძე, ნ. მოდებაძე. სასურსათო უსაფრთხოების ზოგიერთი პრობლემები საქართველოში. თბ., 1998. გვ.8.

პოტენციალის, მისი სასოფლო-სამეურნეო წარმოების ბუნებრივ-კლიმატური და სხვა პირობების, აგრეთვე ჩამოყალიბებული ტრადიციების, როგორც წარსულების, ისე მოსახლეობის კვების სტრუქტურის, ეკოლოგიური მდგომარეობის, მარაგების შენახვის თვისებების, პირობებისა და სხვ. გათვალისწინება.

— სამობილიზაციო მომზადების მატერიალურ ფასეულობათა მარაგების სასაწყობო მეურნეობის ოპტიმალური განლაგება ქვეყნის ტერიტორიაზე ერთ-ერთ პრინციპულ საკითხს წარმოადგენს. ამას, პირველ რიგში განაპირობებს ის, რომ საბაზრო ეკონომიკის „მოთხოვნა-მიწოდების" კანონი (სადაც მოთხოვნაა, იქ მიწოდებაც უნდა იქნეს). გარდა ამისა, როგორც ცნობილია, საწარმოთა ოპტიმალური ტერიტორიული განლაგება ითვალისწინებს საწარმოო და სატრანსპორტო დანახარჯების მინიმიზაციას, რაც შინაარსობრივად მოთხოვნა-მიწოდების ურთიერთკავშირს ასახავს.

ქვეყნის სამობილიზაციო მომზადების მატერიალურ ფასეულობათა მარაგების სასაწყობო მეურნეობის განლაგება ქვეყნის ტერიტორიაზე, ოპტიმალური განვითარებისა და განვრცობის ეკონომიკურ-მათემატიკური მოდელირების საფუძველზე უნდა გადაწყდეს. შერჩეული მოდელის მიზნის ფუნქციის ძირითადი კრიტერიუმია სამხედრო-სავჭარისო ფორმირებების ტერიტორიული განლაგების მიმართ სატრანსპორტო დანახარჯების მინიმიზაცია, ამავე დროს, საჭიროების შემთხვევაში, გაითვალისწინება გამოყენების სისწრაფე (დროის მინიმიზაცია).

— ნედლეულისა და მატერიალური მარაგების მნიშვნელობა განსაკუთრებით დიდია აღდგენითი პროცესების დროს, კერძოდ, იმ პირობებში, როცა საწარმო მოწყვეტილი აღმოჩნდება მომარაგების წყაროებს. ადგილზე არსებული მარაგები კი ხელს უწყობს წარმოების პროცესის გაგრძელებას, ან თვით საწარმოების აღდგენასა და მწყობრში ჩადგომას. აღდგენის პერიოდში დიდი ყურადღება ეთმობა ეკონომიკის მართვას და დაგეგმვის საკითხებს, რამდენადაც ითვლება, რომ ამ პერიოდში წარმოიქმნება უამრავი

პრობლემა, რომელთა შორის მნიშვნელოვანია: სიტუაციისა და შედეგების პროგნოზირება, არსებული მარაგების (რესურსების) განაწილება თანმიმდევრულად, დარგების პრიორიტეტების მიხედვით; აღდგენითი სამუშაოების ხელმძღვანელთა მომზადება, მარაგების რაციონალური და მიზნობრივი გამოყენება და სხვა.

უკანასკნელ პერიოდში აშშ-ში მნიშვნელოვანი ყურადღება მიექცა ეკონომიკის მდგომარეობის ამაღლებასა და აღდგენითი სამუშაოების მეცნიერულ დამუშავებას. ამასთან დაკავშირებით, ჯერ კიდევ 1970 წელს დამუშავდა დარგთაშორისი მოდელი, რომელშიც ძირითად პრობლემებს წარმოადგენდა ეკონომიკის მდგრადი ფუნქციონირება. სამუშაოთა ძირითად ნაწილს ასრულებდა ჰარვარდის ეკონომიკური კვლევის ცენტრი. მონაცემების დამუშავება შეგროვებაში მონაწილეობა მიიღო ჯეკ ფოსეტას ასოციაციამ. ხოლო კონსულტაციებს უწევდა ა. კარტერი და ვ. ლეონტიევი. მუშაობის პროცესმა გასტანა სამნახევარი წელი.

აღსანიშნავია, რომ არ მოხდა მოდელის ტრანსფორმაცია წრფივი პროგრამირების მოდელად, რადგანაც ადგილი ექნებოდა შემხვედრ მოწოდებებს, რაც გაზრდიდა სატრანსპორტო ხარჯებს (მოდელის შესაბამისი სისტემის განზომილება 82X82 იყო).

აღნიშნული საბალანსო მოდელი ფაქტობრივად წარმოადგენდა საწარმოო ფუნქციას. იგი მოიცავს შრომითი და მატერიალური რესურსების განაწილებას. საბალანსო მოდელის ფორმულირება დაემყარა 3432 განტოლებას თავისი შეზღუდვების პირობებთან ერთად. ცალკეული მათგანი განსაზღვრავდა თითოეულ შტატში პროდუქციის გამოშვებას. (მთლიანად 78 დარგი და 44 რაიონი). ნორმატიულ მაჩვენებელთა რიცხვმა 94 ათასს გადააჭარბა.

მსგავსი მოდელით შემდგომ გერმანიის ფედერაციულმა რესპუბლიკამ აწარმოვა საერთო ეროვნული ეკონომიკის აღდგენის სამუშაოების გაანგარიშება. საქართველოსათვისაც შესაძლებელია საბალანსო მოდელის მოდიფიკაცია საწარმოო ფუნქციად, რომლითაც მოხდება შრომითი რესურსებისა და მატერიალური

მარაგების დანაკარგების გაანგარიშება და მათი გადანაწილება, აგრეთვე აღდგენითი სამუშაოების ჩატარების პროგნოზირება.

2.3. სამობილიზაციო მომზადების სახელმწიფო რეგულირების მექანიზმი

ქვეყნის უსაფრთხოების პრობლემა ადრე გაიგივებული იყო ქვეყნის სამხედრო უსაფრთხოებასთან. დღევანდელი გადასახედიდან მეცნიერებაში ეს გაიგივება ეჭვს იწვევს. სამხედრო უსაფრთხოება ქვეყნის უსაფრთხოების ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილია, რომელიც მთელი სისტემის ერთ-ერთ კრიტერიუმს წარმოადგენს. იგი ექვემდებარება პოლიტიკურ უსაფრთხოებას, რომლის მთავარი ასპექტებია: ქვეყნის სახელმწიფოებრიობის განმტკიცება, ადამიანთა უფლებების დაცვა; საგარეო პოლიტიკური უსაფრთხოება; ტერიტორიული მთლიანობის, სახელმწიფო სუვერენიტეტის უზრუნველყოფა და სხვა. სამხედრო უსაფრთხოება ეფუძნება რა სახელმწიფო დოქტრინას, მოიცავს ქვეყნის მთელ სამხედრო პოტენციალს; სახელმწიფო ჯარების, საჰაერო თავდაცვის, სამხედრო სამეცნიერო-ტექნიკურ პოტენციალს; სამხედრო საკადრო პოტენციალის განვითარებას; სახელმწიფო ტერიტორიული საზღვრების დაცვას; სახელმწიფო უშიშროების სისტემის განვითარებას; სამხედრო უსაფრთხოების პოლიტიკურ უზრუნველყოფას და სხვა. ამასთან აუცილებელია თითოეული მათგანისათვის სამართლებრივი და ეკონომიკური უზრუნველყოფის პროგრამების შემუშავება და განხორციელება. პირველი გულისხმობს შესაბამისი საკანონმდებლო აქტების შემუშავებას და მიღებას პარლამენტისა და მთავრობის მიერ; მეორე, კი შესაბამის

საფინანსო-საბიუჯეტო უზრუნველყოფას[1].

საქართველოს სახელმწიფოს სამხედრო დოქტრინის პრიორიტეტს, როგორც ამას მსოფლიო თანამეგობრობა კარნახობს, ომისა და საომარი მოქმედებების შეწყვეტა, მშვიდობის შენარჩუნება წარმოადგენს. მაგრამ აშკარაა ისიც, რომ ქვეყანას დარღვეული სახელმწიფო საზღვრები გააჩნია, დროებით დაკარგული აქვს ტერიტორია, რომლის დაბრუნება ქვეყნის ეროვნული უსაფრთხოების ძირითადი და სასწრაფოდ გადასაწყვეტი პრობლემაა.

ისიც ნათელია, რომ თანამედროვე მსოფლიოში არც ერთ სახელმწიფოს არ შეუძლია უზრუნველყოს თავისი პოლიტიკურ-ეკონომიკური მიზნები და ინტერესები, სამხედრო ეკონომიკური უსაფრთხოება თავისი სამხედრო-ეკონომიკური პოტენციალის უზრუნველყოფის გარეშე, როგორც შიგა სახელმწიფოებრივ, ისე საერთაშორისო არენაზე. სამხედრო-ეკონომიკურ ბაზას წარმოადგენს ქვეყნის სამობილიზაციო მომზადების შესაბამისად შექმნილი რეზერვები.

მშვიდობის შენარჩუნების, საერთაშორისო უსაფრთხოების ძირითადი პრინციპები ეფუძნება „გაეროს“ წესდებასა და საერთაშორისო დოკუმენტებს. „გაეროს“ წესდების შესაბამისად მთავარი პასუხისმგებლობა მშვიდობის შესანარჩუნებლად და საერთაშორისო უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად ეკისრება „გაეროს“ უშიშროების საბჭოს. ჯერ კიდევ 1974 წლის გენერალური ასამბლეის მე-19 სესიამ მიიღო შემდეგი რეზოლუცია „აგრესია არის შეიარაღებული ძალის გამოყენება, სახელმწიფოს პოლიტიკური დამოუკიდებლობის ხელყოფა, ან ნებისმიერი სხვა ძალისმიერი მოქმედება, რომელიც არ შეესაბამება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდებას“. აქედან

---

[1] თ.ჩიკვაიძე საქართველოს მდგრადი და უსაფრთხო განვითარების პროგრამა XXI საუკუნისათვის: არსი, შინაარსი, ძირითადი პრობლემები. “ესპსკი”-ის შრ. კრებული. ტომი 1. თბ., 1996. გვ. 61-65.

გამომდინარე, მსოფლიოს ერთ-ერთი უმთავრესი მიზანია საერთაშორისო უსაფრთხოების შენარჩუნება. ვ. სერებრიანიკოვი აღნიშნავს, რომ „უსაფრთხოება არის ადამიანის, საზოგადოების, სახელმწიფოს, ადამიანთა მსოფლიო თანამეგობრობის მოღვაწეობა, რომლის მიზანია საშიშროების გამოვლენა, გაფრთხილება, შესუსტება, აცილება და ასახვა. წინააღმდეგ შემთხვევაში შესაძლებელია ქვეყნის დაღუპვა, ფუნდამენტური მატერიალური და სულიერი ფასეულობისაგან მოწყვეტა, პროგრესული განვითარების გზის გადაკეტვა“[1].

საქართველოს უსაფრთხოებაში ძირითადია დაძლეული იქნეს: ნებისმიერი აგრესიული მოქმედება როგორც გარედან, ისე შიგნიდან; სახელმწიფოებრიობის და ტერიტორიული მთლიანობის დარღვევა; ეკონომიკური და ტექნიკურ-ინფორმაციული ჩამორჩენილობა; წარმოების დაცემის, საწარმოო ბაზის შემცირების და მათთან დაკავშირებული თავდაცვითი მრეწველობის შესუსტება; ქვეყნის შიგნით და მოსაზღვრე ქვეყნებში რეგიონალური კონფლიქტები; კორუფცია; ნარკომაფიის საქმიანობა, გეო-პოლიტიკური და სამხედრო-პოლიტიკური გაურკვეველობა; სახელმწიფო საზღვრების დაუცველობა; ეკოლოგიური მდგომარეობის გაუარესება და ბუნებრივი სიმდიდრის განიავება. ამასთან, ვფიქრობთ, „ღია დერეფანი“ ვერცერთ სახლს გადაარჩენს გაძარცვისაგან.

საქართველოს სახელმწიფოებრივი ინტერესებისა და ტერიტორიული მთლიანობის, მისი კულტურული თვითმყოფადობის, ისტორიული ფასეულობების და ტრადიციების დაცვა ქვეყნის თითოეული მოქალაქის აუცილებელი და ზნეობრივი ვალია. ყოველივე ამით საიმედო გახდება საქართველოს ეროვნული უშიშროების დაცვა, რაც ხელს შეუწყობს სამობილიზაციო მომზადებას; მისი ერთ-ერთი საკითხია სამხედრო აღმშენებლობისა და თავდაცვის ორგანიზაციის, ქვეყნის უშიშროებასთან დაკავშირებული საშინაო და საგარეო პოლიტიკის სტაბილურობისა და

[1] **Серебряников В.В.**, „Вопросы философии", №2 1995. стр 26.

უსაფრთხოების უზრუნველყოფა. ამასთან უნდა აღინიშნოს, რომ ჯერჯერობით არაა გაცნობიერებული და შეფასებული ქვეყნის თავდაცვითი პრობლემები და ამ მიმართულებით არ მიმდინარეობს სათანადო თეორიული და პრაქტიკული სამუშაოები. ქვეყნისათვის აუცილებელია თავდაცვითი უსაფრთხოების მეცნიერულად დასაბუთებული სტრატეგია, სახელმწიფო პროგრამები და სამომავლო თავდაცვითი გეგმები. დღეს საქართველოს თავდაცვითი მდგომარეობა აწყდება მრავალ საშინაო და საგარეო წინააღმდეგობებს.

ქვეყნის თავდაცვითი სამობილიზაციო მომზადებისა და მზადყოფნის აუცილებლობის შესახებ თითქმის მიღწეულია აზრთა ერთიანობა. მიღებულია სამობილიზაციო მომზადების კანონი (იხ. 1999 წლის 13 ივლისი გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა". №185), რომელიც ქვეყნის დამოუკიდებელი, დინამიკური განვითარების საფუძვლებს ქმნის. მისი მიზანია სახელმწიფოსა და საზოგადოებას შეუქმნას სხვადასხვა სახის საშიშროების და მატერიალური დანაკარგების თავიდან აცილების გარანტია. ქვეყნის სამობილიზაციო მომზადების უმაღლესი და საკვანძო ფუნქციაა საზოგადოების სტაბილიზაციის უზრუნველყოფა. მან თავიდან უნდა აგვაცილოს ქვეყნის წინააღმდეგ მიმართული მუქარა. ამასთან, გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება საშიშროების წინასწარ განჭვრეტა-პროგნოზირებას. ქვეყნის მუქარის პროგნოზირებისა და შეფასებისათვის საჭიროა ობიექტური კრიტერიუმებისა და ინდიკატორების შერჩევა, რომლითაც განისაზღვრება ქვეყნის დამოუკიდებელი ფუნქციონირების ზღურბლი.

საქართველოში შექმნილი კრიზისული მდგომარეობა, ტრანსფორმაციული ძვრები პოლიტიკასა და ეკონომიკაში, ტრადიციული ეკონომიკური სისტემიდან ახალ ურთიერთობებზე გადასვლა და სხვა თვისებრივი ცვლილებები მოითხოვს ქვეყნის უსაფრთხოებისადმი ყურადღების გაძლიერებას. ზოგად-ეროვნული ინტერესების და იდეალების დაკარგვა, თვითგადარჩენის ინსტიქტზე გადასვლა, მომენტალურ ინტერესებზე ზრუნვა, რომელიც შეინიშნება საზოგადოებაში, უკან სწევს საერთო-

სახელმწიფოებრივი ამოცანების გადაწყვეტას, საფუძველს ურყევს საქართველოს აღორძინება-განვითარებას.

საქართველოს სამობილიზაციო მომზადება ორიენტირებული უნდა იქნეს, უწინარეს ყოვლისა, საზოგადოების სოციალურ-პოლიტიკური უსაფრთხოების უზრუნველყოფაზე, დამოუკიდებელ განვითარებაზე, ქვეყნის კონსტიტუციური მოწყობისა და ტერიტორიული მთლიანობის შენარჩუნებაზე, ეროვნული ფასეულობებისა და ინტერესების დაცვის მყარი სისტემის ფორმირებაზე. საქართველოს წინაშე მდგომი საგარეო და საშინაო პრობლემებიდან გამომდინარე, შეიძლება გამოიკვეთოს ფაქტორთა ზოგიერთი წრე, რომლებიც მეტნაკლებად უქმნიან საშიშროებას ქვეყნის ეკონომიკური სისტემის მდგრადობას. საქართველოში ეკონომიკური უსაფრთხოების ზღვარი დიდიხანია გადაილახა, წარმოების დაცემის ტემპის მხრივ ამ მაჩვენებლით ქვეყანამ 30-40 წლით უკან გადაინაცვლა. წარმოების მოცულობის დაცემა, სტრუქტურული დეგრადაცია და ტექნიკური რეგრესი საფრთხეს უქმნის ქვეყნის ეკონომიკურ პოტენციალს. სამხედრო-ეკონომიკურ თეორიაში მიღებულია, რომ ომი მოგებულია იმ შემთხვევაში, თუ შესაძლებელი გახდება მოწინააღმდეგის ეკონომიკური პოტენციალის 50-60 პროცენტის მწყობრიდან გამოყვანა. საქართველოში დღეს მთელი ეკონომიკური პოტენციალის 30-40 პროცენტიც კი არაა მწყობრში, გასული საუკუნის 80-იან წლებთან შედარებით. აგრეთვე საშიშროება იმასთან დაკავშირებით არსებობს, რომ სამხედრო-ეკონომიკური პოტენციალი და მისი საიდუმლოებანი ღიაა. სამამულო წარმოების გაუარესებამ, დაქვეითებამ, კარი გაუღო იმპორტს, რაც თავისთავად შიგა ბაზრის უარყოფას ნიშნავს. არ ვემხრობით ავტარკიის, მსოფლიო ბაზრისაგან იზოლაციის კურსის გატარებას, მაგრამ ეკონომიკის მეცნიერ-ტექნიკური პოტენციალის დაშლა და დეინდუსტრალიზაცია სერიოზული და ძალზედ საშიშია ქვეყნისათვის. სამეცნიერო კოლექტივების და საკონსტრუქტორო ბიუროების დაცემა, ქვეყნისათვის, ასე ვთქვათ, „ტვინის გამოწოვა“ იწვევს კვალიფიციური კადრების სავაჭრო-სპეკულაციურ სფეროში

გადაბარგებას. გაუმართლებელია სახელმწიფო რეგულირებისა და ბაზრის მიზანმიმართული სელექციური პოლიტიკის გატარება. ლამაზად წარმოთქმული ფრაზები „უცხო ინვესტიციების“ მოცულობის უპრობლემო, ნებისმიერი გზით ზრდა სამხედრო სფეროში, თუნდაც ნებისმიერ სფეროში, ხომ არ არის ქვეყნის ერთ-ერთი საშიშროების წყარო?

ინფორმაციულად სრულიად ღიაა არა მარტო სამხედრო, არამედ მთელი სახელმწიფო საიდუმლოებანი, რაც დიდ ზიანს აყენებს ქვეყანას.

ქვეყნის სამობილიზაციო მომზადების მარაგი არის სამხედრო უსაფრთხოების გარანტი-დაიცვას ეროვნული ეკონომიკა არასასურველი ფაქტორებისაგან, რომლებიც არღვევენ კვლავწარმოებითი პროცესების ნორმალური ფუნქციონირებას, აუარესებს მოსახლეობის ცხოვრების დონეს და ამით იწვევენ მოსახლეობის სოციალურ დაძაბულობას, ქმნიან საფრთხეს სახელმწიფოებრიობისათვის. არ არსებობს სამხედრო უსაფრთხოება სუსტი და არაეფექტიანი სამობილიზაციო მომზადებისა და მზადყოფნის სამეურნეო მექანიზმის პირობებში ისევე, როგორც არ შეიძლება არსებობდეს არც საშხედრო, არც ეკონომიკური უსაფრთხოება საზოგადოებაში, რომელიც მოცულია სოციალური კონფლიქტებით. მაგრამ სამხედრო უსაფრთხოების ბაზისად მაინც რჩება ეკონომიკური უსაფრთხოება, ანუ ის ეკონომიკური ბაზა, რომელიც უნდა შეივსოს მზადყოფნის მარაგებით. ყოველი სახელმწიფო ეძებს თავისი უსაფრთხოების უზრუნველყოფის გზებს იმ რეალური სამხედრო-ტექნიკური შესაძლებლობათა ფარგლებში, რომლებიც არსებობს მოცემულ კონკრეტულ მომენტში, რომლის ამოცანაა საკუთარი და ყველაზე იაფი გზით და საშუალებებით უზრუნველყოს ქვეყნის უსაფრთხოება თუნდაც ბუნებრივი უბედური მოვლენებისაგან. ქვეყნის სამობილიზაციო მომზადების პოზიციიდან საყურადღებოა უცხოელი სპეციალისტების გამოცდილებების შესწავლა და ანალოგიური კუთხით განვითარება. სამობილიზაციო მომზადების სახელმწიფო რეგულირების მექანიზმი ზემოთ განხილულ

პრობლემებს უნდა ეყრდნობოდეს.

აღსანიშნავია, რომ ბოლო წლებში რესურსების გამოყენების და ქვეყნის სამობილიზაციო მომზადების გავრცელების არეალი არსებითად შეიცვალა. ამავე დროს მოხდა სამობილიზაციო მომზადების მექანიზმების ცვლილებები საწარმოო ძალების განვითარებისა და მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის გაელვნით, აგრეთვე მექანიზმის შემადგენელ ელემენტებში მიმდინარე ცვლილებით და იმ მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განვითარების დონით, რომელზედაც დამოკიდებულია სამობილიზაციო მარაგების შექმნა, განვითარება და გამოყენება.

თანამედროვე პირობებში აუცილებლობითაა განპირობებული იმ საკითხების გადაჭრა, რომელებიც დაკავშირებულია სამობილიზაციო მომზადების სამეურნეო მექანიზმის სწორ ფორმირებასა და მის პრაქტიკულ გამოყენებაზე. მსოფლიო გამოცდილება გვკარნახობს, რომ იგი უნდა მოექცეს სახელმწიფოებრივ ფუნქციის ჩრჩოებში, როგორც პრიორიტეტული საკითხი და მისი გადაწყვეტა კი მოხდეს ქვეყანაში მოქმედი კანონების საფუძველზე. კანონი უნდა ითვალისწინებდეს სამეურნეო მექანიზმის მიზანს, კონკრეტულ შესრულებას (პასუხისმგებლებს) და მარაგებს შექმნის ვადებს, არსებული მარაგების აღრიცხვას, შეფასებას და შენახვაზე (იგულისხმება ტექნოლოგიური შენახვა) პასუხისმგებლობის დაკისრებას. გარდა ამისა, აუცილებელია გამოიყოს არსებულის აღრიცხვის და შეფასების ეფექტური მეთოდები (ინსტრუმენტარი). უნდა გაანალიზდეს სამობილიზაციო მომზადების სამეურნეო მექანიზმის კონკრეტული მიზანი, მისი ცვალებადობა, სხვანაირად მათი შემოღება შეუძლებელია. არ არსებობს ისეთი ეკონომიკური სისტემა, სადაც მიზნის ფუნქცია თავიდანვე იქნეს სკალარული (მუდმივი). მიზნის ინსტრუმენტისა და მულტიპლიკატორის გარეშე შეუძლებელია ნებისმიერი სამობილიზაციო მომზადების სამეურნეო მექანიზმის შემუშავება. როდესაც დამუშავდება კონკრეტული რეალური მიზნობრივი მექანიზმი, შემდგომ საჭირო იქნება მათი ამოქმედების ბერკეტები, რაც უკვე სახელმწიფო ხელისუფლების

დონეზეა გადასაწყვეტი. ამჟამად საჭიროა ისეთი პრობლემების გადაწყვეტაც, როგორიცაა: სამხედრო დაკვეთების განაწილება და გაფორმება საკუთრების სხვადასხვა ფორმის საწარმოთა შორის; ასევე დაკვეთების შემსრულებელ საწარმოთა უწყებრივი დაქვემდებარება და ამ საწარმოთა მიერ სამობილიზაციო მარაგების გამოყოფა.

სამობილიზაციო მომზადების პროდუქციის მწარმოებელ საწარმოთა დაქვემდებარების და საკუთრების ფორმის საკითხების გადაწყვეტისას უნდა ვითვალისწინებდეთ სამობილიზაციო მომზადების პროდუქციის ხასიათსა და დანიშნულებას, მის მნიშვნელობას ქვეყნისათვის და, რა თქმა უნდა, თვით საწარმოთა სპეციალიზაციას. კერძოდ, ის საწარმოები, რომლებსაც შეუძლიათ აწარმოონ სამხედრო ტანსაცმელი, ამუნიცია, ფეხსაცმელი, კავშირგაბმულობის სხვადასხვა საშუალებები და სხვა, აუცილებელი არაა შედიოდეს თავდაცვის სამინისტროში, ისინი შეიძლება განეკუთვნონ როგორც სახელმწიფოს, ისე კერძო სექტორს; სამობილიზაციო პროდუქციის დამუშავების და მიწოდებისათვის პრაქტიკაში გამოყენებული უნდა იქნეს გამჭოლი სახელმწიფო შეკვეთები, რომელსაც გეგმავს ეკონომიკის და მდგრადი განვითარების სამინისტრო თავდაცვის სამინისტროსთან შეთანხმებით, სახელმწიფო შეკვეთები უნდა ითვალისწინებდეს სამობილიზაციო პროდუქციის შემსრულებელ საწარმოთა ეკონომიკურ პრიორიტეტულობას მოგების გადასახადში შეღავათების დაწესებით, აგრეთვე სამობილიზაციო პროდუქციის ფასებზე სახელმწიფო კონტროლს. თავდაცვის სამინისტროს უნდა ჰქონდეს საბელშეკრულებო ფასების დადგენის უფლება.

ქვეყნის სმდმს-ის სამეურნეო მექანიზმის ელემენტებად მიიჩნევენ იმ სამეურნეო სუბიექტებს, რომლებიც ახორციელებენ მექანიზმის ძირითად იდეებს, ფუნქციონირებას, ურთიერთობებს მეურნეობრივი საქმიანობის პროცესში. საერთოდ მექანიზმის ძირითად ფუნქციას წარმოადგენს ობიექტების ურთიერთმოქმედების ორგანიზაცია, ხოლო ამოცანებს წესრიგის დამყარებასა და დაცვის საქმეში განსაზღვრავს მეურნე სუბიექტი. მიუხედავად იმისა,

ამოცანები ობიექტურად სტიქიურია, თუ სუბიექტურად შემეცნებული. სამობილიზაციო მომზადების მექანიზმი ახორციელებს საზოგადოებრივი წარმოების მოწესრიგების ფუნქციას, რაც იმას გულისხმობს, რომ იგი თავის თავში უნდა აერთიანებდეს და ერთმანეთთან უთავსებდეს კანონის ობიექტურ მოქმედებას და სამეურნეო სუბიექტის მიზანსწრაფულ საქმიანობას. გარდა ამისა, მისი ფუნქცია უნდა უზრუნველყოფდეს წარმოების ზრდას.

ქვეყნის სმდმს-ის სამეურნეო მექანიზმი შეიძლება იყოს ორი ტიპის: ერთი, რომელიც მაკოორდინირებელია (მას მიეკუთვნება მეურნე სუბიექტები, ურთიერთობანი, ფუნქციური ელემენტები, მათ შორის კანონმდებლობა) და მეორე, არაოფიციალური, შემოვლითი, რომელთა შორის აღსანიშნავია საიდუმლოება და დაუშვებელია ნიშანდობლივობა.

ქვეყნის სამობილიზაციო მომზადების სამეურნეო მექანიზმისა და ორგანიზაციული სისტემის შემუშავებისათვის მნიშვნელოვანია შემდეგი: ა) როდესაც სახელმწიფო საჭიროდ თვლის, რომ განავითაროს წარმოება, რომელიც მოცემულ შემთხვევაში არ შეესაბამება საწარმოო-საბაზრო ინტერესებს, უნდა გამოიყენოს სახელმწიფო შეკვეთების წესი, რომელსაც თან სდევს ბრძანების ძალა და ავსებს სახელმწიფო შეკვეთების ხელსაყრელობა; ბ) ნებისმიერ საწარმოს არ აქვს უფლება უარი თქვას შეკვეთების მიღებაზე და გვერდი აუაროს ცენტრის მითითებებს. მაგრამ იმისათვის, რომ მთლიანად იქნეს შენარჩუნებული საწარმოს პასუხისმგებლობა საკუთარი საქმიანობისადმი, სამთავრობო ბრძანებებთან ერთად, საწარმოებს, რომლებმაც მიიღეს საკმაოდ ხელსაყრელი შეკვეთები – საიჯარო დავალებანი – უნდა ეძლეოდეთ შეღავათები, კერძოდ, საამორტიზაციო კრედიტის, მომარაგებით ხელშეწყობა, ფასების, გადასახადების, საბაჟო გადასახადების, ვალუტის მიღების, ხელფასის ფონდის ფორმირების და პრემიების სტიმულირების მხრივ, საჭიროების შემთხვევაში მიეცეს დოტაციები; გ) სამეურნეო მექანიზმში ფართოდ უნდა იქნეს გათვალისწინებული ეკონომიკის პრო-

გრამირების მეთოდი, ანუ მიზნობრივი მიდგომა, რომელიც საშუალებას იძლევა შეირჩეს ქვეყნის წინაშე მდგომი მწვავე გადაუდებელი საკითხები და მათზე განაწილდეს ძირითადი რესურსები, დროის გარკვეულ შემჭიდროებულ მონაკვეთში, მთლიანად გადაჭრას მათ შორის პირველი რიგის პროგრამა; დ) მექანიზმი უნდა ეყრდნობოდეს დაგეგმვას; ე) სამეურნეო საქმიანობის დონის შეფასება დარგებსა და ტერიტორიულ რგოლებში უნდა ეყრდნობოდეს სამობილიზაციო მომზადების ნორმატივებსა და პრიორიტეტულ პრობლემებს.

შეიარაღებულ ძალებსა და მატერიალურ წარმოებას შორის სწორი ურთიერთობის დასამყარებლად, სპეციალური სამხედრო საქონლის გამოშვების ორგანიზაციის მაღალი დონისა და მთელი სამხედრო ეკონომიკის ეფექტიანი ფუნქციონირების უზრუნველყოფის მიზნით აუცილებელია გამოყენებული იქნეს რეგულირების არა ერთი, არამედ კომპლექსურად შეხამებული სხვადასხვა მეთოდები. პირობითად ისინი შეიძლება დაიყოს ორ ჯგუფად: ადმინისტრაციულ და საფინანსო-ეკონომიკურ მეთოდებად.

სახელმწიფო რეგულირების ადმინისტრაციული მეთოდები ატარებენ სავალდებულო ხასიათს და უშუალო ზემოქმედებას ახდენენ სამხედრო ეკონომიკაზე. მათ რიცხვს შეიძლება მივაკუთვნოთ მიმდინარე და პერსპექტიული გეგმების დამუშავება, სახელმწიფო რეგულირების სხვადასხვა ადმინისტრაციული და საკანონმდებლო ღონისძიებები. სამხედრო-ეკონომიკური მეთოდები ემყარებიან ეკონომიკური სტიმულირების გამოყენებას, რომლებიც ითვალისწინებენ მატერიალურ პასუხისმგებლობასა და დაინტერესებას სამხედრო-ეკონომიკური დაკვეთების შესრულებაზე. ეს მეთოდები ფართოდ გამოიყენება მშვიდობიან პერიოდში სამხედრო წარმოების ორგანიზაციის, სტიმულირებისა და გაერთიანების მიზნით, სამობილიზაციო მზადებისათვის და ბოლოს, ომიანობის პერიოდში მთელი ეკონომიკის სამხედრო რელსებზე გადასაყვანად.

სამხედრო-ეკონომიკის სახელმწიფო რეგულირების საფინანსო-ეკონომიკურ ბერკეტებს შორის განსაკუთრებით უნდა

გამოიყოს მაღალმომგებიანი სამხედრო კონტრაქტები, სახელმწიფო კაპიტალ-დაბანდებები, საწარმოთათვის სუფსიდიების, კრედიტების გაცემა და ძირითადი ფონდების დაჩქარებული ამორტიზაციის უფლების მინიჭება.

სამხედრო ეკონომიკის სახელმწიფო რეგულირების უმნიშვნელოვანეს ბერკეტს წარმოადგენს სამხედრო კონტრაქტაციის სისტემა. სახელმწიფოს, როგორც სამხედრო პროდუქციის ძირითად მყიდველს, შეუძლია მოახდინოს გარკვეული ზეგავლენა სამხედრო წარმოების განვითარებაზე, კერძოდ, სამხედრო შეკვეთების მოცულობის, სტრუქტურის დადგენის და გეოგრაფიული განაწილების მასშტაბებით. სამხედრო კონტრაქტის დადებისას წინასწარ უნდა განისაზღვროს სამხედრო პროდუქციის არა მარტო მოცულობა და ასორტიმენტი, არამედ მისი ყველა ხარისხობრივი მახასიათებლები. ამრიგად, სახელმწიფოს შეუძლია მოახდინოს უშუალო ჩარევა საწარმოო პროცესში, თავს მოახვიოს სამხედრო ტექნიკისა და იარაღის მიმწოდებლებს თავისი მოთხოვნები და კონტროლი გაუწიოს მის შესრულებასაც.

სამხედრო კონტროლი ემყარება დოკუმენტს, რომლის საფუძველზედაც რეგულირდება ეკონომიკური, სამართლებრივი, ორგანიზაციულ-ტექნიკური და სხვა ურთიერთობები. სამხედრო უწყებებისა და სამხედრო პროდუქციის კერძო მწარმოებლებს შორის კონტრაქტების დადების დროს, როგორც წესი, განისაზღვრება საკონტრაქტო საქონლის რაოდენობა, ხარისხი, მიწოდების ვადები და წესი (ღირებულება, მოგების ნორმა, დაფინანსების წესი და სხვა).

სამხედრო კონტრაქტის დადების სისტემა საჭიროებს რეგლამენტს სხვადასხვა საკანონმდებლო და ადმინისტრაციული აქტების საშუალებით, თავდაცვის სამინისტრომ სხვა უწყებებთან ერთად უნდა შეიმუშაოს სახელმძღვანელო წესები „სამხედრო შესყიდვათა“ შესახებ. სამხედრო კონტრაქტები შეიძლება განსხვავდებოდნენ განლაგების სისტემებით და მათი ანაზღაურების წესით. სამხედრო შეკვეთა შეიძლება გაიცეს საკონკურსო წესით, ან მწარმოებელთან მოლაპარაკების გზით.

სამხედრო ეკონომიკის რეგულირებაში დიდ როლს თამაშობს სამხედრო პროდუქციის ფასწარმოქმნის სისტემა. პრაქტიკაში გამოიყენება სამხედრო კონტრაქტების ანაზღაურების ძირითადი ფორმები: ფიქსირებული ფასისა და შეკვეთების შესრულებასთან დაკავშირებული დანახარჯების ანაზღაურების საფუძველზე. ფიქსირებული ფასით კონტრაქტის დადების დროს სამხედრო მიწოდებათა ანაზღაურება სწარმოებს წინასწარ დადებული ფასებით. კონტრაქტის ამ ტიპს უპირატესობა ენიჭება, რადგანაც ქმნის მონაწილის დაინტერესებას წარმოების დანახარჯების შემცირებაში. მაგრამ ამგვარი კონტრაქტების გაფორმება ყოველთვის არაა შესაძლებელი, იმის გამო, რომ ზოგ შემთხვევაში შეუძლებელია წინასწარ და საკმარისი სიზუსტით განისაზღვროს წარმოების დანახარჯები. ამიტომ კონტრაქტების ამ ჯგუფში შეიძლება გამოიყოს კონტრაქტების შემდეგი სახეები: „მკაცრად ფიქსირებული ფასით“, „შემდგომი კონტრაქტების ფიქსირებული ფასით“, „ფიქსირებული ფასით წახალისებითურთ“.

„დანახარჯების ანაზღაურების“ კონტრაქტები ითვალისწინებენ სამხედრო შეღავათების ყველა დანახარჯების ანაზღაურებას, და გარდა ამისა, გარკვეული ჯილდოს (მოგების) მიღებას. ეს კონტრაქტები არაეფექტურად ითვლება იმის გამო, რომ ისინი არ ითვალისწინებენ დაკვეთის შემსრულებელთა საქმიანობის სტიმულირებას, რაც იწვევს დანახარჯთა ხელოვნურ ზრდას.

კერძო კორპორაციების საქმიანობის სტიმულირების მიზნით სამხედრო ეკონომიკაში ფართოდ გამოიყენება არა მარტო ფასწარმოქმნის სისტემა, არამედ მხარეთა შორის ანგარიშსწორების სხვადასხვა ფორმები. ამ თვალსაზრისით უნდა გამოიყოს ანაზღაურების პროგრესული ფორმები და საავანსო ანგარიშსწორება. საავანსო ანგარიშსწორების შემთხვევაში სახელმწიფო პერიოდულად აწარმოებს შემსრულებელთან ფულად ანგარიშსწორებას ფაქტიურად შესრულებული სამუშაოს მოცულობებიდან გამომდინარე. ხშირად კი ეს გადახდები წარმოებს სამუშაოს შესრულების ვადების წინსწრებით. ანგარიშსწორების ასეთი სისტემა, თავისი არსით, წარმოადგენს სამხედრო დაკვეთების

შემსრულებელთა უპროცენტო (შეღავათიანი) დაკრედიტების ფორმას. საავანსო და პროგრესული გადახდები გამოიყენება სახელმწიფოს მიერ როგორც სამხედრო წარმოების სახელმწიფო რეგულირების, სამხედრო ეკონომიკაში კერძო კაპიტალდაბანდებათა სტიმულირების, პატარა ფირმების სამხედრო პროდუქციის საწარმოებლად მოზიდვის ქმედითი საშუალებები.

სახელმწიფომ აქტიური მონაწილეობა უნდა მიიღოს სამხედრო პროდუქციის მწარმოებელთა ძირითადი საწარმოო ფონდების ფორმირებას, გაფართოებასა და მოდერნიზაციაში. ამ მიზნით გამოიყენება სხვადასხვა მეთოდები, მათ შორის დაბალ ფასებში სამხედრო სამრეწველო ფირმებზე სახელმწიფო საკუთრების მიყიდვა.

ზოგიერთ სახელმწიფოში ფართო გავრცელება ჰპოვა სამხედრო დაკვეთების კერძო შემსრულებლებისათვის სახელმწიფო საწარმოებისა და მოწყობილობების იჯარით გაცემამ. სახელმწიფო საწარმოებს და მოწყობილობებს კერძო კორპორაციები იღებენ იჯარით შეღავათიანი პირობებით: საიჯარო გადასახადი, როგორც წესი, სიმბოლურ ხასიათს ატარებს. ამგვარად, სახელმწფო თავის თავზე იღებს კერძო საწარმოთა ძირითადი კაპიტალის ფორმირებისათვის საჭირო ხარჯების ნაწილს, ხელს უწყობს მათი საწარმოო სიმძლავრეების გაფართოვებას.

სამხედრო ეკონომიკის სამხედრო რეგულირების სისტემაში დიდმნიშვნელოვანი ადგილი უკავია ძირითადი კაპიტალის დაჩქარებულ ამორტიზაციას. დაჩქარებული ამორტიზაციის სისტემა საწარმოებს აძლევს უფლებას შეღავათიან პირობებში ჩამოწეროს ძირითადი კაპიტალის ღირებულება უფრო მოკლე ვადებში, ვიდრე მოწყობილობის ამორტიზაციის საშუალო ხანგრძლივობაა.

სამხედრო მრეწველობის სახელმწიფო რეგულირების მნიშვნელოვან ბერკეტად ითვლება მოგება. სამხედრო-სამრეწველო საწარმოების მოგების ნორმა, როგორც წესი, საგრძნობლად აღემატება იმ ფირმების მოგების ნორმას, რომლებიც უშვებენ სამოქალაქო პროდუქციას.

სახელმწიფო სამხედრო-ეკონომიკის რეგულირებისას იყენებს ადმინისტრაციულ და საფინანსო-ეკონომიკურ მეთოდებს. ამით აქტიურ და მიზანდასახულ ზემოქმედებას ახდენს სამხედრო პროდუქციის მომწოდებელთა სამეურნეო საქმიანობაზე, აჩქარებს ქმედუნარიანი სამხედრო სამრეწველო ბაზის შექმნასა და განვითარებას, მაღალეფექტიანი სამხედრო ეკონომიკის ჩამოყალიბებას.


2.4. სამობილიზაციო მომზადებისა და მზადყოფნის რაოდენობრივი გაანგარიშების ზოგიერთი მეთოდოლოგიური საკითხი და მაჩვენებლები

რთული შინაგანი და გარეგანი საწარმოო კავშირები, საბაზრო ეკონომიკის წინ წამოწევა, საკუთრების ფორმებისადმი წარმოების მისადაგება, ეკონომიკური ინტეგრირების სწორი გაერცელება, მეურნეობის სისტემაში ადგილობრივი შესაძლებლობების ჩართვა, ეკონომიკური კონკურენცია მოითხოვს სამხედრო ეკონომიკაში ანალიზური მუშაობის განუწყვეტელ სრულყოფასა და სამობილიზაციო მომზადების ორგანიზაციულ-სტრუქტურული ცვლილებების შესაბამისი მეცნიერული მეთოდების დამუშავება-დანერგვას. ამასთან აუცილებელია სამობილიზაციო მომზადების ეკონომიკური ანალიზის მეთოდებისა და ხერხების გაფართოება-გაღრმავება და ახლებური მიდგომების შემუშავება. უაღრესად დიდი მნიშვნელობა ენიჭება მეცნიერულად დასაბუთებული ეკონომიკური პოლიტიკის შემუშავებას, სამეურნეო საქმიანობის პროცესებისა და შედეგების შეფასებებს, მოვლენის

განვითარებაზე მოქმედ ფაქტორთა გამოვლენის განსაზღვრას (გაზომვას), ტენდენციების დადგენას, გამოცდილებების გავრცელებას და სხვა ღონისძიებების დაგეგმვას და ღონისძიებების პერმანენტულ განხილვას, მათ საფუძველზე მოვლენის განვითარების პროგნოზირებას.

ქვეყნის სამობილიზაციო მომზადების ეკონომიკური განვითარების სტრატეგიის განსაზღვრა ორგანიზაციულ-მეთოდოლოგიური თვალსაზრისით უნდა წარმოვიდგინოთ შემდეგი სქემით: ანალიზი — პროგნოზირება — პროგნოზული დაგეგმვა — პროგრამული დაგეგმვა. თანამედროვე პირობებში სამობილიზაციო მომზადების პროგნოზი ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური განვითარების ჩამოყალიბებული არგუმენტირებული წარმოდგენაა. იგი, როგორც წესი, ეფუძნება ეკონომიკურ-მეთოდოლოგიურ პრინციპს. კერძოდ, სამობილიზაციო მომზადების ეკონომიკურ ეფექტიანობას, სამხედრო-ეკონომიკური და სოციალური განვითარების კომპლექსურობას, საბაზრო ურთიერთობების დამკვიდრების თავისებურებებს, მოცემულ ეტაპზე სახელმწიფოს სამხედრო და სამხედრო-ეკონომიკურ პოლიტიკას და სხვ. ამიტომ სამობილიზაციო მომზადების პროგნოზირება მეცნიერებასა და პრაქტიკაში (სამხედრო-ეკონომიკური დაგეგმვის ორგანიზაციაში) ის ამოსავალი სტადიაა, რომლის შესაბამისად განისაზღვრება კონკრეტულ პერიოდში ქვეყნის მომზადების რაოდენობრივი შეფასება და სოციალურ-ეკონომიკური განვითარების მიზანი, მისი მიღწევის კონცეფცია.

ქვეყნის სამობილიზაციო მომზადების სამხედრო-ეკონომიკური რაოდენობრივი შეფასების თვალსაზრისით მნიშვნელოვანია სამობილიზაციო მომზადების მაჩვენებლების სკალარული სიდიდეები. სამობილიზაციო მომზადების მართვისა და ორგანიზაციისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ნებისმიერ საგანგებო პირობებში დანაკარგების გაანგარიშებას და შესაბამისი სამობილიზაციო მომზადების მატერიალური მარაგების ნომენკლატურისა და რაოდენობრივი მონაცემების დადგენას. ეროვნული მეურნეობა გარკვეული აზრით წარმოადგენს ჩაკეტილ



ნახ. 3. G(t) ეროვნული შემოსავლის ცვლილება
$G_B(t)$ მრუდის ჩაღრმავებული ადგილი უჩვენებს ომისა ან რაიმე ბუნებრივი კატაკლიზმებით გამოწვეულ გადაადგილებას ჩვეულებრივი განვითარების ტრაექტორიიდან).

სისტემას სათანადო კავშირებით და უკუკავშირებით, რაც საშუალებას იძლევა შეფასდეს მისი სტაბილური ფუნქციონირება საგანგებო ვითარებაში.

საგანგებო პირობებში ქვეყნის სტაბილური ფუნქციონირება ნიშნავს შეიარაღებისა და ეროვნული მეურნეობის მოთხოვნების დაკმაყოფილების უნარიანობას.

ეროვნული მეურნეობის სტაბილური ფუნქციონირების ცნება შეიძლება განხილულ იქნეს ორ ასპექტში, რომელთაც პირობითად ეწოდებათ მეურნეობის მცირე და დიდი სტაბილურობით ფუნქციონირება.

მეურნეობის მცირე სტაბილურობა ნიშნავს, რომ განვითარების პროცესი მიმდინარეობს $r^*(t)$ ტრაექტორიის გასწვრივ $r(t)$ შენჯღრეული ტრაექტორიით (t — დრო). მეურნეობის მცირე სტაბილურობის ეკონომიკური არსი იმაში მდგომარეობს, რომ ხდება ეკონომიკური პროცესების მართვა წარმოების სააშუალებისა და შრომითი რესურსების დანაკარგების, აგრეთვე რთული სამეურნეო კავშირების დარღვევის გაუთვალისწინებლად. ხოლო დიდი ანუ მეურნეობის ფართო სტაბილურობა განისაზღვრება ზემოქმედების შედეგად ვითარება $r_в(t)$ ტრაექტორიის შესაბამისად. ასეთ პირობებში საჭირო ხდება პირველ რიგში მოსახლეობის სიცოცხლისუნარიანობის უზრუნველყოფა, საწარმოო სიმძლავრეებისა და სამეურნეო კავშირების აღდგენა წარმოების გაგრძელება მაშასადამე მეურნეობის ფართო სტაბილური ფუნქციონირება გულისხმობს მთელი სისტემის — დარგებსა და ტერიტორიულ რგოლებში ზემოქმედების დროს ნაწილობრივ ფუნქციონირებას (იხ. ნახ. 3).

მეურნეობის სტაბილური ფუნქციონირების პირობები შეიძლება განხილულ იქნეს მისი თანმიმდევრული ფუნქციონირების საფუძველზე, მე-3 სქემის მიხედვით.

ეროვნული მეურნეობის ფუნქციონირების ეკონომიკურ-მათემატიკურ მოდელს აქვს შემდეგი სახე:

1) $Z = KX_1^{\alpha_1} X_2^{\alpha_2}$

2) $X_1 = Y - \beta_1 X_1$

3) $Z_2 = Z - Y - Z_1$

4) $\lambda = \frac{Z_2}{L}$

5) $X_2 = \beta_2 L$

β_1 – წარმოების საშუალებების ხარჯვის წილი.

β_2 – შრომის უნარიანი მოსახლეობის ხვედრითი წილი.

(დანარჩენი აღნიშვნების განმარტებები იხ. სქემა 3).

თავისი არსით მოდელის პირველი განტოლება წარმოადგენს კობა-დუგლასის ცნობილ საწარმოო ფუნქციას და იძლევა წარმოების მოცულობას. მეორე, ასახავს წარმოების პროცესში წარმოების საშუალებების ცვლილებას; 3, 4 – წარმოებული პროდუქციის განაწილებას; მე-5 განსაზღვრავს შრომითი რესურსების დონეს.

როგორც ცნობილია α_1 და α_2 პარამეტრების და გამოითვლებიან უმცირეს კვადრატთა მეთოდით. ჯამი ღებულობს სამ მნიშვნელობას: 1. $\alpha_1+\alpha_2>1$ (განვითარებული სახელმწიფოსათვის); 2. $\alpha_1+\alpha_2<1$ (განვითარებადი სახელმწიფოსათვის); 3. $\alpha_1+\alpha_2=1$ (სტაბილური) თუ დავუშვებთ $\alpha_1=\alpha_2=1$, მაშინ მოდელის განტოლებათა სისტემიდან და მე-2 სქემის გამოყენებით შესაძლებელია განვსაზღვროთ მთელი წარმოებული პროდუქცია და მოხმარების საშუალო მოცულობა (ერთ სულზე) აგრეთვე ამ სიდიდეების მნიშვნელობები ზემოქმედების შემდეგ.


სისტემის ფუნქციონირების დარღვევის მიზეზებს წარმოადგენს ზემოქმედება წარმოების საშუალებებზე, შრომით რესურსებზე და სისტემის კავშირებზე. მოწინააღმდეგის ზემოქმედების შედეგად დანაკარგები A_x – წარმოების საშუალებებზე, A_L – მოსახლეობის და A_1, A_3, A_4, – კავშირებზე; A_2 განაწილებაზე. ყოველი A_i აკმაყოფილებს პირობას: $0 \le A_i \le 1$. ზემოქმედების შემდეგ (1) – სისტემაში (1) – სისტემას ექნება შემდეგი სახე:

$$\left.\begin{aligned} \overline{X}_1 &= A_4\overline{Y} - \beta_1\overline{X}_1 \\ \overline{Z} &= K\left(A_1\overline{X}\right)^{\alpha_1}\left(A_3\overline{X}_2\right)^{\alpha_2} \\ \overline{Z}_2 &= \overline{Z} - \overline{Y} - \overline{Z}_1 \\ \overline{\lambda} &= \frac{A_2\overline{Z}_2}{\overline{L}} \\ X_2 &= \beta_2\overline{L} \end{aligned}\right\} \qquad (4)$$

მოვლენამდე და მოვლენის შემდეგ ზემოქმედების შედეგების ანალიზი გრაფიკულად გვაძლევს ფუნქციონირების პირობებს: ზემოქმედების მომენტში სისტემა მდებარეობს 1 წერტილში, ხოლო ზემოქმედების შემდეგ 2 – წერტილში. მდგრადი ფუნქციონირების შესაძლებლობა განისაზღვრება იმით, რომ ამონახსნები $\overline{Z}$ და $\overline{L}$ აკმაყოფილებს თუ არა ამოცანის ძირითად მოთხოვნებს დააკმაყოფილოს მოსახლეობის სიცოცხლისუნარიანობა საგანგებო ვითარებაში.

მე-4 სისტემის ანალიზი იძლევა საგანგებო ვითარებისათვის ჩამოყალიბდეს სტაბილური ფუნქციონირების ორი ძირითადი

პირობა, რომლებიც გამომდინარეობენ α–კუთხის განსაზღვრიდან ($\alpha=\alpha rctg\ (A_1A_2A_3A_LK\beta_2L-\beta_1)$. რომელსაც



ნახ. 4. სისტემის შესაძლო მდგომარეობა

$$A_1A_2A_3A_LK\beta_2L-\beta_1\geq 0, \quad (5)$$

მაშინ მეურნეობას აქვს უნარი აწარმოოს მოსახლეობისა და შეიარაღების სიცოცხლისუნარიანობისათვის აუცილებელი ოდენობის პროდუქცია. (5) პირობას უწოდებთ სტაბილურად ფუნქციონირების (6) პირველ პირობას. ხოლო თუ

$$A_1A_2A_3A_LK\beta_2L-\beta_1\leq 0, \qquad (6)$$

ე.ი. $\alpha\leq 0$, მაშინ ზემოქმედების შემდეგ მეურნეობას დაკარგული აქვს პროდუქციის წარმოების უნარი, ეს, კი, ითვლება ზემოქმედების შედეგად სტაბილურად ფუნქციონირების მეორე პირობად.

მაგრამ აქ ისმის კითხვა: როდემდის აქვს დაკარგული უნარი სისტემას? ან შესძლებს თუ არა საერთოდ ფუნქციონირების აღდგენას? ამ საკითხებთან დაკავშირებით უნდა განვსაზღვროთ: t_1 და t_2 დრო, t_1 როდესაც სისტემა შეწყვეტს შეიარაღების მოთხოვნების დაკმაყოფილებას, ე.ი. $Z\leq \bar{L}\cdot\lambda_{TP}+Z_{\cdot}$:

ხოლო t_2 არის დროის ის მომენტი, როცა სისტემა კარგავს მოსახლეობისათვის აუცილებელი მიწოდების უნარს, ე. ი.

$\bar{Z}\leq \bar{L}\cdot\lambda_{TP}$ და $Z_1=0$.

Z_1=4847 მილიონ ლარს; β_1=0,423; X_1=53646,1 მილიონ ლარს; λ=0,9; β_1=0.264; X_2=2,282. იმ შემთხვევაში, როცა $\lambda_{tp}=\lambda$ მივიღებთ A_{np1}=0,95. ეს იმას ნიშნავს, რომ ზემოქმედების შემდეგ დანაკარგებმა არ უნდა გადააჭარბოს 5%-ს (საერთოდ). თუ კი დაუშვებთ, რომ λ_{tp} =0,1 – მდე შემცირდება, მაშინ A_{np1} =0,6175 (61,75%), ე. ი. დანაკარგების ზღვრული სიდიდე არ უნდა აღემატებოდეს 38,25% -ს. წარმოების პროცესების დარღვევის შემთხვევაში მოხდება ეროვნული მეურნეობის მდგრადი ფუნქციონირების ცვლილება, მაშინ A_{np2}=0,8021 (80,21%), ე. ი. დანაკარგების სიდიდემ არ უნდა გადააჭარბოს 19,79%-ს.

30%-იანი დანაკარგების შემთხვევაში (A=0,7) მივიღებთ: t_1=T+2,1. T – ვითარების საწყისი მომენტია ეს იმას ნიშნავს,

რომ ეროვნული მეურნეობა კარგავს შეიარაღების უზრუნველყოფის უნარს 2,1 წლით, ხოლო tк=T+3,6 მეურნეობა ვერ შესძლებს მოსახლეობის სასიცოცხლო მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას, ზემოქმედების მომენტიდან 3,6 წლამდე.

ეროვნული მეურნეობის მდგრადი ფუნქციონირების პირობების არსიდან და მოყვანილი გაანგარიშებიდან შესაძლებელია განისაზღვროს არა მხოლოდ ეროვნული მეურნეობის მდგომარეობა ზემოქმედების შემდეგ (5) პირობით, არამედ (6) პირობით მისი შემდგომი ფუნქციონირება, ამასთან მდგრადობის მაჩვენებელი განისაზღვრება Z – გამოშვების მოცულობის ფარდობა Z_{mp} – გამოშვების მოცულობის მოთხოვნილებასთან ან გამოშვების მოცულობასთან მოვლენამდე, ხოლო მზადყოფნის მაჩვენებელი არის თანაფარდობა ზემოქმედების შემდეგ გადარჩენილი საწარმოო სიმძლავრეებისა – X_{it}, ზემოქმედებამდე მათ რაოდენობასთან – X_{it}) $\left(\frac{X_{IT}}{X_{IT+1}}\right)$; რომლის დროსაც სამობილიზაციო მომზადების მატერიალური მარაგების ოდენობა უნდა ექვემდებარებოდეს დანაკარგების სიდიდეს, კერძოდ, უნდა იყოს არა ნაკლები 19,79%-სა.

სამობილიზაციო მომზადებისა და მზადყოფნის მაჩვენებელთა სისტემაში გაითვალისწინება: წარმოების მომზადების საბოლოო მიზნები და ამოცანები, წარმოების სტრუქტურა როგორც მშვიდობიანობის, ისე ომიანობის და სხვა უბედური შემთხვევებისათვის; ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლები და წარმოების პროცესების ძირითადი ეტაპების პარამეტრები; საგანგებო პირობებში სამრეწველო-საწარმოო პერსონალსა და ძირითად საწარმოო ფონდებზე ზემოქმედების შედეგები.

საგანგებო ვითარებაში სტაბილური ფუნქციონირების ამაღლების ღონისძიებების დაგეგმვის დასაბუთებისას უმნიშვნელოვანესია სამობილიზაციო მომზადების მაჩვენებელთა სისტემის ფორმირება. სამობილიზაციო მომზადების ძირითადი მაჩვენებლებია: შესაძლებლობათა მიზნობრივი მაჩვენებლები; მდგრადობის (სტაბილურობის) მაჩვენებლები; მზადყოფნის

ამაღლების ღონისძიებათა ტექნიკურ-ეკონომიკურად დასაბუთებული მაჩვენებლები და სხვა.

სამობილიზაციო მომზადების დაგეგმვისა და შეფასებისათვის ქვეყნის დარგობრივ და ტერიტორიულ ჭრილში გამოიყენება ეროვნული მეურნეობის ობიექტების მზადყოფნა, რაც იმის მაჩვენებელია, რომ საგანგებო პირობებში მან შეძლოს დაკისრებული ფუნქციის შესრულება. ფუნქციის თვისებებსა და მახასიათებლებს იბიექტის მომზადების პარამეტრებს უწოდებენ. მომზადების პარამეტრებში შედის აგრეთვე ობიექტის რაოდენობრივი მახასიათებლები.

საგანგებო პირობებში ფუნქციონირებისათვის მზადყოფნის მაჩვენებლების ძირითად მახასიათებლად გაითვალისწინება: ძირითადი პროცესების საწარმოო სიმძლავრეები და ძირითადი ფონდები; შრომითი რესურსები. სამრეწველო-საწარმოო პერსონალის და მუშების რიცხოვნება (წლის ბოლოს); მმართველობით აპარატში მომუშავეთა რიცხოვნება; დადგენილი ენერგეტიკული სიმძლავრეები; დადგენილი წყლის საერთო ხარჯის მოცულობა; სათბობის მარაგები; ნედლეულით და დამხმარე მასალებით უზრუნველყოფა (ნედლეულისა და მასალების დადგენილი მარაგები); მოწყობილობებისა და სხვა ტექნოლოგიური აღჭურვის მარაგები, ასევე მარაგები სარემონტო მოთხოვნებისათვის.

ქვეყნის ეკონომიკა მზად უნდა იყოს როგორც მშვიდობიანობის დროს ფუნქციონირებისათვის, ისე ომისათვის, დიდი ავარებისა და ბუნების სტიქიური მოვლენების შემთხვევებისათვის, იგი უნდა ითვალისწინებდეს ზემოთ ჩამოთვლილ მახასიათებლებს. კონკრეტულად საწარმოთა მზადყოფნის მაჩვენებლები დამოკიდებულია: თვით წარმოების ტიპზე, წარმოების ტექნოლოგიური პროცესების თავისებურებებზე, მოვლენის მოხდენის მომენტზე, ძირითადი საწარმოო-სამეურნეო ელემენტების ურთიერთკავშირზე, მუშაობის სტაბილურობაზე და სხვ.

სამობილიზაციო მომზადების მაჩვენებელთა სისტემის

ძირითადი დანიშნულებაა ორიენტირებული ზემოქმედების აცილება, ან უკიდურეს შემთხვევაში მნიშვნელოვანი შემსუბუქება. ამ მიზნით გამოიყოფა ტექნოლოგიური პროცესების ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლები. უპირველეს ყოვლისა, აქ მნიშვნელოვანია ადამიანთა გადარჩენის მოთხოვნების კომპლექსური ამოცანების უზრუნველყოფა. მხედველობაში გვაქვს: თავშესაფრები სამუშაო ადგილებში, ქიმიური მოწამლის საწინააღმდეგო საშუალებები, საერთო თავშესაფრების მოცულობები, ხანძარსაწინააღმდეგო საშუალებები და სხვა. შრომითი რესურსების გადარჩენის უზრუნველყოფის მაჩვენებლები დამოკიდებულია პერსონალის რიცხოვნებაზე, მათი სამოქალაქო თავდაცვის მომზადების დონეზე, ინდივიდუალური დაცვისათვის განკუთვნილ ძირითად საშუალებებზე, არსებულ სატრანსპორტო საშუალებებზე და სხვა.

სამობილიზაციო მომზადების მაჩვენებელთა სისტემის შეფასებისათვის მნიშვნელოვანია სისტემური მიდგომა და მომზადების ფაქტიურ მნიშვნელობასა და მომზადების საჭირო მნიშვნელობას შორის თანაფარდობაზე დაყრდნობა მაგალითად, მომზადების i-ური პარამეტრისათვის უნდა შესრულდეს:

$$\frac{V_i}{V_{oi}} \leq 1$$

სადაც, Vi – მომზადების საჭირო რაოდენობრიობაა; V_{oi} მომზადების ფაქტიური რაოდენობა.

თუ V_i « Voi, მაშინ i პარამეტრი ვერ უზრუნველყოფს მზადყოფნას. აღსანიშნავია, რომ i-ური პარამეტრის სიდიდე ოპტიმალური უნდა იყოს, რომლის დადგენაც ოპტიმალობის კუთხით რთულია: ჯერ ერთი, რომ უცნობია მოვლენა (იგი შემთხვევითი, ალბათურია), ასევე უცნობია მოწინააღმდეგის თავდაპირველი პოტენციალი, საშიშ მოვლენათა ზემოქმედების ფორმა და სახე, ზიანის სახეები, სიდიდე და სხვა. მეორეც, ძნელია აღდგენითი სამუშაოების რაოდენობრივი და ხარისხობრივი

შეფასება და მასთან დაკავშირებული ამოცანების გადაწყვეტა. სამობილიზაციო მომზადების მაჩვენებლების რაციონალური სიდიდეების დასაბუთების დროს ერთ-ერთი ცენტრალური საკითხია მოვლენის (პროცესების) შესახებ ინფორმაცია – მოვლენის მოხდენის დროის მომენტი და ადგილ-მდებარეობა, რომლებიც გათვალისწინებული უნდა იქნენ მაჩვენებლების კონკრეტულ მოთხოვნებში.

სამობილიზაციო მომზადების მაჩვენებლები უნდა ითვალისწინებდეს ასევე მოვლენის პროცესში რესურსების დანახარჯების ზრდას, რომელიც ამოცანის ოპტიმალურ მიდგომას უკავშირდება. ოპტიმალობის კრიტერიუმის ამორჩევა ხდება ორი მოდიფიკაციით: ერთი, რესურსების დანახარჯების მინიმიზაცია და, მეორე, რესურსთა გამოყენების ეფექტიანობის მაქსიმიზაცია. ერთიც და მეორეც, ეკონომიკურ-მათემატიკურ მოდელირებაში განიხილება, როგორც ურთიერთდაკავშირებული კრიტერიუმი „ეფექტიანობა-დანახარჯები“, ან „დანახარჯები-შედეგები“, რომლებიც ერთ საერთო საუკეთესო შედეგის მიღების მიზანს ემსახურება.

მზადყოფნის მაჩვენებლების ოპტიმალური სიდიდეების დასაბუთება ხდება პრობლემურ ამოცანათა გადაწყვეტის საფუძველზე შემდეგი თანმიმდევრობით: 1. ამოცანის ჩამოყალიბება შესაბამისი კრიტერიუმით და ამოხსნის მეთოდის მითითება; 2. სავარაუდო მოწინააღმდეგის პოტენციალის ან ბუნებრივი მოვლენის ზოგადად, ალბათური სიდიდის შესახებ საწყისი ინფორმაცია, შესაბამისად, მეურნეობის რგოლების მომზადება (არსებული მარაგები); 3. მაჩვენებლების სტრუქტურა სტაბილური პროცესების ეფექტიანობასთან მიმართებაში; 4. სხვადასხვა ზემოქმედების პირობებში სტაბილურ ფუნქციონირების ალტერნატივები; 5. მეურნეობის ობიექტებზე ზემოქმედების პოტენციური განაწილების პროგნოზი; 6. სტაბილური ფუნქციონირების უზრუნველყოფის მოთხოვნილებები დარგებსა და ტერიტორიულ რგოლებში; 7. სამუშაო ძალის, შრომის იარაღებისა და შრომის საგნების დახასიათება; 8. რესურსების დანახარჯების

ცვლილებები და მათი დახასიათება; 9. მზადყოფნის მაჩვენებლების რაციონალური სიდიდეების განსაზღვრა დარგობრივ და ტერიტორიულ ჭრილში; 10. მზადყოფნის მაჩვენებლების განსაზღვრა მთელი ქვეყნისათვის; 11. მზადყოფნის მაჩვენებლების ცვლილებები დროის პერიოდების და დონეების მიხედვით; 12. მზადყოფნის მაჩვენებლების სიდიდეების გაანგარიშებისათვის მეთოდოლოგიური წინადადებების დამუშავება.

მეურნეობის სტაბილური ფუნქციონირება დამოკიდებულია მომზადების დონეზე, ამიტომ სმძმს-ის ძირითად ამოცანას სტაბილურობის ამაღლება წარმოადგენს.

სტაბილური ფუნქციონირების თვალსაზრისით სამობილიზაციო მომზადების მაჩვენებელთა სისტემის დამუშავება მოიცავს სამ ეტაპს: 1. სისტემაში სტაბილური ფუნქციონირების მოთხოვნების გათვალისწინება; 2. მოთხოვნილებების იერარქიული სქემის გათვალისწინება პრინციპით „ძიზნის ხე"; 3. მომზადების ამ მაჩვენებლის ფორმირება ეკონომიკური ფუნქციონირების მაჩვენებლების სტრუქტურასთან მჭიდრო ურთიერთკავშირში.

აღნიშნულიდან გამომდინარე, სამობილიზაციო მომზადების მაჩვენებელთა რაციონალური სისტემა ქვეყნის კომპლექსური ღონისძიებების განსაზღვრაში მნიშვნელოვან როლს თამაშობს, როგორც ღონისძიებების მაღალი ეფექტიანობის, ასევე სამოქალაქო შეიარაღების ძირითად მიმართულებათა დასაბუთებაში.

პრაქტიკულად შეუძლებელია წინასწარი სტაბილური ფუნქციონირების გამოკვლევისათვის ფართომასშტაბიანი ექსპერიმენტის ჩატარება. ამიტომ ამ სფეროში ეკონომიკურ-მათემატიკური მოდელირება და გაანგარიშებების ჩატარება პირობითი მონაცემების მიხედვით ერთ-ერთ მისაღებ გზას წარმოადგენს. ეს შეიძლება ითქვას შემდეგი ტიპის ამოცანებისათვის: დარგის წარმოების შესაძლებლობების განსაზღვრა ფაქტორების ზემოქმედების დროს, ან მის შემდეგ; დარგში სამობილიზაციო მომზადების თვალსაზრისით ვიწრო ადგილების გამოვლენა; სამრეწველო-კოოპერაციული კავშირების რაციონალური გამოვლენა; სამრეწველო კავშირების რაციონალური

სტრუქტურის შერჩევა; დარგის შესაძლებლობების შეფასება და სხვა. მათემატიკური მოდელირება საშუალებას იძლევა ყველა აღნიშნული ამოცანა გადაწყდეს მშვიდობიან პერიოდში და დაისახოს სამობილიზაციო მომზადების მისაღები ღონისძიებები.

მაშასადამე, სამობილიზაციო მომზადების მაჩვენებელთა სისტემის მოიცავს რა, თვით სისტემის როლსა და ადგილს, ითვალისწინებს ორგანიზაციული ჩამოყალიბების პრინციპების დამუშავებას, დაჯგუფებას, კლასიფიკაციას, გაანგარიშების მეთოდებს და შერჩეული მაჩვენებლების პრიორიტეტულობას.

სამობილიზაციო მომზადების მაჩვენებელთა სისტემა აიგება შემდეგი პრინციპების საფუძველზე: მიზანმიმართულება, კომპლექსურობა, ინტეგრაცია, სამისამართო დიფერენციაცია და დირექტიულობა.

ქვეყნის სამობილიზაციო მომზადების მაჩვენებელთა სისტემაში გარკვეული ხვედრითი წილებით ხასიათდება ცალკეული დარგების საიმედო ფუნქციონირების მაჩვენებლები. როგორც ცნობილია, ასეთ მაჩვენებლად მიღებულია სასაქონლო პროდუქციის მოცულობა, ძირითადი ფონდები, ფონდუკუგება, წარმოების ალტერნატიული დანახარჯები, შრომის მწარმოებლურობა და სხვა (მათი რიცხვი 40-მდეა). ყველა ეს მაჩვენებლები საგანგებო პირობებში კარგავს თავიანთ დომინირებულ მნიშვნელობას იმასთან დაკავშირებით, რომ საგანგებო პირობებში სხვა ამოცანები წარმოიშვება, რის გამოც უპირატესობას იძენს ის მაჩვენებლები, რომელთა საშუალებითაც, უწინარესად, უნდა მიიღწეოდეს ეკონომიკის სტაბილური ფუნქციონირება. ეკონომიკურად პრიორიტეტული მაჩვენებლის შესარჩევად შეიძლება გამოვიყენოთ ფაქტორული ანალიზის მეთოდი. მეთოდის გამოყენებისათვის მაჩვენებლად შეიძლება მივიჩნიოთ საწარმოო პერსონალის გადარჩენის ფაქტორები, დაბანდებები, ინვესტიციები დარგში და სხვა. ამ მაჩვენებლებიდან უფრო პრიორიტეტული მაჩვენებლის გამოსაყოფად უნდა მოვახდინოთ მათი ნორმირება, რის შემდეგადაც ისინი ჩაირთვებიან შერჩეულ მოდელში. თითოეული Z_{ij} მაჩვენებლის

$$Z_{ij} = \frac{X_{ij} - \overline{X}_i}{\sigma_i}$$

ნორმირებას აქვს შემდეგი სახე:, სადაც X_{ij} არის განზოგადოებული მაჩვენებლის მნიშვნელობა;

$\overline{X}i$ – j დარგში i-ური მაჩვენებლის საშუალო მნიშვნელობა; σ_i i-ური მაჩვენებლის საშუალო კვადრატული გადახრა.

ნორმირების შემდეგ განზოგადებული მაჩვენებლისათვის უნდა განვიხილოთ წრფივი ფუნქცია:

$$f_j = \sum biZ_{ij} , \qquad (7)$$

სადაც f_j განზოგადებული მაჩვენებელია, ანუ დარგისათვის მთავარი ფაქტორი. წრფივი დამოკიდებულების შემოტანა აუცილებლად მიგვაჩნია იმასთან დაკავშირებით, რომ ქვეყნის სამობილიზაციო მომზადებისათვის გამოიყოს პირველი რიგის მომზადების მაჩვენებლები. მიუხედავად იმისა, რომ სამობილიზაციო მომზადებაში ყველა მაჩვენებელი „პირველადია“, ჩვენი აზრით, მოსახლეობის (საწარმოო პერსონალის) გადარჩენის მაჩვენებელი (ფაქტორი) ყველაზე პირველადად უნდა ჩაითვალოს.

აღნიშნული (1) ფორმულით შეუძლებელია bi და f_j სიდიდეების განსაზღვრა. მაგრამ როგორც ჩანს უცნობების რაოდენობა მეტი იქნება განტოლებათა რაოდენობაზე (არ ექნება სასრული ამონახსნი, სისტემას). ამ შემთხვევაში საჭიროა შევადგინოთ უმარტივესი სახის კერძო მაჩვენებლების წრფივი კომბინაციით შემდგარი დამოკიდებულება შემდეგი სახით: Zi=lifj+e„

სადაც Zi – i-ური კერძო მაჩვენებელია; li i-ური მაჩვენებლის ფაქტორული დატვირთვა; ei - i-ური მაჩვენებლის მახასიათებელი ფაქტორი. იგი ასახავს კერძო მაჩვენებლების ინდივიდუალურ თვისებებს, რომლებიც არ კორელირდება მთავარ ფაქტორთან (ეი. არაა მთავარ ფაქტორზე დამოკიდებული).

li- ფაქტორული დატვირთვა ხასიათდება შესაბამისი მაჩვენებლით, რომელსაც გააჩნია ყველა მაჩვენებლის საერთო თვისება. ისინი აისახება fj მთავარ ფაქტორში. მისი ეს შემცველობები მით დიდია, რაც უფრო ძლიერია კავშირი კერძო მაჩვენებელსა და მთავარ ფაქტორს შორის, ამიტომ ფაქტორული დატვირთვა გაიგივებულია მაჩვენებელსა და მთავარ ფაქტორს შორის V_{zif} – კორელაციის კოეფიციენტთან. როგორც ცნობილია, რაც უფრო დიდია კერძო მაჩვენებლებს შორის წყვილი დისპერსია, მით უფრო დიდია იმის ვარაუდი, რომ ადგილი აქვს მაჩვენებლების საერთო თვისებებს, რომლებიც მთავარ ფაქტორშიდაც აისახება. მაგრამ მხოლოდ თვისებრიობის გამოვლენა არ იძლევა საშუალებას განისაზღვროს მთავარი ფაქტორის მნიშვნელობა, რაც ერთადერთი სახით შეიძლება გამოვავლინოთ (7) სახის მოდელიდან. ამისათვის საჭიროა: საწყისი მონაცემების მატრიცის შედგენა; მთავარი ფაქტორის მიღების ჰიპოთეზის დადგენა, სტიუდენტის, ან ფიშერის კრიტერიუმების საფუძველზე; ფაქტორული დატვირთვის მნიშვნელობის განსაზღვრა; სიმჭიდროვის შეფასება; მთავარი ფაქტორის მოდელის კოეფიციენტების გამოთვლა უმცირეს კვადრატთა მეთოდით და განზოგადებული მაჩვენებლის ინტერპრეტაცია კერძო მაჩვენებლით.

საწყისი მონაცემების მატრიცა წარმოადგენს კერძო მაჩვენებლების წყვილადი კორელაციის კოეფიციენტებს, რომლებსაც განვსაზღვრავთ შემდეგი სახით:

$$V_{IJ} = \frac{\sum Z_{IJ} Z_{KJ}}{M}$$

სპირმენის კრიტერიუმის . თანახმად, კერძო მაჩვენებლებს შორის ურთიერთდამოკიდებულებით:

$$V_{ik}V_{Jl}-V_{Jk}Vie=0, \quad (j\neq J\neq k\neq l)$$

შესაძლებელია დავახასიათოთ ერთი მთავარი ფაქტორი და მისი არსებობა, სოლო ფაქტორულ დატვირთვას განვსაზღვრავთ მატრიცის ელემენტებით შემდეგი დამოკიდებულებიდან:

$$L_i^2 = \frac{(\sum V_{il})^2 - \sum V_{il}^2}{2(\sum V_{lk} - \sum V_{il})}, \qquad j \neq i$$

ფაქტორიზაციის სიმჭიდროვის შეფასება კეთდება იმისათვის, რომ დადგინდეს მთავარი ფაქტორის არსებითი როლი კერძო მაჩვენებლების შეფასებებისათვის, რომელთა დისპერსიული წილი (წონა) გამოითვლება ფაქტორული დატვირთვის კოეფიციენტიდან შემდეგი ფორმულით:

$$\gamma = \frac{\sum l^2_i}{n} 100\%$$

თუ აღმოჩნდა, რომ $\gamma > 50$ %, მაშინ ერთი მთავარი ფაქტორი მოიცავს კერძო მაჩვენებლების დისპერსიის დიდ ნაწილს. კერძო მაჩვენებლების ფაქტორულ დატვირთვებს li-ს განვსაზღვრავთ განტოლებათა სისტემიდან:

$$l_i = \sum_{i=1}^{n} a_i v_{ik}$$

რაც უფრო სრულადაა ასახული კერძო მაჩვენებლებსა და მთავარ ფაქტორს შორის არსებული კავშირურთიერთობა, რომელიც ხასიათდება li – ფაქტორული დატვირთვით, მით ახლოსაა R ერთთან (სადაც $Ri^2 = \sum \alpha_i l_i$).

(7) მოდელის კოეფიციენტების მნიშვნელობები არ შეიძლება იყოს უარყოფითი (თვით მაჩვენებლების ეკონომიკური არსის გამო) და აქედან გამომდინარე, განზოგადოებული მაჩვენებლის მნიშვნელობა უნდა იყოს მუდმივი სიდიდე–const, ე.ი. მისი ყველა წონადი კოეფიციენტი დადებითია. f - განზოგადებული მაჩვენებლის მნიშვნელობა (რიცხობრივად) გაიანგარიშება

$$f = \sum_{i=1}^{n} a_i x_{ij} - c$$

დამოკიდებულებებიდან: (x_{ij} ზემოთ განვმარტეთ). c მუდმივი რიცხვია, რომელიც განისაზღვრება ფორმულით:

$$c = \sum_{i=1}^{n} \frac{\alpha_i}{\beta_i} x_i$$

სადაც βi - i - ური კერძო მაჩვენებლის ზღვრითი წილი, α_i - i–ური კერძო მაჩვენებლის საშუალო კვადრატული გადახრა.

პირობით რიცხვებზე ჩატარებულმა გამოკვლევამ გვიჩვენა, რომ ყველაზე დიდი ზღვრითი მნიშვნელობა მიიღო დაბანდებამ (ინვესტიციამ) 0,41. ე.ი. თითქმის 41% და სამრეწველო-საწარმოო პერსონალმა 0,42 (გადარჩენის ფაქტორების, როგორც კერძო მაჩვენებლების გათვალისაწინებამ). აქედან გამომდინარე, სამობილიზაციო მომზადების მთავარ მაჩვენებლად ანუ უფრო პრიორიტეტულ ფაქტორად, დაბანდებები და მოსახლეობის გადარჩენისათვის გატარებული ღონისძიებები გვევლინება.

საგანგებო პირობებში მდგრადი ფუნქციონირებისათვის მრეწველობის ცაკეული დარგებისათვის მომზადების ღონისძიებები უნდა განხორციელდეს სამ ეტაპად: პირველ ეტაპზე, იანგარიშება კონკრეტული დარგის არსებული მდგომარეობა, უნარი, მომზადების შესაძლებლობა (მარაგების ოდენობა); 2. განისაზღვრება საგანგებო პირობებში მუშაობის გაგრძელების პარამეტრები; 3. ხდება მაჩვენებელთა შერჩეული სისტემის საფუძველზე კრიტერიუმების შეფასება.

ეკონომიკური ინსტრუმენტები ეყრდნობა ალბათობის თეორიას და მათემატიკური სტატისტიკის გამოყენებას ეკონომიკის სფეროში ჯერ ერთი, იმის გამო, რომ ეკონომიკური მაჩვენებლები თითქმის შემთხვევითი სიდიდეებია და მათი შესწავლა ალბათობისა და მათემატიკური – სტატისტიკის გამოყენების საფუძველზე

დამაჯერებელია და მეორე სიზუსტესთან ძალიან ახლოს დგანან. ამასთან წარმოადგენს ჩვენი დროის მიღწევას.[1]

გაიანგარიშება ზემოქმედების პირობებში დარგის შრომითი რესურსების, შესაძლებელია სტოქასტიკური ფაქტორების გათვალისწინებით, შემდეგი ფორმულით:

$$\Delta N=(1-k_1)[M_y.P_y+(100-M_y)P_{01}]+K_2.P_{01}.100+(K_1+K_2)[M_n.P_n+(100-M_n)P_{02}]; \quad (8)$$

სადაც ΔN – შრომითი რესურსების ცვლილება; k_1 – შრომითი რესურსების ხვედრითი წილი, რომლისათვისაც გათვალისწინებული იყო საევაკუციო ღონისძიება; k_2 – შრომითი რესურსების ხვედრითი წილი, რომლებმაც რაიმე მიზეზით ვერ მოასწრო ევაკუაცია და დარჩა საგანგებო სიტუაციაში;

M_y – შრომითი რესურსების ხვედრითი წილი, რომლებიც უზრუნველყოფილია თავშესაფრებით; M_n შრომითი რესურსების ხვედრითი წილი, რომლებიც უზრუნველყოფილნი არიან თავდაცვის საშუალებებით (აირწინაღები, რესპირატორები, ცეცხლგამძლე საშუალებები და სხვა).

P_y, P_n – შესაბამისად დანაკარგების ალბათობები თავშესაფრებში და თავდცვითი საშუალებების გამოუყენებლობით;

P_{01}, P_{02} – ალბათობითი მნიშვნელობები, რომლებიც ვერ იქნენ უზრუნველყოფილი შესაბამისად თავშესაფრით და თავდაცვით საშუალებებით (დაიღუპა); k_1 – განისაზღვრება ფორმულით:

$$K_1 = \frac{M_1 + M_2}{100} \quad (9)$$

M_1 სამრეწველო-საწარმოო პერსონალის რიცხოვნებაა, რომლებიც მოხვდნენ საწარმოს გარეთ (არ ღებულობდნენ

---

[1] პ. სამუელსონი, ვ. ნორდჰაუზი. ეკონომიკსი. სახელმზღვანელო, გამომც. „ეკონომიკა და სამართალი“. თბ., 1992. გვ. 182.

წარმოების პროცესში მონაწილეობას); M_2 – უზრუნველყოფილნი იქნენ სამობილიზაციო მომზადებით.

როგორც ჩანს, M_1, M_2, My, M_n სიდიდეები უკვე წარმოადგენენ სამობილიზაციო მომზადების მაჩვენებლებს.

K_2 – სიდიდის განსაზღვრა შესაძლებელია შემდეგი საზით:

$$k_2 = \frac{M_2 \beta}{100} \qquad (10)$$

სადაც β – შრომითი რესურსების ხვედრითი წილი, რომლებისთვისაც გათვალისწინებული იყო სამობილიზაციო მომზადება, მაგრამ ვერ მოასწრეს გამოყენება. იგი საორიენტაციოდ 0,5 – ის ტოლად შეიძლება მივიღოთ.

საგანგებო პირობებში დანაკარგები ალბათური სიდიდე იანგარიშება (7) ფორმულით. იგი ჩვეულებრივი მათემატიკური ლოდინის ანალოგიურია, ანუ საშუალო შეწონილი დანაკარგებია დარგში (საწარმოში) სხვადასხვა სიტუაციების შესაბამისად. ანალიზისათვის დავუშვათ: $P_{02} \approx 0,2$; $P_n \approx 0,06$; $P_{01} \approx 0,75$; $P_{02} \approx 0,5$; $M_1 \approx 60\%$; $M_2 \approx 30\%$; $M_y \approx 60\%$; $M_n \approx 30\ \%$, მაშინ:

$$\Delta N=(1-0.97)[60 \cdot 0.2+(100-60)\cdot 0.75]+0.2\cdot 0.75\cdot 100+(0.97+0.2)\cdot$$
$$\cdot[37\cdot 0.06+(100-37)\cdot 0.5]=53.56$$

$$k_1 = \frac{60+37}{100} = 0,97; k_2 = \frac{40 * 0,5}{100} = 0,2.$$

მაშასადამე, დანაკარგები შრომითი რესურსების, აღნიშნულ მონაცემებზე (პირობით) შეადგენს 46,44 %-ს, ხოლო შრომისუნარიანობის – 53,56 %-ს.

II. ანალოგიურად, შესაძლებელია ვიანგარიშოთ ძირითადი ფონდების ცვლილება შემდეგი ფორმულით:

$$\Delta\Phi=M_{\Phi i}P_{\Phi i}+(100-M_{\Phi i}-M_{\Phi ni})\,p_{\Phi ni}+M_{\Phi ki}\cdot p_{\Phi ki}$$

სადაც $M_{\Phi i}$ - i-ური საწარმოს ძირითადი ფონდების ხვედრითი წილი, რომელიც მოთავსებულია საწარმოს შიგნით;

$M_{\Phi ni}$ - i–ური საწარმოს ძირითადი ფონდების ხვედრითი წილი, რომლებიც მოთავსებულია საწყობებში (სპეციალურ საცავში);

$P_{\Phi i}$ და $p_{n\Phi i}$ – დანაკარგების ხვედრითი წილები (ალბათობები) შესაბამისად საწარმოებში და საცავში.

$p_{\Phi ki}$ - დანაკარგები სპეციალურ საცავში.

თუ დავუშვებთ, რომ მთელი ქვეყნის ძირითადი ფონდების ღირებულების $M_{\Phi i}\equiv 5$ % განლაგებულია საწარმოთა გარეთ, ხოლო $M_{\Phi ni}=15$ % მოთავსებულია საცავებში, მაშინ მრეწველობის ცალკეული დარგისათვის ძირითადი ფონდების დანაკარგების საშუალო პროცენტული სიდიდეები პირობით ციფრებით იქნება:

1.ელექტროენერგეტიკა

$\Delta\Phi_1=5.0,07+(100-5-15).0,95+15.0,03=76,8\%$;

2.სათბობ მრეწველობა

$\Delta\Phi_2=5.0,12+(100-5-15).0,95+15.0,00=76,6\%$;

3.შავი მეტალურგია

$\Phi_3=5.0,04+(100-5-15).0,95+15.0,03=76,2\%$;

4. ფერადი მეტალურგია

$\Delta\Phi_4=76,2\%$;

5.ქიმიური და ნავთობქიმიური მრეწველობა

$\Delta\Phi_5=5.0,14+80.0,9+15.0,03=73,15\%$;

6. მანქანათმშენებლობა და ლითონდამუშავება

$\Delta\Phi_6=64,9\%$;

7. ხე-ტყე, ხის დამმუშავებელი და ცელულოზა-ქაღალდის მრეწველობა

$\Delta\Phi=73,5\%$;

8. სამშენებლო მასალების მრეწველობა $\Delta\Phi_8=60,80\%$;

9. მსუბუქი მრეწველობა $\Phi_9=69,05\%$;

10. კვების მრეწველობა $\Phi_{10}=68,95\%$;

11. ფქვილ ბურღულისა და კომბინირებული საკვების

მრეწველობა

$$\Delta\Phi=87,659\%;$$

მთლიანი დანაკარგები მთელი ქვეყნის მრეწველობაში იქნება:

$$\Delta\Phi = \sum_{i=1}^{11} \Delta\Phi_i \alpha_i \qquad (11)$$

სადაც. $\sum_{i=1}^{n} \alpha_i = 1$

მე-(11) ფორმულით ძირითადი ფონდების დანაკარგები მთელ მრეწველობაში იქნება:

ΔΦ=76,8.0,25+76,6.0,03+76,2.0,12+76,2.0,01+73,15.0,05+64,9.0,17+73,5.0,03+60,8.0,06+69,05.0,06+6895.0,19+87,65.0,02=70,9

ე.ი. ძირითადი ფონდების დანაკარგები მთელი მრეწველობის მიმართ შეადგენს 70,9%, რაც მეტად დიდი სიდიდეა.

III. გადარჩენილი შრომითი რესურსებისა და ძირითადი ფონდების საფუძველზე შესაძლებელია ვიანგარიშოთ თითოეულ დარგში წარმოებული პროდუქციის მოცულობა შემდეგი ფორმულით: $V_I = \frac{N_i Voi K_{mil}}{K_{oi} N_{pi} K_{cmi}}$ (12)

სადაც N_i - გადარჩენილი შრომითი რესურსი (კაცი);

N_{pi} – საჭირო რაოდენობა შრომითი რესურსის (კაცი);

V_{01} – დარგში წარმოებული პროდუქცია მშვიდობიან პერიოდში;

K_{mi} – მშვიდობიან პერიოდში ცვლიანობის კოეფიციენტი;

K_{cmi}- დარგში ცვლიანობის კოეფიციენტი არსებული მუშათა რიცხოვნების მიხედვით;

K_{on} შრომის ნაყოფიერება (მწარმოებლურობა), რომელსაც მეორე მსოფლიო ომის შემდეგ საშუალოდ 1,5-ის ტოლად ღებულობენ.

საგანგებო მოვლენების შემდეგ დარჩენილი შრომითი რესურსების რიცხოვნება შეიძლება ვიანგარიშოთ შემდეგი ფორმულით:

$Ni = \bar{N}_{0i}(100-\Delta N_i):100,$

სადაც $\bar{N}_{0i}$-სამობილიზაციო გასაწვევთა რაოდენობაა;

ΔN_i-იანგარიშება (7) ფორმულით. თუ ჩავთლით, რომ სამობილიზაციო გაწვევას დაექვემდებარა საწარმოო პერსონალის 10 %, მაშინ N_{0i} დარგების მიხედვით ზემოქმედების შემდეგ შრომის უნარიანია. ხოლო საჭირო შრომითი რესურსების რაოდენობა, რომლებიც შეძლებენ მუშაობის გაგრძელებას საგანგებო პირობებში, შესაძლებელია განისაზღვროს შემდეგი ფორმულით:

$$N_{pi} = \frac{K_i F_i N_{oi} K_{omi} K_{en}}{V_{oj} K_{mj}} \qquad (13)$$

სადაც F_i – i-ური დარგის ძირითადი ფონდების დანაკარგების ხვედრითი წილია, რომლებიც მოექცნენ

$$N_{p1} = \frac{0,95 \times 35,45 \times 3,385 \times 1,5 \times 1,8}{144,7 \times 1.5} = 1,418$$

ზემოქმედების ცენტრში. ელექტროენერგეტიკაში N_{p1} იქნება:

ანალოგიურად, დანარჩენი დარგებისათვის (იხ. დანართი 11-ის მე-8 გრ.). ხოლო (12) ფორმულით წარმოებული პროდუქციის მოცულობები (იხ. დანართი 11-ის მე-9 გრ.).

საგანგებო მოვლენების შემდეგ მთელი წარმოებული პროდუქცია შეადგენს 229,902 მლნ ლარს $(\sum_{i=1}^{11} V_i = 229.902)$, რაც მშვიდობიან პერიოდში (1996 წ.) წარმოებული პროდუქციის 0,12 %-ია. ამის შემდეგ ჩვენს ამოცანას წარმოადგენს კრიტერიუმის $\frac{V_i}{Voi} \le 1$ შეფასება (12).

ფარდობითი მნიშვნელობები (იხ. დანართი 11-ის მე-11 გრ.)მეტად დაბალია, რაც იმაზე მიუთითებს, რომ საქართველოს მრეწველობის თითოეულ დარგში სამობილიზაციო მომზადება 1996 წლის მონაცემების მიხედვით დასაშვებ ზღვარს ქვემოთაა.

გარდა აღნიშნულისა, მნიშნელოვანია სამობილიზაციო მომზადების მატერიალური მარაგების შეფასება აღდგენითი სამუშაოებისათვის. სამობილიზაციო მომზადების მარაგები მეტი უნდა იყოს აღდგენითი სამუშაოების საჭიროებისათვის, რადგან თუ ეს მიდგომა არ იქნება დაცული, მაშინ მთლიანი აღდგენითი სამუშაოების ჩატარება ვერ მოხერხდება. აღდგენითი სამუშაოებისათვის საჭირო მოცულობები შეიძლება ვიანგარიშოთ შემდეგი ფორმულით:

$$S_i = W_{ti} \cdot S_{ti} + (100 - W_{ti} - W_{mi}) \cdot S_{tpi} + W_{tm} \cdot S_{mi} \qquad (14);$$

სადაც S_{ti}, S_{tpi} და S_{tmi} – გადარჩენილი ძირითადი ფონდებია შესაბამისად საგანგებო მოვლენათა ცენტრში, წრიულ არეში და წრიული არის გარეთ. ამასთან, აღდგენითი სამუშაოების ჩატარება უნდა ეიგულისხმოთ მცირე, საშუალო და დიდი კაპიტალური-სარემონტო სამუშაოების მეშვეობით, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, აღდგენითი სამუშაოების ჩატარების ვადებსაც ენიჭება გარკვეულად დიდი მნიშვნელობა. ამ დროების დასადგენად შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს შემდეგი ფორმულები:[1]

$$t \geq \frac{\Delta F}{I_0 . N}, \qquad K_i \times t \geq R_i - Z_i, \qquad t \geq t_0.$$

სადაც t- აღდგენითი სამუშაოებისათვის საჭირო დრო (დღეები);

ΔF –სამუშაოებისათვის საჭირო საწარმოო ფონდები (ღირებულება);

I_0 – მწარმოებლურობა (მილიონი ლარი ყოველ 1000 კაცზე);

N – მუშა პერსონალი, რომელიც აწარმოებს აღდგენით სამუშაოებს (აქ არ შედის წარმოებაზე დაკავებული მუშა-პერსონალი);

Ri – საჭირო მატერიალური რესურსი;

---

[1] Научно-технический сборник. № 3.М., 1983.СТР.51

Zi – არსებული სამობილიზაციო მატერიალური მარაგები;
Ki – საწარმოში არსებული მატერიალური მარაგი.

პირობითად, ვთქვათ, R1=60 მილიონ ლარს, R2=30 მლნ ლარი; R3=10,5 მლნ ლარი; K_1=2 მლნ ლარი; K_2 =0,5 მლნ ლარი; K_3 =0,5 მლნ ლარი; Z_1 =20 მლნ ლარი; Z_2 =5 მლნ ლარი; Z_3 =5 მლნ ლარი, აღდგენისათვის გამოყოფილია 80 კაცი, მაშინ:

$$t_1=\frac{48\cdot 12}{0.02\cdot 60}=40;\quad t_2=\frac{60\cdot 20}{20}=20;\quad t_3=\frac{30\cdot 5}{0.5}=50;\quad t_4=\frac{60.5\cdot 5}{0.5}=121$$

$$\max t=\{40, 20, 50, 121\}=121.$$

ეს იმას ნიშნავს, რომ აღდგენისათვის საჭიროა მაქსიმუმ 121 დღე, ხოლო მინიმალური 20 დღე.

ჩატარებული გაანგარიშებების ანალიზი საშუალებას იძლევა დადგინდეს სამობილიზაციო მომზადების მატერიალური მარაგების ნომენკლატურა, მოცულობები, საჭირო მუშახელის რაოდენობა და აღდგენისათვის საჭირო დროის პერიოდი.

გარდა აღნიშნული დანაკარგების სიდიდეებისა, მნიშვნელოვანია ზემოქმედების თანმდევი მოვლენების განმსაზღვრა, კერძოდ: ხანძრით გამოწვეული, აფეთქების შედეგად მიწის ქვეშ მოყოლილი და არასაიმედო შეფუთვა-შენახვის პირობებით გამოწვეული დანაკარგები და სხვა. ამ ფაქტების გათვალისწინებით, მთლიანი დანაკარგები შეიძლება განისაზღვროს ალბათობის თეორიიდან ცნობილი ფორმულით: $P_x=1-(1-P_1)(1-P_2)(1-P_3)$. ვთქვათ, მიწის ქვეშ მოყოლილ დანაკარგებია P_1=0,365; ხანძრის შედეგად P_2=0,97; არასაიმედო შეფუთვით დანაკარგების ალბათობაა P_3=0,29, მაშინ P_x=1-(1-0,365)(1-0,970)(1-0,290)=0,889 მთლიანი დანაკარგების ალბათობაა 0,899, ე.ი. შესაძლებელია 11,1 %-ის აღდგენა. აქვე აღვნიშნავთ, რომ გაანგარიშებებს არ აქვს სიზუსტის პრეტენზია. მაგრამ ვფიქრობთ, რომ ისინი მიახლოებით წარმოდგენას იძლევა ქვეყნის ეკონომიკური და სამობილიზაციო მომზადების დონესა და არსებულ პოტენციალზე. ამასთან, ამჟამად, ქვეყნის სამობილიზაციო მომზადების ფაქტიური პოტენციალი

დაკარგულია ბოლო წლების მოვლენების შედეგად, მაგრამ მათი ნაწილი ფიქტიური მარაგების სახით ქვეყანაში კიდევ არსებობს, რასაც შესწავლა და გამოკვლევა სჭირდება.

აღსანიშნავია აგრეთვე ისიც, რომ საქართველოს ამჟამინდელი სამობილიზაციო მომზადების და მზასდყოფნის შეფასება ზემოთ განხილული კრიტერიუმით მეტად წინააღმდეგობრივია, ჯერ ერთი, ეკონომიკური საქმიანობის და მისი შედეგების მიმდინარე პერიოდის მაჩვენებლების მიხედვით და მეორე, მდგრადი, გრძელვადიანი ფაქტორების მოქმედების და მისი შედეგების საფუძველზე. პირველის მიხედვით, საქართველოს პარამეტრები ჩამორჩენილი ქვეყნის დონისაკენ იხრება. წარმოების მოცულობა უკიდურესად დაქვეითებულია. 1989-1994 წლებში მთლიანი შიდა პროდუქტი თითქმის 4-ჯერ შეიკვეცა, მრეწველობის პროდუქცია – 7 – ჯერ, სოფლის მეურნეობის პროდუქციისა 2-ჯერ, თითქმის შეწყდა სამშენებლო წარმოება. მეორე ასპექტის შესახებ შეიძლება ითქვას, რომ საქართველო განვითარებული ქვეყნების რიცხვს მიეკუთვნება, რომელსაც მნიშვნელოვანი ეროვნული სიმდიდრე და პოტენციალი გააჩნია, ისე რომ სამობილიზაციო მომზადების მატერიალური ფასეულობათა მარაგების შექმნის საიმედო პერსპექტივაც აქვს.

საქართველოს ეკონომიკური უსაფრთხოების მაჩვენებლები მჭიდრო ურთიერთკავშირშია ქვეყნის სამობილიზაციო მომზადებისა და მზადყოფნის მაჩვენებლებთან. მე-3 ცხრილში მოტანილია საქართველოს ეკონომიკური უსაფრთხოების მაჩვენებლების ფაქტიური მდგომარეობა.

საქართველოს ეკონომიკური უსაფრთხოების მოყვანილი მაჩვენებლებიდან ჩანს, რომ 1. ქვეყანა მნიშვნელოვნად შორსაა განვითარებისათვის აუცილებელი მინიმალური ზღვრული მაჩვენებლებისაგან, ანუ მას მნიშვნელოვანწილად დაკარგული აქვს გაფართოებული კვლავწარმოების და თვითგანვითარების უნარი,

ცხრილი 3

საქართველოს ეკონომიკური უსაფრთხოების მაჩვენებლები[1]

№	მაჩვენებლები	ზღვრული მნიშვნელობა %-ში	ფაქტობრივად %-ში, 2000 წელი
1	მთლიანი შიდა პროდუქტის დაცემა	25	61,7
2	მრეწველობის დაცემა	30	82,2
3	ინვესტიციების წილი მთლიან შიდა პროდუქტში	25	8
4	მოსახლეობის რაოდენობა საარსებო მინიმუმის ქვემოთ	10	52
5	საგარეო ვალის მოცულობა მთლიან შიდა პროდუქტის მიმართ	25	60
6	დანახარჯები მეცნიერებაზე	2	0,2
7	სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა (წელი)	70	72,6

რაც, თუ ასე გაგრძელდა სახელმწიფობრივობის დაკარგვის რეალურ საფრთხეს შეიცავს; 2. აქედან უშუალოდ გამომდინარეობს, რომ ასეთ პირობებში ქვეყნის სამობილიზაციო მომზადების მაჩვენებლების უზრუნველყოფის საკითხი დგება ეჭქვეშ, რაც მეტად საშიშია საგანგებო პირობებში სახელმწიფოს არსებობისათვის, აგრეთვე ეს მაჩვენებლები მდგრადი და უსაფრთხო განვითარების უზრუნველყოფისათვის მიუღებელია.

[1] ნ. ჭითანავა. გარდამავალი პერიოდის სოციალურ-ეკონომიკური პრობლემები. ნაწილი III. თბ., 2001. გვ. 362.

საქართველოს ეკონომიკის მდგრადობის ერთ-ერთ ძირითად პირობად მიჩნეული უნდა იქნეს სამობილიზაციო მომზადებისა და მზადყოფნის მატერიალური რეზერვების მოცულობა (მოთხოვნილებების შესაბამისად) როგორც მინიმუმ, ყველა ნომენკლატურის მიხედვით, ქვეყნის საგანგებო პირობებში ერთი თვის მანძილზე ავტონომიური ფუნქციონირებისათვის. აღნიშნული ამოცანისათვის სისტემატურად უნდა მუშავდებოდეს სამხედრო უსაფრთხოების განვითარების გრძელვადიანი პროგრამები, როგორც სახელმწიფოს სტრატეგიისა და პოლიტიკის განმსაზღვრელი დოკუმენტი.

თავი 3. საქართველოს ეკონომიკის სამობილიზაციო მომზადებისა და მზადყოფნის დონის ამაღლების წინაპირობები და ძირითადი მიმართულებები

3.1. ეკონომიკის სამობილიზაციო მომზადების გაშლის ორგანიზაციის სისტემა და ძირითადი პრინციპები

ეკონომიკის სამობილიზაციო მომზადება უნდა განხორციელდეს მშვიდობიანობის დროს საკმაოდ რთული და ფართო ღონისძიებათა კომპლექსის გატარების გზით და დაიყოს სამ ძირითად მიმართულებად: სამობილიზაციო მომზადება სამოქალაქო თავდაცვისათვის, შეიარაღებული ძალების საომარი მზადყოფნისათვის და ეროვნული მეურნეობის სამობილიზაციო მომზადება. მრეწველობის სამობილიზაციო მომზადება ქვეყნის სამობილიზაციო მომზადების უმნიშვნელოვანესი შემადგენელი ნაწილია. იგი მიმდინარეობს მთავრობის ხელმძღვანელობით მეურნეობის წინასწარი მომზადების მიზნით შეიარაღებული ძალების, სამოქალაქო თავდაცვისა და მოსახლეობის გადაუდებელ მოთხონილებათა საგანგებო პირობებში დაკმაყოფილებისათვის (იგულისხმება როგორც ომი, ასევე უბედური შემთხვევა).

მობილიზაციის პრინციპებია: ა) ცენტრალიზირებული მართვა; ბ) წინასწარი მზადება; გ) მობილიზაციისათვის მზადყოფნა; დ) გეგმიურობა; ე) კომპლექსურობა; ვ) კოორდინაცია და კონტროლი.

აღნიშნული პრინციპებიდან გამომდინარე, ეროვნული მეურნეობის სამობილიზაციო მომზადებაზე პასუხისმგებლობა ეკისრება მთავრობას, სამინისტროთა და უწყებათა ხელმძღვანელებს, ქალაქების და რაიონების ადგილობრივი მმართველობის ორგანოებს.

ეკონომიკის სამობილიზაციო მომზადება უნდა განხორციელდეს ეროვნული მეურნეობის სამობილიზაციო მომზადების პერსპექტიული და ყოველწლიური (განსაკუთრებული პერიოდის) სახელმწიფო შეკვეთების დამუშავების და რეალიზაციის გზით. ეს შეკვეთები უნდა დამუშავდეს დარგობრივ და რეგიონალურ ჭრილში.

არსებული თეორიისა და პრაქტიკული გამოცდილების თანახმად, განსაკუთრებულ პერიოდად განიხილება სამი ურთიერთდაკავშირებული ეტაპი. პირველი ეტაპის სამობილიზაციო გეგმის თანახმად გაითვალისწინება სამხედრო პროდუქციის წარმოების მოცულობის მკვეთრი ზრდა სამოქალაქო პროდუქციის წარმოების გარკვეული შემცირების ხარჯზე.

მეორე ეტაპი იწყება სამობილიზაციო გაშლის დასრულების და სავარაუდო წლის გეგმით გათვალისწინებული წარმოების მოცულობის მიღწევის შემდეგ და გრძელდება ომის ან საგანგებო პირობების დამთავრებამდე.

მესამე ეტაპზე ხდება სამხედრო პროდუქციის წარმოების შემცირება და ეროვნული მეურნეობის სამოქალაქო პროდუქციის წარმოებაზე გადაყვანა იმ მოცულობით, რომელიც უზრუნველყოფს ქვეყნის მოთხოვნილებებს.

ეროვნული ეკონომიკის დარგთა გადაყვანა სავარაუდო წლის გეგმით გათვალისწინებულ წარმოებაზე შეიძლება განხორციელდეს ქვეყნის მთელი ტერიტორიაზე, ან ნაწილობრივ, ცალკეული დარგების მიხედვით.

შეიარაღებული ძალებისათვის და ქვეყნის მოთხოვნილებათა უზრუნველყოფისათვის, მათი პროდუქციის მნიშვნელობის გათვალისწინებით, სავარაუდო წლის

სახელმწიფო შეკვეთებში (სამობილიზაციო გეგმაში) უნდა განისაზღვროს მაქსიმალური სამხედრო-ეკონომიკური შესაძლებლობები, კერძოდ:

სამხედრო პროდუქციის გამოშვების მკვეთრი გაზრდა;

სამხედრო ტექნიკისა და ქონების, მათი წარმოებისათვის საჭირო მაკომპლექტებელი ნაწარმის დამზადების და მიწოდების დავალებები;

ქვეყნის შეიარაღებული ძალებისა და სამხედრო ტექნიკის დაკომპლექტების, ეროვნული მეურნეობისა და გადაუდებელი საჭიროების მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებისათვის სამოქალაქო სამრეწველო პროდუქციის წარმოების დავალებები; ნავთობპროდუქტებით მომარაგება, აგრეთვე ტრანსპორტის, კავშირგაბმულობის და ჯანმრთელობის დაცვის, სოფლის მეურნეობის, სამშენებლო ინდუსტრიის და ეროვნული მეურნეობის სხვა დარგების მუშაობის ძირითადი მაჩვენებლები;

განსაკუთრებული პერიოდის პირობებში მოსახლეობის დაცვისა და მატერიალურ ფასეულობათა ზარალის შემცირების ღონისძიებები;

ეროვნული მეურნეობის საჭიროებისათვის უმნიშნელოვანესი სახეობის მოწყობილობის, ნედლეულისა და მასალების მოთხოვნილებათა გაანგარიშებები. მატერიალური ბალანსების საფუძველზე; საწარმოო სიმძლავრეების შექმნისათვის პერსპექტიული და ყოველწლიური პროგრამები;

მუშახელზე ეროვნული მეურნეობების მოთხოვნილებათა გაანგარიშებები, მისი შევსების წყაროები;

უმოკლეს ვადაში, ეროვნული მეურნეობის სამობილიზაციო გაშლის ორგანიზაციულ-ტექნუკური ღონისძიებები;

განსაკუთრებულ პერიოდში ეროვნული მეურნეობის შეუფერხებელი მუშაობის ღონისძიებები;

ეროვნული მეურნეობის სამობილიზაციო მომზადების პერსპექტიული პროგრამები უნდა შეიცავდეს:

- სამხედრო ტექნიკისა და სამხედრო ქონების დამზადებისა და მიწოდების მოცულობებს შეიარაღებული ძალების მიმდინარე საჭიროებისა და განსაკუთრებული პერიოდის პირველი წლის მარაგების უზრუნველყოფას;

სამობილიზაციო სიმძლავრეების შექმნის, განვითარებისა და შენარჩუნების დავალებებს სამხედრო ტექნიკისა და სამხედრო ქონების საწარმოებლად, შეიარაღებული ძალების მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად განსაკუთრებულ პერიოდში;

მრეწველობაში სამობილიზაციო სიმძლავრეების შექმნის, განვითარებისა და შენარჩუნების დავალებებს დეფიციტური სამოქალაქო პროდუქციის საწარმოებლად;

ტრანსპორტის, კავშირგაბმულობის, ჯანმრთელობის დაცვისა და ეროვნული მეურნეობის სხვა დარგების სამობილიზაციო მომზადების დავალებებს;

- სახელმწიფო რეზერვში მატერიალურ ფასეულობათა დაგროვების სჭუშაოებს ქვეყნის ეროვნული მეურნეობის განვითარებისა და ქვეყნის თავდაცვუნარიანობის ამაღლების მიზნით, აგრეთვე მატერიალურ ფასეულობათა რეზერვებში შენახვის ღონისძიებებს სამხედრო და დეფიციტური პროდუქციის საწარმოებლად განსაკუთრებულ პერიოდში;

სამოქალაქო თავდაცვის საინჟინრო-ტექნიკური ღონისძიებებს განსაკუთრებულ პერიოდში, მოსახლეობის დაცვისა და ეროვნული მეურნეობის ფუნქციონირების მდგომარეობის ასამაღლებლად, აგრეთვე მშვიდობიან დროს

სტიქიური უბედურობების, ავარიებისა და კატასტროფების შედეგების სალიკვიდაციო მაშველი და სხვა გადაუდებელი სამუშაოების საწარმოებლად;

შეიარაღებულ ძალებში მობილიზაციით გაწვეული სამხედრო ვალდებულებათა შემცველი კადრების მომზადებას;

განსაკუთრებული პერიოდისათვის სხვადასხვა დოკუმენტების მომზადების დავალებებს, მათ შორის: ეროვნული მეურნეობის დარგების საქმიანობის ოპერატიულ მართვაზე, მატერიალურ-ტექნიკურ მომარაგებაზე, შრომითი რესურსების გამოყენებაზე, სამოქალაქო თავდაცვისა და სამობილიზაციო ხასიათის სხვა ღონისძიებებზე გადაყვანას.

განსაკუთრებულ პერიოდში სამოქალაქო შეიარაღებაზე დაქვემდებარებულ საწარმოებსა და ორგანიზაციებზე ოპერატიული ხელმძღვანელობის გაწევისათვის, საქართველოს სამინისტროებმა და უწყებებმა, ავტონომიური რესპუბლიკების მთავრობამ, ქალაქ თბილისის მერიამ, საწარმოებმა, ორგანიზაციებმა და დაწესებულებებმა, რომლებიც მიიღებენ დავალებებს სავარაუდო წლის გეგმის მიხედვით, წინასწარ უნდა დაამუშაონ და დაიგეგმილი წესით შეთანხმების შემდეგ წარუდგინონ დასამტკიცებლად სამობილიზაციო მომზადების ცენტრალურ ორგანოს მათი მუშაობის წესი, სამობილიზაციო გაშლის დაწყების პერიოდის პირველი 15 დღისათვის.

სავარაუდო წლისათვის გაანგარიშებებს და ოპერატიული დოკუმენტების დამუშავებას საფუძვლად უნდა ედოს საქართველოს მთავრობის დადგენილება — სავარაუდო წლის სამობილიზაციო გეგმის დამუშავების შესახებ.

საწარმოებმა, რომლებმაც სავარაუდო წლის გეგმის მიხედვით უნდა აწარმოონ სამხედრო და სამოქალაქო პროდუქცია, დაკისრებული სამობილიზაციო დავალებათა

დროულად, სრულად და ხარისხიანად შესრულების უზრუნველყოფის მიზნით, მშვიდობიან პერიოდში უნდა განახორციელონ სამობილიზაციო მომზადებისა და სამოქალაქო თავდაცვის ღონისძიებები.

საწარმოების სამობილიზაციო მომზადება ხორციელდება შემდეგნაირად:

მუშავდება საკარაუდო წლის სამხედრო და მნიშვნელოვანი სამოქალაქო სამრეწველო პროდუქციის წარმოებისა და მიწოდების გეგმა;

იქმნება სამხედრო ტექნიკის, საკვარისო დანიშნულების ქონების, მაკომპლექტებელი ნაწილებისა და მნიშვნელოვანი სამრეწველო პროდუქციის წარმოებისათვის საჭირო სამობილიზაციო სიმძლავრეები.

მუშავდება სამხედრო ტექნიკაზე, საარმიო და სამოქალაქო პროდუქციაზე მშვიდობიანობის დროს მოქმედი სტანდარტებიდან და ტექნიკური დოკუმენტაციიდან განსაკუთრებულ პერიოდში დასაშვები გადახრები;

იგეგმება ღონისძიებები საწარმოს მუშაობის უზრუნველსაყოფად;

- მზადდება შეიარაღებული ძალებში მობილიზაციით გასაწვევი რეზერვისტთა შესაცვლელად საჭირო პროფესიების და სპეციალობათა მქონე კადრები;

- იქმნება სპეციალური ღონისძიებები განსაკუთრებულ პერიოდში აღდგენითი სამუშაოების ჩასატარებლად.

საწარმოები, რომლებიც საკარაუდო გეგმის მიხედვით აწარმოებენ სამხედრო და სამოქალაქო სამრეწველო პროდუქციას, ხელმძღვანელობენ რა შესაბამისი ინსტრუქციებით, მეთოდური მითითებებით და დამტკიცებული დავალებებით, უნდა დაამუშავონ საკარაუდო წლის

სამობილიზაციო გეგმები, რომელთა დამუშავება ეკისრება საწარმოს ხელმძღვანელს.

საწარმოს სავარაუდო წლის სამობილიზაციო გეგმის შემუშავებისათვის სამობილიზაციო მომზადების და სამოქალაქო თავდაცვის ღონისძიებათა შესრულებაზე სისტემატური კონტროლის განხორციელებისათვის ხელმძღვანელის ბრძანებით იქმნება მუდმივმოქმედი ტექნიკური კომისია, საწარმოს მთავარი ინჟინერის მეთაურობით. საწარმოს სამობილიზაციო გაშლილი გეგმა შედგება შემდეგი ძირითადი დოკუმენტებისაგან:

საწარმოს ხელმძღვანელის გადაწყვეტილება საწარმოს სამობილიზაციო მომზადების და სავარაუდო წლის სამრეწველო პროდუქციის წარმოებისათვის მისი მზადყოფნის უზრუნველყოფის შესახებ.

სავარაუდო წლის სამრეწველო პროდუქციის წარმოების გეგმა (ნომენკლატურა და პროდუქციის მოცულობა ნატურალურ და ფულად გამოხატულებაში).

სავარაუდო წლის დავალების შესასრულებლად საჭირო საწარმოო ფართობის და ძირითადი სახეობის მატერიალური რესურსების (ტექნოლოგიური მოწყობილობის, აღჭურვილობის ინსტრუმენტის, ელექტროენერგიის, სათბობის, წყლის, ორთქლის, შეკუმშული ჰაერის, ნედლეულის, მაკომპლექტებელი ნაწარმის და სხვა მასალების) მოთხოვნილებათა უზრუნველყოფის გაანგარიშებანი;

სამობილიზაციო რეზერვში დასაგროვებელ მატერიალურ ფასეულობათა უწყისები;

სავარაუდო წლის გეგმის დავალებათა შესრულებისათვის საჭირო მუშახელის მოთხოვნილების გაანგარიშებები.

გაანგარიშება მუშა-მოსამსახურეთა დამატებით მოთხოვნილებაზე კეთდება ძირითადი სპეციალობის მიხედვით. შეიარაღებულ ძალებში მობილიზაციით გასაწვევ ხელმძღვანელ მუშაკთა და მატერიალურად პასუხისმგებელი პირების შეცვლის გეგმა, ასევე შეიარაღებული ძალებში მობილიზაციით გაწვევისაგან გადავადებაზე მოწმობების ჩაბარების შესახებ ღონისძიებათა გეგმა რეზერვისტებისათვის.

სავარაუდო წლის სამობილიზაციო გეგმის შემადგენელ ნაწილებად შეიძლება ჩაითვალოს, აგრეთვე საწარმოს მიერ დამუშავებული, ან გარედან მიღებული შემდეგი დოკუმენტები: სამხედრო და სამოქალაქო სამრეწველო პროდუქციის დამ-ზადების ნახაზები და ტექნიკური დოკუმენტაცია; მითითებები მოქმედ ტექნიკურ დოკუმენტაციებიდან გასაკუთრებული პერიოდში დასაშვები გადახრების შესახებ; დოკუმენტაცია ტექნიკური აღჭურვილობათა შესახებ, ნახაზების კომპლექტით; არასტანდარტულ დამხმარე მოწყობილობათა ტექნოლოგიური დოკუმენტაცია; როგორც მშვიდობიან, ისე განსაკუთრებულ პერიოდში ვიწრო ადგილების აღმოფხვრასთან დაკავშირებული საამქროების, უბნების, სამსახურების, მშენებლობის, რეკონსტრუქცი-ებისა და სხვა ღონისძიებებისათვის საჭირო საპროექტო-სახარჯთაღრიცხო დოკუ-მენტაცია.

ეროვნული ეკონომიკის სამობილიზაციო მომზადების ამჟამად მოქმედი სისტემის, საწარმოს მუშაობის კონკრეტული პირობებისა და მის მიერ შესრულებული დავალებების განხილვა-ანალიზი იძლევა საშუალებას დავასკვნათ:

1. ეროვნული ეკონომიკის სამობილიზაციო მომზადებისა და გაშლის ორგანიზაციულ სისტემაში არ არის ასახული ის ძირითადი თავისებურებანი, რომლებიც განპირობებულია საბაზრო ეკონომკით და მისთვის დამახასიათებელი საკუთრების ფორმირებით;

2. სამობილიზაციო დაგეგმვა (როგორც სამობილიზაციო მომზადებისა და გაშლის ძირითადი რგოლი) მოიცავს მრავალ მითითებებსა და სხვადასხვა სახის დოკუმენტაციას, რაც განაპირობებს მათ სირთულეს, მოუქნელობას, მკაცრად ცენტრალიზებულ ხასიათს;

3. სამობილიზაციო მომზადებისა და გაშლის მოქმედი სისტემა საკმარისად არაა ორიენტირებული წარმოების შესაძლებლობებზე, არსებული და შესაქმნელი სიმძლავრეების მაქსიმალურ გამოყენებაზე, აგრეთვე საკუთარი მარაგებით მოსახლეობისა და საომარი მოქმედების უზრუნველყოფაზე;

4. სამხედრო დანიშნულიბის პროდუქციის წარმოების სიმძლავრეთა გამოყენების მაქსიმალური დონის მიღწევა, ნავარაუდევი ერთი წლის ვადაში, მიუღებელია თანამედროვე საომარი მოქმედებების დინამიურობისა და რესურსტევადობის ფაქტორთა გათვალისწინებით.

3.2. სამხედრო წარმოების ძირითადი პარამეტრების განსაზღვრის ამოსავალი ბაზა და ინსტრუმენტარი

სამხედრო სტრატეგია, როგორც უკვე ავღნიშნეთ, განსაზღვრავს შეიარაღებული ძალების მშენებლობის საერთო მიმართულებას, მის სტრუქტურას, ხარისხობრივ შემადგენლობას, შეიარაღებაზე და სამხედრო ტექნიკაზე მოთხოვნილებებს.

ქვეყნის სამხედრო სტრატეგიის ფორმირების საფუძველს წარმოადგენს სახელმწიფო სამხედრო დოქტრინის დებულებები. თითოეული სახელმწიფო ეძებს თავისი ქვეყნის უსაფრთხოების უზრუნველყოფის გზებს იმ რეალური სამხედრო-ტექნიკური შესაძლებლობათა ფარგლებში, რომელიც არსებობს მოცემულ კონკრეტულ მომენტში. ამოცანა მდგომარეობს იმაში, რომ საუკეთესო და ყველაზე იაფი გზით და საშუალებებით უზრუნველყოფილ იქნეს ქვეყნის უსაფრთხოება.

საქართველოში სამხედრო დოქტრინის დამუშავება და მიღება მოხდა საკმაოდ დაგვიანებით (1997 წლის 1 ოქტომბერი), რის გამოც ქვეყნის შეიარაღებული ძალების მშენებლობა მოკლებული აღმოჩნდა სისტემურობას და მკაცრ ორგანიზებულობას. აღნიშნულმა გარემოებებმა დააბრკოლა თავდაცვის მრეწველობის პარამეტრების სწორი განსაზღვრა, პატრონის გარეშე დარჩა და განიავდა არსებული სამობილიზაციო მომზადების მატერიალური მარაგები. მოგვიანებით, 2005 წელს, დამუშავდა ეროვნული უსაფრთხოების კონცეფცია, რომელშიც არასაკმარისად, მაგრამ მაინც დაფიქსირებულია ეკონომიკური უსაფრთხოების კონცეფცია. მასში ვკითხულობთ: "საქართველოს უსასფრთხოების პოლიტიკა აუცილებელი ეკონომიკური

პირობების შექმნას საქართველოს განვითარებისა და ეროვნული უსაფრთხოებისათვის"[1]. იმავე წელს დამტკიცდა საქართველოს სამხედრო სტრატეგია (სამხედრო დოქტრინა), რომელიც თავდაცვისუნარიანობის უზრუნველყოფის ძირითად მიმართულებებად მიიჩნევს: 1. მოქნილობას; 2. ერთიანი ოპერაციების წარმართვას: 3. NATO-სთან თავსებადობას; 4. განთავისუფლების და კრიზისების დროს მოქმედებათა დაგეგმვას; 5. სამოქალაქო უწყებებისათვის დახმარების აღმოჩენას; 6. საინფორმაციო და სადაზვერვო შესაძლებლობებს. სამხედრო ეკონომიკის ჩამოყალიბებასა და შესაბამისი რეზერვების შექმნაზე აქაც არაფერია ნათქვამი, შესაბამისად არც სამხედრო ეკონომიკური პოლიტიკა წარმოებულა. ესეც ერთ-ერთი მიზეზია რუსეთ-საქართველოს საომარ მოქმედებათა დროს ქრთული საჯარისო ფორმირებების კრახისა.[2]

სამხედრო-ეკონომიკური და სამხედრო-ტექნიკური პოლიტიკის რეალიზაციის ერთ-ერთი ძირითადი ინსტრუმენტია სამხედრო ბიუჯეტის დამუშავება, რომელიც გადამწყვეტ ზეგავლენას ახდენს სამხედრო პროდუქციის წარმოების ორგანიზაციასა და განვითარებაზე. შეუძლებელია ნებისმიერი სამხედრო ეკონომიკური პროგრამის განხორციელება, თუ არ იქნება გამოყოფილი საჭირო ასიგნებანი. ამიტომ სამხედრო მშენებლობის მრავალი პრობლემის გადაწყვეტა დაკავშირებულია, უპირველეს ყოვლისა, სამხედრო ბიუჯეტთან. „მართალია, თავდაცვაზე ხარჯები არცთუ მცირეა, მაგრამ ეს არ ეხება, ან თითქმის არ ეხება, სამხედრო ეკონომიკის ფორმირებას, ამიტომ იგი არ აფინანსებს თავდაცვის ელემენტარული მოთხოვნებს.

[1] საქართველოს უსაფრთხოების კონცეფცია. mod.gov.ge.
[2] საქართველოს სამხედრო სტრატეგია. საიტი: mod.gov.ge.

სამაგიეროდ, შედარებით მაღალია სახელმწიფო მართვაზე (2,2%) და საზოგადოებრივ წესრიგსა და უშიშროებაზე (1,4%) გაწეული ხარჯები. ამ უკანასკნელთა ჯამური წილი მთლიან შიდა პროდუქციის მიმართ (4,2%), თითქმის უტოლდება სახალხო მეურნეობის მომსახურებაზე ბიუჯეტიდან გაწეული სახსრების წილს (4,4%), ეს მონაცემები ექსპლოატატორული სახელმწიფოს ბიუროკრატიული აპარატის გაძლიერების ტენდენციასა და ეკონომიკური განვითარების ჩამორჩენაზე მიუთითებს"[1].

საქართველოს პრეზიდენტის 2002 წლის 20 სექტემბრის № 406 ბრძანებულება 2003 წლის პირველ რიგში სარეალიზაციო სახელმწიფო პროგრამების ჩამონათვალში დამტკიცებული სამობილიზაციო რეზერვების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის მდგომარეობის გასაუმჯობესებლად ითვალისწინებდა სავარაუდო დაფინანსებას 65 ათას ლარს, ხოლო ბიუჯეტით 60 ათასი ლარს, საქართველოს საჰაერო სივრცეში ფრენების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად საძებნ-სამაშველო და ხანძარსაწინააღმდეგო ღონისძიებებისათვის 800 ათასს ლარს. ცხადია, სამობილიზაციო მომზადების მატერიალურ-ტექნიკური მარაგებისათვის 65 ათასი ლარი მიზერული თანხაა იყო. მსგავსი პოლიტიკა დღესაც გრძელდება. თავდაცვის ბიუჯეტი საკმარისზე მეტ თანხებს ახარჯებს იმპორტირებული პროდუქციის შემოზიდვას, ვიდრე ადგილზე ანალოგიური ეკონომიკის სექტორების განვითარებას, რაც ერთის მხრივ უფრო საიმედოა თავდაცვის უზრუნველყოფის თვალსაზრისით, და მეორეს მხრივ, მას მულტიპლიკაციური

---

[1] თ. ბასილია, ა. სილაგაძე, თ. ჩიკვაიძე. პოსტსოციალისტური ტრანსფორმაცია: საქართველოს ეკონომიკა XXI საუკუნის მიჯნაზე. თბ., 2001. გვ. 234.

ეფექტის მოტანაც შეუძლია საქართველოს ეკონომიკისათვის.

სახელმწიფო სამხედრო დოქტრინის, სამხედრო სტრატეგიის და შეიარაღებული ძალების მშენებლობის შესაბამისი პროგრამების ფორმირების კვალდაკვალ საქართველოს სამხედრო ბიუჯეტის დამუშავება ევალება თავდაცვის სამინისტროს, რომელმაც უნდა განახორციელოს აღნიშნული სამუშაო ოფიციალური სამხედრო სტრატეგიის და შეიარაღებული ძალების მშენებლობის გეგმის შესაბამისად.

სამხედრო ბიუჯეტის დამუშავების, განხილვის და დამტკიცების პროცესში უნდა განისაზღვროს არა მარტო სამხედრო ასიგნებათა საერთო მოცულობა, არამედ მათი სტრუქტურაც, ე. ი. მათი განაწილება კონკრეტულ მიზნებზე, შეიარაღებული ძალების მშენებლობის სხვადასხვა სამხედრო პროგრამებზე.

სამხედრო ეკონომიკის და თავდაცვის მრეწველობის ძირითადი პარამეტრების განსაზღვრის ერთ-ერთი მთავარ ამოსავალ ელემენტს წარმოადგენს ქვეყნის სამხედრო-ეკონომიკური პოტენციალი. საკითხის რამდენადმე სრული გაშუქების მიზნით საჭიროა ამასთან ერთად შევეხოთ სამხედრო-ეკონომიკური პოტენციალის პასიურ ნაწილსაც, რომლის პრაქტიკული გამოყენება ხდება სამოქალაქო საწარმოთა სამხედრო რელსებზე გადართვის გზით, რასაც ბუნებრივად მოსდევს სამხედრო ეკონომიკის გაფართოება.

სამხედრო ეკონომიკა გულისხმობს ეროვნული მეურნეობის სპეციფიკურ ნაწილს, რომელიც ემსახურება ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის უზრუნველყოფის ამოცანებს. იგი მოიცავს როგორც საწარმოო ძალებს, ასევე ეკონომიკურ ურთიერთობებს. სამხედრო ეკონომიკის ეს ორი მხარე

მჭიდროდ არის ურთიერთდაკავშირებული და წარმოადგენს განუყოფელ ერთიანობას.

სამხედრო ეკონომიკური საქმიანობის მთლიანი სპექტრი მოიცავს კვლავწარმოების ყველა ფაზას: წარმოებას, განაწილებას, გაცვლასა და მოხმარებას.

სამხედრო ეკონომიკის ძირითად რგოლს წარმოადგენს სამხედრო დანიშნულების პროდუქციის წარმოების სფერო, უპირველეს ყოვლისა, სამხედრო მრეწველობა. თანამედროვე პირობებში სამხედრო მრეწველობა, რომელიც აწარმოებს იარაღს და სამხედრო ტექნიკას, აგრეთვე სამხედრო დანიშნულების ფართო ასორტიმენტის სხვა პროდუქციას, ძირითადად განაპირობებს სამხედრო ეკონომიკის ხასიათს. უკანასკნელ ათწლეულში ქვეყნების სამხედრო მრეწველობაში მკვეთრად გაიზარდა წარმოების მოცულობა, არსებითად შეიცვალა დარგობრივი სტრუქტურა, აღმოცენდა რიგი ახალი დარგები, განხორციელდა საწარმოო აპარატის ძირეული გარდაქმნა ახალი ეფექტიანი ტექნიკის ბაზაზე.

სამხედრო პროდუქციის წარმოებაში, გარდა მრეწველობისა, აქტიურად ჩონაწილეობენ მატერიალური წარმეობის სხვა დარგებიც. კერძოდ, მშენებლობა. სამხედრო ობიექტების მშენებლობის ბოცულობა და ხასიათი განისაზღვრება უმთავრესად სახელმწიფოს სამხედრო სტრატეგიით და სამხედრო ტექნიკის განვითარების დონით. მეორე მსოფლიო ომამდე სამხედრო ობიექტების მშენებლობაზე იხარჯებოდა შედარებით უმნიშვნელო სახსრები, რომლებიც, როგორც წესი, მიმართული იყო ყაზარმების აგებაზე, სტრატეგიული გზების გაყვანაზე, აეროპორტებისა და ნავსადგურების მშენებლობაზე. ომის შემდგომ პერიოდში ასეთ სამუშაოთა ძირითად სახეებს წარმოედგენდა სარაკეტო ბაზების და საცდელი ცენტრების

მშენებლობა, ჰაერსაწინააღმდეგო და რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის ობიექტთა, სამხედრო-საჰაერო და სამხედრო საზღვაო ბაზების მშენებლობა, სასაწავლო-საწვრთნელი პოლიგონების მოწყობა და სხვა. რთული სამხედრო ობიექტების მშენებლობა მოითხოვს რესურსების უზარმაზარ ხარჯებს. ამის შედეგად სამშენებლო სამუშაოებს უკავიათ მნიშვნელოვანი ადგილი განვითარებული ქვეყნების სამხედრო ეკონომიკაში.

სამხედრო ეკონომიკის განვითარებას თან სდევს სატრანსპორტო გადაზიდვათა მოცულობის ზრდა როგორც სამხედრო წარმოების ნედლეულით, სათბობით, ნახევარ ფაბრიკატებით და სხვა საჭირო მასალებით მომარაგების დროს, ისე მომხმარებლამდე მზა სამხედრო მასალების მიწოდების სტადიაზე. სამხედრო წარმოების ფუნქციონირებაში ტრანსპორტის როლის მნიშვნელოვანი ამაღლება დაკავშირებულია იმასთან, რომ იგი უზრუნველყოფს სპეციალიზებული სამხედრო წარმოების კოოპერირებას. მნიშვნელოვნად იზრდება ტრანსპორტის ზემოქმედება სამხედრო წარმოების განლაგებაზე და ეკონომიკის საგანგებო პირობებში სამობილიზაციო საქმიანობაზე.

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ მკვეთრად შემცირდა სურსათის წილი შეიარაღებული ძალების მოთხოვნილებათა სტრიქტურაში. მიუხედავად ამისა, სოფლის მეურეობა ინარჩუნებს შესამჩნევ როლს სამხედრო საქონლის წარმოებაში, რადგანაც შეიარაღებული ძალების პირადი შემადგენლობის სურსათით უზრუნველყოფა კვლავ რჩება სამხედრო ეკონომიკის სერიოზულ ამოცანად.

სამხედრო ეკონომიკაში მნიშვნელოვან როლს თამაშობს მატერიალური, ფინანსური და სხვა სახის

რესურსების განაწილება, ამ სფეროში სამხედრო მომხმარებელთა საერთო სიდიდე, განისაზღვრება იმით, თუ სახელმწიფოებრივი რესურსების რა ნაწილი უნდა იყოს მიმართული სამხედრო საჭიროებაზე. გარდა ამისა არსებობს, კონკრეტული სამხედრო საჭიროების დასაკმაყოფილებლად გამოყოფილი რესურსების განაწილების პრობლემა. ამრიგად, განაწილების სფეროში რაც შეიძლება სრულად უნდა აისახობოდეს ქვეყნის სამხედრო ეკონომიკის განვითარების დინამიკა და სტრუქტურა.

სახელმწიფოს სამხედრო მოხმარების მასშტაბები ყოველწლიურად დგინდება სამხედრო ბიუჯეტის დამუშავებისა და დამტკიცების პროცესში. სახელმწიფო განსაზღვრავს ფულადი სახსრების საერთო მოცულობას, რომელიც გამოიყოფა და მტკიცდება საკანონმდებლო წესით კონკრეტულ სამხედრო პროგრამის დაფინანსებისთვის. სახელმწიფო სამხედრო ასიგნებათა ყოველწლიურ მოცულობას განსაზღვრავს თავისი საგარეო პოლიტიკური მიზნების, აგრეთვე შიდაპოლიტიკური და ეკონომიკური მდგომარეობის შესაბამისად.

სამხედრო ბიუჯეტის მოცულობისა და სრტუქტურის ანალიზი საშუალებას იძლევა აიხსნას სახელმწიფოს სამხედრო პოლიტიკასა და სტრატეგიაში მოხდარი ცვლილებები, შეიარაღებული ძალების მშენებლობის ხასიათი, განისაზღვროს ქვეყნის ეკონომიკის მდგომარეობა და განვითარების პერსპექტივები.

სამხედრო ეკონომიკა მოიცავს ისეთ ფაზასაც, როგორიცაა გაცვლა. წარმოებული სამხედრო საქონელი მომხმარებლის განკარგულებაში გადადის მას შემდეგ, როცა გაივლის გაცვლის სტადიას.

სამხედრო ეკონომიკის მთელ წინა საქმიანობას საბოლოოდ აგვირგვინებს სამხედრო პროდუქციის მოხმარება (შეიარაღების, სამხედრო ტექნიკის და სამხედრო დანიშნულების სხვა საქონლის მოხმარება) უმთავრეს წილად შეიარაღებული ძალების მიერ, რომელიც ძირეულად განსხვავდება სამოქალაქო მოხმარებისაგან. სამხედრო მოხმარება ხორციელდება შეიარაღებული ბრძოლის მზადების, ან მისი წარმართვის მსვლელობაში და წარმოადგენს რესურსების არამწარმეობლურ მოხმარებას. სამხედრო მიზნით მოხმარებული პროდუქცია სამუდამოდ გამოითიშება სამეურნეო ბრუნვიდან.

მსოფლიო სამხედრო-ეკონომიკური საქმიანობის (მხედველობაშია ნებისმიერი სახელმწიფო) მასშტაბები შეიარაღებული ძალების ფარგლებში განუხრელად ფართოვდება. ეს კი განპირობებულია არმიის რიცხოვნების ზრდით, მათი ტექნიკური აღჭურვილობის დონის ამაღლებით და ომის განხორციელების საშუალებათა სირთულით. ამჟამად რთული შეიარაღების ამოქმედებისათვის საჭიროა კარგად გაწვრთნილი და განსწავლული პერსონალი, წინასწარ მომზადებული ბაზები, სასტარტო პოზიციები, სხვადასხვა დამხმარე მოწყობილობა, შეიარაღებული ძალების მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის განვითარებული სისტემა.

არმიაში ეკონომიკური საქმიანობის სისტემა დაკავშირებულია არა მარტო მზა სამხედრო პროდუქციის მოხმარებასთან, არამედ რიგ შემთხვევაში საბოლოო სამხედრო პროდუქციის წარმოების პროცესის გაგრძელებასთან ან დასრულებასთან (სარემონტო საწარმოები, ზურგის სამსახური, ტრანსპორტი და ა.შ.). შეიარაღებულ ძალებში სამხედრო-ეკონომიკური მუშაობის

ზრდას ხელს უწყობს აგრეთვე იმ ქონების სიმდიდრის მატება, რომელიც იმყოფება მის განკარგულებაში.

სამხედრო-ეკონომიკა განიცდის მუდმივ განვითარებას, რომელიც არ შეიძლება არ დაექვემდებაროს განსაზღვრულ კანონებს და კანონზომიერებებს. იგი ყოვლთვის გამოდის როგორც ქვეყნის საერთო ეკონომიკის ნაწილი. ამიტომ საკვებით ბუნებრივია, რომ სამხედრო ეკონომიკა ექვემდებარება შესაბამისი ეკონომიკური კანონების მოქმედებას. ამასთან, სამხედრო ეკონომიკა არაა საერთო ეკონომიკის ნაწილი, არამედ ის წარმოადგენს მის სპეციფიკურ ნაწილს. სამხედრო ეკონომიკის მიზნობრივი ფუნქციონირება არსებითად განსხვავდება სამოქალაქო ეკონომიკის მიზნობრივი ფუნქციონირებისაგან. სამხედრო ეკონომიკის მიზანია აწარმოოს ისეთი პროდუქცია, რომელიც საჭიროა ომის მზადებისა და მისი წარმატებული წარმართვისათვის. ეს დამახასიათებელი თვისება განაპირობებს მისი განვითარების რიგ თავისებურებებსა და კანონზომიერებებს.

ქვეყნის სამხედრო-ეკონომიკური განვითარება ხორციელდება ოფიციალური სამხედრო სტრატეგიის შესაბამისად, რომელიც თავის მხრივ ფორმირდება საშინაო და საგარეო პოლიტიკის ხასიათის, სამხედრო-ეკონომიკური პოტენციალის, სამხედრო ტექნიკის დონისა და განვითარების პერსპექტივების, მეზობელ ქვეყნებთან ურთიერთობის საერთო მდგომარეობის გათვალისწინებით და უშუალო ზემოქმედებით.

სახელმწიფოს პოლიტიკური მიზნებიდან გამომდინარე, სამხედრო სტრატეგია კონკრეტულ მოთხოვნებს აყენებს სამხედრო-ეკონომიკის წინაშე და ამით ზემოქმედებს მის აუცილებელ განვითარებაზე. სტარეგია კონკრეტულ მოთხოვნებს უყენებს, სახელმწიფო სამხედრო-ეკონომიკური

და სამხედრო-ტექნიკურ პოლიტიკას. სამხედრო ეკონომიკური პოლიტიკა მოიცავს ომისათვის ეკონომიკური მზადების პრინციპებსა და მეთოდებს. სამხედრო-ტექნიკური პოლოტიკა კი სახავს ომის წარმართვის (წარმოების) საშუალებათა სრულყოფის, დასახული მახასიათებლების მქონე იარაღის, ახალი სისტემების დამუშავების და შეიარაღებული ბრძოლის წარმართვის პრინციპულად ახალ საშუალებათა ძიების ძირითად მიმართულებებს.

შეიარაღებისა და სამხედრო ტექნიკის სრულყოფა და პრინციპულად ახალი სახეობის აღმოცენება სერიოზულ ზემოქმედებას ახდენს როგორც სახელმწიფო სამხედრო-ტექნიკურ პოლიტიკაზე, ასევე სახელმწიფოს სტრატეგიაზე. შეიარაღების ხარისხობრივად ახალი სისტემების დამუშავება მოითხოვს დამატებით დიდი ხარჯებს, რესურსებს, სპეციალური საწარმეობის, ზოგჯერ მრეწველობის ახალი დარგების შექმნასაც კი, რაც განსაზღვრულ ზემოქმედებას ახდენს სამხედრო ეკონომიკის სიდიდესა და სტრუქტურაზე.

სამხედრო-ეკონომიკის ერთ-ერთი დამახასიათებელი თავისებურება იმაში მდგომარებს, რომ მისი განვითარება რეგულირდება ისეთი გარეგანი ფაქტორებით, როგორიცაა სავარაუდო მოწინააღმდეგის სამხედრო სიძლიერე და სამხედრო-ეკონომიკური მზადების მასშტაბები, რომლის შემადგენელი ძირითადი ნაწილია სამობილიზაციო მომზადების დონე.

ომსა და ეკონომიკას შორის არსებობს დიალექტიკური ურთიერთკავშირი. ეკონომიკა წარმოადგენს სახელმწიფოს სამხედრო სიძლიერის საფუძველს. საწარმოო ძალების განვითარება აფართოვებს სახელმწიფოს სამხედრო პოტენციალს საომარი მოქმედების ხასიათსა და მასშტაბებში მომხდარი ცვლილებები უყენებენ ეკონომიკას ახალ

მოთხოვნებს, რის შედეგადაც ომს და ეკონომიკას შორის კონკრეტული ურთიერთდამოკიდებულებანი ისტორიულად იცვლება და ძლიერდება. ამასთან, განვითარების, იარაღისა და სამხედრო ტექნიკის სრულყოფისა და გართულების კვალობაზე იზრდება სამხედრო მოთხოვნილებათა აბსოლუტური და ფარდობითი მასშტაბები, ძლიერდება ეკონომიკის როლი, როგორც ომის წარმართვის და ომისათვის მზადების განმსაზღვრელი ფაქტორისა.

ომის და ეკონომიკის მჭიდრო ურთიერთობაზე მიუთითებდნენ მერკანტელიზმის წარმომადგენლები, შემდგომ კი კლასიკური ბურჟუაზიული პოლიტიკური ეკონომიკის კლასიკოსები. ადამ სმიტი წერდა: „ცეცხლსასროლი იარაღის გამოგონებამ მოახდინა გადატრიალება სამხედრო ხელოვნებაში, რამაც კიდევ უფრო გაზარდა ხარჯები, როგორც მშვიდობიანობის პერიოდში გარკვეული რაოდენობის ჯარისკაცების სწავლებისათვის, ისე ომიანობის დროს მის გამოყენებაზე. იარაღი და აღჭურვილობა ბევრად ძვირი გახდა, ასევე საზოგადოების დაცვა უფრო ძვირია. თანამედროვე ომში ცეცხლსასროლ იარაღზე დიდი ხარჯები ანიჭებენ აშკარა უპირატესობას იმ ხალხებს, რომლებსაც უფრო მეტი შესაძლებლობა აქვს აიტანონ ეს ხარჯები, აქედან გამომდინარე უპირატესობა ენიჭება მდიდარ და ცივილიზებულ ხალხებს, ღარიბებთან და ბარბაროსებთან შედარებით“[1].

შეიარაღების რთულ სახეობათა წარმოება მოითხოვს სპეციალიზებულ და მოწინავე მოწყობილობას, მაღალკვალიფიციურ საინჟინერო-ტექნიკურ კადრებს და სამუშაო ძალას, აგრეთვე სპეციალურ მასალებს. გარდა

[1] ადამ სმიტი — ხალხთა სიმდიდრის, ბუნებისა და მიზეზების შესახებ. თბილისი, 1938. გვ. 53.

ამისა, სარაკეტო-ბირთული იარაღის არნახული გამანადგურებელი ძალა და მისი სხვა თავისებურებანი, კერძოდ, მისი უნარი რამდენიმე წუთში მოწინააღმდეგის ზურგი გადააქციოს შეიარაღებული ზემოქმედების ობიექტად, მნიშვნელოვნად ამაღლებს ომისათვის წინასწარი ეკონომიკური მზადების მნიშვნელობას.

ყოველივე ეს სამხედრო ეკონომიკას უყენებს განვითარების მზარდ მოთხოვნებს. მხედველობაშია მისაღები, რომ სამხედრო ეკონომიკა ვითარდება საერთო-ეროვნული ეკონომიკური რესურსების ბაზაზე და იყენებს ქვეყნის მთელ ეკონომიკურ პოტენციალს. ბოლო წლებში რესურსების ასეთი არასაწარმოო გამოყენება და სამხედრო-ეკონომიკის გავრცობის არეალი არსებითად გაფართოვდა, თუმცა არსებობს ამ გაფართოვების ობიექტური ზღუდეებიც. ნებისმიერ სახელმწიფოს ყოველ კონკრეტულ პერიოდში აღნიშნული ზრდის მაქსიმალური შესაძლებლობები სამხედრო-ეკონომიკური პოტენციალით შემოიფარგლება.

სახელმწიფოს სამხედრო-ეკონომიკური პოტენციალის ქვეშ უნდა გვესმოდეს ომის ჭზადებისა და წარმოების კონკრეტულ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების დონე, რომელიც შეიძლება მიღწეულ იქნეს განსაზღვრულ ვადებში, მისი საწარმოო სამხედრო მიზნით უფრო დაძაბული გამოყენებისა და სამოქალაქო მოთხოვნილებათა მინიმალური ზომით დაკმაყოფილების პირობებში. სახელმწიფოს სამხედრო-ეკონომიკური პოტენციელი განისაზღვრება მისი საერთო ეკონომიკური პოტენციალით. არც ერთ სახელმწიფოს არ შეუძლია დიდი ომის მსვლელობაშიც კი გამოიყენოს თავისი მთელი ეკონომიკური პოტენციალი მხოლოდ სამხედრო საჭიროების დასაკმაყოფილებლად. იგულისხმება, რომ ქვეყანამ მინიმალური ზომით მაინც უნდა

დააკმაყოფილოს თავისი სამოქალაქო მოთხოვნილებები, რომლებიც, როგორც ცნობილია, იცვლება საწარმოო ძალების განვითარების კვალდაკვალ. აქედან გამომდინარე, ობიექტურად შეიძლება განისაზღვროს ეკონომიკური პოტენციალის ის მაქსიმალური წილი, რომელიც შეიძლება გამოყენებულ იქნეს სამხედრო მიზნებისათვის. სახელმწიფოს ეკონომიკური და სამხედრო-ეკონომიკური პოტენციალის მასშტაბები განისაზღვრება მისი საწარმოო ძალების ძირითადი ელემენტების რაოდენობრივი და ხარისხობრივი მახასიათებლებით, ესენია: შრომითი რესურსები, მრეწველობის დარგების საწარმოო სიმძლავრეები, სოფლის მეურნეობა, ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა, მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარების დონე, ოქროს და უცხოური ვალუტის მარაგები, ეროვნული სიმდიდრის მასშტაბები, სტრატეგიული რეზერვების მასშტაბები და სხვა. ეს ელემენტები მჭიდროდ არის დაკავშირებული ერთმანეთთან. მათი როლი და მნიშვნელობა სამხედრო-ეკონომიკურ პოტენციალში ისტორიულად ცვლილებებს განიცდის. თანამედროვე პირობებში სამხედრო-ეკონომიკური პოტენციალი მნიშვნელოვანწილად დამოკიდებულია ქვეყნის სამრეწველო და სამეცნიერო-ტექნიკურ პოტენციალზე.

სახელმწიფოს სამხედრო-ეკონომიკურ პოტენციალზე უდიდეს ზეგავლენას ახდენს აგრეთვე მოსახლეობის რაოდენობა და მისი მორალურ-პოლიტიკური დონე. მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარების დონე, ქვეყნის ფინანსური მდგომარეობა, სამეურნეო საქმიანობის ორგანიზაციის და მართვის სისტემა და სხვა ისეთი ფაქტორები, რომლებიც განაპირობებენ სამხედრო-ეკონომიკური მზადების ობიექტურად არსებულ

შესაძლებლობათა პრაქტიკული რეალიზაციის მოსალოდნელ დონესა და ეფექტიანობას.

სამხედრო-ეკონომიკური პოტენციალი არ წარმეოდგენს მუდმივ სიდიდეს. იგი იცვლება საწარმოო ძალების განვითარების, სამეცნიერო–ტექნიკური პროგრესის, ამ პოტენციელის შემადგენელი ელემენტებში მიმდინარე ცვლილებების ზეგავლენით. სტატისტიკის ყველა მაკროეკონომიკური მონაცემებიდან სამხედრო-ეკონომიკური პოტენციალის რაოდენობრივი შეფასებისა და ურთიერთშედარებისათვის ყველაზე გამოსადეგია მთლიანი ეროვნული (შიგა) პროდუქტის, წარმოებული ეროვნული შემოსავლისა და ეროვნული სიმდიდრის მონაცემები. მაგრამ ისინი მხოლოდ მიახლოებით წარმოდგენას იძლევიან სამხედრო-ეკონომიკური პოტენციალის შესახებ.

სამხედრო-ეკონომიკური პოტენციალის შეფასებისას ეყრდნობიან იმ წანამძღვარებს, რომლებიც გულისხმობენ, რომ სამხედრო პროდუქციის მაქსიმიზაცია და სამოქალაქო პროდუქციის მინიმიზაცია ხორციელდება ეკონომიკის სამობილიზაციო გაშლის მსვლელობაში, ქვეყანაში არსებული საწარმოო ძალების ყველაზე კომპლექსური, ინტენსიური და ზღვრული გამოყენების პირობებში.

სამხედრო-ეკონომიკური პოტენციალის უმნიშვნელოვანესი მაჩვენებელია მოკლე ვადებში ეკონომიკის ძირითადი დარგების საწარმოთა სამხედრო წარმეობაზე გადაყვანის შესაძლებლობა. კონკრეტულ პირობებში სამხედრო მიზნით გამოუყენებული პოტენციური სამხედრო-ეკონომიკური შესაძლებლობები შეიძლება ჩაითვალოს სამხედრო-ეკონომიკური პოტენციალის პასიურ ნაწილად. ამ უკანასკნელის პრაქტიკული გამოყენება ხორციელდება

სამოქალაქო წარმოების სამხედრო რელსებზე გადაყვანით, სამხედრო ეკონომიკის გაფართოების მიზნით.

სამხედრო-ეკონომიკური პოტენციალის აქტიურ და პასიურ ნაწილებს შორის თანაფარდობა სხვადასხვა ქვეყანაში, ან მოცემულ ქვეყანაში, სხვადასხვა პერიოდში ერთნაირი არ არის. საგანგებო პირობებში, სამობილიზაციო გაშლის თვალსაზრისით, სამხედრო-ეკონომიკური პოტენციალის დაყოფას აქტიურ და პასიურ ნაწილებად დიდი მნიშვნელობა აქვს. ქვეყანას, რომელსაც გააჩნია სამხედრო-ეკონომიკური პოტენციალის შედარებით დიდი აქტიური ნაწილი საშუალება ექნება სწრაფი ტემპით მოახდინოს სამობილიზაციო ამოქმედება.

სამხედრო-ეკონომიკური პოტენციალის საერთო შეფასებისათვის საჭიროა გამოვლენილი იქნეს ქვეყნის მაქსიმალური სამხედრო ეკონომიკური შესაძლებლობანი, რაც თავის მხრივ, მოითხოვს სპეციალური მეცნიერული მეთოდოლოგიის დამუშავებას. ამ მიზნით პერსპექტიულად უნდა მივიჩნიოთ საგანგებო ვითარებაში მეურნეობის სამობილიზაციო გაშლის დარგთაშორისი საბალანსო მოდელის გამოყენება.

უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს ტერიტორიაზე სამხედრო-სამრეწველო კომპლექსი არც ადრე არსებობდა და არც ამჟამად არ არსებობს. სამხედრო-სამრეწველო კომპლექსი გულისხმობს დასრულებული „ჩაკეტილი“ ტექნოლოგიების არსებობას, საბოლოო მოხმარების პროდუქციის გამოშვებას, ამ პროდუქციისათვის ძირითადი მაკომპლექტებელი დეტალებისა და კვანძების ადგილზე წარმოებას, საკონსტრუქტორო – საცდელი ბაზის და საწარმოო ინფრასტრუქტურის სხვა რგოლების არსებობას. ამიტომაც შემთხვევითი არ არის, რომ ნაშრომში

გამოვიყენებთ ტერმინს „სამხედრო პროდუქციის წარმოებაზე ორიენტირებული საწარმოები“.

საქართველოს ტერიტორიაზე განლაგებული საწარმოები წარმოადგენენ ყოფილ საბჭოთა კავშირის მძლავრი სამხედრო-სამრეწველო კომპლექსის უმნიშვნელო ნაწილს. იმპერიული აზროვნების სინდრომი გამოვლინდა სამხედრო-სამრეწველო კომპლექსის ორგანიზაციაშიც. თითქმის არცერთ ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკაში (გარდა უკრაინისა) არ იყო ორგანიზებული იარაღის დასრულებული ჩაკეტილი ციკლით წარმოება. გამონაკლისს, ამ მხრივ არც საქართველო წარმოადგენდა. საქართველოს ტერიტორიაზე განლაგებული სამხედრო პროდუქციის წარმოებაზე ორიენტირებული საწარმოები ძირითადად ამზადებდნენ კავშირგაბმულობის საშუალებებს, სამხედრო დანიშნულების ხელსაწყოთა (ელექტრონულის) ცალკეულ დეტალებსა და კვანძებს.

საბჭოთა კავშირის დაშლამ გამოიწვია ძველი ეკონომიკური კავშირების მოშლა, რასაც დაემატა საქართველოში მიმდინარე არასტაბილური პროცესები, ყოველივე ამან დიდი ნეგატიური ზეგავლენა იქონია სამხედრო პროდუქციის წარმოებაზე ორიენტირებულ საწარმოებზე. ბევრი მათგანი საერთოდ დაიხურა, ზოგიერთი მათგანი კი გადაერთო ფართო მოხმარების საგნების წარმოებაზე.

მიუხედავად საქართველოში მიმდინარე და სხვა საგანგებო შემთხვევებისა ვერ მოხერხდა თუნდაც მსუბუქი ცეცხლსასროლი იარაღის და ტყვი-წამლის წარმოების ორგანიზაციაც კი. ქვეყანაში იარაღის წარმოების ვითარება ხასიათდება შემდეგი ნიშნებით: 1. იარაღის წარმოების (მისი ზოგიერთი მნიშვნელოვანი დეტალის) ტექნოლოგიის

უქონლობა და მისი მოკლე ვადებში დამუშავების შეუძლებლობა; 2. სპეციალიზებული საკონსტრუქტორო-საცდელი ბაზის უქონლობა; 3. შეიარაღების წარმოების საკითხების გადაწყვეტისადმი უსისტემო მიდგომა; 4. იარაღის არსებული წარმოების გაუმართლებელი კონცენტრაცია, რაც აქვეითებს წარმოების ეფექტიანობას, ფუნქციონირების მდგრადობას და სიცოცხლისუნარიანობას; 5. იარაღის წარმოებისათვის საჭირო მატერიალური და ფინანსური რესურსების შეზღუდულობა.

მიუხედავად იმისა, თუ რა ხასიათის ამოსავალ ბაზა დავამუშავდება და მიიღება, ეჭვს არ იწვევს ის გარემოება, რომ ნებისმიერ შემთხვევაში აუცილებელი იქნება საომარ მოქმედებაში ყველაზე ინტენსიურად გამოსაყენებელი შეიარაღების და მასალების, მსუბუქი ცეცხლასასროლი იარაღისა და ტყვია-წამლის წარმოების ორგანიზაცია. ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, უნდა დამუშავდეს საწარმოების ორგანიზაციის პროგრამა სამუშაოების ეტაპებად დაყოფით, პასუხისმგებელ პირთა და ორგანიზაციათა მითითებით, მომარაგებისა და დაფინანსების წყაროების განსაზღვრით. აღნიშნული სამუშაო შესაძლოა განხორციელდეს შემდეგი სქემით: მსუბუქი ცეცხლსასროლი იარაღის წარმოების სამუშაოთა ორგანიზაციის პროგრამა, კერძოდ: 1. მთავრობის დადგენილება აღნიშნული პროგრამის დამუშავების შესახებ; 2. ექსპერტთა ჯგუფის შექმნა შემდეგი შემადგენლობით: ინჟინერ-კონსტრუქტორები, მეცნიერმუშაკები, მეტალურგ-ტექნოლოგები, ლითონის დამუშავების ტექნოლოგიების ინჟინერ-მექანიკოსები, წარმოების ორგანიზატორები, ეკონომისტები, სამხედრო სპეციალისტები; 3. საკონსტრუქტორი-ტექნოლოგიური სამუშაოების შემსრულებელი ჯგუფის შექმნა; 4. მსუბუქი

ცეცხლსასროლი იარაღის (მისი ცალკეული დეტალებისა და კვანძების) ტექნოლოგიის შესწავლა, დამუშავება და დაპროექტება; 5. საქართველოში არსებულ საწარმოთა საწარმოო ტექნოლოგიური ბაზის შეფასება, წამყვანი (მოთავე) საწარმოს და მასთან კოოპერირებულ საწარმოთა შერჩევა (ტექნოლოგიური ციკლის ორგანიზაციული დამუშავება); 6. მსუბუქი ცეცხლსასროლი იარაღის წარმოებისათვის საჭირო მოწყობილობის და მასალების ნუსხის, მომარაგების (მიღების) წყაროების განსაზღვრა, დაფინანსების საკითხების გადაწყვეტა; 7. მსუბუქი ცეცხლსასროლი იარაღის წარმოების ორგანიზაციის ვარიანტების (არსებულ საწარმოთა ბაზაზე, ახლის მშენებლობა) გათვლა და შედარება; 8. ვარიანტების: საკუთარი წარმოება, საზღვარგარეთ შესყიდვა—გაანგარიშება, შედარების დროის ფაქტორისა და პერსპექტიულ მოთხოვნილებათა გათვალისწინებით; 9. ტექნიკურ-ეკონომიკური დასაბუთების (ვარიანტების მიხედვით) წარდგენა მთავრობაში განსახილველად და დასამტკიცებლად; 10. მიღებული ვარიანტის პრაქტიკული რეალიზაცია.

ანალოგიური სქემით შესაძლებელია სხვა სახის შეიარაღებისა და სამხედრო აღჭურვილობის წარმოების ორგანიზაციის სამუშაოთა განხორციელება.

3.3. მრეწველობის სამობილიზაციო მომზადების ორგანიზაცია

მრეწველობის სამობილიზაციო მომზადებისა ორგანიზაციული სისტემის ფორმირების ერთ-ერთი ამოსავალი პოზიცია უნდა იყოს საკანონმდებლო და ეკონომიკური გარემოს ადეკვატურობა ქვეყნის სამხედრო უსაფრთხოების ინტერესებთან. ამ პრინციპის რეალაზაცია მოითხოვს სათანადო კანონების, საკანონმდებლო აქტების და სხვადასხვა ოფიციალური დოკუმენტების შემუშავებასა და მიღებას, რომლებიც დაარეგულირებენ მრეწველობის მასშტაბით სამობილიზაციო ღონისძიებათა გატარებას როგორც საბაზრო ეკონომიკის ჩამოყალიბების, ისე შემდგომ პერიოდში საკუთრების სხვადასხვა ფორმების გათვალისწინებით. ასეთ სიტუაციაში შეუძლებელია ცენტრალიზირებული წესით აღნიშნული სტრუქტურის საქმიანობაში უხეში ჩარევა, თუნდაც ექსტრემალურ პირობებშიც კი, თუ წინასწარ არ იქნება შემუშავებული შესაბამისი საკანონმდებლო აქტები, რომლებიც განსაზღვრავენ განსაკუთრებულად მნიშვნელოვანი საწარმოების ნომენკლატურას, პროდუქციის იმ სახეებს, რომლებსაც გამოუშვებენ ეს საწარმოები, იმ ღონისძიებათა სისტემით, რომლებიც უზრუნველყოფს მათ უწყვეტად და მყარად მუშაობას ექსტრემალურ პირობებში.

საკანონმდებლო აქტებით განსაზღვრული უნდა იყოს აგრეთვე ის ეკონომიკური მექანიზმი, რომლის საფუძველზეც საწარმოები შეასრულებენ აღნიშნულ დავალებებს (სახელმწიფო და კერძო სექტორების მიხედვით). ეს ეკონომიკური მექანიზმი უნდა უზრუნველყოფდეს საკმარის მყარ სტიმულებს საწარმოებისათვის სამხედრო

დანიშნულების პროდუქციის წარმოების შეკვეთების შესასრულებლად, როგორც მთლიანად დასაქმებული კოლექტივისათვის, ისე მუწარეებისა და ცალკეული პირებისათვის (შრომით შემოსავლებს, მოგებას). ამისათვის აუცილებელია ფასწარმოქმნის მოქნილი სისტემა, საიმედო ფინანსური უზრუნველყოფა, შეკვეთების სტაბილურობა, ეფექტიანი მუშაობის მატერიალური და მორალური სტიმულების ქმედითი სისტემა.

ქვეყანაში არსებული ეკონომიკური მექანიზმით, როგორც განსაკუთრებული—თავდაცვითი დანიშნულების პროდუქციის, სპეციფიკურ პირობებში წარმოებისათვის გათვალისწინებული უნდა იყოს დასაბუთებული შეღავათები საგადასახადო დაბეგვრის, დაკრედიტების და ა.შ. კუთხით. უნდა იყოს უზრუნველყოფილი თავდაცვითი დანიშნულების პროდუქციის წარმოების დანახარჯთა სრული ანაზღაურება და მომგებიანობა საწარმოებისათვის. საკანონმდებლო აქტები უნდა ეყრდნობოდეს სამობილიზაციო მზადყოფნის განხორციელების დაფინანსების გარკვეულ წესს, მაგალითად, აღნიშნულ სამუშაოთა დაფინანსება შეიძლება დაეკისროს (ღონისძიებების მნიშვნელობისა და მასშტაბების ხიხედვით) სახელმწიფოს, რეგიონებს, ასევე კერძო საწარმოებს და პირებს (ბიზნესმენებს).

საგანგებო პირობებში მრეწველობის სამობილიზაციო მომზადების და გაშლის სრულყოფისათვის საჭიროა შედგეს დარგთაშორისი საბალანსო მოდელი. ეს მოდელი საშუალებას იძლევა განისაზღვროს ეკონომიკის სხვადასხვა დარგებს შორის ურთიერთკავშირის ზუსტი სქემა, მიეცეს რაოდენობროვი შეფასება სამხედრო და სამოქალაქო პროდუქციის გამოშვებას კონკრეტული მასშტაბების მიხედვით მათი ოპტიმიზაციის შესაბამისი პერიოდისათვის.

როგორც აღვნიშნეთ, სამხედრო-ეკონომიკურ პოტენციალის შეფასებისას ეყრდნობიან იმ წანამძღვარებს, რომლებიც გულისხმობს, რომ სამხედრო პროდუქციის მაქსიმიზაცია ხორციელდება ეკონომიკის სამობილიზაციო გაშლის მსვლელობაში, ქვეყანაში არსებული საწარმოო ძალების ყველაზე კომპლექსური ინტენსიური და ზღვრული გამოყენების პირობებში. გარდა ამისა, დარგთაშორისი ბალანსის დახმარებით განხორციელდება მეურნეობის სამობილიზაციო მომზადების პერსპექტიული და ყოველწლიური პროდუქციის მოთხოვნა–მიწოდების ურთიერთდაბალანსება.

აღნიშნულ პრინციპს უშუალოდ უკავშირდება სისიტემის სიმარტივის და მოქნილობის პრინციპი.

სახელმწიფო დებულებები ძალზედ დეტალიზებულია და მოიცავს მრავალ დოკუმენტს, რომლებშიაც განსაზღვრულია ეროვნული მეურნეობის, დარგის და საწარმოს დონეზე ყველა მოქმედება, ოპერატიული თუ სხვა დოკუმენტების შინაარსი, გამოყენების წესი და ვადები. ყოველივე ეს ხელოვნურად ართულებს სამობილიზაციო სისტემით ხელმძღვანელობას, აქვეითებს მისი ოპერატიულობის დონეს. დარგს და საწარმოს უნდა მიეცეს განსაკუთრებული ვადებში გამოსაშვები პროდუქციის დავალება და დაუწესდეს მზადყოფნის შესახებ შეტყობინების ვადები. დანარჩენი ის, რაც აღნიშნული დავალების შესრულების კონკრეტულ საკითხებს ეხება, თვით საწარმოს გადასაწყვეტი უნდა იყოს. საჭირო არ არის დიდი რაოდენობით და მკაცრად დადგენილი ფორმით ოპერატიული დოკუმენტაციის გაფორმება. მთავარია წინასწარ განსაზღვრული ნომენკლატურის პროდუქციის მიწოდება დადგენილ ვადებში სათანადო ეკონომიკური ინტერესების

საფუძველზე.

სამობილიზაციო საკითხების გადაწყვეტაში საწარმოს ხელმძღვანელების პასუხისმგებლობის გასაძლიერებლად შესაძლებელია რეგულარული ან შერჩევითი შემოწმებების ჩატარება, კონტროლი და საჯარიმო სანქციების (ფირმის დახურვის ჩათვლით) შემოღება ვალდებულებათა შეუსრულებლობის შემთხვევაში. ასეთი კონტროლი უნდა იყოს ეფექტიანი, სარგებლობის მომტანიც თვით საწარმოებისთვის: ნაკლოვანებათა გამოსწორების საქმეში უნდა გაეწიოს დახმარება ორგანიზაციულად და მეთოდურად.

განსაკუთრებულ პერიოდში მრეწველობის სამობილიზაციო მომზადების და გაშლის სისტემის ოპერატიულობა ნიშნავს მოსახლეობისა და ეროვნული ჯარის მოთხოვნილებათა მაქსიმალურად უზრუნველყოფას შედარებით ხანმოკლე პერიოდში, რაც უშუალოდ კავშირშია ისეთ პრინციპთან, როგორიცაა სისტემის ადეკვატურობა რეალური სამხედრო-სამრეწველო პოტენციალისადმი. საკითხი ეხება, განსაკუთრებულ პერიოდში, მოსახლეობის და ეროვნული ჯარის მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების წყაროებსა და შესაძლებლობებს. მრეწველობის მომზადებისა და გაშლის მოქნილი სისტემა არ შეიძლება ორიენტირებული იყოს მხოლოდ საკუთარი წარმოების შესაძლებლობებზე. ეს ეხება, როგორც სამოქალაქო, ისე სამხედრო დანიშნულების პოდუქციას (სამხედრო აღჭურვილობისა და სამხედრო ტექნიკის ჩათვლით). საქართველოს მრეწველობის შესაძლებლობებიდან გამომდინარე, ძნელი წარმოსადგენია, რომ სამხედრო დანიშნულების პროდუქციის მეტი წილი (სამხედრო აღჭურვილობის, იარაღის და სამხედრო ტექნიკის ჩათვლით) წარმოებული იქნეს ადგილზე. ასეთ ვითარებაში მრეწველობის სამობილიზაციო მომზადებისა და გაშლის

სისტემაში გაითვალისწინება შესაბამისი სახის პროდუქციის რეზერვების შექმნა (სამხედრო აღჭურვილობის, იარაღის და სამხედრო ტექნიკის ჩათვლით, აღნიშნული პროდუქციის საიმედო წყაროები) ქვეყნის გარეთ პარტნიორების შერჩევის საშუალებით, რომელთა საიმედობა არ იქნება დამოკიდებული პოლიტიკურ კონიუქტურაზე. რეზერვების შექმნა და საიმედო წყაროების (პარტნიორების) უზრუნველყოფის სისტემა უნდა ითვალისწინებდეს ყველა სახეობის პროდუქციასა და ნედლეულს, (საწვავ-საცხები მასალები, ენერგომატარებლები და სხვა), რომელთა გარეშე შეუძლებელია მრეწველობის ფუნქციონირება და ჯარის ბრძოლისუნარიანობის შენარჩუნება. სამობილიზაციო სისტემაში განსაკუთრებული ყურადღება უნდა ეთმობოდეს სამხედრო აღჭურვილობისა და სამხედრო ტექნიკის სარემონტო სიმძლავრეების შექმნასა და განვითარებას.

სამხედრო დანიშნულების პროდუქციის წარმოების ეფექტიანობისათვის, რაც წარმოების სათანადო მასშტაბების პირობებშია შესაძლებელი, მიზანშეწონილია გასაღების წინასწარი გარანტიით (შეკვეთები, შეთანხმებები) ის პროდუქცია იწარმოებოდეს, რომელიც შეიძლება მიეწოდოს სხვა ქვეყნებსაც. ამით შეიძლება ამა თუ იმ ზომით დაიფაროს საზღვარგარეთ შეძენილი იარაღისა და სხვა თავდაცვითი დანიშნულების ნაწარმის ხარჯები, გარდა ამისა უნდა გაიზარდოს ექსპორტი და ქვეყნის სავალუტო შემოსავლები, ასევე უნდა შემუშავდეს საწარმოთა მუშაობის მიმართულების სწრაფად, მცირე დანახარჯებით შეცვლის ისეთი მოქნილი სქემები, რომლითაც სამოქალაქო პროდუქციიდან სამხედროზე და პირუკუ გადასვლა ადვილად მოხერხდება.

ერთ-ერთი ძირითადია ეროვნული, სამხედრო დოქტრინის დებულებათა მოთხოვნების გათვალისწინების პრინციპი. როგორც უკვე აღვნიშნეთ, სამობილიზაციო მომზადების და გაშლის სისტემა ემსახურება მთელი მეურნეობის საომარი მოქმედებისათვის მზადების და საომარი მოქმედების განხორციელების ეკონომიკურ უზრუნველყოფას და ამდენად მჭიდროდაა დაკავშირებული ეროვნულ სამხედრო დოქტრინასთან. თუ როგორი იქნება აღნიშნული დოქტრინა მასზე იქნება დამოკიდებული ეროვნული მეურნეობის სამობილიზაციო მომზადების და გაშლის მასშტაბები, მიმართულებები, ღონიეძიებათა ჩატარების ვადები და სხვა. თუ, მაგალითად, სამხედრო დოქტრინა ითვალისწინებს განსაკუთრებული პერიოდში ეროვნული მეურნეობის ობიექტებზე გარკვეული სახის იარღით ზემოქმედების შესაძლებლობას, ამ შემთხვევაში მრეწველობის სამობილიზაციო მომზადების და გაშლის სისტემაში ასახული უნდა იყოს ადექვატური ღონისძიების ჩატარება, კერძოდ მოსახლების, მატერიალური რეზერვების, საწარმოო სიმძლავრეების დაცვის მიმართულებები და სხვა.

საქართველოს სამხედრო დოქტრინაში არაა გათვალისწინებული ქვეყნის ისეთი თავისებურება, როგორიცაა ტერიტორიის სიმცირე, რაც ზღუდავს მანევრირების საშუალებას, ასევე ოკუპაციის საშიშროების ქვეშ აყენებს მნიშვნელოვან სამრეწველო ცენტრებს, ზრდის სასიცოცხლო მნიშვნელობის კომუნიკაციების გადაკეტვის ალბათობას და ა.შ. აქედან გამომდინარე, მრეწველობის სამობილიზაციო მომზადებისა და გაშლის სისტემამ უნდა უზრუნველყოს საქართველოს ეკონომიკა მთლიანად და მისი ცალკეული რეგიონების ავტონომიური ფუნქციონირება და განსაზღვრული დროის განმავლობაში საომარი მოქმედების

დამოუკიდებლად წარმართვის შესაძლებლობა.

შემდეგ პრინციპად უნდა ჩაითვალოს მრეწველობის სამობილიზაციო მომზადების ორგანიზაციის მასშტაბების ადექვატურობა კონკრეტულ სამხედრო-პოლიტიკურ გარემოებებთან.

მრეწველობის სამობილიზაციო მომზადება და ორგანიზაცია უნდა ითვალისწინებდეს მოქმედების რამდენიმე ვარიანტს. შეიძლება გამოიკვეთოს ორი ძირითადი ვარიანტი: პირველი—ლოკალური (მცირე მასშტაბიანი) კონფლიქტების პირობებისათვის. ამ შემთხვევაში გათვალისწინებული უნდა იყოს მრეწველობის შეზღუდული გაშლა არამასშტაბურ საომარ მოქმედებათა ეკონომიკური საშუალებებით უზრუნველსაყოფად; მეორე-ქვეყნისათვის გლობალურ კონფლიქტებში მონაწილეობის პირობებისათვის, როდესაც საჭირო იქნება მეურნეობის ყველა შესაძლებლობების გამოყენება დიდმასშტაბიანი საომარი მოქმედებების განსახორციელებლად. აღნიშნული ვარიანტების შესაბამისად უნდა შემუშავდეს სამობილიზაციო მომზადების და გაშლის გეგმებიც.

მეტად მნიშვნელოვანია სამობილიზაციო მომზადების და გაშლის მეცნიერული დასაბუთების პრინციპი. ამ პრინციპის განხორციელებას მოითხოვს მრეწველობის სამობილიზაციო მომზადების და გაშლის ახალი სისტემის ჩამოაყალიბების მეცნიერულ დასაბუთებულ დებულებებს.

მრეწველობის სამობილიზაციო მომზადებისა და ორგანიზაციის სისტემა ექვემდებარება ეროვნული მეურნეობის სამობილიზაციო მომზადებისა და გაშლის სისტემას და, აქედან გამომდინარე, მისი ძირითადი ამოცანაა განსაკუთრებულ პერიოდში მოსახლეობისა და ეროვნული ჯარის უზრუნველყოფა საჭირო პროდუქციით და

მომსახურებით. აქვე წარმოიშვება განსაკუთრებული პერიოდისთვის აღნიშნულ მოთხოვნილებათა და შესაძლებლობათა დაბალანსების პრობლემა, რომლის შესწავლის და გადაწყვეტის ერთ-ერთი მიმართულებაა, როგორც ზემოთ ავღნიშნეთ დარგთაშორისო საბალანსო მოდელების შემუშავება და შესაბამისი გაანგარიშების საფუძველზე წინადადებების დასაბუთება. გარდა ამისა, მრეწველობისათვის შეიძლება გამოყენებული იქნას დარგთა მდგრადი ფუნქციონირების განმაზოგადებელი მაჩვენებლები ომის პირობებში. ამ შემთხვევაში შესაძლებელია ამოვირჩიოთ მდგრადობის კრიტერიუმი, რომლის გაანგარიშებაც მოგვცემს სამობილიზაციო მზადყოფნისა და გაშლის სისტემის გამოყენებით საბოლოო შედეგების შეფასებას.

ქვეყნის მრეწველობისა და მთელი ეკონომიკის თავდაცითი მზადყოფნის ღონისძიებათა მეცნიერული დასაბუთების აუცილებლობა განაპირობებს სათანადო ქმედითუნარიანი სამეცნიერო სპეციალიზებული ბაზის საჭიროებას, რომელსაც ეყოლება მაღალკვალიფიციური კადრები და ექნება სათანადო ტექნიკური აღჭურვილობა. ამავე დროს, აღნიშნული მიზნით კონტრაქტის წესით კონკრეტულ სამუშაოთა შესასრულებლად შეიძლება მოზიდული იქნეს ქვეყნის სხვადასხვა სამეცნიერო დაწესებულებათა ძალებიც.

ყოველივე ამით უნდა უზრუნველყოთ სამხედრო ტექნიკის (შესაბამისი ნაწარმის) დროული განახლება, მოძველებული ნიმუშების დროზე ამოღება წარმოებიდან, არმიის ტექნიკური აღჭურვის მოდერნიზება, ხმარებიდან ამოღებული საომარი საშუალების და სხვა საგნების უტილიზაცია.

აუცილებელია ყურადღება გამახვილდეს ქვეყნის თავდაცვითი სფეროს საეცნიერო–ტექნიკური პოტენციალის ფორმირებაზე, რის გარეშეც შეუძლებელია სახელმწიფოს და მისი ეკონომიკის თავდაცვითი შესაძლებლობების ამაღლება. ამ პრობლემების გადაწყვეტისათვის უნდა შემუშავდეს, სპეციალური პროგრამა. სამხედრო პროგრამების აუცილებლობის შესახებ ჩ. ხიტჩი და რ. მაკკენი თავიანთ წიგნში „სამხედრო ეკონომიკა ბირთულ საუკუნეში“ აღნიშნავენ, რომ სამხედრო პროგრამები მოქმედებენ როგორც თვისებრივი დამცველნი ეკონომიკური კრიზისების დროს. საქართველოს სამობილიზაციო მომზადების პროგრამების ძირითადი ღონისძიებები მოცემულია დანართებში (იხ. დანართები: 7, 8, 9).

ეკონომიკის თავდაცვითუნარიანობის მზადყოფნის სამუშაოები უნდა ხორციელდებოდეს ეფექტიანობის პრინციპით. იგი გულისხმობს ქვეყნის განკარგულებაში არსებულ თავდაცვისათვის გაკუთვნილი რესურსებით მაქსიმალურად შესაძლო შედეგების მიღწევას მოსალოდნელი საფრთხის თავიდან აცილებას, სამხედრო აგრესიის შემთხვევაში ქვეყნის დაცვის სრულ გარანტიას, მატერიალური და ფინანსური რესურსების ეკონომიას. ეს შესაძლებელი იქნება მეცნიერებისა და ტექნიკის უახლესი მიღწევების დანერგვით, აგრეთვე ორგანიზებული ზომებით, ყაირათიანად რესურსების გამოყენებისათვის პასუხისმგებლობის ამაღლებით, რესურსების ეკონომიის სტიმულირებით.- უნდა გავთავისუფლდეთ ძველი სტერეოტიპებისაგან, რომლის მიხედვით ეკონომიის და ყაირათიანობის მოთხოვნა თითქოს სამხედრო სფეროს არ შეეხება.

3.4. საქართველოს თავდაცვითი დანიშნულების პროდუქციის და მომსახურების წარმოება

საქართველოს ტერიტორიაზე განლაგებული თავდაცვის მრეწველობის საწარმოები საბჭოთა პერიოდში წარმოდგებოდა შემდეგი ქვედარგებისაგან: საავიაციო მრეწველობა, რადიო და ელექტრონული მრეწველობა, გემთმშენებლობა, კავშირგამბულობა, მანქანათმშენებლობა და სხვა.

საქართველოს მანქანათმშენებლობის დარგობრივ სტრუქტურაში ძირითადი მაჩვენებლების მიხედვით განსაკუთრებული ადგილი ეკავათ თავდაცვითი მრეწველობის საწარმოებს. მათი ხვედრითი წილი ცალკეული მაჩვენებლის მიხედვით შეადგენდა: პროდუქციის მოცულობის მიხედვით 27.7-ს, სამრეწველო საწარმოო პერსონალის რიცხოვნების- 28%-ს, ხოლო ძირითადი სამრეწველო საწარმოო ფონდების ღირებულების მიხედვით 22,2%.

გარდა თავდაცვითი მრეწველობის საწარმოებისა ქვეყანაში განლაგებული იყო, როგორც სამეცნიერო-კვლევითი, ისე საპროექტო საკონსტრუქტორო ორგანიზაციები, რომლებსაც გააჩნდათ მდიდარი ინტელექტუალური და ტექნიკური პოტენციალი, მაღალკვალიფიციური კადრები.

თავდაცვის მრეწველობა სპეციალიზებული იყო ისეთი სახის სამხედრო დანიშნულების პროდუქციის გამოშვებაზე როგორიცაა: თვითმფრინავები, კატარღები, მიკროსქემები, გამთიშველები, კავშირგამბულობის საშუალებები და სხვა.

1990 წლიდან თავდაცვის მრეწველობის საწარმოებში თითქმის მთლიანად შეწყდა, ან მინიმუმამდე შემცირდა

შეკვეთები სამხედრო დანიშნულების პროდუქციის წარმოებაზე, რის გამოც თავდაცვითი მრეწველობა, რამდენიმე საწარმოს გამოკლებით, დღეისათვის აწარმოებს მხოლოდ ფართო მოხმარების სხვადასხვა დანიშნულების საგნებს, მათი სიმძლავრეები დატვირთულია მხოლოდ 3-8%-ით. სააქციო საზოგადოება „ორბში“ ფაქტიურად არ იწარმოება საიდუმლო კავშირგამბულობის აპარატურა (1988 წელს გამოშვებული იყო 300 ათასი ცალი), სპეციალური დანიშნულების აპარატურა(იწარმოებოდა 500 მილიონი ცალი)ასევე სს „მიონში“ შეწყვეტილია მიკროსქემების წარმოება (იწარმოებოდა 36 მლნ ცალი); სს „ორიონში“ შეწყვეტილია საჰაერო სივრცის კონტროლის სისტემის წარმოება (წელიწადში 6 ცალი იწარმოებოდა) და სხვა. თავდაცვით საწარმოებში კატასტროფულად შემცირდა ფართო მოხმარების საქონლის წარმოებაც, რისი ძირითადი მიზეზებიც უნდა ვეძებოთ იმაში რომ, სამხედრო წარმოების კონვერსია სახელმწიფოს ფინანსური და ორგანიზაციული ქმედითი დახმარების გარეშე აღმოჩნდა. კონვერსიის [illegible] ქვეყანაში თვითდინებას მიეცა. არ იქნა შემუშავებული კონვერსიის განხორციელების სახელმწიფოებრივი პროგრამა, ასევე არ შეიქმნა ამ ურთულესი პროცესის მართვისა და კოორდინაციის არავითარი ორგანო.

კონვერსიის პროცესი ყველა საწარმოსათვის სხვადასხვანაირად მიმდინარეობდა, მაგრამ შეიძლება გამოიყოს საერთო დამახასიათებელი პრობლემები და სიძნელეები: ა). კონვერსიის განხორციელების სახსრებისა და კრედიტების მიღების საიმედო და შეღავათიანი წყაროების უქონლობა; ბ). კონვერსიის განხორციელების აქტი შეიძლება ნიშნავდეს ტრადიციულად აწყობილი ეკონომიკური კავშირების რღვევას და ახლის ჩამოყალიბებას.

სამეურნეო ცხოვრების ინტერნაციონალიზაციის პირობებში ასეთი რღვევა ზეგავლენას ახდენს, როგორც ეროვნულ, ისე მსოფლიო ბაზარზე. კონვერსიის სხვადასხვა ობიექტისათვის ბაზრის პრობლემა ერთნაირი არ არის. ერთი ჯგუფისათვის იგი ხასიათდება კონკურენტუნარიანი პროდუქციის წარმოების უზრუნველყოფით, რომელიც პასუხობს ხარისხისა და ნომენკლატურის მოთხოვნებს, ახერხებს მომხმარებლის მოძებნას. მეორისათვის, ეს არის სამუშაო ძალის დასაქმების ისეთი გზების ძიება, რომელიც არ დაუშვებს დასაქმების დონის დაქვეითებას და უმუშევრობის ზრდას. ხოლო რაც შეეხება კონვერსიის შედეგად კონკურენტუნარიანი სამოქალაქო პროდუქციით ბაზარზე გასვლას, ეს სამხედრო საქონლის მწარმოებლებს უადვილდებათ შემდეგი პირობების გამო: სამხედრო მრეწველობის უფრო მაღალი ტექნიკური დონე სამოქალაქო მრეწველობასთან შედარებით, რაც ქმნის ხელსაყრელ წანამძღვრებს სამოქალაქო ბაზარზე კონკურენციისათვის და წარმოების ორიენტაციის სწრაფი შეცვლისათვის; სამხედრო-სამრეწველო კომპანიების სასაქონლო ბაზარზე საქმიანობით შეძენილი მზარდი გამოცდილება; რიგ დარგებში (თვითმფრინავმშენებლობაში და გემთმშენებლობაში) სამოქალაქო პროდუქციის უშუალო ანალოგების არსებობა; სამხედრო პროდუქციაში სტანდატიზებულ კომპონენტთა ხვედრითი წილის ზრდა, რომლებიც გამოიყენება როგორც სამხედრო, ისე სამოქალაქო მანქანათმშენებლობის პროდუქციაში.

ბაზარზე გასვლა ითვალისწინებს ორ ძირითად ეტაპს: ჯერ ერთი, ალტერნატიული საქონლის განსაზღვრას, რომლის წარმოება შესაძლებელია არსებული საწარმოო სიმძლავრეების დახმარებით; მეორე, მათი მინიმალური

ოდენობით მაინც წარმოებისა და გასაღების უზრუნველყოფას.

კონვერსიის დასავლური ქვეყნების მკვლევარები თვლიან, რომ ალტერნატიული პროდუქციისათვის ბაზრის ძიების ყველაზე პერსპექტული სფერო შეიძლება იყოს ის არეები, რომლებიც ხასიათდება ახალი ტექნოლოგიის აქტიური დანერგვით, ზრდის ტემპებით და სარგებლობენ მთავრობის მხარდაჭერით, ასეთი ბაზრების ძიებას მიმართავენ ისეთი შეიარაღების მწარმოებლები, რომელთა პროდუქციას არ გააჩნია უშუალო სამოქალაქო ანალოგი.

მსხვილი კორპორაციები ხშირად გადიან ახალ ბაზარზე უფრო პატარა ფირმების შეძენის გზით, რომლებიც უკვე მოქმედებენ ბაზარზე ჩვეულებრივ დივერსიფიკაციის წესით. ასეთი ფორმა დაკავშირებულია არა იმდენად კონვერსიასთან, რამდენადაც კომერციული უკუგების მიღების მცდელობასთან იმ პროდუქციით, რომელიც იქმნება სამხედრო კონტრაქტებით. სრული კონვერსიის შემთხვევაში, ე.ი. სამხედრო წარმოების შეწყვეტით და მისი სამოქალაქო წარმოებით შეცვლის პირობებში კორპორაცია, რომლის პროდუქციას არ გააჩნია ანალოგი, უფრო მეტად არის მზად რისკისათვის, ვიდრე ის ფირმები, რომლებსაც გააჩნიათ ასეთი ანალოგი. მეცნიერებადტევადი პროდუქციისათვის ბაზრის ძებნა კომერციულად ნაკლებ რისკთან არის დაკავშირებული და წარმოადგენს უფრო პერსპექტიულ მიმართულებას, სამხედრო პროდუქციის მწარმოებლებისათვის.

აღნიშნულიდან გამომდინარე, შეიარაღების მწარმოებლებისათვის არსებობს ალტერნატიული პროდუქციის შერჩევისა და ამ პროდუქტით ბაზარზე გასვლის ტიპიური შემთხვევები, რაც დაკავშირებულია

საქონლისათვის გადაჭარბებული ხარისხობრივი ნიშნების მინიჭებასთან, რომლებზედაც არ არის სამოქალაქო მომხმარებელთა მოთხოვნა. ამან შეიძლება გამოიწვიოს ფასების ზრდა და, მაშასადამე, საქონლის კონკურენტუნარიანობის დაცემა.

დასავლეთის ქვეყნების სამხედრო ბიზნესის ძირითადი ნაწილი იმყოფება კერძო ხელში, კერძო კორპორაციები– შეიარაღების მწარმოებლები ფორმალურად ექვემდებარებიან კონტროლს მთავრობის მხრიდან, მათი საქმიანობის იმ ნაწილში, რომელიც დაკავშირებულია ეროვნული უშიშროების ინტერესების უზრუნველყოფასთან. გარდა ამისა, კორპორაციები, რომლებიც ორიენტირებულნი არიან სახელმწიფო ბაზარზე გარკვეული თვალსაზრისით, დამოკიდებულნი ხდებიან მთავრობის გადაწყვეტილებებზე. თითქმის ყველა მკვლევარი თვლის, რომ ხელისუფლება ვერ აიცილებს თავიდან კონვერსიის პრობლემის გადაწყვეტას და იძულებული იქნება მიიღოს ამ პროცესში მონაწილეობა. აზრთა სხვადასხვაობა მხოლოდ კონვერსიაში სახელმწიფოებრივი ჩარევის დონისა და ხარისხის თაობაზე წარმოიშვება.

კონვერსიის პროცესში მთავრობის როლის დამოკიდებულება განისაზღვრება იმით, რომ იგი მიღებული პოლიტიკური გადაწყვეტილებების საფუძველზე აყალიბებს ბიუჯეტის სტრუქტურას და, მაშასადამე, სახელმწიფოებრივ მოთხოვნას და მოხმარების სახელმწიფო ბაზრის სპეციფიკას, რომელიც ორიენტირებულია ერთ მომხმარებელზე – მთავრობაზე, მას კი აძლევს საშუალებას მონაწილეობა მიიღოს მის ფორმირებაში. ამავე დროს, სამხედრო ბაზრიდან პრიორიტეტის მიწოდებაზე მთავრობის უკუდამოკიდებულება აიძულებს მას გაითვალისწინოს ბაზარზე მიმდინარე

პროცესები.

მთავრობის როლი კონვერსიაში განისაზღვრება არსებული სახელმწიფო პროგრამების გამოყენებით, რომელიც გულისხმობს სუფსიდიების გაღებას, გადასახადების შემცირებას და პერსონალის კვალიფიკაციის შეცვლას დასაქმების შენარჩუნების მიზნით. სახელწიფოებრივი პროგრამების პოტენციალის გამოყენება შეამსუბუქებდა კონვერსიის გატარებას.

აღსანიშნავია, რომ რუსეთის ფედერაციის ის საწარმოები, რომლებმაც ვერ მოასწრეს კონვერსია და არ აითვისეს სამოქალაქო პროდუქციის წარმოება, აღმოჩნდნენ მძიმე საფინანსო მდგომარეობაში. 1998 წელს საკრედიტო დავალიანებამ შეიარაღების ზოგიერთ საწარმოში 2,1-ჯერ გადააჭარბა. 1998 წლისათვის გემთმშენებლობაში ექსპორტმა შეადგინა 5,9 %, რამაც ნაწილობრივ უზრუნველყო გემთმშენებლობაში კვალიფიციურ მუშათა დასაქმება[1].

რუსეთის ფედერაციის 2008 წლის მონაცემებით, ნახევარ წელიწადში სამხედრო მრეწველობის პროდუქცია გაიზარდა 3.9%-ით წინა წლის ანალოგიური პერიოდთან შედარებით, მათ შორის: ელექტროტექნიკის ნაწარმის–9,2%-ით, სამედიცინო ტექნიკის–23,2%, სამოქალაქო გემთმშენებლობის გამოშვება–9,1%-ით, სამოქალაქო კოსმოსური პროდუქცია-3,6%-ით. ამრიგად, რუსეთის სამხედრო მრეწველობის საწარმოებში მყარად ფართოვდება როგორც შეიარაღების წარმოება, ისე სამოქალაქო პროდუქციის წარმოება.[1]

---

[1] Российская экономика: Тенденции и перспективы.Состояние оборонной промышленности.№6,2008.8/24/98.6:24A

კონვერსიის განხორციელების მსოფლიო პრაქტიკას გამომუშავებული აქვს შემდეგი კრიტერიუმები: ა) ქვეყნის ყველაზე ჩამორჩენილი დარგების განვითარების დონის ამაღლება (მათი ტექნიკური გადაიარაღება და ამ დარგებში კაპიტალ-დაბანდების ზრდა); ბ) საქმიანი აქტივების სტიმულირება, წარმოების რესტრუქტურიზაციისათვის ინვესტიციების ზრდის სასარგებლო კლიმატის შექმნა; გ) უმუშევრობის ზრდის მნიშვნელოვანი შეჩერება; დ) თავდაცვით სფეროში შექმნილი ტექნოლოგიური პოტენციალის შენარჩუნება და ზრდა; ე) თავდაცვითი უნარიანობის და სამობილიზაციო მზადყოფნის გაძლიერება არასამხედრო ფაქტორების უფრო ეფექტიანი გამოყენების ხარჯზე; ვ) რესტრუქტურიზაციასთან დაკავშირებული დიდი ხარჯების დაფარვის წყაროების წინასწარი დადგენა; ზ) სამეცნიერო-კვლევით და საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაოების სფეროში მოპოვებული პოტენციალის შენარჩუნება და განვითარება.

აღნიშნული კრიტერიუმები დამახასიათებელია როგორც საბაზრო, ისე ცენტრალიზებული ეკონომიკისათვის ქვეყნის ეკონომიკური განვითარების დონის შესაბამისად. აღიარებულია კონვერსიის შემდეგი პრიორიტეტები: ინფრასტრუქტურის დარგების განვითარება (გზების, ხიდების, ნარჩენების ნაგვის უტილიტიზაციის, კომუნიკაციების ტექნიკური გადაიარაღება), კავშირგაბმულობის, განათლების, ჯანმრთელობის დაცვის და ბუნების დაცვის ხარჯების ზრდა, რაც საბოლოოდ ნიშნავს მაღალი ხარისხის სამუშაო ძალის კვლავწარმოებას.

დასავლეთის სპეციალისტთა აზრით, სამომხმარებლო ბაზრის გაჯერების პრობლემის გადაწყვეტა კონვენსიის მეოხებით თავდაცვის მრეწველობის ქარხნებში მასობრივი

მოთხოვნილების ნაკეთობათა წარმოების გაზრდის გზით არ არის სწორი. აქ არ არსებობს საამისო პირობები. თუ რომელიმე საწარმო უშვებდა სამოქალაქო პროდუქციას, ფაქტობრივად იგი იყენებდა წარმოების ნარჩენებს, რაც ორიენტირებული იყო ბაზრის იმ მოთხოვნის მუშაობის გამსაზღვრელ როლზე, სადაც თავდაცვით საწარმოებს უპირატესობა ჰქონდათ.. აშშ-ს საწარმოთა გამოცდილება მეტყველებს, რომ ასეთი საქმიანობა გამართლებულია მხოლოდ მაშინ, როდესაც ბაზრის ტევადობა არ აღემატება 1-2 მლნ დოლარს. ერთია, გამოუშვა სამომხმარებლო საქონელი წარმოების ნარჩენებისგან, სულ სხვაა გამოუშვა იგი მაღალხარისხოვანი ნედლეულისა და მასალისგან. ამასთან, წარმოების საერთო მოცულობის მატება მასობრივი მოთხოვნის იაფასიან ნაკეთობათა ხარჯზე ვერ მოახდენს წარმოების საერთო მოცულობის შემცირების კომპენსაციას. ერთადერთი გამოსავალი იყო თავიდან აცილებულიყო მოგების და მუშაკთა შემოსავლების მკვეთრი შემცირება, პროდუქციაზე ფასების ხელოვნური ზრდა. მასობრივი მოთხოვნის საქონლის სამხედრო მრეწველობის საწარმოებში გამოშვება გამოიწვევს არა სამომხმარებლო ბაზრის გაჯერებას, არამედ ინფლაციის ზრდას. ამიტომაც ამერიკელი ექსპერტები აფრთხილებენ თავიანთ მთავრობას, რათა არ იქნეს დაშვებული შეცდომები სამხედრო საწარმოთა ძირითადი ძალისხმევა მიმართული არ უნდა იყოს სამომხმარებლო საქონლის წარმოებაზე. სამომხმარებლო ბაზრის გაჯერება უფრო სწრაფად და ეფექტიანად ხორციელდება იმპორტის ხარჯზე. მაგალითად, ერთი თვითმფრინავის საგარეო ბაზარზე რეალიზაცია და მიღებული ვალუტით ტანსაცმლის, ფეხსაცმლის და ფართო მოხმარების სხვა საქონლის იმპორტი თბილისის საავიაციო

მრეწველობას პერსონალის ხელფასის ერთ ერთეულზე 30-50-ჯერ მეტს მოუტანდა, ვიდრე ამ ქარხნებში სამომხმარებლო საქონლის (ქვაბების და სხვა ნაკეთობების) წარმოების ათვისება.

ამჟამად, გამოყოფენ სამხედრო ორიენტაციის საწარმოთა სამ ჯგუფს, რომლებიც არსებითად განსხვავდებიან რესტრუქტურიზაციის პირობებით და მეთოდებით: საწარმოები და ფირმები, რომელთა საწარმოო სიმძლავრეები და სამეურნეო სტრუქტურები ტექნიკურ-ეკონომიკური მიზეზების გამო არ შეიძლება გადაყვანილ იქნას სამოქალაქო პროდუქციის გამოშვებაზე. სამხედრო პროდუქციაზე მოთხოვნილების ჰკვეთრი შემცირების პირობებში აუცილებელია ამ საწარმოების დარგობრივი და საბაზრო პროფილის სრული შეცვლა; საწარმოები, რომელთა საწარმოო სიმძლავრეების ნაწილი შეიძლება გამოყენებული იქნეს სამოქალაქო დანიშნულების პროდუქციის გამოშვებაზე წარმოების ნაწილობრივი რესტრუქტურიზაციის (დივერსიფიკაციის), ახალი საწარმოო სიმძლავრეების შექმნის და გამოშვებული პროდუქციის ასორტიმენტის ცვლილების გზით. ამ კომპანიებს შესწევთ უნარი შეინარჩუნონ დარგობრივი და საბაზრო პროფილი. ასეთი კომპანიათა რიცხვს მიეკუთვნება, მაგალითად, საავიაციო მრეწველობის კომპანიები; საწარმოები, რომლებიც უშვებენ, ან საშუალება აქვთ გამოუშვან, ორმაგი დანიშნულების – სამხედრო და სამოქალაქო პროდუქცია, მაგრამ რიგი მიზეზების გამო მუშაობენ სამხედრო კონტრაქტებით, მათი პროფილის შეცვლა შესაძლებელია წარმოების დივერსიფიკაციის, ახალი ბაზრების ათვისებისა და პროდუქციის ასორტიმენტის ცვლილების გზით. ასეთ საწარმოებს მიეკუთვნება ელექტრონული მრეწველობისა და

ხელსაწყოთმშენებლობის საწარმოები.

კონვერსიასთან დაკავშირებული სიძნელეები შეიძლება იყოს: ა) ნედლეულით, ენერგიით, მასალებით, მაკომპლექტებელი ნაკეთობებით მომარაგების მკვეთრი გაუარესება; ბ) რენტაბელობის დონის დაცემა კონვერსიის წინა პერიოდის დონესთან შედარებით; გ) გამონთავისუფლებელი მუშახელის შრომითი მოწყობა და წინასაპენსიო ასაკის მუშაკთა განთავისუფლების პრობლემა.

სს „ორბის“ კონვერსიასთან დაკავშირებით საკუთარი პრობლემები ხასიათდებოდა იმით, რომ ერიცხებოდა დაუსაქმებელი მუშები და ინჟინერ-ტექიკური პერსონალი და მხოლოდ იმ შემთხვევაში შეესძლო ზემდგომი ორგანოების მიერ შემოთავაზებული წინადადებების რეალიზაცია, თუ დაფინანსების საკითხი ქვეყნის მთავრობის მიერ იქნება გადაწყვეტილი. მხედველობაში გვაქვს ახალი სახის სამოქალაქო პროდუქციის დაპროექტების, მისი გამოშვების ტექნიკური ბაზის მომზადების საკითხები, კრედიტის რაოდენობის განსაზღვრა ცალკეულ კონკრეტული შემთხვევების შესაბამისად. სს „ორბში“ უნდა განვითარებულიყო თანამედროვე ტიპის კავშირგაბმულობის აპარატურის (ფაქსი, სატელეფონო აპარატურა), საკასო აპარატურის, ელექტროენერგიისა და გაზის მრიცხველების, გაზის გამათბობელი აპარატურის წარმოება.

კონვერსიის შედეგად საწარმოში არსებული სიმძლავრეების სრულყოფილი გამოყენების მიზნით, სს „მიონის“ კოლექტივს შეეძლო გამოეშვა ფართო მოხმარების პროდუქცია, რომელიც გამოიყენება შესაძლებელი იქნებოდა, როგორც სამოქალაქო, ისე სამხედრო დანიშნულებით. კერძოდ, ესენია: ელექტრონული საათები, სატელეფონო თავაკი, კომპიუტერული ელექტრო ზარი, გაზის ქურის

სანთებელა, სატელეფონო დეციმეტრული ანტენა, სხვადასხვა ფორმის და ფერის სკალური ინდიკატორები, მზის ელემენტები, ავტომობილის ძაბვის ინდიკატორი, შედულების აპარატი, კომბინირებული დანადგარი (ელექტრო შალაშინი, ფარგალი, სალესი ბურღი), სხვადასხვა სახის ავეჯი, ბეჭდვითი პლატები და სხვა. არსებული ტექნოლოგიური ხაზების გამოყენებით „მიონს“ შეეძლო გამოეშვა 561 სერიის და ანალოგიური სახის მიკროსქემები, რაზედაც დიდი მოთხოვნაა სამხედრო საქმეში.

სს „მიონში“ უნდა დაწყებულიყო სამხედრო დანიშნულების ოპტიკის სერიული წარმოება, მრავალფუნქციური ტელეფონის აპარატების, ოპტოელექტრონული ტექნიკის, მზის ენერგიის ბატარეების, ინტეგრალური მიკროსქემების წარმოების ათვისება.

სს „მიონს“ დაფინანსების გარეშე შეეძლო დაეწყო ახალი სახის სამოქალაქო პროდუქციის დაპროექტება და მისი გამოშვების ტექნიკური ბაზის მომზადება, აგრეთვე დაბანდების გარეშე პერსპექტიული სამხედრო და სახალხო მოხმარების საქონლის გამოშვების ათვისება, სერიულ წარმოებაში დაენერგა და რეალიზაცია. მის კოლექტივს დაგეგმილი ჰქონდა აეთვისებინა და სერიულად გამოეშვა ინტეგრალური სქემები, რომლებიც გამოიყენება ფართო მოხმარების საგნებში, კერძოდ: ვიდეოკამერებში, წამლის კანქვეშ შეყვანის უკონტაქტო დოზატორში, სატელეფონო მიმღების ფერადობის ბლოკებში, მაგნიტოფონებში, სატელევიზიო კავშირის სისტემებში. აღნიშნული საქონლის წარმოება საშუალებას იძლევა სრულად დაკმაყოფილდეს როგორც ქვეყნის სამობილიზაციო მოთხოვნები, ისე შესაძლო ექსპორტიც.

სს „ორიონში“ შესაძლებელი იყო ნომრების

ამოსაცნობი ტელეფონების წარმოება 4-5 ათასი ცალის სიმძლავრით (წელიწადში). პორტატიული რადიოგადაცემებისა 5 ათასი ცხენის ძალის სიმძლავრით, ბეჭდითი სქემების და სახალხო მოხმარების საგნების (ტელევიზორები, მაცივრები, კონდიციონერები, თხევად საწვავზე მომუშავე გათბობის მცირეგაბარიტიანი სარეცხი მანქანები) გამოშვება. სს გაერთიანება „ორიონში“ არსებული ტექნოლოგიური ბაზებით შეიძლებოდა გალვანური დაფარვის, ინსტრუმენტების, ნაბეჭდი სქემების დამზადება.

კონვერსიის განხორციელების პირობებში ხდება ახალი სახის პროდუქციის გამოშვების წინასწარ გასაზღვრა, ასევე ახალი პროდუქციის ფასების დადგენის საკითხების შესწავლა. კონვერსიასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურებისათვის გაერთიანება „ორიონს“ საკუთარი წყაროები არ გააჩნდა.

1990 წლამდე ქარხანა „ავანგარდში“ ათვისებულ იქნა და სერიულად იწარმოებოდა სხვადასხვა საარტილერიო სისტემაში კავშირგაბმულობის უზრუნველყოფის შემდეგი დასახელების რადიოაპარატურა: 1B 112, 1B 113, 1B 518, 1B 519.

სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი „ტალღა“ უშვებდა კავშირგაბმულობის ბოჭკოვან-ოპტიკურ სისტემებს (კავშირგაბმულობის ბოჭკოვან-ოპტიკური სისტემების სერიული აპარატურა, ობიექტების დაცვის ოპტიკური და ელექტრო-მაგნიტური სისტემები), ჰიდროაკუსტიკურ სისტემებს საზღვაო აკვატორიის დაცვისათვის, ნაღმძებნელებს.

თბილისის გამთიშველების ქარხანა აწარმოებდა დაბალი ძაბვის (1 ვოლტიდან - 250 ვოლტამდე) დაბალი და მაღალი სიხშირის (3000 მგ ჰერცი) გამთიშველებს

სპეცტექნიკისათვის და ა.შ. სამხედრო დანიშნულების საბოლოო მოხმარების პროდუქციას აწარმოებდა მხოლოდ თბილისის საავიაციო ქარხანა. ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ მაკომპლექტებელი დეტალების 60-65 %-ს წარმოება ღებულობდა რუსეთიდან და ამდენად, მისი საქმიანობა ძირითადში დამოკიდებული იყო ქვეყნის გარედან შემოზიდული დეტალებისა და მაკომპლექტებელი კვანძების მოწოდებაზე. ქარხანას ათვისებული ჰქონდა რამდენიმე სახის სამხედრო პროდუქციის გამოშვება. კონვერსიის გათვალისწინებით, აგრეთვე ნავარაუდევი იყო შემდეგი სახის სამოქალაქო პროდუქციის წარმოების ათვისება: თვითმფრინავი „იაკ-58“, თვითმფრინავი „სუ-86“, ოთხადგილიანი თვითმფრინავი (საკუთარი გამოგონების), ორადგილიანი თვითმფრინავი (ერთობლივად საფრანგეთთან), მოტოველოსიპედი, საბაგირო გზის ვაგონის, ხილის საჭრელი ავტომატის გამოშვება. არსებული ტექნოლოგიური დანადგარების დაახლოებით 60 % შეიძლება გამოყენებული ყოფილიყო სამოქალაქო პროდუქციის გამოსაშვებად.

გაერთიანება ჩავარდა მძიმე ფინანსურ მდგომარეობაში, ვინაიდან სამხედრო დანიშნულების თვითმფრინავებზე, რომელთა წარმოებაც გარკვეულად გააუმჯობესებდა ფინანსურ მდგომარეობას, სახელმწიფო დაკვეთები პრაქტიკულად გაუქმდა. აღნიშნულ თვითმფრინავებზე დიდი მოთხოვნილებაა საზღვარგარეთ. მაგალითად, თანამეგობრობის ქვეყნებიდან შეკვეთა 250 ცალს ითვალისწინებდა.

საავიაციო საწარმოს თავისი სიმძლავრეების გათვალისწინებით ეტაპობრივად, პერსპექტივაში შეეძლო გამოეშვა წლის განმავლობაში 20-25 ცალი საბრძოლო თვითმფრინავი. ათვისებული ქონდა 6 ადგილიანი სამგზავრო თვითმფრინავის იაკ-58-ის გამოშვება. პარალელურად

ათვისებული ქონდა ახალი ტიპის მრავალფუნქციური დანიშნულების M-16 მარკის თვითმფრინავის წარმოება. ქვეყნის სამხედრო შენაერთის აღჭურვის მიზნით, მთავრობის დავალებით, გაერთიანებაში ათვისებული იქნა ორი ტიპის ყუმბარსატყორცნის სერიული გამოშვება.

საქართველოს საკუთარი ძალებით შეუძლია 50 მმ-იანი, 70 მმ-იანი და 120 მმ-იანი ნაღმტყორცნის წარმოება და ამით რეგულარული ჯარის აღჭურვა.

საბჭოთა წყობილების პერიოდში საქართველოში 80-ზე მეტი წარმოება, ორგანიზაცია და სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულება მუშაობდა მთელი ქვეყნის თავდაცვითი კომპლექსის, საბჭოთა არმიის დაკვეთების შესრულებაზე. შეიარაღების ორგანიზაცია და საბრძოლო მასალებზე მუშაობა დავალებული ჰქონდა სამხედრო-სამრეწველო კომპლექსს „დელტას". საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ სამრეწველო ორგანიზაციები დარჩნენ, მაგრამ მათ დაკვეთები არა აქვთ. საკმაოდ მაღალი კვალიფიკაციის ქარხნები, მეცნიერ–მუშაკები და სპეციალისტები, რომლებიც საკმაოდ მაღალი ხარისხის პროდუქციას უშვებდნენ, უმუშევრები დარჩნენ. 1993 წლიდან „დელტა" დაექვემდებარა თავდაცვის სამინისტროს, მაგრამ „დელტა" თავდაცვის სამინისტროდან გამოვიდა და 1998 წელს უშუალოდ პრეზიდენტს დაექვემდებარა. ვითარება კვლავ შეიცვალა და „დელტა" დამოუკიდებელი დარჩა, რის შედეგადაც დაიწყო არსებული პროდუქციის არა უტილიზაცია, არამედ გაყიდვა საზღვარგარეთ.

ბათუმის გემთმშენებელი ქარხანა სპეციალიზეული იყო მცირე ზომის კატარღმშენებლობაზე. ქარხნის საშუალო თვიური გამოშვება შეადგენდა 18 ერთეულს. პროდუქციის 90-92%-ს მოიხმარდა თავდაცვის სამინისტრო. ქარხანას

კონვერსია არ შეხებია, რადგან მისი პროდუქცია გამოიყენება ეროვნულ მეურნეობაში. მისი სიმძლავრეების გათვალისწინებით შესაძლებელია „აისტის“ და „სტრაჟის“ ტიპის კატარღების გამოშვება. ქარხანას გარკვეული სიძნელეები გაუჩნდა მასალებით და მაკომპლექტებელი დეტალებით მომარაგებაში. დღეისათვის აღნიშნული წარმოება კიდევ უფრო სავალალო მდგომარეობაშია.

თავდაცვითი მრეწველობის საწარმოები, რომლებიც სამხედრო კონტრაქტებით აწარმოებდნენ მიკროსქემებს, სამრეწველო კავშირგაბმულობის საშუალებებს და ა.შ., ამჟამად თითქმის ყველა გაჩერებულია, ან გაუქმდა. მათი მანქანა-მოწყობილობები უცხოეთში ჯართად გაიყიდა.

აღნიშნულიდან გამომდინარე, სამობილიზაციო მომზადების და მზადყოფნობის მატერიალური მარაგების შექმნა უშუალოდაა დაკავშირებული თავდაცვითი საწარმოების მუშაობაზე, იქ კი წარმოების მოცულობა მინიმუმამდეა დაქვეითებული. ამიტომაცაა, რომ დღეს სამობილიზაციო მომზადების მატერიალური მარაგები თითქმის ნულოვანი ოდენობისაა. 1997 წლის 10 სექტემბრის საქართველოს კანონმდელობით გათვალისწეულია 600-მეტი დასახელების სამრეწველო პროდუქციის მატერიალური მარაგი, რომელთა შორისაც დაახლოებით 138 სახეობის ნომენკლატურის მატერიალურ მარაგებზე მოთხოვნილება მიზერულად კმაყოფილდება. სახელმწიფო ბიუჯეტში არაა ცალკე გამოყოფილი სამობილიზაციო მომზადების ხარჯები. საქართველოს სახელმწიფო მატერიალური მარაგების სააგენტოში ამჟამად მიმდინარეობს სამობილიზაციო მომზადების ფორმირება სხვადასხვა წყაროებიდან, რაც ჯერჯერობით დაუზუსტებელია (რაოდენობის მიხედვით). სამობილიზაციო მომზადების მატერიალურ მარაგებზე კი

მოთხოვნილება დაზუსტებულია.

საწარმოო პირობების კონკრეტული მდგომარეობიდან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ საგანგებო ვითარებაში ქვეყნის რესურსებით ორიენტაციის გაკეთება ძალზედ დაბალია. სამობილიზაციო მომზადების მარაგების ზოგიერთ პროდუქციაზე მოთხოვნილება ეკვივალენტებარება ქვეყნის შიგნით დაგროვებას. კერძოდ, საავტომობილო ბენზინზე წლიური მოთხოვნილება დაგროვებას ექვემდებარება 6.7%-ით, ხოლო ფაქტური დაგროვება მხოლოდ 0,3%. ანალოგიური მდგომარეობაა ჯანმრთელობის დაცვის პრეპარატებზე და სხვა მარაგებზე. როგორც სახელმწიფო მატერიალური მარაგების სააგენტოს მონაცემებიდან გამოირკვა, 2003 წელს მხოლოდ 208 ლარის მედიკამენტები განთავსება მოხდა რეზერვში, რაც იითქმის არაფერია საერთო მოთხოვნილებასთან შედარებით. მათი რაოდენობა მომდევნო წლებში მნიშვნელოვნად გაიზარდა, მაგრამ საჭირო რაოდენობისაგან ისევ შორს არის.

საქართველოს თავდაცვითი პროდუქციის წარმოებაზე ორიენტირებული საწარმოებისა და მომსახურების სტრუქტურების რთული და მწვავე პრობლემები, უწინარესად დაკავშირებულია ფინანსურ სტაბილიზაციაზე, ფონდების ექსპლოატაციის მკვეთრ გაუარესებაზე, საშინაო და საგარეო ვალის დიდ მოცულობაზე რესტრუქტურიზაციის ჩაუტარებლობის გამო წარმოების პოტენციალის დანაკარგზე და სხვ. მაგრამ, ისიც ცხადია, რომ საწარმოებში არსებობდა როგორც საწარმოო, ისე კვალიფიციური კადრების საკმაო პოტენციალი, რომლის საფუძველზეც შესაძლებელი იყო ძირითადი ფონდების აღდგენა. უნდა მოხერხდეს საბრუნავი სახსრების შევსება. ყოველივე ხელს შეუწყობდა ეროვნული სამობილიზაციო მომზადების

ფორმირებას და, ამავე დროს, შიგა და გარე ბაზარზე თავდაცვითი დანიშნულების პროდუქციის რეალიზაციის გადიდებას.

სამობილიზაციო მომზადებისა და მზადყოფნის მარაგების ფორმირების განვითარებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს პრიორიტეტული დარგების: ელექტრონიკა, საინფორმაციო ტექნიკა, ხელსაწყოთმშენებლობა, ელექტროტექნიკური მრეწველობა, მანქანათმშენებლობა, სატრანსპორტო და სხვა სამრეწველო მოთხოვნილების და მომსახურების საჭიროების დაკმაყოფილებაზე ორიენტირებული დარგების განვითარება.

გასაღების ბაზრის დეფიციტის პირობებში, პროდუქციის რეალიზაციისათვის საჭიროა სპეციალური დანიშნულების საქონელზე სახელმწიფო შეკვეთების მაქსიმალური განთავსება თავდაცვით პროდუქციაზე ორიენტირებულ საწარმოებში და დამკვეთის ნედლეულით პროდუქციის წარმოების გაფართოება.

ვინაიდან თანამედროვე მწვავე პირობებში სამობილიზაციო მომზადების მატერიალური მარაგების პროდუქცია პრიორიტეტულია, საჭიროა სახელმწიფოს მხრიდან გარკვეული მხარდამჭერი პოლიტიკის გატარება საწარმოთა მაქსიმალური ამოქმედებისათვის.

ეროვნული ეკონომიკის სამობილიზაციო მომზადებისა და მზადყოფნის სისტემა, როგორც სახელმწიფოებრივი ამოცანების განხორციელების ერთ-ერთი ძირითადი ელემენტი, ქვეყნის უშიშროებისა და თავდაცვისუნარიანობის უმნიშვნელოვანესი ფაქტორია.

ქვეყნის კანონმდებლობა ითვალისწინებს ეროვნული მეურნეობის სამობილიზაციო მომზადებისა და მზადყოფნის სისტემის ფორმირებას. აღნიშნულ მიზანს

ემსახურება სახელმწიფოს მიერ შემუშავებული რიგი სახელმძღვანელო დებულებები, რომლებიც მმართველობის სხვადასხვა დონეზე (ეროვნული მეურნეობის, სამინისტროების, საწარმოების) სამობილიზაციო ღონისძიებების განხორციელებას არეგულირებს.

ქვეყნის ეკონომიკის სამობილიზაციო მომზადებისა და მზადყოფნის სისტემა მჭიდრო კავშირშია სახელმწიფოს სამხედრო დოქტრინასთან და, აქედან გამომდინარე, მასში სრულად აისახება ის ძირითადი საკითხები, რომლებიც შეესაბამება საქართველოს გეოპოლიტიკურ მდებარეობას, ეროვნული მეურნეობის მდგრადი და უსფრთხო ფუნქციონირების თავისებურებებს, საბაზრო ეკონომიკისათვის დამახასიათებელ პრობლემებს, საკუთრების სხვადასხვა ფორმების არსებობას და სხვ. ყოველივე ეს განაპირობებს ეროვნული ეკონომიკის სამობილიზაციო მომზადებისა და მზადყოფნის სისტემის ახლებურად გააზრების ობიექტურ აუცილებლობას.

სამხედრო მეცნიერებისა და პრაქტიკის მიხედვით, ეროვნული ეკონომიკის სამობილიზაციო მომზადებაში იგულისხმება მისი მშვიდობიანი ცხოვრებიდან, საჭიროების შემთხვევაში საგანგებო მდგომარეობაზე გადასვლის წინაპირობათა ფორმირება, რაც ხორციელდება მშვიდობიან პერიოდში დამუშავებული სამობილიზაციო მომზადების გეგმის შესაბამისად.

საქართველოს სასიცოცხლოდ აუცილებელი ინტერესები მოითხოვს: მისი სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის უზრუნველყოფას, სამართლებრივი დემოკრატიული სახელმწიფოს მშენებლობას კონსტიტუციური წყობის საფუძველზე,

ეკონომიკური და სამხედრო-ეკონომიკური პოტენციალის აღორძინებას, ხალხის ცხოვრების პირობების გაუმჯობესებას, საერთაშორისო არენაზე მშვიდობიან ურთიერთობას, საგანგებო ვითარებაში ადამიანებზე დახმარების გაწევასა და მათი უფლებების დაცვას, ქვეყნის განვითარების უსაფრთხოებას.

ქვეყნის თავდაცვითიუნარიანობისათვის მზადყოფნის სამუშაოები ეფექტიანობის პრინციპით უნდა სრულდებოდეს. იგი გულისხმობს მის განკარგულებაში არსებული თავდაცვისათვის განკუთვნილი რესურსებით მაქსიმალური შედეგების მიღწევას, მოსალოდნელი საშიშროების თავიდან აცილებას, სამხედრო აგრესიის შემთხვევაში დაცვის სრულ გარანტიას, მატერიალური და ფინანსური რესურსების ეკონომიას, რაც შესაძლებელია მეცნიერებისა და ტექნიკის უახლესი მიღწევების დანერგვით, თანამედროვე ორგანიზაციული და მმართველობითი მეთოდებით, რესურსების გამოყენებაზე პასუხისმგებლობის ამაღლებით, ყაირათიანობით, რესურსების გამოყენების ეკონომიკური სტიმულირებით.

ეროვნული ეკონომიკის საგანგებო ვითარებიდან გამოყვანის საქმეში მისი მიზეზებიდან და ხასიათიდან გამომდინარე, განმსაზღვრელი, პრიორიტეტული როლი ეკუთვნის როგორც ინსტიტუციონალურ ფაქტორებს, სახელმწიფო რეგულირებისა და მართვის ბერკეტებს, მათ ეფექტიან მოქმედებას, ასევე სამობილიზაციო მომზადების მატერიალური მარაგების საერთო მიზნისაკენ ეროვნული უსაფრთხოებისა და ეკონომიკის აღორძინებისაკენ მობილიზებას.

სამობილიზაციო მომზადებისა და მზადყოფნის სისტემისათვის პრიორიტეტულია ავტონომიური

ფუნქციონირება (ქვეყნის, ქალაქის, საწარმოს და ა.შ. არანაკლები 30 დღის მანძილზე), რაც მჭიდრო კავშირშია ეკონომიკის შეუფერხებელი მდგრადი ფუნქციონირების სისტემასთან, მზადყოფნის კონცეფციასთან, ასევე გარე დროებითი ფაქტორების ზემოქმედებისათვის წინააღმდეგობების დამოუკიდებლად გაწევის უნართან, შეზღუდული მატერიალური მარაგების, შრომითი რესურსებისა და სხვათა არსებობის პირობებში.

ანალიზმა უჩვენა, რომ ქვეყნის ავტონომიური ფუნქციონირების სამობილიზაციო მომზადებისათვის აუცილებელია: ელექტროენერგეტიკის საიმედო ბაზის შექმნა; სათბობის შემოზიდვა; საწარმოთა საკუთარი საშუალებებით უზრუნველყოფა; მრეწველობის პროდუქციაში ლითონდამუშავებისა და მანქანათმშენებლობის პროდუქციის წილის გაზრდა, მისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაფართოება; მრეწველობის ყველა დარგის პოტენციალის ამოქმედება; ეკონომიკურ რაიონებს შორის მჭიდრო ურთიერთკავშირი; შრომითი რესურსების მშვიდობიან პერიოდში რამდენიმე სპეციალობით გადამზადება (საგანგებო ვითარებაში მანევრირების უნარის ასამაღლებლად); სამობილიზაციო მომზადების მატერიალური მარაგების ტერიტორიული განცალკევება (მკაცრი საიდუმლოების დაცვით).

სამობილიზაციო მომზადების მატერიალური მარაგების ფორმირება უნდა მოხდეს ეკონომიკური და ტექნიკურ-ეკონომიკური ნორმებისა და ნორმატივების სამხედრო-საკანონმდებლო ბაზის საფუძველზე.

სამხედრო უსაფრთხოების პოზიციიდან გამომდინარე, ეკონომიკის სამობილიზაციო მომზადებისა და მზადყოფნის მატერიალურ ფასეულობათა

მარაგებისათვის ინვესტირება აუცილებელია ქვეყნის სახელმწიფო ბიუჯეტიდან.

თანამედროვე სასურსათო უსაფრთხოების პრობლემა ხასიათდება სიმწვავით. იგი სახელმწიფოს დონეზე გულისხმობს სურსათის საჭირო რაოდენობით სტაბილურ უზრუნველყოფას ნებისმიერ პირობებში და, მითუმეტეს, საგანგებო ვითარებაში. ამდენად, სამობილიზაციო მომზადების მატერიალური მარაგები, უპირველეს ყოვლისა, უნდა ითვალისწინებდეს სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების, პირველ რიგში მარცვლეულის (ხორბლის) მარაგებს. მატერიალური მარაგებიდან, ასევე გადამწყვეტი მნიშვნელობა დეფიციტურ ნედლეულისა და მასალების რეზერვებს ენიჭება.

უცილებელია გავითვალისწინოთ, რომ ეროვნული ეკონომიკის სამობილიზაციო მომზადებისა და მზადყოფნის სისტემის სრულყოფის თავისებურება და ფორმირება ისეთ გარეგან ფაქტორებზეა დამოკიდებული, როგორიცაა: სავარაუდო მოწინააღმდეგის სამხედრო სიძლიერე, ან საგანგებო შემთხვევის მოცულობა. ამასთან, თანამედროვე შეიარაღების რთულ სახეობათა წარმოება მოითხოვს სპეციალიზებულ და მოწინავე ტექნოლოგიურ მოწყობილობას, მაღალკვალიფიციურ საინჟინრო-ტექნიკურ პერსონალს, სამუშაო ძალას, მაღალი ხარისხის (სპეციალიზებულ) მასალებს და სხვ. ყოველივე ეს თავდაცვით მრეწველობას უყენებს განვითარების მზარდ მოთხოვნებს. თავის მხრივ, იგი ვითარდება საერთო ეროვნული ეკონომიკის რესურსების ბაზაზე და უნდა იყენებდეს ქვეყნის მთელ ეკონომიკურ პოტენციალს (მრეწველობა, სოფლის მეურნეობა, კავშირგაბმულობა, მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარების დონე, ოქროსა

და უცხოური ვალუტის მარაგები, სტრატეგიული რეზერვები და სხვ.).

ეკონომიკის სამობილიზაციო მომზადებისა და მზადყოფნის ძირითად პარამეტრებად მიზანშეწონილია გამოყენებულ იქნეს მიზნობრივი და საგანგებო ვითარებაში მდგრადი ფუნქციონირების მაჩვენებლები, კერძოდ: საწარმოო პერსონალის დაცვის საშუალებათა (თავშესაფრები, გაზსაწინააღმდეგო რესპირატორები, სამედიცინო საშუალებები და სხვ.) მოცულობები; მატერიალურ-ტექნიკური მარაგების აუცილებელი რაოდენობის განლაგება კატეგორირებულ ქალაქებში; ელექტროენერგიით მომარაგების, წყალმომარაგების, თბომომარაგების, ხანძარსაწინააღმდეგო საშუალებებით უზრუნველყოფის საკმარისი დონე; სასურსათო პროდუქტებით და მათი შენახვის საშუალებებით (საცავები, მაცივრები და სხვ.) უზრუნველყოფა; აღდგენითი სამუშაოების ჩატარების (სამშენებლო ორგანიზაციების და სხვ.) შესაძლებლობები; მმართველობითი სისტემის შეუფერხებელი მუშაობა.

ქვეყანაში საბაზრო ეკონომიკის ფორმირების პროცესი ღრმა პოლიტიკური და ეკონომიკური კრიზისის ვითარებაში მიმდინარეობს, რაც განპირობებულია სხვადასხვა ობიექტური და სუბიექტური ფაქტორებით და პირობებით, კერძოდ: საგარეო და საშინაო ეკონომიკური კავშირების მასშტაბური რღვევით, წარმოების მოცულობის მკვეთრი დაქვეითებით, უმუშევრობით, სტრატეგიული საქონლის დეფიციტით, საწარმოთა კონვერსიის არასაკმარისი შედეგებით და სხვ. აღნიშნული გარემოებები ნათლად აისახა მდგრადი ფუნქციონირების კრიტერიუმზე. იგი საკმაოდ დაბალი

აღმოჩნდა მრეწველობის ცალკეულ დარგებში, განსაკუთრებით საშენ-მასალათა მრეწველობაში (0,155), აგრეთვე კვების, მსუბუქი, ქიმიურ მრეწველობაში (0,31). აუცილებელია ამ მაჩვენებლების მკვეთრი ამაღლება.

საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის სტრუქტურაში თავდაცვითი ხარჯების ხვედრითი წილი, 1995 წლიდან 2003 წლამდე, საგრძნობლად კლებულობდა (1995 წელს მან შეადგინა 8,3, ხოლო 2000 წელს – 2,56 პროცენტი). ასევე მცირდებოდა მისი წილი მშპ-ის მიმართ (1995 წელი 1,01, 2000 წელს 0,51, ხოლო 2002 წელს 0,5 პროცენტი შეადგინა). ეს მაშინ, როცა თავდაცვითი ხარჯების მოცულობა მშპ-ში, ჩვენი შეფასებით, უნდა შეადგენდეს არანაკლებ 3,2 პროცენტს (როგორც ეს მეტწილ ქვეყნებშია). 2003 წლიდან მოყოლებული მკვეთრად გაიზარდა თავდაცვაზე გამოყოფილი საბიუჯეტო ასიგნებანი. კერძოდ მან ~~1987~~ წ-ს შეადგინა 1494 მლ. ლარი, 2008 წ-ს–1547 მლ ლარი. თუმცა, ფაქტია, რომ ეს სახსრები არაეფექტურად იქნა დახარჯული, რაც დაამტკიცა პრაქტიკამ 2008 წ-ის აგვისტოში. ამის შემდეგ საბიუჯეტო ასიგნებანი შემცირდა (2009 წ-ს 872 მლნ. ლარამდე. 2010 წ-ს მან შეადგინა (გეგმით)–700 მლნ. ლარი და ამდენივეა გათვალისწინებული 2011 საბიუჯეტო წელსაც)[1]. თუ გავითვალისწინებთ, რომ 2011 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილი თითქმის 5 188 მლნ. ლარია, პროცენტულად თავდაცვაზე გამოყოფილი სახსრები სოლიდურია (13,4 %)

ამასთან, სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯებში ცალკე

[1] საიტებიდან: http://www.mof.ge/ და http://www.mod.gov.ge/.

უნდა გამოიყოს სამობილიზაციო მომზადებაზე ხარჯები, რომელიც ყოველწლიურად უნდა იზრდებოდეს სახელმწიფო სამობილიზაციო მომზადების მატერიალური მარაგების ფაქტიური მოთხოვნის სრულ შევსებამდე. გარდა სახელმწიფო ბიუჯეტისა, სამობილიზაციო მომზადების განხორციელების ცალკეულ ღონისძიებათა დაფინანსება (ღონისძიებების მნიშვნელობისა და მასშტაბების მიხედვით) რეგიონებს, კერძო საწარმოებსა და ბიზნესმენებსაც უნდა ევალებოდეს.

ეკონომიკის სამობილიზაციო მომზადებისა და მზადყოფნის მარაგების ფორმირებისათვის დიდი ყურადღება უნდა დაეთმოს პრიორიტეტული დარგების – საინფორმაციო ტექნიკის, ხელსაწყოთმშენებლობის, ელექტროტექნიკური მრეწველობის, მანქანათმშენებლობის პროდუქციას, სატრანსპორტო და სხვა მომსახურებაზე მოთხოვნილების დაკმაყოფილებას.

საქართველოს თავდაცვითი პროდუქციის გამომშვები საწარმოებისა და მომსახურების სტრუქტურების რთული და მწვავე პრობლემები, უწინარესად დამოკიდებულია ფინანსურ სტაბილიზაციაზე, ძირითადი ფონდების ექსპლუატაციის მკვეთრ გაუარესებაზე, საშინაო და საგარეო ვალის დიდ მოცულობაზე, რესტრუქტურიზაციის ჩაუტარებლობის გამო წარმოების პოტენციალის დანაკარგზე და სხვ., მაგრამ ისიც ცხადია, რომ მრეწველობაში არსებობს როგორც საწარმოო, ისე კვალიფიციური კადრების საკმაო პოტენციალი, რომლის საფუძველზეც შესაძლებელია არსებულ სიმძლავრეთა ამოქმედება. ანდა მოხერხდეს საბრუნავი სახსრების შევსება. ყოველივე ეს ხელს შეუწყობს ეროვნული ეკონომიკის სამობილიზაციო მომზადების სისტემის ფორმირებას და, ამავე დროს, შიგა და გარე ბაზარზე თავდაცვითი დანიშნულების პროდუქციის ექსპორტის გადიდებას.

განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს თავდაცვითი პროდუქციის წარმოებაზე ორიენტირებული საწარმოების მუშაობის გაუმჯობესებას. შესაძლებლობის შესაბამისად, ინვესტორთა მონაწილეობით უნდა

დამუშავდეს ამ საწარმოთა რესტრუქტურიზაციის პროგრამა, რომელიც საფუძვლად დაედება როგორც მაპროფილებელი, ისე სამოქალაქო პროდუქციის გამოშვებას. ზოგიერთმა საწარმოებმა შეინარჩუნა ძირითადი პროფილი. ცალკეული საწარმოები ახორციელებს პროდუქციის რიგ სახეობათა მოდერნიზაციას, ტექნიკის კაპიტალურ შეკეთებას და მომსახურეობის სამუშაოებს. ისინი აქტიურად უნდა მუშაობდნენ ახალი, პერსპექტიული პროდუქციის ათვისებაზე არსებული საწარმოო და ტექნოლოგიური სიმძლავრეების გამოყენებით.

ეროვნული ეკონომიკის სამობილიზაციო მომზადება ორგანიზაციულად მიზანშეწონილია ხორციელდებოდეს დარგობრივ და რეგიონალურ ჭრილში პერსპექტუილი და ყოველწლიური (განსაკუთრებული პერიოდის) სახელმწიფო პროგრამების დამუშავებით და რეალიზაციით. ასეთი პროგრამები უნდა შემუშავდეს სათანადო მეცნიერულ დონეზე და განიხილებოდეს ქვეყნის უსაფრთხოების კომპლექსის ნაწილად, უზრუნველყოფილი უნდა იყოს საჭირო ფინანსური, საკადრო და მატერიალურ–ტექნიკური რესურსებით.

შეიარაღებული ძალებისა და ქვეყნის მოთხოვნილებათა უზრუნველყოფისათვის პროდუქციის მნიშვნელობის გათვალისწინებით ეროვნული ეკონომიკის სამობილიზაციო მომზადების გეგმაში უნდა განისაზღვროს თავდაცვით წარმოებაზე ორიენტირებული საწარმოების რესტრუქტურიზაციის შედეგად მაქსიმალური სამხედრო–ეკონომიკური შესაძლებლობები ეროვნული ეკონომიკის საჭიროებისათვის უმნიშვნელოვანესი სახეობის მოწყობილობების, ნედლეულისა და მასალების

მოთხოვნილებათა გაანგარიშებების, მატერიალური ბალანსების შედგენის საფუძველზე. ასევე უნდა შემუშავდეს საწარმოო სიმძლავრეების შექმნის, ტექნიკური გადაიარაღების, პროგრესული ტექნოლოგიების ათვისების პერსპექტიული და ყოველწლიური ღონისძიებები.

საგანგებო პირობებისათვის (იგულისხმება გარდა ომისა მიწისძვრები, მეწყერები ბუნებრივი კატაკლიზმები და სხვ.) მრეწველობის სამობილიზაციო მომზადების სრულყოფის მიზნით მიზანშეწონილია გამოვიყენოთ დარგთაშორისი საბალანსო მოდელი, რაც საშუალებას იძლევა განისაზღვროს ეკონომიკის სხვადასხვა დარგებს შორის ურთიერთკავშირის ზუსტი სქემა და რაოდენობრივად შეფასდეს სამხედრო და სამოქალაქო პროდუქციის გამოშვების კონკრეტული მოცულობები.

სამხედრო დანიშნულების პროდუქციის წარმოების ეფექტიანობისათვის, რაც წარმოების სათანადო მასშტაბების პირობებშია შესაძლებელი მიზანშეწონილია გასაღების წინასწარი გარანტიით (შეკვეთები, შეთანხმებები), რაც შეიძლება მეტი რაოდენობით იწარმოებოდეს ის პროდუქცია, რომლებიც შეიძლება მიეწოდოს სხვა დარგებსაც. ამით ამა თუ იმ ზომით დაიფარება საზღვარგარეთ შეძენილი იარაღისა და თავდაცვითი დანიშნულების ნაწარმის ხარჯები, ასევე შეიძლება გაიზარდოს მთლიანი ექსპორტი და ქვეყნის სავალუტო შემოსავლები.

უნდა შემუშავდეს საწარმოთა საქმიანობის მიმართულებების სწრაფად, მცირე დანახარჯებით შეცვლის ისეთი მოქნილი სქემები, რომლითაც

სამოქალაქო პროდუქციიდან სამხედროზე და პირუკუ გადასვლა ადვილად მოხერხდება.

სამხედრო ეკონომიკის სახელმწიფო რეგულირების საფინანსო–ეკონომიკურ ბერკეტებს შორის განსაკუთრებული როლი უნდა შეასრულოს მაღალმომგებიანმა სამხედრო კონტრაქტებმა, სახელმწიფო კაპიტალურმა დაბანდებებმა, საწარმოთა სუბსიდირებამ, კრედიტების გაცემამ და ძირითადი ფონდების დაჩქარებულმა ამორტიზაციამ, სახედრო პროდუქციაზე ფასწარმოქმნის სპეციფიკურმა მექანიზმმა.

სახელმწიფო რეგულირების მეთოდები აქტიურ უშუალო ზემოქმედებას უნდა ახდენდნენ სამხედრო ეკონომიკაზე. მათ რიცხვს მიეკუთვნება ამ სფეროს განვითარების მიმდინარე და პერსპექტიული გეგმების დამუშავება, აგრეთვე მაკროეკონომიკური ინდიკატორული დაგეგმვა. სამხედრო–ეკონომიკური მეთოდები აუცილებელია ეყრდნობოდეს ეკონომიკური სტიმულირების გამოყენებას, რომელიც ითვალისწინებს მატერიალურ პასუხისმგებლობასა და დაინტერესებას დაკვეთების შესრულებაზე. იგი შეუცვლელია მშვიდობიან პერიოდში სამხედრო წარმოების ორგანიზაციის, სტიმულირებისა და მომგებიანობის უზრუნველყოფის სამობილიზაციო მომზადებისათვის და ბოლოს, საგანგებო პერიოდში მთელი ეკონომიკის სამხედრო რელსებზე გადაყვანის სამუშაოთა ეფექტიანად წარმართვის საქმეში.

საგანგებო ვითარების მოლოდინის გათვალისწინებით ეკონომიკის მდგრადი ფუნქციონირების ამაღლების მოთხოვნები გვკარნახობს საწარმოთა განცალკევებას, ავტონომიურობის ხარისხის ზრდას, რაც იმას გულისხმობს, რომ ახალი საწარმოების მშენებლობა

უნდა შეიზღუდოს განსაკუთრებული მნიშვნელობის ქალაქებში. დაცვისა და რაციონალური მიწოდების პირობების გათვალისწინებით, მათი განლაგება მიზანშეწონილია არაგანსაკუთრებული მნიშვნელობის ქალაქებში, ან სხვადასხვა რეგიონში. ეს ეხება სამობილიზაციო მომზადების მატერიალურ–ტექნიკური მარაგების ტერიტორიულ განლაგებასაც. ამასთან, აღნიშნული პრინციპი არ უნდა არღვევდეს წარმოების ტერიტორიული განლაგების ეკონომიკურ მიზანშეწონილობას.

ქვეყნის სამობილიზაციო მომზადების ორგანიზაციული სისტემის შემუშავებისას და ეკონომიკურ სუბიექტებთან (საწარმოებთან, ორგანიზაციებთან) ურთიერთობისას ამოსავალი პრინციპი უნდა იყოს სახელმწიფო შეკვეთების ხელსაყრელობა. ამასთან ნებისმიერ საწარმოს (საკუთრების ფორმების მიუხედავად) არ უნდა ქონდეს უფლება უარი თქვას ასეთი შეკვეთების მიღებაზე და გვერდი აუაროს მათ. მაგრამ იმისათვის, რომ შენარჩუნდეს პასუხისმგებლობა კონტრაქტის ფარგლებში სამთავრობო განკარგულებასთან ერთად უნდა არსებობდეს შეღავათები, კერძოდ: კრედიტების მიღების, მომარაგებაში ხელშეწყობის, ფასების, გადასახადების, საბაჟო ტარიფების, ვალუტის მიღების, ხელფასის ფონდის ფორმირებისა და პრემირების, სტიმულირების, სხვა ფორმების გამოყენების საჭიროების შემთხვევაში დოტაციების მიღების მხრივ და ა.შ.

საქართველოს ეკონომიკური უსაფრთხოების მაჩვენებლები მჭიდრო ურთიერთკავშირშია ქვეყნის სამობილიზაციო მომზადებისა და მზადყოფნის

მაჩვენებლებთან. აქედან გამომდინარე, უნდა შემუშავდეს და განხორციელდეს საქართველოს მდგრადი უსაფრთხოების გრძელვადიანი პროგრამა, ქვეყნის სამობილიზაციო მომზადებისა და მზდაყოფნის მაჩვენებლებთან ერთად-ერთთან ჭრილში. როგორც სახელმწიფოს სტრატეგიისა და პოლოტიკის ერთადერთი ძირითადი დოკუმენტი.

ქვეყნის ეკონომიკის სამობილიზაციო მზადყოფნა სათანადო დონეზე ვერ განხორციელდება მეცნიერებასთან მჭიდრო კავშირის გარეშე, აუცილებელია გამოინახოს შესაბამისი გზები ქვეყნის მეცნიერების ამ პროცესში ფართოდ ჩართვისათვის, რაშიც შეიძლება ვიგულისხმოთ როგორც აკადემიური, ისე უმაღლეს სასწავლებლებისა და დარგობრივი მეცნიერების მოზიდვა ტექნოლოგიური, ორგანიზაციული, თუ ეკონომიკური პრობლემების გადასაჭრელად, რისთვისაც საქართველოში საკმარისი პოტენციალი არსებობს.

საქართველოს სამობილიზაციო მომზადება დინამიკური, არაერთჯერადი პროცესია და მის საბოლოო მოწესრიგებას ხანგრძლივი დრო სჭირდება, აგრეთვე თავდაცვითი ეკონომიკა გარკვეულწილად მემკვიდრეობითია, გენეტიკურ-ინერციული ბუნებისაა და, შესაბამისად, ძველიდან ახალ სისტემაზე გადასვლისას ეტაპობრივ-ევოლუციურ მიდგომას მოითხოვს.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ბასარია რ.ვ., მესხია ი.ე., ეკონომიკური თეორიის საფუძვლები, თბ., საქართველოს ფინანსთა სამინისტროს გამოცემა, 1996, 340 გვ.
2. კაკულია რ.შ. ფინანსების თეორია, თბ., გამომც., შპს „ფინანსები", 2001, 395 გვ.
3. მალაშხია გ.მ., მეტაეკონომიკა — ეკონომიკის ფილოსოფია, თბ., გამომც. „ესპსკი", 1995, 560 გვ.
4. მესხია ი.ე., საქართველოს საფინანსო ეკონომიკური უსაფრთხოების თანამედროვე პრობლემები, ფსკი-ს შრ. კრებული, ტომი IV, თბ., გამომც., „ფსკი", 2000, გვ. 5–27.
5. მესხია ი.ე., რეალური სექტორის აღორძინება — განვითარება ქვეყნის ეკონომიკური უსაფრთხოების გარანტი. ჟ. „მიკრო-მაკრო ეკონომიკა", №11–12, 1999, გვ. 26–30.
6. პაჭკორია ჯ. ს., ცივილიზებული საზოგადოების სოციალურ-ეკონომიკური არსებობის საკითხისათვის, ჟ. „ეკონომიკა", 5/1991, გვ. 15-25.
7. სამუელსონი პ., ნორდჰაუსი ვ., ეკონომიკსი, სახელმძღვანელო, გამომც. „ეკონომიკა და სამართალი", თბ., 1992, 257 გვ.
8. სმითი ა., გამოკვლევა ხალხთა სიმდიდრის მიზეზებისა და ბუნების შესახებ, თარგმნა ინგლისურიდან, თბ., 1938, 296 გვ.
9. საქართველოს კანონი მობილიზაციის შესახებ, გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა", № 185, 13 ივლისი, 1999.

10. საქართველოს სახელმწიფო დოქტრინა, თბ., 1/10, 1999, 15 გვ.
11. ჩიკვაიძე თ. ნ., საქართველოს ახალი პარადიგმა: მდგრადი და უსაფრთხო განვითარების სტრატეგია XXI საუკუნისათვის, ესპსკი-ის შრ.კრებული ტომი II, თბ., გამომც. "ესპსკი", 1997, გვ. 38-84.
12. ჩიკვაიძე თ.ნ., საქართველოს მდგრადი და უსაფრთხო განვითარების პროგრამა XXI საუკუნისათვის: არსი, შინაარსი, ძირითადი პრობლემები, ესპსკი-ის შრ.კრებული ტომი I, თბ., გამომც. "ესპსკი", 1996, გვ. 61-65.
13. ჭითანაძა ნ.ა., გარდამავალი პერიოდის სოციალურ-ეკონომიკური პრობლემები ეკონომიკური გლობალიზაცია და ეროვნულ- ეკონომიკური უსაფრთხოება,) ნაწ. III, თბ., გამომც. "ესპსკი", 2001, 422 გვ.
14. Букина М.К. Проблемы конверсии военного производства. М.,Знание,1991. 27 стр.
15. Венецкий Г.С., Кильдишев. Основы теории вероятностей и математической статистики. Изд. «Статистика».М., 1968.260 стр.
16. Власьевич Ю.Е., Сухогрузов А.С., Зубков В.А. Основы военно- экономических знаний. М.,Военное изд-во.1989.270 стр.
17. Военная доктрина Российской Федерации. «Российская газета»,21.04.2000г. http://www.upalarms.ru/
18. Вознесенский Н.А. Военная экономика в период Великой отечественной войны.М.,Госполитиздат.1948.192 стр.
19. Грешнев М. Реструктуризация стран НАТО на пороге XXI века. Ж.МЭиМО.1999, июнь,стр.17-24.

20. Доклад о развитии человека за 2001г. Использование новых технологий в интересах развития человека. Издано по заказу ПРООН. Нью-Йорк Оксфорд юниверсити пресс 2001.стр.195-198.
21. Дутов Б.П. Приоритетные направления научных исследований по проблемам гражданской обороны в условиях интенсификации народного хозяйства.Вопросы повышения устойчивости функционирования народного хозяйства страны в военное время. Сб.статей.М.1987.№5.стр.7- 16.
22. Изюмов А. Конверсия и переход к рынку.Ж. «Вопросы экономики». М. 1991.
23. Заблаговременная подготовка загородной зоны для жизнеобеспечения населения в военное время. Материалы научно- практической конференции.Рига.Штаб ГО.1984 . 92 стр.
24. История военного исскуства. под.ред. П.А.Жилина. М., Военное издательство.1986.445 стр.
25. Калерг К. Человек как философская проблема.М. 1991.221 стр.
26. Кейнс Дж. Общая теория занятости, процента и денег. пер. с англ. М.,1946.
27. Кушнаренко Г.В.,Секунов С.С. Региональные приоритеты устойчивости.Рига.1989.242 стр.
28. Любецкий В. Эволюция ядерной политики США в 1989-2000гг. МЭиМО.2001.№ 9.стр.18-26.
29. Мизес Л.Ф. Человеческая деятельность. М.2001.777стр.
30. Мирский Г. Дракон встает на дыбы. (О международном терроризме). Ж.МЭиМО.2002.№ 3.стр.36-46.
31. Морозов Л., Голович В.,Михайлов Н. Экономический подход к строительству вооруженных сил России.

«Российский экономический журнал». №9.1999.стр.104-109.
32. Никонов А. Фундамент обороноспособности государства.Ж.МЭиМО. №2.1999.стр.121-123.
33. Пачкория Д.С. К вопросу о самоотрицании войны.Сб. статей.Изд. «Петрополис», Санкт-Петербург.2001.стр.255-265.
34. Первов М. Межконтинентальные баллистические ракеты СССР и России. Краткий исторический очерк.М.1999. 205стр.
35. Состояние оборонной промышленности. Ж. «Российская экономика: тенденции и перспективы». июль,1998.
36. Тющкевич С.А. Война и современность. М.,1986. 187 стр.
37. Фарамазян Р.А.,Борисов В.В. Военно-экономические аспекты национальной безопасности. М., МЭиМО-ВИЦГУЛ,1996. 164 стр.
38. Фарамазян Р.А.,Борисов В.В. Военно-экономические аспекты национальной безопасности. М., МЭиМО.2001,№9,стр.44-51.
39. Федеральный закон о мобилизационной подготовке и мобилизации в Российской Федерации. «Российская газета» №45, 05.03.1997 60.
40. Шамятенков В.Г. Между стихией и планомерностью. М. изд. «Мысль»,1987. 271 стр.

დანართები

დანართი 1

წამყვანი ქვეყნების წილი მსოფლიოს ეკონომიკურ და სამხედრო მაჩვენებლებში (%-ით მსოფლიო დონესთან, 90-იან წლების შუა ხანებში)[1]

ქვეყნები	მშპ მყიდველობითი უნარიანობის პარიტეტით	მოსახლეობა	სახელმწიფო ხარჯები	სამხედრო ხარჯები	სამხედრო ძალები	ბირთვული იარაღი
აშშ	21,8	4,6	18,7	32,1	7,1	33,5
ჩინეთი	8,7	21,1	3,9	7,3	12,9	1,3
იაპონია	8,1	2,2	13,6	5,8	1,1	0
გერმანია	5,0	1,4	9,4	4,8	1,5	0
ინდოეთი	3,9	16,4	0,7	0,9	5,6	0,1
საფრანგეთი	3,6	1,0	8,4	5,5	2,2	1,4
ინგლისი	3,3	1,0	5,3	3,9	1,0	1,1
იტალია	3,3	1,0	6,2	2,2	1,9	0
ბრაზილია	2,9	2,8	3,1	1,3	1,3	0
ინდონეზია	2,1	3,4	0,4	0,4	1,2	0

[1] წყარო: США : ЭТИ. 1998. 38, с. 4.

დანართი 2

შეიარაღების ძირითადი ექსპორტიორები (მლნ დოლარი 1990 წლის კურსით)[1]

ქვეყნები	1997	1998
აშშ	12404	12342
საფრანგეთი	2404	3815
რუსეთი	2956	1276
გერმანია	686	1064
დიდი ბრიტანეთი	3238	673
ნიდერლანდები	551	506
უკრაინა	516	449
იტალია	442	298
ესპანეთი	637	221
კანადა	137	217

[1] წყარო: Le Figaro economie

დანართი 3

შეიარაღების ძირითადი იმპორტიორები (მლნ დოლ 1998 კურსი)[1]

ქვეყნები	1997	1998
ტაივანი	5311	4656
საუდის არაბეთი	3292	1948
საბერძნეთი	832	1566
თურქეთი	1394	1376
იაპონია	662	1181
არაბეთის გაერთ. ემირატები	840	756
სამხრეთ კორეა	731	656
პაკისტანი	614	525
ინდოეთი	1266	466
ეგვიპტე	931	440

[1] წყარო: Le Figaro economie

რუსეთის ფედერაციის 2001 წლის სამხედრო ხარჯები[1]

ხარჯების დასახელება	მილიონი მანეთი	ხვედრითი წილი სახელმწიფო ბიუჯეტში(%)	ხვედრითი წილი მთლიან შიდა პროდუქციაში
I. საერთო ხარჯები ნაიცონალურ შეიარაღებაზე: მათ შორის	214688	18,0	2,77
ა) მშენებლობაზე	203061	17,0	2,62
ბ) სამოიბლიზაციო და ჯარის მომზადებაზე	2278	0,17	0,03
2. ხარჯები ქვეყნის უსაფრთხოებისათვის	2278	0,17	0,03
3. სამხედრო ორგანიზაციებზე ხარჯები და სახელმწიფო უსაფრთხოების უზრუნველყოფაზე	2716 131621	0,23 11,0	0,04 1,70

[1] წყარო:2001 წ-ში რუსეთის სამხედრო ხარჯები. http:/www, iet/trend/02-02/z/htm.

დანართი 5

ქვეყნის სამხედრო ხარჯები % მთლიან ეროვნულ პროდუქტთან[1]

N	ქვეყნები	1900 წ.	1920 წ.	1937 წ.	1960 წ.	1980 წ.	1995 წ.
1.	ავსტრალია	0,2	1,0	0,6	2,4	2,3	2,4
2.	ავსტრია		0,7	1,3	1,2	1,2	0,9
3.	ბელგია		2,4	-	3,4	3,1	1,7
4.	კანადა				4,3	1,6	1,6
5.	საფრანგეთი	6,5	1,9	5,5	6,3	3,3	3,1
6.	გერმანია	1,7	0,9	9,6	4,0	2,9	1,7
7.	ირლანდია		5,1	1,2	1,4	1,9	1,4
8.	იტალია	7,4	2,7	9,9	2,7	1,7	1,9
9.	იაპონია	6,0	4,1	5,3	1,0	0,9	1,0
10.	ჰოლანდია				3,9	3,2	2,1
11.	ახალი ზელანდია			3,9	1,4	1,6	1,3
12.	ნორვეგია		0,9	0,8	3,2	2,6	2,6
13.	ესპანეთი		5,8	3,8	2,9	1,6	1,5
14.	შვეცია		2,0	1,6	2,8	3,2	2,5
15.	შვეიცარია			1,8	2,4	2,1	1,6
16.	დიდი ბრიტანეთი	5,4	2,6	5,3	6,4	4,9	3,1
17.	აშშ	0,8	0,6	1,1	8,8	5,2	4,0
18.	საშუალოდ	4,0	2,4	3,7	3,4	2,5	2,0

[1] Мировая экономика и международные отношения. Март, 2002, №3, стр. 18

სამხედრო ხარჯები და შეიარაღებული ძალების რიცხოვნება მსოფლიოში[1]

	ე.წ. 1985	ე.წ. 1988	ე.წ. 1999	ე.წ. 1985	ე.წ. 1988	ე.წ. 1999	შეიარაღებული ძალების რიცხოვნება (ათ. კაცი)	
	მილიარდი დოლარი (1999 წლის მუდმივ ფასებში)			მთლიან შიდა პროდუქტში წილი (%)			1985	1999
ნატო	620,5	471,6	469,2	4,0	2,2	2,3	5803,0	4097,1
ევროპის ქვეყნები, ნატოში არ შედის რუსეთი	25,5	22,4	20,3	4,3	3,3	3,2	1024,0	1373,5
ახლო აღმოსავლეთი და ჩრდილოეთ აფრიკა	83,9	60,4	60,(	11,9	7,5	7,2	3342,4	2895,0
ცენტრალური და სამხრეთ აზია	13,6	21,1	21,7	,3	5,4	5,3	1930,1	2645,0
აღმოსავ								

[1] წყარო: The Military Relance 2000/2001. L., 2000 , p. 302.

ლეთ აზია, ავსტრა ლია, ახალი ზელანდი ა და წყნარი ოკეანის ყურე	112, 0	124, 5	135,2	6,4	3,6	3,7	2843,7	7141,7
კარიბის ყურე, ცენტრალ ური და ლათინუ რი ამერიკა	23,1	39, 0	35,4	3,2	1,8	1,8	1344,2	1265,2
სამხრეთ აფრიკა, საჰარა	10,2	9,7	9,8	3,1	4,5	4,4	458,5	1455,1
მთლიანა დ მსოფლი ოში	125 3,5						27946, 6	21875,9
რუსეთი	364 ,7	57,1	56,8		5,3	5,1	5300,0	1004,0


დიდ ქვეყნებში საშუალო წარმოება (1991 წ.=100)[1]

	1987 წ	1988 წ	1989 წ	1991 წ	1992 წ	1993 წ	1994 წ	1995 წ	1996 წ	1997 წ	1998 წ
აშშ	115	106	108	94	85	83	72	67	61	64	-
დიდი ბრიტანეთი	102	109	103	88	87	79	77	82	91	92	90
საფრანგეთი	94	100	100	90	86	77	71	63	69	73	71
იაპონია	88	95	99	102	95	91	81	73	77	80	76
გერმანია				დერ				59			
რუსეთი				100	50	33	20	17	13	9	10

[1] იქვე


დანართი 7

მოსახლეობის დაცვისათვის სამობილიზაციო მომზადების ღონისძიებების სტრუქტურა





დანართი 8

ეროვნულ მეურნეობის დარგების და ობიექტების აღდგენით სამუშაოებისათვის სამობილიზაციო მომზადების სტრუქტურა




სამობილიზაციო მომზადების ინფორმაციული სტრუქტურა მდგრადი მართვისათვის




მიზანი:
ორგანიზაციული და მეთოდური ღონისძიებების განხორციელება, რომელიც უზრუნველყოფს მართვის ორგანიზაციასა და სწრაფ ფუნქციონირებას საგანგებო პერიოდებში
მიზანი:
ეროვნული მეურნეობის მართვისათვის ინფორმაციის მიღებისა და დამუშავების სისტემების შექმნა საგანგებო პირობებისათვის
მიზანი:
სათადარიგო მმართველობითი პუნქტებში მოწყობილობებით უზრუნველყოფა ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე ერთიანი სისტემით მართვისათვის
მიზანი:
კავშირებისა და საინფორმაციო სისტემის უზრუნველყოფა საიმედო ფუნქციონირებ ი- სათვის საგანგებო პირობებში
მიზანი: მთელი ეროვნული მეურნეობისათვის მართვის ამოცანების გადასაწყვეტად ხელმძღვანელი კადრების მომზადება

დანართი 10

შეიარაღებული ძალებისა და არმიის მოთხოვნილებების სრული და მდგრადი უზრუნველყოფისათვის სამობილიზაციო მომზადების ღონისძიებები



საგარგებო ვითარებაში მოსახლეობის სამედიცინო მომსახურებაზე მოთხოვნილება (ნორმატივებით)

დასახელება	ზომის ერთ.	რაოდენობა
!. ექიმების რაოდენობა	ათას კაცზე	7,7
2. საშუალო სამედიცინო პერსონალი	ათას კაცზე მილიონი ადგილი	23,6
3. სამკურნალო ადგილების რაოდენობა	ერთეული	0,41
4. შოკის საწინააღმდეგო საშუალებები	ათასი ლიტრი	270
5. სისხლის და პლაზმის მარაგი	ათასი ლიტრი	1835
6. სისხლის შემცვლელები	ერთეული	702
7. ანტიბიოტიკური მარაგები	ტონა	5196
8. ბამბა	ტონა	97
9. გადახვევის საშუალებები		106

საჭიროა

წყალმომარაგება 130 (ათასი $მ^3$)/დღეღამეში

თბომომარაგება 110 (ათასი კკ)/წელიწადში

ელექტროენერგია 0,6 (მილიარდი კვტ. სთ)/წელიწადში

დანართი 12

საქართველოს მრეწველობის დარგების მიხედვით ძირითადი ფონდები, საწარმოო პერსონალი, წარმოებული პროდუქცია (ფაქტური) და მათი შესაძლო დანაკარგები და ფარდობითი მნიშვნელობები

მრეწველობის დარგები		ფაქტური[1]			ძირითადი ფონდების ცვლილება გაუნაკრძე-(ბული Δ K_i მლნ. ლარით)	10% -იანი სამობილიზა-ციო გაწეული მეზღვა შრომითი რესურსები (N_{0i} ფორმულით ათასი კაცი)	ზემოქმედების შედეგად შრომისუნა-რიანი (N_i ფორმულით ათასი კაცი)	გადარჩენ-ილი ძირითადი ფონდების შესა-ბამისად საჭირო შრომითი რესურსები N_{pi} ათასი კაცი	პროდუქციის მოცულობა V_i (მილიონი ლარი)	დაზიანების კოეფიცი-ენტი K_i	ფარდობითი მნიშვნელობები $\frac{V_i}{V_{0i}}$
		საშრეწველო საწარმოო ძირითადი ფონდები (მლნ. ლარი)	საშრეწველო საწარმოო პერსონალის საშუალო წლიური რიცხვი (ათასი კაცი)	პროდუქციის მოცულობა (მილიონი ლარი)							
1	ელექტროენე რგეტიკა	152,8	8,1	144,7	76,8	7,29	3,385	1,418	67,189	0,95	0,464
2	სათბობის მრეწვ.	17,6	3,1	19,1	76,6	2,79	1,300	1,569	8,9	0,95	0,466
3	შავი მეტალურგია	75,5	14,5	40,1	76,2	13,05	6,060	4,643	18,621	0,95	0,464

[1] საქართველოს სტატისტიკური წელიწდეული 2000 გვ. 156-157.

4	ფერადი მეტალურგია	6,6	1,3	12,3	76,2	1,17	0,543	0,118	5,708	0,95	0,464
5	ქიმიური და ნავთობქიმიური მრეწ.	28,9	9,6	36,4	73,15	8,64	4,012	1,350	11,268	0,90	0,310
6	მანქანათმშენებლობა და ლით. დამუშავება	107,4	28,7	51,7	64,9	25,83	12,000	12,601	16,012	0,80	0,310
7	ხე ტყე, ხის დამუშ. ცელულოზა ქაღალდი	18,9	6,5	6,4	73,5	5,95	2,763	3,504	2,015	0,90	0,315
8	სამშენებლო მასალ. მრეწველობა	38,2	6,3	15,7	60,8	5,67	2,633	3,485	2,430	0,75	0,155
9	მსუბუქი მრეწველობა	38,7	23,6	14,0	69,05	21,24	9,864	12,914	4,334	0,85	0,310
10	კვების მრეწველობა	120,3	32,9	202,1	68,95	29,61	13,751	3,884	62,571	0,85	0,310
11	ფქვილ ბურღულეულის კომბ. საკე. მრეწველ.	15,5	2,7	99,7	87,75	2,43	1,128	0,078	30,854	0,90	0,310